ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ისტორია

კონსტანტინე ფერაძე

ქართული წარმოშობის ოსმალო მოხელეები XVIII – XIX საუკუნეების მაღრიბის საფაშოებში

ისტორიის დოქტორის (Ph.D. in History) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გოჩა ჯაფარიძე

თბილისი
2019

შინაარსი

შესავალი 3
წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა 14
  თუნისი 17
  ალჟირი 19
  ტრიპოლი 21
თავი I. ოსმალური თუნისი 22
თავი II. ოსმალური ალჟირი 83
თავი III. ოსმალური ტრიპოლი 120
ილუსტრაციები და დანართები 158
ბიბლიოგრაფია 173

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომში განიხილულია XVIII და XIX საუკუნეებში საქართველოდან ტყვედ გაყვანილი ან საკუთარი ნებით წასული ადამიანების ისტორია მაღრიბული თუნისის, ალჟირისა და ტრიპოლის ოსმალურ საფაშოებში.

საქართველოს ისტორიაში ტყვეთა სყიდვა ერთ-ერთია იმ ბევრ სხვა უბედურებას შორის, რომელმაც მძიმე კვალი დატოვა ქვეყნის ისტორიაზე და მის განვითრებაზე. ტყვის სყიდვა XIV-XV საუკუნეებში გაჩნდა და განსაკუთრებით მასშტაბური გახდა მომდევნო, XVI და XIX საუკუნეებში[1]. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, საქართველოში ადგილობრივი ფეოდალის ან კრიმინალის მიერ დატყვევებული და შემდგომში გაყიდული ახალგაზრდები ყოველწლიურად ათასობით გაჰყავდათ ოსმალეთის იმპერიის მონათა ბაზრებზე და სპარსეთში. ქართველი მონები იყიდებოდნენ ოსმალეთის იმპერიის როგორც ცენტრალურ, ისე პროვინციული ელიტაზე. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო კავკასიური წარმომავლობის მონებზე - როგორც მამაკაცებზე, ისე ქალებზე.

საქართველოს მკვიდრი და შემდგომში მონებად გაყიდული ადამიანების კვალი კარგად ჩანს XVII-XIX საუკუნეების ოსმალურ ეგვიპტეში, ერაყში, სირიასა და იმპერიის ცენტრში. განსაკუთრებით წარმატებული მონები ახერხებდნენ ოსმალური ადმინისტრაციის უმაღლეს თანამდებობებზე დაწინაურებას. ისინი, მოგვიანებით კი მათი შთამომავლები, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ოსმალეთის იმპერიისა და მისი შემადგენელი არაბულენოვანი რეგიონების პოლიტიკურ, სამხედრო, სავაჭრო და კულტურულ ცხოვრებაში.

საქართველოში ტყვეთა სყიდვის ფენომენი კარგად არის ცნობილი, ამაზე წერდნენ ქართველი მემატიანეები, მკვლევრები და საზოგადო მოღვაწეები. ტყვეთა სყიდვა და

---

[1] ვალერიან გაბაშვილი, *ტყვის სყიდვა შუა საუკუნეების ევროპაში (ქართველ ტყვეთა ისტორიის ევროპული მასალები),* მაცნე, ისტორიის სერია, 1983, ნომერი 4, გვ. 34. ავტორის აზრით, საქართველოს მკვიდრი მოსახლეების მონად გაყიდვის ყველაზე ადრეული წერილობითი მოწმობა 1281 წლით თარიღდება.

მასთან დაკავშირებული ისტორიები აღწერილი აქვთ ქართველ ავტორებს, საქართველოში მყოფ ევროპელ მოგზაურებს და მისიონრებს. მაგალითისთვის, ჟან შარდენი აღწერს, რომ XVII საუკუნის პირველ ნახევარში, ყოველწლიურად, მხოლოდ სამეგრელოდან თორმეტი ათასი ტყვე გაჰყავდათ ოსმალეთსა და სპარსეთში, აქედან, მარტო სამი ათასი სპეციალურად მიჰყავდათ კონსტანტინოპოლის მონათა ბაზარზე[2].

ცნობილია, რომ საქართველო XVI-XVIII საუკუნეებში განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მოსახლეობა მუდმივი გარე შემოსევების, შიდაომებისა და ეპიდემიების ფონზე, ეკონომიკურად უმძიმეს მდგომარეობაში აგრძელებდა არსებობას. სამთავროებად და სამეფოებად დაქსაქსულ საქართველოს კუთხეებში მაღალი წოდების დაჯგუფებათა შორის გამუდმებით მიმდინარეობდა შიდა ომები. მუდმივი კონფლიქტების მსვლელობისას ხშირი იყო მოსახლეობის დაწიოკება და ხშირ შემთხვევაში, მათი დატყვევება და გაყიდვა. მეურნეობის დაქვეითების გამო უსახსროდ დარჩენილი მემამულეები უცხოური საქონლის შესაძენადაც ჰყიდნენ საკუთარ ან მეზობლის ყმებს, ხანდახან მთელ ოჯახებს[3]. ასე მაგალითად, XVIII საუკუნის დამდეგს გურიის მთავარი მამია გურიელი ხარჯების დასაფარად საკუთარ მოსახლეობას ატყვევებდა და ჰყიდდა ოსმალებზე. ამავე პერიოდში იმერეთის ფაქტობრივმა გამგებელმა გიორგი აბაშიძემ კი, ტყვეთა გაყიდვა სხვებს აუკრძალა და ადამიანებით ვაჭრობის უფლება მხოლოდ თავისთვის დაიტოვა[4].

ტყვეთა სყიდვა, რომელიც ქართულ წყაროებში წარტყვევნის ტერმინით არის ცნობილი, გულისხმობდა ადამიანების მოტაცებას, მათ გადაყვანას უსაფრთხო პუნქტში, საიდანაც, გამოსასყიდის არქონის შემთხვევაში, ხდებოდა მათი გაყიდვა და ქვეყნის გარეთ გაყვანა უცხოეთის მონათა ბაზრებზე. ადამიანებს იტაცებდნენ და ჰყიდდნენ არა მხოლოდ ფულის და ფუფუნების საგნების შეძენის მიზნით, არამედ აგრესიულად

---

[2] John Chardin, *The travels of Sir John Chardin into Persia and the East-Indies the first volume, containing the author's voyage from Paris to Ispahan: to which is added, The coronation of this present King of Persia, Solyman the Third*. London: Printed for Moses Pitt, 1686. p. 90

[3] ავთანდილ კილასონია, *ტყვეებით ვაჭრობის ორგანიზაცია და ცენტრები გვიან შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოში*, მაცნე, 1982, ნომერი 3, გვ. 108

[4] სარგის კაკაბაძე, *საქართველოს ისტორია ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810 წ.წ.)*, თფილისი, 1922, გვ. 189-190

განწყობილ მეზობელ მუსლიმ საფაშოთა გამგებლებისთვის ხარკის ან ქრთამის გადახდის მიზნითაც.

XVIII-XIX საუკუნეებში იმერეთის მეფე, აფხაზეთის, გურიისა და სამეგრელოს მთავრები ხშირად ებრძოდნენ ერთმანეთს, რაც სავალალო მდგომარეობაში აგდებდა ისედაც გაჭირვებულ დაუცველ ქვედა ფენას. სამურზაყანოში, აფხაზეთში, გურიაში, სამეგრელოში და იმერეთში სხვადასხვა წოდებრივი მდგომარეობის ადამიანები აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ადამიანების გატაცებასა და მონებით ვაჭრობაში. აქ ტყვეთა მუდმივ წყაროს წარმოადგენდა ფეოდალთა დაუსრულებელი შიდაომები, რომელთა შედეგადაც გამარჯვებული მხარე ატყვევებდა დამარცხებულის ყმებს და მოგვიანებით ჰყიდდა მათ ოსმალო მონათვაჭრებზე. მშვიდობიანობის დროსაც კი, სამეფო-სამთავროების შიგნით მაღალი წოდების ადამიანები მუდმივად ცდილობდნენ მცირე შუღლის ან მტრობის საბაბით გაეტაცებინათ მოწინააღმდეგის საქონელი, ქონება და ყმები. უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოში წარტყვევნა არ იყო ყოველთვის ძალადობრივი. იყო შემთხვევები, როდესაც უკიდურესად დაუძლურებული მრავალშვილიანი ოჯახებისთვის ბავშვის გაყიდვა ისევ მისი სიკვდილისგან გადარჩენის ერთადერთი გზა იყო. ასე მაგალითად, იმერეთში მოსახლეობა იმდენად დააუძლურა 1810 წლის ეპიდემიამ, რომ "მამები პურის ნატეხისთვის ჰყიდდნენ შვილებს სამუდამო მონობაში, ხოლო სასოწარკვეთილი დედები ტყეებში და გზებზე აგდებდნენ შიმშილისგან დაუძლურებულ ბავშვებს"[5].

აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის დატყვევების და გაყიდვის ინდუსტრია ძირითადად ლეკი შეიარაღებული ჯგუფების და ადგილობრივი ყაჩაღების ხელში იყო. თუმცა, მაღალი წოდების მემამულეები აქაც ვაჭრობდნენ ყმებით და ტყვეებით. ლეკთა თავდასხმები, ადამიანების გატაცება და მონებად გაყიდვა ქართლსა და კახეთში 1850-იან წლებამდე გაგრძელდა[6].

იმერეთიდან და ქართლ-კახეთიდან მოტაცებული ადამიანები ახალციხის საფაშოში მიჰყავდათ, საიდანაც ისინი უკვე თურქეთის მონათა ბაზრებში გადაჰყავდათ

---

[5] პაატა გუგუშვილი, *ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში*, მნათობი 10, 1938, გვ. 191

[6] იოსებ ალიმბარაშვილი, *ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში*, თბილისი, 2011

სახმელეთო გზით. შავი ზღვის სანაპიროზე არსებული პორტებიდან უმეტესად სამეგრელოში, გურიაში და აფხაზეთში დატყვევებული ადამიანები გაჰყავდათ[7].

საქართველოში ტყვეთა სყიდვის პრობლემის შესახებ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა გასული საუკუნის ისტორიკოსმა და პუბლიცისტმა ზ. ჭიჭინაძემ. მისი აზრით "*ეს საუბედურო სენი ჩვენი მამებისა ძველთაგანვე ისე გავრცელდა საბრალო საქართველოში, რომ ოსმალთა ვაჭარნი თავისუფლათ შემოდიოდნენ იმერეთში და ესენი აშკარად ჰყიდულობდნენ იმერთა მამულიშვილისაგან მათ მოყმე გლეხთა ლამაზ ქალ-ვაჟთა. ამ ბედკრულის ყმაწვილებისაგან იტვირთებოდა გემი და მიდიოდა სტამბოლში, რომლის მეიდნებზედ აშკარად ჰყიდდნენ იმ უბედურთ ქალ-ვაჟთ ... ამ სენის აღორძინების მიზეზად ის უნდა გამხდარიყოს, რომ მრავალნი გათავად-აზნაურებულთ გვარები ისე გამრავლდა და ესენი ისე გაძალუანდენ და გაიმაგრეს ფეხი, რომ მთელს იმერეთის გლეხ-კაცობას ფეხ-ქვეშ თელავდნენ და ყოველ-გლეხთა ნამუშევარიც იმათ მიჰქონდათ, მაგრამ მათ ქორ-მეძებრებით ქეიფებს, უსაქმოდ და უსაგნოდ წანწალს ველარც ეს აკმაყოფილებდა, ამიტომ ბოლო დროს მათ ყმათა გაყიდვის საქმეებიც განამრავლეს და ხშირად იმ, საბრალო გაყიდულებში აღებული ფულიდამ თვით მეფესაც უყოფდნენ ხოლმე ... ჩვენ უფრო მაშინდელ ქართველთ ვადებთ ამ სენის ცოდვებსა და ყოველივე ამბოხების და დაღუპვის მიზეზნი ის ბატონები ბრძანდებიან. რადგან ერთხელ და ორჯელ თუ ოსმალ-სპარსნი მოიტაცებდენ მძლავრობით და წაიყვანდენ რამდენიმე ქართველ სახიერ ქალ-ვაჟთა, მიტომ ქართველი უმაღლესნი პირნი უფრო მამაცურად მოქმედებდნენ და თავიანთ ყმათა გოგო-ბიჭებს ჩარდახიანის ურმებით მიერეკებოდნენ ოსმალეთ-სპარსეთში ...*"[8]

ამ მოვლენას ებრძოდნენ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ქართველი მეფე-მთავრები, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეები. მიუხედავად იმისა, რომ იმერეთის და კახეთის მეფეები, და ქართველი სასულიერო პირები მკაცრად სჯიდნენ ტყვეთა სყიდვაში ჩართულ სხვადასხვა წოდების ადამიანებს, მისი საბოლოოდ აღმოფხვრა

---

[7] ამ საკითხის შესახებ ვრცლად იხ. ავთანდილ კილასონია, *ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში XVI-XIX საუკუნეებში*, თბილისი, 2006

[8] ზ. მთაწმინდელი (ჭიჭინაძე ზაქარია). *ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი*, თბილისი, მელიქიშვილის სტამბა, 1886, გვ. 15-17

მხოლოდ ოსმალეთში მონათვაჭრობის აკრძალვის, მათ შორის მონათა ბაზრების დახურვის შედეგად მოხდა. თურქი მოხელეები 1850-იან წლებში აქტიურად განიხილავდნენ ქართული მოსახლეობის კეთილგანწყობის მოპოვების გზებს, მათ შორის, ტყვეთა სყიდვის აკრძალვით და მათი სამშობლოში რეპატრიაციით. 1854 წელს ბათუმის ოსმალო ფაშამ მიიღო სულტნის ფირმანი, რომლის მიხედვითაც მონის მყიდველიც და გამყიდველიც მკაცრად ისჯებოდნენ. ამიერიდან, ქართველი მონებით ვაჭრობა უკანონოდ ცხადდებოდა, თუმცა ეს არ ეხებოდა ჩერქეზებს[9]. ტყვეთა სყიდვის პროცესს ასევე ბუნებრივად შეუწყო ხელი რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სრულმა ოკუპაციამ და ქვეყნის საზღვრების გაკონტროლებამ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ადამიანების გატაცება მათი მონებად გაყიდვის მიზნით საბოლოოდ 1850-იანი წლების დასასულს შეწყდა[10].

ქვეყნიდან გაყვანილ მონათა ბედი უმეტესად უცნობი იყო. თუმცა, გავლენიანი და მდიდარი ქართველი მამლუქები ურთიერთობას ინარჩუნებდნენ სამშობლოსთან. მათ შესახებ წერდნენ მათი თანამედროვე ქართველი ავტორები, მაგალითად, იოანე ბატონიშვილისთვის ცნობილი იყო მარტყოფელი აბრამ შინჯიკაშვილის და სხვა ქართველების მოღვაწეობის შესახებ ეგვიპტეში. კიდევ უფრო იშვიათი იყო შორეული ქვეყნებიდან ქართველი ტყვეების დაბრუნება. ვიცით ეგვიპტიდან დაბრუნებული იოსებ წილოსანის შესახებ[11], ფრაგმენტული ცნობები გვხვდება ერაყიდან დაბრუნებული ქართველი მამლუქის ‘აბდ ალ-ლაჰის შესახებაც[12].

თუმცა, ზემოთ აღწერილი მაგალითები მხოლოდ უმცირესი ნაწილია იმ ქართველებისა, რომლებიც გაიყიდნენ აღმოსავლეთის მონათა ბაზრებზე. საქართველოდან მონებად გაყვანილი ადამიანების ისტორიები თაობებს გადაეცემოდა,

---

[9] Erdem Hakan Y. *Slavery in the Ottoman Empire and its Demise 1800-1909*, London, 1996, p. 103-105

[10] Badem, Candan. *The Ottoman Crimean War (1853–1856)* in Faroqhi, Suraiya and Inalcik, Halil, *The Ottoman Empire and its Heritage Politics, Society and Economy*. Volume 44, Brill, 2010. p. 348-360

[11] არჯევანიძე ი. *იოსებ წილოსანის (ალი ამედი-ეფენდის) საბიოგრაფიო მასალა,* მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის, ნაკვეთი I, 1946, თბილისი 1947, გვ. 23-95 *ასევე* Gotcha Djaparidze. *The Fate of Georgian Students in the First Egyptian Student Mission sent to France by Muhammad `Ali*. In Daniel Crecelius and Muhammad Husam al-Din Isma`il (eds.), Abhath al-Mu'tamar al-Thalith li al-Dirasat al-`Uthmaniyya fi Misr, Cairo: Dar al-Afaq al-`Arabi, 2004, pp. 53-58

[12] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1453, დოკუმენტი 588

ტყვის სყიდვის ფენომენი და ტყვეთა შემდგომი ისტორიები აისახა ქართულ მწერლობაში. საქართველოდან გატაცებული გამოჩენილი მამლუქების თავგადასავლები და ბიოგრაფიები უაღრესად პოპულარული გახდა 1940-80-იანი წლების საქართველოში. 1957 წელს გამოიცა უიარაღოს მოთხრობა "მამელუკი". 1959 წელს კი, გამოვიდა რეჟისორ დავით რონდელის ფილმი ამავე სახელწოდებით.

1950-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოდან გატაცებულ მამლუქთა ისტორიას მრავალი საინტერესო კვლევა და მონოგრაფია მიუძღვნეს ქართველმა ისტორიკოსებმა და აღმოსავლეთმცოდნეებმა. მათ შორის არიან ი. არჯევანიძე, გ. ბეი მამიკონიანი, ვ. გაბაშვილი, ი. თოფურიძე, ვ. მაჭარაძე, ბ. სილაგაძე, მ. ტიკაძე, დ. ჯანელიძე, გ. ჯაფარიძე და სხვ. ამავე პერიოდში, ეგვიპტესა და ერაყში მოღვაწე ქართველი მამლუქების შესახებ დაიწერა მრავალი წიგნი და პოპულარული სტატია. ქართველმა აღმოსავლეთმცოდნეებმა მოიძიეს და გამოაქვეყნეს არაერთი საინტერესო ცნობა და დოკუმენტი, საიდანაც ირკვეოდა ქართველ მამლუქთა განსაკუთრებული როლი ოსმალეთის იმპერიის ცენტრალურ თუ პროვინციულ ადმინისტრაციაში. მათი კვლევების შედეგად დადგინდა არაერთი ცნობილი მამლუქის გვარი, მათი დაბადების ადგილი, ქართველი მამლუქების კავშირი თავიანთ მშობლებთან და ახლობლებთან, ქართლ-კახეთის სამეფო კართან[13]. ოსმალეთის იმპერიაში მამლუქთა და მონათვაჭრობის საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობენ უცხოელი მკვლევრები, მათ შორის გამოირჩევიან დ. აიალონი, დ. კრესელიუსი, მ. ოუალდი, ა. რემონი, ტ. შუვალი, ჯ. ჰასავეი და სხვ.

მამლუქთა ორგანიზაციისადმი დიდი ინტერესისა და საკითხის ძირეული შესწავლის მიუხედავად, ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა კვლევის მიღმა დარჩა მაღრიბის ოსმალურ საფაშოებში თუნისში, ალჟირსა და ტრიპოლიში (თანამედროვე ლიბია) საქართველოდან მოხვედრილ ტყვეთა თუ საკუთარი სურვილით გადასახლებულთა ისტორიები. შესაბამისად, წინამდებარე სადოქტორო დისერტაცია მიზნად ისახავს ქართული ისტორიოგრაფიისთვის აქამდე უცნობ, საქართველოში დაბადებულ და

[13] უახლესი და განახლებული კვლევა ქართული წარმოშობის ეგვიპტელ მამლუქთა შესახებ იხ. ჯაფარიძე გოჩა. *საქართველო და ეგვიპტის მამლუქები*, თბილისი 2016

შემდგომში გაყიდულ ან საკუთარი ნებით გადასახლებულ ადამიანთა ბიოგრაფიების და ცნობების მოძიებას, აღწერას, თავმოყრას და ანალიზს ოსმალური თუნისის, ალჟირის და ტრიპოლის საფაშოებიდან.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანია ასევე მოძიებული ქართული წარმოშობის მოხელეთა როლის დადგენა ადგილობრივი თუ რეგიონალური პოლიტიკის, სოციალური და კულტურული მოვლენების მსვლელობაში.

სადისერტაციო ნაშრომში მთავარი აქცენტი XVIII-XIX საუკუნეებზე კეთდება, თუმცა, ოსმალურ მაღრიბში საქართველოდან ან ქვეყნის ისტორიული ტერიტორიებიდან გატაცებული, თვითნებურად ან საკუთარი სურვილით წასული ადამიანები ამ პერიოდამდეც გვხვდებიან.

დასავლურ სამეცნიერო და ისტორიულ ლიტერატურაში ჩრდილოეთ აფრიკის ცენტრალური და დასავლეთით მდებარე სანაპირო ტერიტორიები ბერბერთა სანაპიროდ მოიხსენიება აქ მცხოვრებ ბერბერთა ტომის სახელწოდებიდან გამომდინარე. ისტორიულად, ბერბერებისთვის და მაღრიბში მოსახლე სხვა ტომებისთვის მეკობრეობა და კაპერობა კანონიერ საქმიანობას წარმოადგენდა. ბერბერები თავს ესხმოდნენ სავაჭრო ქარავნებს ხმელეთზე და ხომალდებს ხმელთაშუა ზღვასა და ატლანტიკის ოკეანეში, დატყვევებულ ადამიანებს კი მონებად ჰყიდნენ. მეკობრეობა და კაპერობა მაღრიბის ოსმალური საფაშოების მმართველთა ხელში მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სამხედრო და სავაჭრო ინსტრუმენტად გადაიქცა.

ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროზე განლაგებული თუნისის, ალჟირის და ლიბიის თანამედროვე ტერიტორიებზე ბერბერთა და სხვა ადგილობრივი ტომების გვერდით ცხოვრობდნენ მუსლიმები, ებრაელები და ევროპელები. 1492 წელს ესპანეთმა დაასრულა იბერიის ნახევარკუნძულის დაპყრობა რის შედეგადაც ათასობით მუსლიმი ლტოლვილი გადასახლდა მაღრიბის ისლამურ ქალაქებში. ესპანეთის ექსპანსიას მაღრიბის სანაპიროზე წინააღმდგობას უწევდნენ ადგილობრივი მუსლიმები. ალჟირელმა მეკობრეებმა, ძმებმა ორუჯ და ხაირ ად-დინ ბარბაროსამ 1516 წელს მორჩილება გამოუცხადეს ოსმალეთის სულტანს. ამავე პერიოდიდან მოყოლებული

ალჟირელების სამხედრო ფლოტი ოსმალეთის დროშის ქვეშ ებრძოდა სულტნისა და ისლამის მტრებს.

1551 წელს ოსმალთა ფლოტმა შესძლო ტრიპოლის დაკავება და ამ ტერიტორიიდან ესპანელთა საბოლოოდ გაძევება. 1571 წელს ოსმალეთსა და პაპის, ესპანეთისა და ვენეციის გაერთიანებულ ფლოტებს შორის ლეპანტოს ბრძოლაში ოსმალეთის დამარცხებამ ალჟირის და ზოგადად, მეკობრეთა საზღვაო ძალის კიდევ უფრო მეტი გააქტიურება და გაძლიერება გამოიწვია.

ისტორიულად, მეკობრეთა ბურჯი ქალაქი ალჟირი იყო, ეს საქმიანობა დროთა განმავლობაში თუნისში, ტრიპოლიში და მაროკოშიც განვითარდა. მეკობრეები ხშირ შემთხვევაში ქრისტიანი რენეგატები, ოსმალური იმპერიის პროვინციებიდან გადმოსახლებული მუსლიმები, ყოფილი ქრისტიანები და ადგილობრივი მაღრიბელები იყვნენ. ათასობით ევროპელი მეზღვაური, მებრძოლი და უბრალოდ დამნაშავე ან თავგადასავლების მაძიებელი გადასახლდა მაღრიბში. ისინი, ისლამის მიღების შემდეგ, ადგილობრივ მეკობრეებს უახლეს სანაოსნო ტექნოლოგიებს აცნობდნენ და ხშირად თავადვე ხელმძღვანელობდნენ თავდასხმებს ევროპული ქვეყნების ხომალდებსა და სანაპირო ქალაქებზე. მეკობრეთა ხომალდის მფლობელსა და კაპიტანს რეისი ეწოდებოდა. რეისთა საბჭო ერთად იღებდა გადაწყვეტილებებს სამხედრო ოპერაციის განხორციელების თაობაზე. ნადავლი წინასწარ, დადგენილი წესების მიხედვით ნაწილდებოდა, მისი წილი მიდიოდა ადგილობრივი ოსმალო გამგებლის ხაზინაში, დანარჩენი კი გემის მფლობელსა და მეკობრეებს შორის ნაწილდებოდა.

ლეპანტოს ბრძოლაში დამარცხების საკომპენსაციოდ, ოსმალეთმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სახმელეთო ბრძოლებში. შედეგად, 1574 წელს ოსმალებმა საბოლოოდ მოახერხეს ესპანელთა განდევნა თუნისიდან. ოთხი წლის შემდეგ, 1578 წელს ოსმალებმა პორტუგალიელებიც დაამარცხეს და განდევნეს მაროკოს ტერიტორიიდან. ამ წარმატებების შედეგად ხმელთაშუა ზღვის მთელი სამხრეთი სანაპირო, რამდენიმე ანკლავის გარდა, სრულიად დაემორჩილა სულტანს. 1581 წელს ესპანეთსა და ოსმალეთს შორის გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება, რითაც ფორმალურად დასრულდა ომი ამ ორ იმპერიას შორის.

ოსმალეთის იმპერიაში გაერთიანებული ჩრდილოეთ აფრიკა დანაწილდა ოსმალური ოჯაკების, ან როგორც მათ ევროპელები უწოდებდნენ, სარეგენტოების პრინციპით. დღეს არსებულ თუნისის, ალჟირის და ლიბიის ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა თუნისის, ალჟირის და ტრიპოლის სამი ოსმალური საფაშო. 1574 წლიდან მოყოლებული, ალჟირის ფაშა წარმოადგენდა ოსმალეთის სულტანს დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში. ოსმალეთის სულტანი პირდაპირ ნიშნავდა გამგებლებს თუნისის და ტრიპოლის საფაშოებშიც.

XVII-XIX საუკუნეების თუნისის, ალჟირის და ტრიპოლის საფაშოებში შეიმჩნევა ოსმალეთის იმპერიის პერიფერიებისათვის დამახასიათებელი ცვლილებები და პროცესები, რის შედეგადაც ისინი პრაქტიკულად დამოუკიდებელ ერთეულებად ჩამოყალიბდნენ. დინასტიური მმართველობა ჩამოყალიბდა თუნისში, რომელსაც 1613 წლიდან 1705 წლამდე მურადიანთა, ხოლო 1705 წლიდან 1881 წლამდე ჰუსეინიანთა დინასტიების წარმომადგენლები მართავდნენ. შთამომავლობითი იყო მმართველობა ტრიპოლის საფაშოშიც, რომელსაც 1711 წლიდან 1835 წლამდე კარამანიანთა დინასტია მართავდა.

1710 წელს ალჟირში აჯანყებულმა იანიჩრებმა თავიანთი რიგებიდან საფაშოს მმართველად დეი აირჩიეს, ეს ტრადიცია ამ საფაშოში შემდგომშიც გაგრძელდა. ალჟირში ჩამოყალიბდა კლანური მმართველობა, რომლის წევრიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო ალჟირის გარეთ დაბადებული თურქი მოხელე. თურქი მოხელე, არცთუ იშვიათად, ოსმალეთის ტერიტორიებზე მოსახლე არათურქი წარმოშობის ადამიანიც იყო. აქვე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ალჟირში დინასტიური მმართველობის ჩამოყალიბების მცდელობები არაერთხელ ყოფილა, მათ შორის ქართული წარმოშობის ოსმალო მმართველის მხრიდანაც. სამივე საფაშოში მმართველს ლეგიტიმაციას კვლავ სულტანი ანიჭებდა, თუმცა, კანდიდატების შერჩევაზე მას ხელი აღარ მიუწვდებოდა. საფაშოთა დამოუკიდებლობა იმაში გამოიხატებოდა, რომ მათი მმართველი ადგილობრივი დინასტიური თუ არჩევითი გამგებლები სრულიად დამოუკიდებელ საშინაო და ნაწილობრივ, დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ეწეოდნენ. თუმცა,

ისინი ფორმალურად მაინც ექვემდებარებოდნენ სულტანს და პატივს სცემდნენ მის საგარეო პოლიტიკურ კურსს.

ალჟირის, თუნისისა და ტრიპოლის საზღვაო პორტებში განვითარებული იყო ზღვაოსნობა და ვაჭრობა. იმავდროულად, ადგილობრივმა ოსმალურმა ადმინისტრაციამ ადვილად და ბუნებრივად შეითავსა მეკობრეობის და კაპერობის ტრადიციული პრაქტიკა. ევროპელთა და ზოგადად ქრისტიანთა დაყაჩაღება, დატყვევება და მონად გაყიდვა ადგილობრივი მმართველების მიერ ნებადართული და მხარდაჭერილი იყო. კაპერობით და მეკობრეობით სახელმწიფო ხაზინას საკმაოდ დიდი თანხები შესდიოდა და ძირითადად ხმარდებოდა მმართველი კლანის, მინისტრების და ამ საფაშოებში დისლოცირებული თურქი იანიჩრების ყოველდღიურ საჭიროებებს.

მეკობრეობის ერთ-ერთი მიზანი ქრისტიანულ სახელმწიფოებთან ყოველწლიური გადასახადის და სასურველი სავაჭრო გარიგებების გაფორმებაც იყო. ყოველწლიური გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამრღვევი სახელმწიფოს სავაჭრო ხომალდებს და ზღვისპირა ქალაქებს დროგამოშვებით ემუქრებოდათ მეკობრეთა თავდასხმა. სარგებლობდნენ რა დაუსჯელობით და საკმაოდ ძლიერი საზღვაო ფლოტით, ალჟირის დეი, თუნისის ბეი და ტრიპოლის ფაშა მოითხოვდნენ ძვირფას საჩუქრებს, რეგულარულ ფულად კონტრიბუციებს, აწესებდნენ უზარმაზარ გადასახადებს მეკობრეთა მიერ შეპყრობილ ტყვეებზე. ყოველივე ამის შედეგად მათ საკმაოდ დიდი ფინანსური სახსრები და ქონება უგროვდებოდათ. ევროპული სახელმწიფოები უმეტესად იხდიდნენ მათთვის ამ უაღრესად დამამცირებელ გადასახადებს, განსაკუთრებით კი მცირე სამხრეთ ევროპული, იტალიური, სკანდინავიური და გერმანული სახელმწიფოები.

ოსმალეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ, თუნისის, ალჟირისა და ლიბიის ადგილობრივი მმართველი ელიტა საკუთარ ლეგიტიმაციას სწორედ ოსმალეთის სულტანთან კავშირით და მისი ხელდასხმით აღწევდა. ამ კავშირების და ლოიალობის ხაზგასასმელად ადგილობრივი ადმინისტრაციული აპარატი მკაცრად ოსმალური იყო. საფაშოების ადმინისტრირება ხდებოდა ოსმალურ ენაზე, სამივეგან განლაგებული იყო

ოსმალური გარნიზონი, მოქმედებდა ოსმალური საგადასახადო სისტემა. ოსმალური ტიპის მმართველობის ერთ-ერთი მაგალითი აქაური ფაშების, ბეიების თუ დეის მიერ სულტნის სასახლესა და სხვა ოსმალურ საფაშოებში არსებული მოხელეთა სისტემაც იყო.

იმ პერიოდის ოსმალეთის ცენტრალური და პროვინციული ადმინისტრაციის დამახასიათებელი ნიშანი მმართველი ელიტის წარმომადგენლების მიერ მონათა, მათ შორის კავკასიელთა მიზანმიმართული შეძენა, დასაქმება, დაწინაურება და საბოლოო ჯამში მათი ოსმალური ელიტის წევრებად ქცევა იყო. ამ პერიოდის ოსმალურ ელიტაზე საუბრისას, ისტორიკოსი ჯ. ჰასავეი აღნიშნავს, რომ ეგვიპტეში, ბაღდადში, დამასკოში, ალჟირსა და თუნისში სამხედრო ელიტას ერთნაირი საკადრო პოლიტიკა ჰქონდათ[14].

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მაღრიბის ოსმალურ საფაშოებში მოხვედრილი მამლუქების ან ტყვე ქალების რაოდენობა არ იყო ისეთი მასშტაბური, როგორიც ეგვიპტესა ან ერაყში, სადაც ერთ მოცემულ პერიოდში ათასობით მამლუქი ცხოვრობდა.

თუნისის, ალჟირისა და ტრიპოლის ოსმალური პერიოდის ისტორიისადმი მიძღვნილ სამეცნიერო თუ ისტორიულ ლიტერატურაშიც იშვიათად იხსენიებიან მამლუქები. კიდევ უფრო იშვიათი იყო მათი წარმომავლობის დაფიქსირება. მიუხედავად იმისა, რომ მაღრიბელ მამლუქებს კარგად იცნობდნენ ევროპელი და ამერიკელი დიპლომატები და მოგზაურები, მათ შესახებ წერდნენ ადგილობრივი არაბი და ოსმალო ისტორიკოსები, მათი ბიოგრაფია, წარსული და წარმომავლობა არ წარმოადგენდა დიდი ინტერესის საგანს. თვითოეული მამლუქი მისი მფლობელის საკუთრება და ადგილობრვი ოსმალური ელიტის წევრი იყო, ისინი პირველ რიგში იყვნენ ოსმალეთის სულტნის და ადგილობრივი გამგებლის ერთგული მსახურები. აქ მოხვედრილი ქართველი მამლუქების, რენეგატების, მონების, ოსმალო მოხელეების თუ ჰარემში მოხვედრილი ქალების პირადი ისტორიები უმეტესად მხოლოდ ფრაგმენტულად არის შემონახული.

[14] Hathaway Jane. *The Politics of Households in Ottoman Egypt: The Rise of the Qazdaglis*, Cambridge University Press, 2002, p. 169

მიუხედავად ამისა, ქვემოთ შეძლებისდაგვარად დაწვრილებით არის განხილული თუნისის, ალჟირისა და ტრიპოლის ოსმალურ საფაშოებში მოღვაწე ქართული წარმომავლობის მოხელეთა და მონა ქალთა ცალკეული ისტორიები. ამ ადამიანებმა დააკომპლექტეს ადგილობრივი მმართველი კლასი, ზოგიერთმა მათგანმა შესძლო როგორც ადგილობრივი საფაშოს ისე ოსმალეთის იმპერიის უმაღლესი თანამდებობების დაკავება. მათი პრივილეგიები, ზოგ შემთხვევაში, მათ შთამომავლებზეც ვრცელდებოდა.

სადოქტორო დისერტაცია დაყოფილია ოსმალურ საფაშოთა შესაბამის თავებად. წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა ზოგადად აღწერს თუნისის, ალჟირის და ტრიპოლის საფაშოების შესახებ გამოყენებულ მასალას და ლიტერატურას. გამოყოფილია ცალკეული თავები ოსმალური თუნისის, ალჟირის და ტრიპოლის საფაშოების შესახებ. კონკრეტული საფაშოს შესახებ მოცემულია ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მოკლე ისტორიული აღწერა, გაანალიზებულია საფაშოში უცხოეთიდან მონათა, მოხელეთა და ჯარისკაცთა შემოყვანის მექანიზმები და პრაქტიკა.

თვითოეულ თავში განხილულია ქართული წარმომავლობის ორივე სქესის ადამიანების ბიოგრაფიები და საქმიანობა, შესაძლებისდაგვარად გაანალიზებულია მათი როლი და მიღწევები ადგილობრივ თუ ცენტრალურ ოსმალურ ადმინისტრაციაში.

წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომისთვის მასალის მოგროვება შესაძლებელი გახდა აშშ-ში ნიუ იორკის უნივერსიტეტის, კოლუმბიის უნივერსიტეტის, ნიუ იორკის საჯარო, აშშ კონგრესის, ბრიტანეთში კი, ლონდონის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკისა და ბრიტანეთის საჯარო ბიბლიოთეკებში. მასალების გარკვეული ნაწილის მოძიება ასევე

შესაძლებელი გახდა ინტერნეტში განთავსებულ ინგლისურ, არაბულ, ფრანგულ, თურქულ, რუსულ, იტალიურ, ესპანურ და ქართულენოვანი წიგნების და დოკუმენტების დამუშავების შედეგადაც[15].

მაღრიბის ოსმალური ისტორიის წყაროები საკმაოდ მრავალფეროვანია, ის მოიცავს როგორც არაბულ და ოსმალურ, ისე ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ და თურქულ ენოვან საარქივო მასალებს, მემუარებს, ჩანაწერებს, კორესპონდენციას, ოფიციალურ დოკუმენტებს და სამეცნიერო ლიტერატურას. მამლუქთა ისტორიების და საქართველოსთან მათი კავშირის დადგენისას გამოყენებულ იქნა ქართული და რუსულენოვანი მასალაც. თუნისის, ლიბიისა და ალჟირის სახელმწიფო არქივების კვლევა დღემდე გრძელდება, თუმცა, ამ ეტაპზე უკვე გამოვლენილია მდიდარი დოკუმენტური წყაროები ჩრდილოეთ აფრიკის საფაშოებში მოხვედრილ ქართველთა შესახებ. მაღრიბის ქვეყნების XVIII-XIX საუკუნეების ისტორიკოსთა თუ სახელმწიფო მოღვაწეთა ნაშრომები უმნიშვნელოვანეს და ზოგ შემთხვევებში ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ქართული წარმომავლობის მოხელეთა თუ მონა ქალთა იდენტიფიცირების, მათი წარმომავლობის და ბიოგრაფიების ძიებისას. აქვე უნდა აღინიშნოს ევროპელ და ამერიკელ დიპლომატთა, მოგზაურთა, ვაჭართა თუ სამხედროთა მიერ დატოვებული უმნიშვნელოვანესი მოგონებები. სადისერტაციო ნაშრომი ასევე ითვალისწინებს თანამედროვე ისტორიკოსების, აღმოსავლეთმცოდნეების და მკვლევრების ნაშრომებს ზოგადად XVII-XIX საუკუნეების ოსმალეთის ისტორიის, კონკრეტულად კი მაღრიბის ოსმალური პერიოდის შესახებ. თანამედროვე მკვლევრები დიდ ყურადღებას უთმობენ მონობის საკითხებს, მათ შორის მამლუქთა ფენომენის შესწავლას როგორც ოსმალური ადმინისტრაციის ისე მონათმფლობელობის კონტექსტში.

ოსმალური მაღრიბის ისტორიის აღწერა წარმოუდგენელია ცნობილი ეგვიპტელი ისტორიკოსის ‘აბდ ალ-რაჰმან ალ-ჯაბართის[16] ეგვიპტის ისტორიის გათვალისწინების

[15] საილუსტრაციოდ, გამოყენებულ იქნა საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ბაზა Gallica, აშშ-ს ბიბლიოთეკათა ასოციაციის წევრი archive.org, jstor.com, HathiTrust.org და სხვა ციფრული ბიბლიოთეკები.

გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ალ-ჯაბართი, ბევრი მისი თანამედროვის მსგავსად, ხშირად არაფერს ამბობს მამლუქთა წარმომავლობაზე, მის მიერ დეტალურად განხილულ ისტორიებში, თუნისში, ლიბიაში და ალჟირში მოღვაწე ქართველი მამლუქებიც ხვდებიან.

ოსმალურ საარქივო მასალებზე დაყრდნობით, 2012 წელს უაღრესად საინტერესო კრებული გამოაქვეყნა პროფესორმა მურად ქასაფმა. თურქულ და ქართულ ენებზე გამოცემულ წიგნში "ოსმალეთის ქართველები"[17] მრავლადაა ქართული წარმომავლობის ოსმალო მოხელის, სამხედროს, გამოჩენილი სასულიერო თუ საერო პირის ბიოგრაფიული ცნობა, მათ შორის მაღრიბის საფაშოებში მოღვაწე ქართული წარმომავლობის პირთა მოკლე ბიოგრაფიები.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად მოხდა ოსმალეთის იმპერიაში მონობის, სახელმწიფო ადმინისტრირების, შიდა და საგარეო ურთიერთობების შესახებ არსებული უმთავრესი წყაროებისა და კვლევების გათვალისწინება. პარალელურად დამუშავებულ იქნა ქართველ და უცხოელ აღმოსავლეთმცოდნეთა და ისტორიკოსთა კვლევები საქართველოში და კავკასიაში მონათვაჭრობის და დატყვევებული მოსახლეობის საზღვარგარეთ გაყვანის და გაყიდვის კუთხით. დისერტაციის თემის კვლევის ფარგლებში გამოვლინდა საინტერესო მასალა 1854-56 წლებში ყირიმის ომის მსვლელობისას საქართველოში ოსმალური ჯარის ყოფნის შესახებ.

ოსმალური თუნისის, ალჟირის და ტრიპოლის საფაშოებში მონობის საკითხებზე კვლევას აგრძელებენ ახალგაზრდა დასავლელი ისტორიკოსები და მკვლევრები.

---

[16] 'Abd al-Rahman Al-Jabarti. *History of Egypt: 'Aja'ib al-Athar fi'l-Tarajim wa'l-Akhbar*, translated by Thomas Philipp & Moshe Perlmann; Stuttgart: Franz Steiner, 1994; vols. 3, 4

[17] Murat Kasap. *Osmanli Gürcüleri*, Tika, İstanbul, 2012

თუნისი

თუნისის და ზოგადად მაღრიბის ოსმალური პერიოდის ისტორიის განაკუთრებულად ავტორიტეტულ წყაროს წარმოადგენს თუნისელი აჰმად იბნ აბი ად-დიაფი (1802/3 – 1874). ის თუნისის მმართველი ფენის წარმომადგენელი იყო და მსახურობდა თუნისის ხუთ მმართველ ბეისთან, რის გამოც, ამ ქვეყნისა და რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში ზედმიწევნით კარგად იყო გათვითცნობიერებული. ად-დიაფს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქვეყნის გავლენიან პირებთან, მათ შორის თუნისში მოღვაწე მამლუქებთან. იგი ხშირ შემთხვევაში თავად იყო მონაწილე იმ პოლიტიკური პროცესებისა, რომლებიც შემდგომში აღწერა თხზულებაში "*ითჰაფ აჰლ აზ-ზამან ბი-ახბარ მულუქ თუნის ვა 'აჰდ ალ-ამან*" - თანამედროვეთა საჩუქარი თუნისის გამგებელთა და წარჩინებულთა ამბებში. ად-დიაფის რვა ტომეული არაერთხელ გამოიცა[18] და სანდო წყაროს წარმოადგენს როგორც თუნისის, ისე ჩრდილოეთ აფრიკის ისტორიის შესასწავლად. ად-დიაფის ამ ნაშრომის ექვსი ტომი ეძღვნება არაბული და ოსმალური თუნისის და ზოგადად მაღრიბის ისტორიას, ხოლო დანარჩენი ორი ტომი - გამოჩენილ თუნისელ მოღვაწეთა მცირე ბიოგრაფიებს XVIII საუკუნის ბოლოდან XIX საუკუნის 70-იან წლებამდე. ასევე მნიშვნელოვანია XVIII საუკუნის პირველი ნახევრის თუნისელი ავტორი მუჰამმად ბენ იუსუფ საღირი, რომლის ქრონიკებშიც ვხვდებით ადრეულ პერიოდში ჰუსეინიანთა დინასტიის მფლობელობაში მყოფ მამლუქებს[19].

თუნისის ოსმალური ისტორიის შესწავლას დიდ ყურადღებას უთმობდნენ ფრანგი ისტორიკოსები. 1881 წელს საფრანგეთის მიერ ამ საფაშოს ოკუპაციის შემდეგ გამოიცა

---

[18] სადისერტაციო ნაშრომში ვეყრდნობით არაბულენოვან რვატომეულს Aḥmad Ibn Abī al-Ḍiyāf, *Itḥāf ahl al-zamān bi-akhbār mulūk Tūnis wa-'ahd al-amān,* Tunis, al-Dār al-Tūnisīyah lil-Nashr, 1990 / *ابن أبي الضياف، أحمد* إتحاف أهل الزمان بأخبار ملوك تونس وعهد الأمان/ ასევე ვითვალისწინებთ ად-დიაფის ფრანგულენოვან კომენტირებულ თარგმანს Ibn Abi Al-Diyaf. *Chronique des Rois de Tunis et du pacte fundamental*, edition critique et traduction Andre Raymond. Tunis, 1994

[19] Mohammed Ben Youssef Seghir. Mechra el melki, chronique tunisienne (1705-1771), pour servir à l'histoire des quatre premiers beys de la famille Husseinite. Par Mohammed Seghir ben Youssef, de Béja. Ouvrage traduit en français par Victor Serres [et] Mohammed Lasram Tunis, 1900

არაერთი მნიშვნელოვანი კვლევა თუნისის ისტორიის შესახებ. მნიშვნელოვანია 1864 წელს ალფონს რუსოს წიგნი თუნისის ისტორიის შესახებ[20]. თუნისში საფრანგეთის საკონსულო და დიპლომატიური მიმოწერა მოიძია და გამოსცა იუჟინ პლანტემ[21], დიპლომატიურ გზავნილებში არაერთხელ მოხვედრილა საინტერესო ინფორმაცია მამლუქთა შესახებ. ხშირად ვხვდებით მათივე გაგზავნილ წერილებს საფრანგეთის უმაღლეს ხელისუფლებთან და მინისტრებთან. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, ოსმალურ მაღრიბში იმყოფებოდა არაერთი მოგზაური, დიპლომატი, ვაჭარი, მეზღვაური და როცა ამ პერიოდს ახასიათებდნენ, ისინი ხშირად წერდნენ დღიურებსა და მოგონებებს, რომლებსაც წლების შემდეგ აქვეყნებდნენ კიდეც. თუნისში ევროპელ მოგზაურთა და დიპლომატთა მემუარებს შორის აღსანიშნავია მაკგილლი[22], კენედი[23], ნოა[24] და სხვა ავტორები.

ამჟამად, ჰუსეინიანთა დინასტიის მმართველობის პერიოდში თუნისის მამლუქთა ისტორიას აქტიურად იკვლევს პროფესორი მ'ჰამედ ოუალდი, რომელმაც 2011 წელს გამოსცა ამ თემისადმი მიძღვნილი წიგნი[25] და არაერთი სტატია. აღნიშვნის ღირსია პროფესორი კარლ ბრაუნი, რომელმაც 1974 წელს დაბეჭდა მნიშვნელოვანი ნაშრომი ოსმალური თუნისის შესახებ, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა ამ პერიოდში მოღვაწე მამლუქებს[26]. ოსმალური თუნისის ისტორია ვრცლად მიმოიხილა ასმა მოალლამ 2004 წელს გამოცემულ წიგნში[27]. ასევე აღსანიშნავია ის ისტორიკოსები და მკვლევრები, რომლებიც თუნისის ოსმალური ისტორიის კვლევის პროცესში მნიშვნელოვან

---

[20] Alphonse Rousseau. Annales tunisiennes, ou, Aperçu historique sur la régence de Tunis. Editions Bouslama, 1980

[21] Eugene Plantet, *Correspondance des Beys de Tunis et des Consuls de France avec la cour 1577-1830*, Paris, 1899

[22] Thomas MacGill. *An Account of Tunis: of its Government, Manners, Customs, and Antiquities, Especially of its Productions, Manufactures, and Commerce*. London, 1811

[23] Clark J. Kennedy. *Algeria and Tunis in 1845*, Vol. II, London, 1846

[24] Mordecai Noah. *Travels in England, France, Spain, and the Barbary States, in the years 1813-14 and 15.* New York, 1819

[25] M'hamed Oualdi. *Esclaves et maîtres. Les mamelouks au service des beys de Tunis du XVIIe siècle aux années 1880*. Publications de la Sorbonne, 2011

[26] L. C. Brown. *The Tunisia of Ahmad Bey. 1837-1855*, Princeton University Press, 1974

[27] Asma Moalla. *The Regency of Tunis and the Ottoman Porte, 1777-1814*, Rotlege Curzon, London, New York, 2004

ყურადღებას უთმობდნენ იქ მყოფი მამლუქების ან რენეგატების საკითხს. მათ შორის გამოირჩევიან აბუნ-ნასრი[28], ბაკრუჩი[29], დემეერსმანი[30], კალლანდერი[31], ტოლედანო[32] და სხვები.

სადისერტაცო ნაშრომში შესულია მასალა ოსმალური თუნისის შესახებ ჩვენს მიერ გამოქვეყნებული ადრეული სტატიებიდან[33].

ალჟირი

სადისერტაციო ნაშრომში ალჟირის ოსმალური პერიოდის ისტორიის წყაროები და თანამედროვე კვლევები უმეტესად ფრანგულ, არაბულ, ინგლისურ და ესპანურ ენებზეა შესრულებული. საფრანგეთს და ესპანეთს ისტორიის მანძილზე მუდმივად ჰქონდათ სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები ალჟირის ტერიტორიაზე არსებულ საზღვაო პორტებთან. ეს კავშირები ოსმალეთის იმპერიის მიერ ალჟირის მიერთების შემდეგაც არ შემწყდარა. ფრანგი, ესპანელი და ბრიტანელი დიპლომატები, ვაჭრები ან პოლიტიკური დავალებებით მივლენილი მოგზაურები ხშირად წერდნენ ქვეყნის, მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ამსახველ მემუარებსა და წერილებს. ბუნებრივია, რომ საკუთარი ქვეყნის წარსულს იკვლევენ ადგილობრივი ალჟირელი და ზოგადად მაღრიბელი ისტორიკოსებიც.

---

[28] Jamil Abun-Nasr. *The Tunisian state in the eighteenth century*. Revue de l'Occident musulman et de la Méditerranée, Année 1982, Volume 33, Numéro 1, p. 33 – 66

[29] T. Bachrouch. Les elites Tunisiennes du pouvir et de la devotion. Tunis, 1989

[30] A. Demeerseman. *Categories sociales en Tunisie au XIXe siècle*, Revue de L'Institut des Belles Lettres Arabes (IBLA), No. 124, 1969, p. 241-272.

[31] Amy Kallander. *Women, Gender, and the Palace Households in Ottoman Tunisia*, University of Texas Press, 2013

[32] Ehud Toledano, *Slavery and Abolition in the Ottoman Middle East (Publications on the Near East)*, University of Washington Press, 1997

[33] კ. ფერაძე. *ქართველი მამლუქები თუნისში 18-19 სს. (წინასწარი ცნობა)*, კრებული მიძღვნილი პროფ. არჩილ ჩხეიძის 80 წლისთავისადმი. თბილისი, 2002, გვ. 200-212 და *თუნისის მამლუქთა საქორწინო კავშირები*, აღმოსავლეთი და კავკასია, ნომერი 2, თბილისი, 2004, გვ. 119-126

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში - XVIII საუკუნის ბოლო და XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ალჟირსა და ახლად დაარსებულ ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ჩამოყალიბებულ განსაკუთრებულ ურთიერთობებს შედეგად მოჰყვა ამერიკელი დიპლომატების მიმოწერა, მოგზაურთა თუ ალჟირში ტყვედ მოხვედრილ ამერიკელ მეზღვაურთა მემუარები. აქტიური დიპლომატიური კავშირები დაემთხვა ალჟირის ქართველი მმართველის ჰასან ფაშას, იგივე ჰასან იბნ იუსუფ აჰისკავის მმართველობის (1791-1798) პერიოდს. შესაბამისად, ალჟირის XVIII საუკუნის მიწურულის შესახებ საინტერესო ინფორმაცია მოიპოვება ამერიკელ, ბრიტანელ და ფრანგ დიპლომატთა წერილებში და მემუარებში. ჰასან დეის თანამედროვე, მისი ქრისტიანი მდივანი ჯეიმს ქათქართის[34] მემუარებში თავმოყრილია განსაკუთრებით საინტერესო ცნობები ალჟირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკებების შესახებ. ავტორი ხშირად თავად იყო ამ მოლაპარაკებების მოწმე და მონაწილე, მისი მოგონებები, ისევე როგორც მისი პირადი არქივი უაღრესად საინტერესოა ალჟირის ქართველი მმართველის და ამერიკის ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად.

ალჟირში საფრანგეთის საკონსულოს მიერ შექმნილი დოკუმენტაცია და კორესპონდენცია გამოიცა საფრანგეთში იუჟინ პლანტეს მიერ[35]. ამავე პერიოდის ალჟირის შესახებ მრავალი საინტერესო ცნობა მოიპოვება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის და ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივებში, რომელთა ნაწილიც ინტერნეტითაც არის ხელმისაწვდომი. XVIII საუკუნის მიწურულის შესახებ საინტერესო ცნობები დატოვეს ფრანგმა დიპლომატმა დე პარადიმ[36], ამერიკელმა უილიამ შალერმა[37] და სხვებმა.

---

[34] James L. Cathcart. *The Captives*, (La Porte, Herald Print, [1899])

[35] Eugène Plantet. *Correspondance des deys d'Alger avec la cour de France, 1579-1833, recueillie dans les dépôts d'archives des affaires étrangères, de la marine, des colonies et de la Chambre de commerce de Marseille et publiée avec une introduction, des éclaircissements et des notes*, Tome Second, (Editions Bouslama – Tunis 1981)

[36] Jean-Michel Venture de Paradis. *Alger au XVIIIe siècle*, édité par E. Fagnan, 1898

[37] William Shaler. *Sketches of Algiers, political, historical, and civil: containing an account of the geography, population, government, revenues, commerce, agriculture, arts, civil institutions, tribes, manners, languages, and recent political history of that country*, (Boston, 1826)

აღსანიშნავია ამერიკელი მკვლევარის ჰენრი ბარნბის[38] წიგნი "ალჟირელი ტყვეები" რომელიც სწორედ ამ პერიოდს ეხება და დეტალურად განიხილავს ამერიკისა და ალჟირის ურთიერთობას 1785-1797 წლებში. ასევე მნიშვნელოვანია თანამედროვე ისტორიკოსის ტალ შუვალის[39] კვლევები ალჟირის ოსმალური პერიოდის შესახებ.

სადისერტაცო ნაშრომში შესულია მასალა ოსმალური ალჟირის შესახებ გამოქვეყნებული ადრეული სტატიებიდან[40].

ტრიპოლი

ფრანგ მკვლევარს შარლ ფეროს ეკუთვნის ოსმალური ტრიპოლის ისტორიის ქრესტომათიული ნაშრომი[41]. ფრენკ ნოქსის[42] მრავალტომეული უაღრესად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს ამერიკის შეერთებული შტატების და ოსმალური საფაშოების სამხედრო და დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ. საინტერესო მოგონებები დატოვა ტრიპოლიში ამერიკის კონსულმა ჯეიმს ქათქართიმ[43]. ტრიპოლის მმართველი კლანის შესახებ საინტერესო ისტორიებს ვხვდებით ბრიტანელი მოგზაურის

---

[38] H. B. Barnby. *The Prisoners of Algiers, an account of the forgotten American-Algerian war 1785-1797,* (New York, 1966)

[39] Tal Shuval. *The Ottoman Algerian Elite and Its Ideology*, International Journal of Middle East Studies, Vol. 32, No. 3. (August 2000)

[40] K. Peradze. *Georgian Ruler of the Ottoman Algiers Hassan Ibn Yusuf Ahiskali*, Pro Georgia, 2018, t. 28, p. 189-203; *ეთნიკური სოლიდარობის შესახებ 18 ს. მიწურულისა და 19 ს. დამდეგის ოსმალეთის სახელმწიფო მოხელეთა შორის,* აღმოსავლეთი და კავკასია, ტ. 4, თბილისი 2004, გვ. 82-88; *ალჟირის ქართველი გამგებლის, ჰასან ფაშას, და ამერიკის პირველი პრეზიდენტის ჯორჯ ვაშინგტონის მიმოწერის შესახებ.* ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეული, ნომერი 3, 2012, გვ. 95-116; *ქართველები ალჟირში XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში,* საისტორიო კრებული I, თბილისი, 2011, გვ. 155-170

[41] Charles Feraud. *Annales Tripolitaines*. Tunis, Libraries Tournier, 1927

[42] Dudley W. Knox. *Naval documents related to the United States wars with the Barbary powers ... Naval operations including diplomatic background ... Published under direction of the ... Secretary of the Navy. Prepared by the Office of Naval Records and Library, Navy Department, under the supervision of Captain Dudley W. Knox, U.S. Navy (ret.)*. Washington, U. S. Government print office, 1939

[43] James L. Cathcart. *Tripoli: First War with the United States, Inner History: Letter Book by James Leander Cathcart, First Consul to Tripoli, and Last Letters from Tunis* (LaPorte, Herald print, 1901)

ქალბატონი თულლის წერილებში, სადაც აღწერილია საფაშოს ხელისუფალთა, მათ შორის იქ მყოფ მამლუქთა და ტყვე ქალთა ცხოვრება[44].

აღსანიშნავია ისტორიკოს ფოლაიანის კვლევა ტრიპოლის მმართველის იუსუფ კარამანლის პერიოდის ისტორიის შესახებ[45]. ტრიპოლის XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დასაწყისის ისტორია განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენს ამერიკელი საზღვაო და სამხედრო ისტორიის სპეციალისტებისთვის. სადისერტაციო ნაშრომში შესულია მასალა ოსმალური ტრიპოლის შესახებ გამოქვეყნებული ადრეული სტატიიდან[46].

თავი I. ოსმალური თუნისი

ოსმალეთის მიერ თუნისის სრულ და საბოლოო დაპყრობამდე, ქალაქი თუნისი და მის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები რამდენჯერმე გადავიდა ესპანელთა ხელში. განუწყვეტელი ბრძოლების შედეგად თუნისმა დაკარგა ისტორიულად ძლიერი და მოწინავე როლი, რომელსაც ამიერიდან ამ რეგიონში ქალაქი ალჟირი და მასზე მიმაგრებული საფაშო წარმოადგენდა. ალჟირსა და თუნისს შორის პერიოდულად ხდებოდა სასაზღვრო კონფლიქტები. ალჟირის ძლიერი მმართველები გამუდმებით ერეოდნენ თუნისის საფაშოს შიდა საქმეებში და განსაკუთრებით აქტიურობდნენ ახალი მმართველების შერჩევისას.

XVI საუკუნეში თუნისის და ზოგადად მაღრიბის სანაპიროს კონტროლისთვის ერთმანეთს გამუდმებით ებრძოდნენ ოსმალეთის იმპერია, ესპანეთი და პორტუგალია

---

[44] Miss Tully. *Letters Written During a Ten Year's Residence at the Court of Tripoli, 1783-1795,* London, 1957

[45] Kola Folayan. *Tripoli During the Reign of Yusuf Pasha Qaramanli*, University of Ife Press 1975

[46] კ. ფერაძე. *ქართველები ტრიპოლის საფაშოში (18-19 საუკუნეები)*, სამეცნიერო პარადიგმები, თბილისი 2009, გვ. 239-248

და ეს ბრძოლა საბოლოოდ ოსმალეთის გამარჯვებით დასრულდა. დროთა განმავლობაში, ესპანეთისგან საფრთხე შემცირდა და ოსმალეთიც ნაკლებ ყურადღებას უთმობდა მაღრიბის საფაშოებს. 1574 წელს ოსმალურმა ჯარმა სინან ფაშას მეთაურობით აიღო ქალაქი თუნისი და ის სულტნის საკუთრებად გამოაცხადა. ამ პერიოდიდან თუნისი ოსმალეთის ვრცელი იმპერიის ერთ-ერთ, შედარებით უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენდა. ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფის თანახმად, თუნისის ტერიტორაზე ჩამოყალიბდა თუნისის ოჯაკი, რომელსაც 1587 წლიდან სამი წლის ვადით მართავდა სულტნის მიერ პირდაპირი წესით დანიშნული ფაშა. მის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა თუნისში დისლოცირებული ოთხი ათასი თურქი იენიჩარი. საფაშოს ჯარში ასევე მსახურობდნენ ადგილობრივი ზავავას და კაბილის ტომთა მებრძოლებიც. თუნისში საზღვაო ხომალდების მეთაურები უმეტესად გამუსლიმებული ევროპელები იყვნენ, ტრადიციისამებრ, თუნისური ხომალდები კაპერობით და მეკობრეობით იყვნენ დაკავებულები. ფაშას ექვემდებარებოდა ბეი და მმართველი საბჭო – დივანი.

1591 წელს იანიჩართა მეთაურებმა დეიებმა საკუთარ ხელში აიღეს რეალური ძალაუფლება. ისინი ათწლეულების მანძილზე იყვნენ თუნისის ფაქტიური მმართველები, თუმცა, ამავდროულად ძლიერდებოდა საფაშოს გადასახადების ამკრეფი ოსმალო მოხელის - ბეის ძალაუფლებაც. 1591 წელს ბეის ტიტული მოიპოვა მამლუქმა რამადანმა[47]. ისტორიკოს მოალლას აზრით, ეს პიროვნება იყო მონა, რომელიც სტამბულიდან ჯიგალაზადე იუსუფ სინან ფაშას გამოჰყვა და აქ გააგრძელა მოღვაწეობა[48]. თუნისელ ისტორიკოსთა მიხედვით, მამლუქი სახელად რომდჰანი (Romdhane), რაც რამადანის თუნისური დიალექტის ტრანსლიტერაციაა, წარმოშობით იყო ქართველი, იგი ბეის ტიტულით გაუძღვა საფაშოში საგადასახადო უწყებას და წარმატებით ამოიღო დიდძალი თანხები ადგილობრივი მოსახლეობისგან. რამადან

[47] André Raymond. *Tunis sous les Mouradites: la ville et ses habitants au XVIIe siecle*, Cérès éditions, 2006, p. 25

[48] Moalla, *The Regency of Tunis*, p. 19-20

ბეიმ ჩაატარა ალ-მაჰალლა თუნისის სამხრეთით სედდადასა და ოსელათის მთებში და შეძლო იქ მობინადრე ტომების დამორჩილება და დამშვიდება[49].

ისტორიკოს მოალლას მიხედვით, რამადანს თავის უახლოვეს გარემოცვაში სხვა მამლუქებიც ჰყავდა, ისინი პროვინციალური ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები იყვნენ. ვიგებთ, რომ მასთან იყო მისი ძმა და ძმისშვილი, თუმცა არაფერი ვიცით ამ ადამიანების შესახებ. რამადან ბეი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა 1613 წელს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ XIX საუკუნის თუნისელი ისტორიკოსის ად-დიაფის მიხედვით, რამადან ბინ ჰუსეინ ალ-თურქის მამა ალჟირში მოღვაწე თურქი იანიჩარი იყო[50]. ქალაქ თუნისში ერთ-ერთი მოედანი დღემდე მის სახელს ატარებს.

რამადან ბეის ძმისა და ძმისშვილის წინააღმდეგობის მიუხედავად, ბეის ტიტული მოიპოვა რამადანის კორსიკელმა მამლუქმა მურად კურსუმ[51]. მურადი მეკობრეებმა დაატყვევეს და თუნისში ჩამოიყვანეს, იგი პატარაობისას შეიძინა რამადან ბეიმ, მოაქცია ისლამზე და საკუთარი შვილივით ზრდიდა. მოგვიანებით კი, დანიშნა პროვინციული გამგებლის კა'იდის თანამდებობაზე და ცოლად თავისი ქალიშვილი მიათხოვა[52]. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი თუნისში მურადიანთა დინასტიას, რომელმაც 1702 წლამდე იარსება. მურად ბეის (1613-1631), ისევე როგორც მის შვილს ჰამმუდას (1631-1666) და მის შვილიშვილს მურადს (1666-1675), ჰყავდათ თავიანთი მამლუქები. როგორც თუნისელი ავტორები აღნიშნავენ, ამ პერიოდის მამლუქები საფაშოში უმაღლეს ადმინისტრაციულ პოზიციებს იკავებენ. თუმცა, მათი სახელების ანალიზი გვაჩვენებს, რომ ისენი უმეტესად ევროპული წარმომავლების მამლუქები იყვნენ. მათ შორის გამოირჩევიან კორსიკელები, გენუელები, მესსინელები, ფერარელები და სხვები. ეს მამლუქები ემსახურებოდნენ ოსმალო დიდებულებს, ხდებოდნენ მათი მდივნები, თარჯიმნები და უწევდნენ სხვადასხვა სახის სამსახურს. ზოგიერთი მათგანი ახერხებდა დაწინაურებას და აღწევდა მაღალ სამხედრო თანამდებობებზე. აქვე ვიგებთ, რომ მათ მიერ ისლამის მიღების მიუხედავად, ევროპელი მამლუქები არ კარგავდნენ კავშირებს

[49] Guellouz A., Masmoudi A., Smida M., Saadaoui A. *Histoire Générale De La Tunisie Tome III les temps modernes 1575-1881*, Sud Editions, Tunis, 2010, p. 50

[50] Al-Ḍiyāf, *Itḥāf ahl al-zamān*. vol. 2, p. 40

[51] Moalla, *The Regency of Tunis*, p. 25

[52] Abun-Nasr Jamil, *The Beylicate in Seventeenth-Century Tunisia*, p. 76

მშობლიურ ქრისტიანულ ქვეყნებთან და ხანდახან ამ კავშირებს კომერციული საქმიანობისთვის იყენებდნენ[53].

მურადიანთა მმართველობის პერიოდში ცნობილია, რომ ამ საფაშოში სამი ლაზი ოსმალო მოხელე მოღვაწეობდა. როგორც უკვე აღინიშნა, თუნისის საფაშო ადგილობრივი ფაშას, ბეის, იანიჩართა მეთაურის დეის და თავად იანიჩართა საბჭოს მიერ იმართებოდა. ლაზი წარმოშობის იანიჩართა მმართველი დეიები იყვნენ ალ-ჰაჯჯ მუჰამმად ლაზი (1647-1653) და ალ-ჰაჯჯ მუსტაფა ლაზი (1653-1665)[54]. ქალაქ თუნისში დღემდე არსებობს მუჰამმად ლაზის მეჩეთი და აკლდამა[55]. 1670-იან წლებში ჩანს კიდევ ერთი ლაზი წარმოშობის სამხედრო მეთაური ალ-ჰაჯჯ ‘ალი ლაზი, რომელიც დეი გახდა 1673 წლის მაისში, თუმცა, 1677 წლის მარტში ის და მისი მომხრეები მმართველ ბეისთან გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხდნენ[56]. ფრანგი ისტორიკოსის რემონის მიხედვით თუნისში მოღვაწე ლაზები ტიპიური თურქი მოხელეები იყვნენ[57].

1702 წელს ალჟირთან ომის მსვლელობისას გარდაიცვალა თუნისის მმართველი და მურადიანთა დინასტიის ბოლო წარმომადგენელი მურად III. სამწლიანი არეულობის შემდეგ, 1705 წელს ალჟირელებთან ბრძოლისას უმეთაუროდ დარჩენილი ჯარის თავმოყრა და ბრძოლის გაგრძელება საკუთარ თავზე აიღო სამხედრო მეთაურმა ჰუსაინ იბნ ‘ალიმ, რომელიც მამით ბერძენი (ზოგიერთი ცნობით, კორსიკელი) და დედით თუნისელი იყო. მან მოახერხა თუნისის სამხედრო ძალების მობილიზება, ალჟირელთათვის წინააღმდეგობის გაწევა და თუნისის ტერიტორიიდან მათი განდევნა. თუნისის ელიტის მხარდაჭერით ჰუსაინ იბნ ‘ალიმ ბეის წოდება მიიღო 1708 წელს. მალევე მან ოსმალეთის სულტნისგან ფაშის ტიტულიც მიიღო, გააუქმა დეის ინსტიტუცია და საფუძველი ჩაუყარა ჰუსაინიანთა დინასტიას, რომელმაც ოფიციალურად 1957 წლამდე, 250 წელი იარსება[58].

---

[53] Guellouz, *Histoire Générale*, p. 144-145

[54] Abun-Nasr Jamil M. *The Beylicate in Seventeenth-Century Tunisia*, International Journal of Middle East Studies, Vol. 6, No. 1 (January 1975), pp. 79-83

[55] იხ. ილუსტრაცია 1

[56] André Raymond. *Une liste des Deys de Tunis, de 1590 à 1832*, Les Cahiers de Tunisie 32 [1960]: 129–136, p. 131

[57] Raymond. *Tunis sous les Mouradites*, p. 65

[58] R. Martran. *Husaynids*. The Encyclopaedia of Islam, N.E. vol. III, London 1971, გვ. 635-637. აგრეთვე:

1735 წელს ჰუსაინს განუდგა მისივე ძმისშვილი ‘ალი, რომელმაც ალჟირელთა დახმარებით მოახერხა ბიძის ქვეყნიდან გაძევება. ‘ალი თუნისს ფაშას რანგში მართავდა 1756 წლამდე ვიდრე, ისევ ალჟირელთა დახმარებით, ქვეყნის სათავეში მოვიდა მის მიერ გადაყენებული და მოგვიანებით მოკლული ჰუსაინ ფაშას შვილი მუჰამმადი, ხოლო სამი წლის შემდეგ მისი ძმა ‘ალი (1759-1782). როგორც ვიცით, სწორედ ამ მმართველის დროს აქტიურად ხდებოდა თუნისში ქართველი მონების შემოყვანა. ცნობისთვის, მისი ცოლი და თუნისის მომდევნო ორი მმართველის დედა, სახელად მაჰბუბა, ასევე საქართველოდან იყო მოტაცებული[59].

XVIII საუკუნის შუა ხანებიდან თუნისის მმართველებმა დაიწყეს იენიჩართა კორპუსის შევიწროება. ამის პარალელურად ჰუსეინიანები ცდილობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის და მომთაბარე ტომების სამხედრო სამსახურში დასაქმებას და მათ დაწინაურებას. ეს ჯარი უმეტესად ადგილობრივი მებრძოლი ტომების ზავავას რიგებიდან კომპლექტდებოდა, მის ხელმძღვანელ ფენას კი მამლუქები წარმოადგენდნენ. ჰუსეინიანთა მხრიდან მსგავსი ცვლილებების გატარებას ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ევროპულ სახელმწიფოთა მხარდაჭერამ, მეორე მხრივ კი ოსმალეთის იმპერიის, ქვეყნის ნომინალური გამგებლის საშინაო და საგარეო პრობლემებმა და აქედან გამომდინარე მოუცლელობამ და ინტერესის ნაკლებობამ. რუსეთის იმპერიასთან მრავალწლიანი კონფლიქტის ფონზე, ოსმალეთის მმართველები ვერ ახერხებდნენ და ვეღარ იცლიდნენ, რათა მეტროპოლიიდან საკმაოდ მოცილებული თუნისის, ისევე როგორც ალჟირის და ტრიპოლის მმართველთა დამოუკიდებელი მოღვაწეობა აღეკვეთათ ან თუნდაც ეკონტროლებინათ.

XVIII საუკუნის ბოლოდან ქართველი მამლუქები აქტიურად იყვნენ ჩართულნი თუნისის საფაშოს ჯარში და ადმინისტრაციაში. მათ, როგორც წესი, ეკავათ მმართველი პოზიციები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში.

XIX საუკუნის დამდეგიდან თუნისის მმართველებმა, ევროპის სახელმწიფოთა გავლენისა და თავად ქვეყნის მოდერნიზების აუცილებლობის გამო, წამოიწყეს

Chérif, Hédi M. *Tunisia*. The Encyclopaedia of Islam, N.E. vol. X, Leiden, 2000, გვ.649-51.

[59] Al-Ḍiyāf, *Itḥāf ahl al-zamān*. vol 3, p. 13

სამხედრო, ადმინისტრაციული, სოციალურ-პოლიტიკური, ფინანსური და ეკონომიკური რეფორმები. ჰამმუდა ბეი (1782-1814) თუნისის პირველი გამგებელი იყო, რომელმაც ქვეყანაში დაიწყო ევროპული ყაიდის სამხედრო რეფორმების გატარება. იგი ასევე სათავეში ჩაუდგა ქვეყანაში სხვადასხვა სახის აღმშენებლობით საქმიანობას. საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად ჰამმუდა ბეი ახალგაზრდობაშივე იძენდა საკუთარ მამლუქებს, რომელთა დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა ტახტზე ასვლის შემდეგ. ჰამმუდა ცდილობდა სამხედრო და ადმინისტრაციულ საქმიანობაში ადგილობრივი მოსახლეობისა და მისი ერთგული მამლუქების ჩართვას, პარალელურად კი, თუნისში მყოფ თურქ იენიჩართა კორპუსის შესუსტებას. სწორედ მამლუქთა და ადგილობრივ ჯარისკაცთა დახმარებით შეძლო მან 1811 წლის უკმაყოფილო თურქ იენიჩართა ამბოხის ჩახშობა.

ხელისუფლების განსამტკიცებლად ჰამმუდა ბეიმ მინისტრებად და სხვა მნიშვნელოვან სახელმწიფო მოხელეებად მასთან დაახლოებული მამლუქები დანიშნა. მათი ბიოგრაფიები უფრო დეტალურად ქვემოთ არის განხილული. ჰამმუდას უეცარი გარდაცვალების შემდეგ, მცირე ხნით მისი ძმას ‘უსმანს გადაეცა ბეგის ტიტული, თუმცა, რამოდენიმე თვეში ის საკუთარმა ბიძაშვილებმა მოკლეს. მომდევნო მმართველების მუჰამმად ბეის (1814-1824), ჰუსაინ ბეის (1824-1835) და მუსტაფა ბეის (1835-1837) მიერ ბუნებრივად გაგრძელდა მამლუქთა მიმართ არსებული ტრადიციულად კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. მამლუქებს აწინაურებდნენ, ისინი იყვნენ თუნისის ყველაზე გავლენიანი და ტიტულოვანი სოციალური ფენა. აჰმად ბეის (1837-1855) უკავშირდება თუნისში რიგი რეფორმების გატარება, რომელიც ქვეყნის მოდერნიზაციას ისახავდა მიზნად. ამ რეფორმების შედეგად აიკრძალა მონათმფლობელობა და მონათვაჭრობა. აჰმად ბეის ყველაზე ამბიციური რეფორმა კი, თუნისში ევროპული ყაიდის ჯარის - ნიზამის შექმნა და ფორმირება იყო.

სწორედ აჰმად ბეის უშუალო ძალისხმევით, ყირიმის ომში 1854-1855 წლებში, თურქეთის დასახმარებლად სრულად აღჭურვილი ათი ათასამდე თუნისელი ჯარისკაცი გაიგზავნა. თავისთავად საინტერესოა ქართული და არამარტო ქართული ისტორიოგრაფიისთვის ამ ომის ნაკლებად ცნობილი ელემენტიც – ყირიმის ომის

მსვლელობისას საქართველოში რამდენიმე ათასი თუნისელი ჯარისკაცის და ოფიცრის ყოფნის შესახებ[60]. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო მოქმედებები ძირითადად ყირიმის ნახევარკუნძულზე მიმდინარეობდა, დასავლეთ საქართველოში ოსმალეთსა და რუსეთს შორის მიმდინარე ნაკლებად ბატალური ბრძოლებიც ამ ომის ნაწილი იყო. როგორც ირკვევა, 1854 წლის სექტემბერში ბათუმში უკვე იმყოფებოდა ოსმალეთის ჯარი, რომელშიც რამდენიმე ათასი თუნისელი ჯარისკაცი და ოფიცერიც შედიოდა[61]. ბათუმში და მის შემოგარენში დისლოცირებულ თუნისელთა შვიდი ათას კაციან ლაშქარს ქართველი მამლუქი რაშიდი ხელმძღვანელობდა[62], მისი ბიოგრაფია ვრცლად ქვემოთ იქნება განხილული (ბიოგრაფია №376). ბათუმში დისლოცირებულ ოსმალურ ჯარში მყოფი თურქი ოფიცერი მოგვიანებით იხსენებდა, რომ თუნისელ ჯარისკაცებს ქართული და ჩერქეზი წარმომავლობის მამლუქი ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ[63]. ოსმალეთის ჯართან მყოფი ბრიტანელი მოგზაურის ლორენს ოლიფანტის მიხედვით, მან, ზიკინზირში (ციხისძირი), მოგვიანებით კი ბათუმში ნახა ეს თუნისელი ოფიცრები და ჯარისკაცები[64].

როგორც ვიგებთ, შეკვეთილის დაკავების შემდეგ ოსმალებმა ეს ციხე თუნისელთა ჯარით გაამაგრეს, თუმცა, ომის დასრულების და ყარსის ციხის დაცემის შედეგად ოსმალეთი იძულებული გახდა შეეწყვიტა სამხედრო მოქმედებები დასავლეთ საქართველოში. სავარაუდოდ 4200 თუნისელი ჯარისკაცი გარდაიცვალა ბათუმსა და მის შემოგარენში სხვადასხვა დაავადებებით[65]. მათ არ მიუღიათ მონაწილეობა თითქმის არც ერთ სამხედრო შეტაკებაში რუსული ან ქართული საჯარისო ნაწილების წინააღმდეგ, ეს ჯარისკაცები უმეტესად ასრულებდნენ გარნიზონის და სარეზერვო

---

[60] თუნისელ ჯარისკაცთა საქართველოში ყოფნა მხოლოდ ზოგადად არის ნახსენები ბურჭულაძის წიგნში, იხ. ბურჭულაძე ე. *ყირიმის ომი და საქართველო,* თბილისი, 1960, გვ. 330

[61] François Arnoulet. *Participation Tunisienne a la guerre de Crimee (1854-1856),* Les Cahiers de Tunisie, tome XX, n° 79-80, p. 276

[62] R. Mantran. *Inventaire des documents d'Archives Turcs du Dar El-Bey (Tunis),* Paris, 1961, p. 8-23

[63] Осман-беи, *Воспоминание 1855 года. События в Грузии и на Кавказе*. Кавказский Сборник. Тифлис, 1877. Т. 2, p. 187

[64] Laurence Oliphant. *The Trans-Caucasian campaign of the Turkish army under Omer Pasha; a personal narrative*, London 1856, p. 30, 41

[65] Badem, *The Ottoman Crimean War*, p. 155

ჯარის ფუნქციებს. თუნისელ ჯარისკაცთა ბოლო ნაწილების ევაკუაცია ბათუმიდან 1856 წლის თებერვალში მოხდა[66].

აჰმად ბეის რეფორმები, ისევე როგორც მის მიერ მხარდაჭერილი ყირიმის ომში მონაწილე თუნისის ჯარის შენახვა, ძალიან ძვირი დაუჯდა არცთუ გამართულ სახელმწიფო ხაზინას. თუნისი აღმოჩნდა ფინანსური კრიზისის წინაშე. მომდევნო მმართველები მუჰამმად ბეი (1855-1859) და მუჰამმად ას-სადიკი (1859-1882) ამაოდ ცდილობდნენ ახალი რეფორმების გზით გაეუმჯობესებინათ ქვეყნის ბიუჯეტი. კრიზისიდან თავის დაღწევა და ევროპული კრედიტების დაფარვა მაინც ვერ მოხერხდა. ყოველივე ამას მოჰყვა თუნისის ფაქტობრივი ოკუპაცია საფრანგეთის მიერ 1881 წელს, რომელიც 1956 წელს თუნისის დამოუკიდებლობის გამოცხადებით დასრულდა.

თუნისის ოსმალურ და მის შემდგომი პერიოდის ისტორიაში მამლუქებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ.

ჰუსეინიანთა ოსმალური დინასტიის (1705-1957) სტაბილურობის და სიძლიერის ერთ-ერთი გარანტი მამლუქთა ის ინსტიტუცია იყო, რომელიც თუნისში ისტორიულად ჩამოყალიბდა ამ დინასტიის მმართველობამდე. როგორც ითქვა, მამლუქები ან ამ ტერმინით წოდებული ყოფილი მონები და ტყვეები თუნისის საფაშოში, ამ დინასტიაზე გაცილებით ადრე, XVI საუკუნის ბოლოდან შემოჰყავდათ. ისტორიკოს მოალლას აზრით, ადრეული ოსმალური პერიოდის თუნისში მამლუქი ეწოდებოდა ნებისმიერ ყოფილ ქრისტიან მონას, რომელმაც მიიღო ისლამი და დასაქმებული იყო თუნისის მმართველი კლასის მიერ, ეს მამლუქები თავიანთი როლით და ფუნქციებით სტამბულში არსებული კაპიკულუს (Kapıkulu) სისტემის ექვივალენტი იყო[67].

მამლუქთა თუნისში შემოყვანის ფაქტები თვალსაჩინოა ჰუსეინიანთა დინასტიის მმართველობის ადრეული წლებიდან. ერთი ვერსიის თანახმად, ამ დინასტიის დამაარსებლის ჰუსეინ იბნ ‘ალის (1705-1735) მამა ‘ალი ათ-თურქი თავადაც კრეტელი მამლუქი იყო[68].

---

[66] Mantran, *Inventaire des documents*, p. 18
[67] Moalla, *The Regency of Tunis*, p. 24
[68] იქვე, p. 39

ისტორიკოს ოუალდის მიერ მოძიებული საარქივო მასალით ირკვევა, რომ ამ მმართველს არაერთი მამლუქი ემსახურებოდა[69]. ამ პერიოდში მოღვაწე მამლუქთა შესახებ ცნობები შემონახულია ჰუსეინიანთა პერიოდის თუნისელი ისტორიკოსის მუჰამმად საღირ ბენ იუსუფის ნაშრომში. მის თანახმად, მამლუქები ჰუსაინ იბნ ‘ალის და მისი მომდევნო მმართველის ‘ალის (1735-1756) დროს უკვე აქტიურად გამოდიან თუნისის სახელმწიფოს პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე. მაგალითისთვის, საღირი ახსენებს ჰუსეინ იბნ ‘ალის კუთვნილ მამლუქებს 1728 წელს. აქვე ვიგებთ, რომ ბეის შვილებს მაჰმუდს და ‘ალისაც ჰყავდათ თავიანთი პირადი მამლუქები.

მამლუქები ჰყავდა არა მხოლოდ მმართველის ოჯახს არამედ მათთან დაახლოებულ ელიტის ოჯახებსაც. მაგალითად, იმ პერიოდის გამოჩენილმა შეიხმა აჩურმა შეიძინა მამლუქი, რომელმაც ისლამი სწორედ თავისი ბატონის სახლში მიიღო[70].

მამლუქთა არა მხოლოდ სახელმწიფო სამსახურში, არამედ, შეიხთა მიერ პირად მფლობელობაში ყოფნის ეს მაგალითი იმაზე გვაფიქრებინებს, რომ მამლუქთა ყიდვა და მათი თუნისში შემოყვანა XVIII დასაწყისის თუნისში უკვე საკმაოდ მიღებულ და გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენდა.

ისტორიკოს აბუნ-ნასრის მიხედვით, ჰუსაინ იბნ ‘ალის პირველი ხაზინადარი სახელად ჰამამიდი და მისი მომდევნო ხაზინადარი სულაიმანი მამლუქები იყვნენ. სულაიმანი ქაჰიას თანამდებობაზე დააწინაურა მმართველმა ჰუსეინ ბეიმ, ცოლად შერთო თავისი ქალიშვილი და ჩააბარა თუნისის საფაშოს გადასახადების შეგროვება და ჯარისთვის ხელფასების განაწილება[71].

თუნისელი ავტორების მიხედვით მამლუქი სლიმან (სულაიმან) ქაჰია მურადიტების დინასტიის პერიოდიდან ასრულებდა სხვადასხვა დავალებებს, ერთი პერიოდი იგი იყო ქაჰია ლ-მაჰალლაც[72]. ისტორიკოს ბრაუნის მიხედვით მამლუქმა აჰმად შალბიმ, რომელიც თუნისის მმართველის ჰუსეინ ბინ ‘ალის კარზე მსხურობდა ქაჰიას წოდება მიიღო და თუნისის ჯარში დიდი გავლენით სარგებლობდა. მან ‘ალი სიკვდილისგან

[69] Oualdi M. *Mamluks in Ottoman Tunisia: a category connecting state and social forces.* International Journal of Middle East Studies, 48 (2016), 473–490. p. 479

[70] Seghir. *Mechra el melki*, მამლუქთა შესახებ იხ. გვ. 77, 85, 134, 355 და სხვები

[71] Abun-Nasr, Jamil, *The Tunisian state in the eighteenth century*, p. 50

[72] Guellouz. *Histoire Générale*, p. 209

იხსნა, რის გამოც იგი განსაკუთრებით დაიახლოვა თუნისის მმართველმა. ‘ალიმ თავისი ქალიშვილი ერთგულ მამლუქს მიათხოვა, ამ წყვილის შთამომავალი შალბი ბინ შალბი თუნისის მომავალი მმართველის აჰმად ბეის სიმამრი გახდა[73].

1750-იან წლებში ქალაქ კეფის სპაჰის ჯარისკაცთა აღას თანამდებობა მამლუქს სახელად ჰასანს ეკავა, ასევე იხსენიება მამლუქი მუსტაფა კროუნა, რომელსაც ამავე პერიოდში ქალაქ ბეჯაში *აღას* თანამდებობა ეკავა[74].

XVIII ს. 60-70-იანი წლებიდან აშკარად შეინიშნება მამლუქთა დაწინაურება მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ თუ სამხედრო თანამდებობებზე. მაგალითად, მამლუქები უკვე რეგულარულად ინიშნებიან პროვინციული მმართველის – კა’იდის თანამდებობაზე[75]. ამ პერიოდიდან მოყოლებული XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე მამლუქთა, მათ შორის ქართველთა შესახებ უკვე მრავალი ცნობა მოიპოვება.

როგორც აღინიშნა, სწორედ ‘ალის იბნ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში მოხდა მამლუქთა მასობრივად შემოყვანა, ინსტიტუტლიზაცია და კლასიფიცირება. ისტორიკოს ოუალდის მოკვლეული საარქივო დოკუმენტებით ირკვევა, რომ 1750-იანი წლებისთვის, ოსმალური გავლენით, ‘ალიმ არსებული მამლუქები ორ იერარქიულად განსხვავებულ ჯგუფებად დაჰყო. უპირატეს ჯგუფს ეწოდებოდა მამალიქ ალ-ქიბარ (უპირატესი მამლუქები/ mamelouk supérieur), ხოლო ქვემდგომ მამლუქებს მამალიქ ალ-ბაით/ ას-სარაია (სახლის მამლუქები), 1766 წლის შემდეგ მათ მამალიქ ბი-ლ-სქიფა დაერქვათ[76]. მისივე აზრით, ეს კატეგორიზაცია ერთგვარად იმეორებდა სტამბულში უშუალოდ სულტნის კარზე არსებულ ოსმალო მოხელეთა და მონათა ენდერუნის (შიდა) და ბირუნის (გარე) იერარქიას. როგორც ზემდგომები და განსაკუთრებით დაწინაურებულები, ალ-ქიბარის მამლუქები ხელმძღვანელობდნენ ქვემდგომი კატეგორიის მამლუქებს.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრიდან მოყოლებული ეს უპირატესი (ალ-ქიბარ)

---

[73] Brown. *The Tunisia of Ahmad Bey*, p. 30

[74] Seghir. *Mechra el melki*, p. 148

[75]გამოვლენილია რამოდენიმე პიროვნება ალ-მამლუქის ნისბით კა’იდის – თუნისის პროვინციული მმართველის თანამდებობაზე, იხ. Abdelhamid Nehia. *Le Grid ses rapports avec le beilikate de Tunis*, Tunis 1980, გვ. 198

[76] Oualdi, *Mamluks in Ottoman Tunisia*, p. 479

მამლუქები როგორც წესი, ქართველები, ჩერქეზები და იშვიათად ბერძნებიც იყვნენ, ვხვდებით მოლდოველ და იტალიელ მამლუქებსაც. მამალიქ ბი-ლ-სქიფას კატეგორიის რიგები, უმეტესად დაკომპლექტებული იყო ევროპელი, შედარებით დაბალი წოდების მამლუქებით. ისინი, როგორც წესი, ყოფილი იტალიელი მონები იყვენ, გვხვდებიან ადგილობრივი მუსლიმებიც. თუმცა, მოგვიანებით, XIX საუკუნეში, ამ დაბალი კატეგორიის მამლუქთა შორის ქართველებიც ჩანან.

მამალიქ ბი-ლ-სქიფას ვალდებულება იყო მმართველის სასახლის დაცვა და მის მომარაგებაზე ზრუნვა. ისინი ასევე ასრულებდნენ მმართველის და მინისტრების კურიერის როლს. მათი ნაწილი განთავსებული იყო თუნისის სხვადასხვა გარნიზონებსა და სამხედრო პოსტებზე. ამ, შედარებით დაბალი კატეგორიის, მამლუქებზე თითქმის არაფერს ამბობს თუნისის ამავე პერიოდის ისტორიკოსი ად-დიაფი.

თუნისის საფაშოში ევროპული წარმოშობის რენეგატები და მამლუქები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ მურადიანთა დინასტიის მმართველობის პერიოდში. XVII საუკუნეში სწორედ ისინი აკომპლექტებდნენ საფაშოს მმართველ ელიტას. თუმცა, XVIII საუკუნდან მათი ადგილი უკვე კავკასიელმა, მოგვიანებით კი, ბერძენმა მამლუქებმა დაიკავეს.

ისტორიკოს მოალლას აზრით, მამლუქთა კორპუსი XVIII საუკუნის ბოლოდან ეთნიკურადაც ორ ნაწილად იყოფოდა, შედეგად, ერთმანეთისგან მკვეთრად გამოირჩეოდა "ოსმალური" და "ევროპული" წარმომავლობის მამლუქები[77]. მამლუქთა ეთნიკური იერარქია პირდაპირ ასახავდა მათში მონათა ბაზარზე გადახდილ საფასურს. ცხადია, სტამბულში შეძენილი კავკასიელი ბავშვები გაცილებით უფრო ძვირფასი შენაძენი იყო მმართველისთვის, ვიდრე მეკობრეობის გზით იტალიური ან ბერძნული კუნძულებიდან მოტაცებული ახალგაზრდები. ქართველი ან ჩერქეზი მონა განსაკუთრებით ძვირად ფასობდა ოსმალეთის მონათა ბაზრებზე, რაც კარგად არის ნაჩვენები არაერთი მკვლევრის მიერ[78].

---

[77] Moalla, *The Regency of Tunis*, p. 83

[78] მაგალითისთვის, Fisher, Alan. *The Sale of Slaves in the Ottoman Empire: Markets and State Taxes on Slave Sales, Some Preliminary Considerations*, Boğaziçi Üniversitesi Dergisi: Hümaniter Bilimler, Vol 6, 1978, p. 154

კავკასიელ მამლუქებს, როგორც წესი, ყიდულობდნენ ბეის ან სხვა თუნისელი მოხელეების სპეციალური აგენტები სტამბულის მონათა ბაზარზე. ხანდახან, თავად თუნისიდან სტამბულში ჩასული მოხელეებიც ყიდულობდნენ ახალგაზრდებს და საჩუქრად ჩაჰყავდათ გამგებლებთან. ევროპელ მამლუქთა უმეტესობა თუნისში იტალიიდან, ბერძნული და ცენტრალური ხმელთაშუა ზღვის კუნძულებიდან მეკობრეობის გზით მოპოვებული ტყვეების სახით შემოჰყავდათ.

ახალგაზრდა მამლუქი ძვირფას ქონებას წარმოადგენდა და პატრონი მას შესაბამისად ეპყრობოდა. მამლუქს ყურადღებით წვრთნიდნენ და ასწავლიდნენ, რათა ისინი მომავალში ერთგულ და სასარგებლო მსახურებად ექციათ. ოჯახებში მომსახურე შავკანიანი მონებისაგან განსხვავებით, რომლებიც ქარავნებს აფრიკის კონტინენტიდან თუნისის მონათა ბაზარზე მოჰყავდათ, ახალგაზრდა თეთრ მონას ამზადებდნენ რათა ის გამხდარიყო მმართველი კლასის წევრი[79].

გარდა სამხედრო წვრთნისა, ახალგაზრდა მამლუქის მომზადება გულისხმობდა ისლამის ელემენტარული ნორმების გაცნობას. ისტორიკოსი ბრაუნი თვლის, რომ ახალგაზრდა მამლუქების ისლამზე მოქცევა არ იყო იძულებითი, ამ სისტემაში ყველაფერი კეთდებოდა ბუნებრივი არჩევანისთვის. ისლამზე მოქცევა იყო თავდაპირველი ნაბიჯი იმ ხანგრძლივი მოსამზადებელი პროცესისა, რომელის წარმატებით დასრულებას მამლუქი მიჰყავდა ხელისუფლებისა და პრესტიჟული მდგომარეობისკენ[80]. თავად ქართველი და ჩერქეზი მამლუქები, ბერძნებთან შედარებით, საკუთარ ეთნიკურ უპირატესობას იმითაც ასაბუთებდნენ, რომ ისლამი მათზე ადრე მიიღეს[81].

ბარდოს სასახლეში მოხვედრილი ახალბედა მამლუქების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის თუნისელი ავტორი საღირი. მისი ქრონიკების მიხედვით, მამალიქ ბი-ლ-სქიფას სახალგაზრდა იტალიელი მამლუქები მმართველთან იზრდებოდნენ, განსაკუთრებით გონიერებს მოუწოდებდნენ რომ მიეღოთ ისლამი, რასაც ისინი უფრო შიშის გამო აკეთებდნენ ვიდრე საკუთარი სურვილით. ერთ-ერთი

[79] Brown. *The Tunisia of Ahmad Bey*, p. 41

[80] იქვე, p. 42

[81] Oualdi, *Mamluks in Ottoman Tunisia*, p. 480; ასევე: Brown. *The Tunisia of Ahmad Bey*, p. 50-51

მათგანს, ქალაქ ბეჯას აღას ისმა'ილს მოგვიანებით უთქვამს, რომ ისლამმა კარგი არაფერი მოუტანა. როგორც თავად განმარტა, მან "მშობელი დედა იმ ღამით დაკარგა როდესაც ისლამი მიიღო"[82].

მშობლების გარეშე დარჩენილი ბავშვებისთვის ოჯახის უფროსი ჰუსეინიანი ბეი იყო. მასთან განსაკუთრებული სიახლოვის გამო ზოგ მამლუქს ბეის შვილად (იბნ, აბნა') მოიხსენიებდნენ. ისტორიკოსი დემეერსემანი აღნიშნავს, რომ ის მინისტრები, რომლებიც ჰუსეინიანთა ოჯახის წევრებად ითვლებოდნენ, მიმართვის დროს ბეის ხშირად უწოდებდნენ *ბაბას* (მამას) და არა საზოგადოდ მიღებულ *სიდის* (ბატონს)[83]. გერმანელი მოგზაური პრინცი მუსკაუც აღნიშნავდა, რომ ბეის მიერ გამოგზავნილ წერილში მისთვის გამოყოფილ მამლუქს მმართველი საკუთარ შვილად იხსენიებდა[84].

ბეის კუთვნილი მამლუქები ცხოვრობდნენ და მომზადებას გადიოდნენ ბარდოს სასახლეში. სხვა მამლუქებს, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ ბეის, ამზადებდნენ მათი პატრონები. ბარდოს სასახლეში იყო დაწყებითქი სკოლა და მედრესე (მადრასა), სადაც ასწავლიდნენ ცნობილი თუნისელი შეიხები, ხანში შესული მამლუქები და თუნისის სხვა დიდებულები. მამლუქებთან ერთად იზრდებოდნენ უფლისწულები და ჰუსეინიანთა საგვარეულოს მთელი მამრობითი სქესის ახალგაზრდა თაობა. როგორც წესი, მამლუქებს პატრონის გარდაცვალებისთანავე ათავისუფლებდნენ, თუმცა, მათი უმეტესობა ჰუსეინიანთა კარზე სამსახურს და წარმატებულ კარიერას მომავალ ბეისთან აგრძელებდა.

მამლუქთა რიცხვი თუნისში, ეგვიპტესთან და ერაყთან შედარებით, მცირერიცხოვანი იყო. ბრაუნის აზრით[85], სასახლის მამლუქთა რაოდენობა 1782-1824 წლებში მთლიანად 90-დან 300-მდე ადამიანით შემოიფარგლებოდა, ამ აზრს იზიარებენ სხვა მკვლევრებიც. ჰუსეინიანთა გარდა მამლუქები ჰყავდათ თუნისის ელიტის სხვა წარმომადგენლებსაც, თუმცა ვფიქრობთ, არც მათი რაოდენობა იქნებოდა დიდი. ჰოლანდიის კონსულის ნისენის მიხედვით, პირადად თუნისის მმართველს ჰამმუდა ფაშას 1788 წელს ასიოდე

[82] Seghir. *Mechra el melki*, p. 200

[83] Demeerseman. *Categories sociales en Tunisie*, p. 255

[84] Pückler-Muskau, Hermann, Fürst von. *Travels and adventures in Algiers, and other parts of Africa*, London, R. Bentley, 1839, p. 221

[85] Brown. *The Tunisia of Ahmad Bey*, p. 48, n. 20

მამლუქი ჰყავდა თავის სასახლეში[86]. ისტორიკოს მედიჩის მიხედვით, თუნისში მამლუქთა რაოდენობა 1860 წლისთვის 150, 1874 წელს 109, ხოლო 1883 წელს 48 იყო[87].

როგორც უკვე ითქვა, ად-დიაფის ნაშრომის VII და VIII ტომებში მოცემულია 1782/3 - 1872 წლებში მოღვაწე 407 წარჩინებულ თუნისელთა ბიოგრაფია. მათ შორის არიან საფაშოს ყველაზე გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწეები, მინისტრები, სამხედროები, რელიგიური მოღვაწეები, სწავლულები და სხვები. ად-დიაფის ბიოგრაფიებში სულ გამოვლინდა 34 მამლუქი, უმეტეს შემთხვევაში აღნიშნულია დასახელებულ პირთა წარმომავლობა, დაბადების ადგილი და გარდაცვალების წელი. მათგან, 16 მამლუქის ეროვნებად ან სამშობლოდ მითითებულია ქართველი ან საქართველო. სხვა ეროვნების მამლუქებიდან დასახელებულია სამი ბერძენი, ორი ჩერქეზი, ორი იტალიელი, თითო აბაზა, რუსი და რუმინელი მამლუქი. ექვსი მამლუქის ბიოგრაფიაში არ არის მითითებული მათი წარმომავლობა ან დაბადების ადგილი. ბიოგრაფიებში მოხვედრილ მამლუქთა ეროვნებები კარგად ასახავს XVIII-XIX საუკუნეების თუნისში არსებულ მამლუქთა ეთნიკური შემადგენლობის საერთო სურათს.

არაბულ წყაროებში *ქურჯისთან* და *ალ-ქურჯ* ქართველების და საქართველოს ერთ-ერთი სახელწოდებაა. ად-დიაფი ქართველებს უწოდებს *ალ-კურჯს* და საქართველოს - *ბილად ალ-კურჯს* და *ალ-კურჯისტანს.* ეს აიხსნება იმით, რომ მაღრიბის არაბულ დიალექტში შეიმჩნევა თანხმოვანი ქაფის ჩანაცვლება კაფით და პირიქით[88]. ად-დიაფი რიგ შემთხვევაში წერს, რომ ესა თუ ის მამლუქი იყო ქართველი (*კურჯი ალ-ასლ, ასლუ ჰაზა რ-რაჯულ მინ ალ-კურჯ*), ან საქართველოდან (*ასლუჰუ მინ ბილად ალ-კურჯ, მინ არდ ალ-კურჯ, მინ ალ-კურჯისთან*).

---

[86] Ch. Monchicourt. *Documents historiques sur la Tunisie : relations inédites de Nyssen, Filippi et Caligaris (1788, 1829, 1834)*, Paris : Société d'éditions géographiques, maritimes et coloniales, 1929, p 22

[87] Anna Maria Medici. *Esclavage, armée et réformes a Tunis. Vie d'un des derniers Mamelouks a la cour du Bey (XIXe Siècle)* in Carmen Bernand et Alessandro Stella. *D'esclaves a soldats miliciens et soldats d'origine servile (XIII - XXI siècles)*, L'Harmattan, 2006, p.75-82

[88] I.N. Zavadovski. *The Maghrib Arabic dialects*. Moscow 1978, p. 38.; F. Talmoudi. *The Arabic Dialect of Susa (Tunisia)*. Acta Universitatis Gothoburgensis, 1980, p. 15., Général Eugène Daumas. *La Vie Arabe et la Société Musulmane*. Genéve-Paris 1983, p. IX-X; არაბულში გავრცელებული საქართველოს სახელებისათვის იხ. გ. ჯაფარიძე. *ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები,* ძიებანი, ტ. 1, მხედარი, თბილისი, 2012.

ქვემოთ დასახელებულია ად-დიაფის თხზულების VII-VIII ტომებში გამოვლენილი თექვსმეტი ქართველი და ერთი აბაზა (აფხაზი) მამლუქი, მითითებულია მათი სახელი, ქუნია, ლაკაბი, თანამდებობა და გარდაცვალების წლები. აქვე მოგვყავს მამლუქთა ად-დიაფისეული ბიოგრაფიების მოკლე თარგმანებიც. სადაც შესაძლებელია, მათი ისტორია შევსებული ან დაზუსტებულია სხვა, დამატებითი წყაროებით.

<u>ბიოგრაფია №.2. ვეზირი აბუ ალ-ფიდა' ისმა'ილი, ქაჰია ლ-მაჰალლა</u>. ად-დიაფის ბიოგრაფიის მიხედვით ვეზირი აბუ ლ-ფიდა' ისმა'ილ ქაჰია წარმოშობით საქართველოდანაა. იგი თუნისის ფაშას აბუ ლ-ჰასან 'ალი ბეი ალ-ჰუსაინის (1759-1782) ემსახურებოდა, იყო სულგრძელი და მოხერხებული, ასრულებდა მნიშვნელოვან საქმეებს და დაწინაურდა მაღალ თანამდებობებზე, მათ შორის ასრულებდა ქაჰია ლ-მაჰალლას მოვალეობას[89].

ის დაინათესავა მისმა პატრონმა თავის ქალიშვილზე დაქორწინებით. ამ ქორწინებით ისმა'ილს ორი ქალიშვილი შეეძინა. იგი იყო ფიცხი, უსამართლობის მოწინააღმდეგე. გაექცა თავის პატრონს, რომელმაც მას გაუგზავნა ამანი (შეუვალობა). იგი ენდო მის ამანს, რომელსაც იმ დროს პატივის სცემდნენ და დაბრუნდა მის სამსახურში. ისმა'ილი მეტოქეობას უწევდა თავისი ბატონის ვაჟებს და მისი ძმის შვილებს.

ისმა'ილსა და მომავლი ბეის აბუ მუჰამმად ჰამუდას შორის ცივი ურთიერთობა იყო პატარაობიდან. ხოლო, როდესაც გარდაიცვალა მისი ბატონი, და დაეუფლა მმართველობას მისი ხსენებული ვაჟი, ისმა'ილს შეეშინდა, რომ არსებული მტრობა უფრო მეტად გაჩაღდებოდა. მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ის გააფრთხილა აჰმად ალ-ქაფი ალ-ჯუვაინიმ, რომელიც ეკუთვნოდა ფაშა აბუ ლ-ჰასან 'ალი ბეის. ისმა'ილი, ამ ჯერზე უკვე მეორედ და საბოლოოდ გაიქცა თუნისიდან. მან დატოვა თავისი ქალიშვილები დედის და ბიძის, ჰამმუდა ფაშას ამარა. თუნისიდან ისმა'ილი ეგვიპტეში გადასახლდა სადაც დაწინაურდა და გახდა მისი ერთ-ერთი სანჯაკი (ე.ი სანჯაკ-ბეი). შემდეგ გადავიდა კუნსტანტინიაში (გაურკვეველია იგულისხმება სტამბოლი თუ

[89] განმარტებისთვის იხ. გვ. 63

ქალაქი კუნსტანტინა ალჟირში) სადაც ასევე მიაღწია მაღალ თანამდებობებს. მოგვიანებით გახდა სირიის ფაშა.

დასასრულს, ად-დიაფის ბიოგრაფიიდან ვიგებთ, რომ ისმა'ილის დიდსულოვან ხასიათზე მიუთითებდა ის, რომ ვინც არ უნდა ენახა თუნისელი, პატივს მიაგებდა და ეხმარებოდა მას უცხოეთში. არავის ახსოვდა რაიმე ცუდი მის შესახებ თუნისში. რამდენიც არ უნდა ეკითხათ მიზეზი მისი გაქცევისა, ამბობდა, "ბედისწერა იყო". მისი ტუჩები არაფერს ამბობდა, თითქოს არც ენახა თუნისი. და ეს ამბავი მის შესახებ მეორდებოდა პილიგრიმთა და სხვათა მიერ. იგი იყო მამაცი, გულუხვი, პირობის შემსრულებელი და დიდსულოვანი.

გარდაიცვალა ხანდაზმული, მაღალი დინასტიის (სულტნის) სამსახურში. ად-დიაფიმ სტამბოლში ისმა'ილის შვილიშვილიც ნახა 1247/1825 წელს. თუმცა, ვერ გაარკვია მისი შემდგომი ბედი ან გარდაცვალების თარიღი. ად-დიაფს ისმა'ილის შესახებ ამბავი მისივე თანამედროვეებისგან ჰქონდა გაგონილი. აქვე მითითებულია, რომ ისმა'ილის ძმა ბეის სამსახურში დარჩა მისი გაქცევის შემდეგაც.

ჩვენთვის უცნობია ისმა'ილის ზუსტი დაბადების ადგილი ან თარიღი, ვიცით მხოლოდ ის, რომ იგი საქართველოდანაა. ისმა'ილი თუნისში თავის ძმასთან 'ალი ბუზღაიასთან (ბიოგრაფია №67) ერთად მოხვდა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 'ალი ბუზღაიას ბიოგრაფიაში ის შეცდომით ჩერქეზი მამლუქის ისმა'ილ ქაჰია ალ-შაჰირ ალ-ზაქირის ძმად არის დასახელებული[90]. დაზუსტებით არ ვიცით, მაგრამ უფრო რეალურად მიგვაჩნია, რომ ძმები ერთად მოიტაცეს და მოგვიანებით ერთ პიროვნებზე გაყიდეს. ისმა'ილი, რომელიც სავარაუდოდ თავის ძმაზე უფროსი იყო ასაკით, ადრევე დაწინაურდა და ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თანამდებობა დაიკავა.

მუჰამმედ საღირ ბინ იუსუფი ახსენებს მამლუქ ისმა'ილს, რომელსაც თუნისში 1760 წლის აგვისტოში სპაჰის კავალერიის აღას თანამდებობა ეკავა[91]. სპაჰი ადგილობრივი მოსახლეობისგან, ან ბერბერთა მომთაბარე ტომებით დაკომპლექტებულ ცხენოსანთა ჯარს წარმოადგენდა. ისმა'ილ აღამ აქტიური მონაწილეობა მიიღო სამხედრო-

[90] Al-Ḍiyāf, *Itḥāf ahl al-zamān*. vol. 7, p. 58
[91] Seghir. *Mechra el melki*, p. 426-427

სადამსჯელო ოპერაციებში ოსელათის მთებში. სავარაუდოდ, აქ მიღწეული წარმატებების გამო ისმა‘ილ აღა ქაჰიას თანამდებობაზე დააწინაურეს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ისმა‘ილ ქაჰია თუნისის ფაშას ‘ალის ფავორიტი მამლუქი იყო, სრულიად შესაძლებლია, რომ იგი მის პატრონს ადრევე დაეწინაურებინა მაღალ თანამდებობაზე. მამლუქთა ადრეული და სწრაფი დაწინაურების მაგალითებს ხშირად ვხვდებით ჰუსეინიანთა მმართველობის პერიოდში. როგორც დავინახავთ, ახალბედა მამლუქებს უმეტესად აღას თანამდებობს ანიჭებდნენ. ჩვენთვის ცნობილ წყაროებში, 1760-80-იანი წლებისათვის სხვა მამლუქი ისმა‘ილის სახელით, რომელმაც მაღალ სამხედრო თანამდებობას მიაღწია არ ჩანს. ვვარაუდობთ, რომ საღირის მიერ ნახსენები მამლუქი ისმა‘ილ აღა და ად-დიაფის ქართველი მამლუქი ისმა‘ილ ქაჰია ერთი და იგივე პიროვნებაა.

1776 წლის ოქტომბერში ისმა‘ილ ქაჰიას და ‘ალი ფაშას ქალიშვილის ქორწილი გაიმართა[92], ქორწინების შედეგად ისმა‘ილი მმართველი ოჯახის წევრი გახდა, რაც დამატებით პრივილეგიებს და ძალაუფლებას ნიშნავდა. ამ პერიოდში ისმა‘ილ ქაჰია თუნისის საბაჟო უწყებას განაგებდა, ეს, ფრანგი დიპლომატების აზრით, იმ დროისთვის ერთ-ერთ ყველაზე მაღალშემოსავლიან და აქედან გამომდინარე პრესტიჟულ თანამდებობას წარმოადგენდა საფაშოში[93]. ცნობილია, რომ ისმა‘ილი თუნისში საფრანგეთის ინტერესებს იცავდა, დიპლომატები იტყობინებოდნენ, რომ ფრანგი ვაჭრებისათვის მთავარი ისმა‘ილ ქაჰიასთან ურთიერთობების დამყარება და მასთან მოლაპარაკება იყო, რადგან სწორედ იგი აგვარებდა თუნისის საბაჟო საკითხებს[94]. მიუხედავად წარმატებული კარიერისა, ისმა‘ილი იძულებული იყო ორჯერ გაქცეულიყო თუნისიდან, პირველად, ად-დიაფის მიხედვით, იგი თავის პატრონს ‘ალის გაექცა, თუმცა, ხელშეუხებლობის გარანტიის მიღების შემდეგ უკან დაბრუნდა. მეორედ და საბოლოოდ ისმა‘ილი თუნისიდან ახალ მმართველს ჰამმუდა ფაშას გაექცა. ად-დიაფის ცნობით, იგი ‘ალი ფაშას შვილებს დიდი ხნიდან მოყოლებული მეტოქეობას უწევდა და პატრონის გარდაცვალების შემდეგ იძულებული გახდა მოძულე

[92] Plantet, *Correspondance des Beys de Tunis*, p. 54
[93] იქვე, p. 114
[94] იქვე, p. 117

მემკვიდრეებს გარიდებოდა. როგორც ფრანგული წყაროებით ირკვევა მისი მეორე და საბოლოო გაქცევა 1782 წლის დეკემბერში მოხდა[95]. ცხადია, ისმა‘ილი ვერ იმსახურებდა მისდამი მტრულად განწყობილ მმართველთან. ისმა‘ილმა თუნისში ცოლი და ორი ქალიშვილი დატოვა, მას არ გაჰყოლია ძმა ‘ალი ბუზღაია, რომელსაც კონფლიქტიც კი მოუვიდა ისმა‘ილთან, რაც სავარაუდოდ დაკავშირებული იყო ისმა‘ილ ქაჰიასა და თუნისის ფაშას ჰამმუდას შორის მომხდარ განხეთქილებასთან. ისმა‘ილი 1783 წლის თებერვალში უკვე იტალიის პორტ ლივორნოში იმყოფებოდა[96].

ისმა‘ილ ქაჰიას შემდგომი მოღვაწეობის შესახებ ვიგებთ ეგვიპტელი ავტორის ალ-ჯაბართისგან, სადაც იგი იხსენიება როგორც ისმა‘ილ ქათხუდა[97]. როგორც ირკვევა, თუნისიდან გაქცევის შემდეგ ისმა‘ილი კაიროში ჩავიდა, მალევე მოილოცა მექა და მედინა, საიდანაც სტამბულში გაემართა. იმპერიის დედაქალაქში იგი დაუკავშირდა ჰასან კაპუდან ფაშას. მოგვიანებით, 1811 წელს გამოცემულ წიგნში შოტლანდიელი ვაჭარი და მოგზაური მაკგილლი წერს, რომ ისმა‘ილ ქაჰიას, რომელიც თუნისის ბეის ‘ალის სიძე იყო, ერთი პერიოდი ოსმალეთის კაპუდან ფაშას თანამდებობა ეკავა[98]. ვვარაუდობთ, რომ მაკგილი ისმა‘ილის მოღვაწეობის სწორედ ამ პერიოდზე მიუთითებდა.

ჯანელიძემ რუსულ არქივებში მოიძია ცნობა, საიდანაც ვიგებთ, რომ ერთ ქართველ თავადს გაბრიელ ტარბაიძეს, რომელიც ეგვიპტეში იმყოფებოდა თავის ძმასთან სულეიმან-ბეისთან, 1786 წლის თებერვალში გზად შეუვლია სტამბულში, სადაც ჰასან კაპუდან ფაშას შეხვდა. ოსმალეთის ამირბარს გაბრიელი ჰასანის ქართველმა ხაზინადარმა წარუდგინა. აქვე ვიგებთ, რომ ხაზინადარს საქართველოში დედა და დედმამიშვილები დარჩენია[99]. დაზუსტებით არ ვიცით ეს ქართველი მამლუქი ისმა‘ილია თუ ვინმე სხვა პიროვნება, მაგრამ დასაშვებად მიგვაჩნია ისიც, რომ მას როგორც ჰასან ფაშასთან განსაკუთრებულად დაახლოებული მამლუქს, მისი ხაზინადარის როლიც შეესრულებინა.

---

[95] Plantet, *Correspondance des Beys de Tunis*, p. 276
[96] Rousseau. *Annales tunisiennes*, p. 196
[97] Al-Jabarti. *History of Egypt*, vol III, p. 214-215
[98] MacGill, *Account of Tunis*, p. 28
[99] ჯანელიძე, *საქართველო და აღმოსავლეთი*, გვ. 103

ისმა‘ილი ეგვიპტეში ჰასან კაპუდან ფაშას ჩამოჰყვა 1786 წლის აგვისტოში. ეს ექსპედიცია მიზნად ისახავდა ურჩი მამლუქების დამორჩილებას ან განადგურებას. თუმცა, როგორც ცნობილია, კაპუდან ფაშამ პრობლემის მხოლოდ ნაწილობრივი და დროებითი მოგვარება შესძლო. მამლუქთა უმეტესობა არ დაემორჩილა ჰასანს, პირიქით, სადამსჯელო ჯარმა არაერთი მარცხიც განიცადა მამლუქებთან, რის შედეგადაც აჯანყებული მამლუქები ზემო ეგვიპტის სრულ ბატონ-პატრონებად დარჩნენ. ისმა‘ილ ქათხუდა ჰასანთან იმყოფებოდა კაიროში, იგი მონაწილეობას იღებდა ბედუინთა და კაიროში ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა მიმართ განხორციელებულ სხვადასხვა სადამსჯელო ოპერციებში. ეგვიპტეში ყოფნისას ისმა‘ილი სასტიკად გაუსწორდა თავის თუნისის დროინდელ მოწინააღმდეგეს აჰმად იბნ ‘იად ალ-მაღრიბის[100], რომელიც საკუთარი ხელით მოკლა. 1788 წლის დეკემბერში ისმა‘ილი ეგვიპტის ფაშად დაინიშნა, რაც 1789 წლის თებერვალში სულტნის სიგელით დამტკიცდა[101]. ისმა‘ილი ეგვიპტიდან 1791 წლის მაისში გაიწვიეს.

მის შემდგომ მოღვაწეობაზე ალ-ჯაბართი მიუთითებდა, რომ იგი მორეაში მიავლინეს ფაშად. ად-დიაფის ბიოგრაფიის მიხედვით კი, ისმა‘ილი სირიის ფაშა გახდა, თუმცა, ამ პერიოდში დამასკოს და ალეპოს არც ერთი ოსმალო გამგებელი ამ სახელით არაა ცნობილი. სამწუხაროდ, არც მორეაში ჩანს ოსმალო გამგებელი ისმა‘ილის სახელით. ისტორიკოს მეჰმეთ სურეიიას მიერ შედგენილი ბიოგრაფიის მიხედვით ისმა‘ილმა ეგვიპტეში ცოლად მოიყვანა ას‘ად ბეის (Es'ad bey) ქალიშვილი. ეგვიპტიდან გაწვევის შემდეგ, იგი დაინიშნა მორეას ფაშად. ამ თანამდებობიდან ისმა‘ილი მალე გადააყენეს, ჩამოართვეს ვეზირის ტიტული, მისი ქონება კი თუნისსა და სხვა ქალაქებში გაიგზავნა. ამ დროისთვის ისმა‘ილის მფარველი ჰასან კაპუდან ფაშა უკვე გარდაცვლილი იყო. სურეიიას ბიოგრაფიიდან ირკვევა, რომ ისმა‘ილი იტალიის ქალაქ ტოსკანაში გადასახლდა, ავსტრიელები დაეხმარნენ მას ტიტულის და წოდების აღდგენაში. ისმაი’ლი ტოსკანაში გარდაიცვალა, მას ჰყავდა შვილი სახელად ‘ალი[102].

---

[100] Al-Jabarti. *History of Egypt*, vol III, p. 214-215

[101] იქვე, p. 286

[102] Süreyya, Mehmet. *Sicill-i Osmanî, Beşiktaş, Istanbul: Türkiye Kültür Bakanlığı and Türkiye Ekonomik ve Toplumsal Tarih Vakfi,*1996, Vol. III, p. 829

უცნობია ისმა‘ილ ქაჰიას გარდაცვალების თარიღი. მისი ქალიშვილები გათხოვდნენ ქართველ მამლუქებზე აბუ ლ-მაჰასინ იუსუფ ქაჰია დარ ალ-ბაშაზე (ბიოგრაფია №215) და აბუ მუჰამმად ხაირ ად-დინ ქაჰიაზე (ბიოგრაფია №323). როგორც აღინიშნა, ისმა‘ილის გარდაცვალების შემდეგაც მის შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ თუნისში მყოფ დიპლომატებს, მათ შორის მაკგილლს. ისმა‘ილ ქაჰიას შვილიშვილი სტამბულში ნახა ად-დიაფმა 1825 წელს, თუმცა, უცნობია მისი ვინაობა და შემდგომი ბედი. ისმა‘ილ ქაჰია შეყვანილია ბურკეს მსოფლიოს სამეფო ოჯახთა გენეოლოგიაში როგორც თუნისის სამეფო ოჯახის წევრი[103].

<u>ბიოგრაფია №36. ვეზირი ალ-შაჰირ მუსტაფა ხუჯა.</u> ბიოგრაფიიდან ირკვევა, რომ ამ ქართველი მამლუქის ამბავი ავტორს, ად-დიაფს, მამამისმა უამბო. მუსტაფა ხუჯა მცირეწლოვანი იყო როდესაც მის მომავალ პატრონს ‘ალი ფაშას ეახლა. ად-დიაფის მიხედვით, მუსტაფას წამოსვლა უკავშირდება საქართველოში განსაკუთრებით რთულ პერიოდს, “მისი ქვეყნის მზე დაისის შიშით გაილია როდესაც მისი ქვეყანა აღიგავა, მისი ხალხი კი აიყარა და სხვადასხვა მიმართულებით დაიფანტა”[104]. შემოსევები, დაწიოკება, მოსახლეობის სრულად აყრა და წარტყვევნა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ჩვეულებრივი რეალობა იყო. თუნისში მოხვედრილი მცირეწლოვანი მუსტაფა საფაშოს მმართველის მედრესეში იზრდებოდა, იქვე შეისწავლა ძირითადი მეცნიერებები. იგი დიდი მეჩეთის მახლობლად ცხოვრობდა და თავი გაჰქონდა წიგნების ყდებში ჩასმით.

ად-დიაფის ბიოგრაფიის მიხედვით, მუსტაფა ‘ალი ფაშამ ამოირჩია და დაიახლოვა რადგანაც დაინახა მასში ნიჭიერება, ერთგულება და ღირსება. ფაშამ იგი თავის ახლო მეგობრად გაიხადა და დააწინაურა ის ხაზინადარის თანამდებობაზე. ბრიტანელი თომას მაკგილლის მიხედვით, მუსტაფამ თავისუფლება მმართველისადმი განსაკუთრებული ერთგულებით მოიპოვა[105]. თუნისის ფაშამ მას თავისი ქალიშვილი შერთო ცოლად, ხოლო როდესაც ის გარდაიცვალა, მას ცოლად ‘ალის მეორე

[103] *Burke's royal families of the world,* Vol II, p. 225
[104] Al-Ḍiyāf. *Itḥāf ahl al-zamān.* Vol. 7, p. 38
[105] MacGill. *An Account of Tunis,* p. 29

ქალიშვილიც გაურიგეს. ამ ქორწინების შესახებ საინტერესო ცნობას ვხვდებით იმ პერიოდის ფრანგი დიპლომატების მიმოწარაში. როგორც ირკვევა, მუსტაფა ხუჯამ მმართველის შვილზე დასაქორწინებლად საკმაოდ დიდი თანხა, ასი ათასი პიასტრი შესთავაზა მმართველი ბეის ქართველ ცოლს მაჰბუბას, ეს გარიგება მუსტაფას კიდევ უფრო მეტ ძალაუფლებას და პრესტიჟს მოუტანდა[106].

ჰუსეინიანთა ოჯახის წევრმა მუსტაფამ, ტახტის მემკვიდრის და მომავალი ბეის ჰამმუდას აღზრდაშიც მიიღო მონაწილეობა. ად-დიაფის მიხედვით, მუსტაფა ხოჯა ჰუსეინიანთა ოჯახის საყვარელი წევრი იყო, მისი დანახვისას ფეხზე დგებდნენ და მის გარეშე არც ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას არ იღებდნენ. ისტორიკოს რუსოს მიხედვით, თუნისში საფრანგეთის ინტერესების ყველაზე დიდ ქომაგს, ქართველ მუსტაფა ხოჯას და ისმა‘ილ ქაჰიას (ბიოგრაფია №.2) შორის მუდმივი კონკურენცია იყო პირველობისთვის. სწორედ ისმა‘ილის ინტრიგას მიეწერება ის ფაქტი, რომ ‘ალი ბეის მმართველობის ბოლო წლებში მუსტაფა იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა. იგი გაემგზავრა მექას მოსალოცად და მხოლოდ მმართველის გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდა თუნისში[107]. როგორც ად-დიაფისეული ბიოგრაფიიდან ვიგებთ, მუსტაფამ მხოლოდ ჰაჯიდან დაბრუნებულმა შეიტყო თუნისის ბეის გარდაცვალების შესახებ, რაც ძალიან განიცადა. რუსოს მიხედვით, მუსტაფა ხუჯა გამოირჩეოდა მტკიცე ხასიათით, იყო კარგი ადმინისტრატორი და პატიოსანი ადამიანი.

მუსტაფა იყო ტრიპოლის საფაშოში ქართული წამოშობის უზურპატორის ‘ალი ატ-ტარაბულისის წინააღმდეგ 1795 წელს გაგზავნილი ჯარის მეთაური. ად-დიაფი მას ახასიათებდა როგორც კეთილს, პატიოსანს, ყურადღებიანს, ჭკვიანს, გულადს, ერთგულს და ამავდროულად თავმდაბალს. იგი შორს იყო პირფერობიდან და არ უყვარდა სხვის საქმეებში ჩარევა. ვეზირი ალ-შაჰირ მუსტაფა ხუჯა ასაკოვანი გარდაიცვალა 1800 წლის 10 ოქტომბერს. მისი თხოვნა იყო, რომ სიკვდილის შემდეგ მისი მეუღლე სხვაზე არ გაეთხოვებინათ, რაც აუსრულეს კიდეც. აქვე ვიგებთ, რომ მას

[106] Plantet. *Correspondance des Beys de Tunis*, p. 117
[107] Rousseau. *Annales tunisiennes*, p. 190

არ დარჩენია ვაჟი მემკვიდრე. მუსტაფა ხოჯა შეყვანილია ბურკეს მსოფლიოს სამეფო ოჯახთა გენეოლოგიაში როგორც თუნისის სამეფო ოჯახის წევრი[108].

<u>ბიოგრაფია №62. აბუ რ-რაბი‘ სულეიმან ალ-ავვალ, ქაჰია ლ-მაჰალლა.</u> ად-დიაფის ბიოგრაფიის თანახმად იგი ‘ალი ფაშას მამლუქი იყო და ემსახურებოდა მის შვილებს ჰამმუდას და ‘უსმანს. სულეიმანი დაწინაურდა ქაჰია ალ-მაჰალლას[109] თანამდებობაზე. მიუხედავად მაღალი თანამდებობისა, მას მხოლოდ ასაკი ემატებოდა, ჭკუით კი, დიდად არ გამოირჩეოდა. თუნისის ბეიმ იგი დასაჯა კიდეც წარუმატებელი საქმიანობის გამო და დააქვეითა. თუმცა, მოგვიანებით მაინც უბოძა ქაჰია ბი-დარ ალ-ბაშას თანამდებობა[110]. ბიოგრაფიაში ასევე ნახსენებია, რომ სულეიმანმა ცუდად იცოდა არაბული ენა, საუბრისას ხშირად იყენებდა უცხო სიტყვებს და მის საუბარს ეტყობოდა უცხო აქცენტი. ად-დიაფი სულეიმან ალ-ავვალს ახასიათებს როგორც კეთილშობილსა და მორწმუნე ადამიანს. იგი გარდაიცვალა 1807 წლის 21 სექტემბერს.

<u>ბიოგრაფია №67. აბუ ალ-ჰასან ‘ალი ბუზღაია, ბაშ აღა.</u> იგი მამლუქად აღიზარდა ძმასთან, ზემოხსენებულ ისმა‘ილ ქაჰიასთან (ბიოგრაფია №2) ერთად და დაწინაურდა ჯერ ბაშ აღას[111], ხოლო შემდგომში დარ ალ-ბაშას[112] თანამდებობებზე. იყო კეთილი, მორწმუნე და სიმართლის მოყვარული ადამიანი. გარდაიცვალა 1809 წლის ზაფხულში.

<u>ბიოგრაფია №111. აბუ ნ-ნაჯათ სალიმ ხუჯა</u>. იგი თუნისის მმართველის ჰამმუდა ბეის უერთგულესი და მასთან განსაკუთრებით დაახლოებული მამლუქი იყო. მისი პატრონის გარდაცვალების შემდეგ დიდად იყო დამწუხრებული, ად-დიაფის მიხედვით, იგი ცრემლებს ვერ იკავებდა, როდესაც თუნისის ტახტზე მომდევნო ბეის ხედავდა. იმდენად უმძიმდა ახალ ბეისთან ურთიერთობა, რომ ერთი ხანობა დაეთხოვა

---

[108] *Burke's royal families of the world*, Vol II, p. 225
[109] განმარტებისთვის იხ. გვ. 63
[110] განმარტებისთვის იხ. გვ. 63
[111] განმარტებისთვის იხ. გვ. 61
[112] განმარტებისთვის იხ. გვ. 61

მმართველს და მხოლოდ მის შემდგომ ბეისთან მაჰმუდ ბინ მუჰამმადთან (1814-1824) შეძლო სამსახურში მისვლა. სალიმი არაერთხელ მიავლინეს სტამბულში დიპლომატიური დავალებებით, მსგავსი მისიით მიავლინეს ალჟირშიც. მან ცოლად მოიყვანა რაბათის შეიხის ‘ალი მუჰავადის ქალიშვილი. იყო კეთილი, განათლებული, კარგად წერდა არაბულ და თურქულ ენებზე, იყო მჭევრმეტყველი, ღირსეული და მოკრძალებული. გარდაიცვალა 1819 წლის 20 სექტემბერს.

<u>ბიოგრაფია №140. აბუ მუჰამმად რაშიდ ხუჯა</u>. დაწინაურდა ჰამმუდა ბეის სამსახურში, რომელმაც მას ბარდოს სასახლის საგანძურის დაცვა ანდო. რაშიდ ხუჯას დიდ პატივს სცემდნენ თუნისში, იყო მჭევრმეტყველი და კარგად წერდა თურქულ ენაზე. ად-დიაფი მას ახასიათებს როგორც ერთგულსა და კეთილ ადამიანს. გარდაიცვალა 1823 წლის აგვისტოში და დაიკრძალა ძმის აბუ ლ-მაჰასინ იუსუფ ქაჰიას (ბიოგრაფია №215) მიწაზე. ად-დიაფის თანახმად, ამ ქართველ ძმებს განსაკუთრებით უყვარდათ ერთმანეთი.

<u>ბიოგრაფია №215. აბუ ლ-მაჰასინ იუსუფ ქაჰია, დარ ალ-ბაშა</u>. იგი თავის ძმასთან აბუ მუჰამმად რაშიდთან (ბიოგრაფია №140) ერთად მოხვდა თუნისში და სახელი გაითქვა როგორც განსაკუთრებულად ალალმა და ერთგულმა მამლუქმა ჰამმუდა ბეის კარზე. იგი ჰუსეინიანთა კარის მამლუქთა მეთაურის (*რა’ისუ ლ-მამალიქ ფი ს-სარაია*) თანამდებობაზე დააწინაურეს, შესაბამისად, მას ევალებოდა ბეის სასახლის მამლუქთა მეთაურობა, აღზრდა და განკარგვა. სწორედ ამ თანამდებობაზე ყოფნისას იხსნა მან სიკვდილისგან საკუთარი ბატონი ჰამმუდა ფაშა. მოლდოველ მამლუქის იუსუფ საჰიბ ატ-ტაბი’ის სისასტიკით განაწყენებულმა სამმა მამლუქმა, რომლებსაც ბრიტანელი მაკგილლი ქართველებად მიიჩნევს,[113] განიზრახეს სამაგიეროს გადახდა. მათ დაგეგმეს ჰამმუდა ფაშას მოკვლა და მკვლელობის იუსუფზე გადაბრალება. ისინი ღამით თავს დაესხნენ მძინარე ჰამმუდა ფაშას, რომელიც სიკვდილისგან იხსნეს იუსუფ ქაჰიამ, აბუ რ-რაბი‘ სულეიმან ქაჰიამ (ბიოგრაფია №237) და სხვებმა. ამ ინციდენტის შედეგად

[113] MacGill. *An Account of Tunis*, p. 22-23

იუსუფი მძიმედ დაიჭრა. მას ეს ერთგულება დიდად დაუფასდა, იგი ჯერ აღას, მოგვიანებით კი ქაჰია ბი დარ ალ-ბაშას[114] თანამდებობებზე დაწინაურდა. მისი შემდგომი წარმატებები დაგვირგვინდა თუნისის მმართველის, მაჰმუდ ბეისთან დანათესავებით. ბეიმ იგი დააქორწინა თავისი ბიძაშვილის და ისმა'ილ ქაჰიას ქალიშვილზე (ბიოგრაფია №2). იუსუფი იყო გულადი, საქმიანი და სიმართლის მოყვარული. იგი გარდაიცვალა 1835 წლის შემოდგომაზე და დაიკრძალა ვეზირ აბი ლ-მაჰასინ იუსუფ საბი' ატ-ტაბის მიწაზე (ბიოგრაფია №372). ად-დიაფი ბიოგრაფიაში აღნიშნავს მისი საუბრის განსაკუთრებულ მანერაზე და მძიმე უცხოურ აქცენტზე, რაც შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ეს მამლუქი შედარებით უფროს ასაკშია მოტაცებული და გაყიდული.

<u>ბიოგრაფია №230. აბუ 'აბდ ალლაჰ მუჰამმად შულაკ (ალ-კურჯი)</u>. ად-დიაფის თანახმად, დაწინაურდა აღას თანამდებობაზე. იგი იყო ძალიან კარგი მხედარი და უშიშარი მეომარი. მიუხედავად იმისა, რომ მუჰამმადი შორს იდგა პოლიტიკისგან და არც ჭკუით გამოირჩეოდა, მას მიაჩნდა, რომ იმსახურებდა მაღალ თანამდებობებს ქართული წარმომავლობის გამო. იგი ატარებდა ნისბას ალ-კურჯია (ქართველი). გარდაიცვალა დევნილობაში ქალაქ ტრიპოლიში 1837/38 წლის მიჯნაზე.

<u>ბიოგრაფია №237. ვეზირი აბუ რ-რაბი' სულეიმან ქაჰია</u>. იგი ჰამმუდა ფაშას მამლუქთაგანია. ფრანგული წყაროებით ვიგებთ, რომ სულეიმანი მცირეწლოვანი იყო, როდესაც საქართველოდან წამოიყვანეს[115]. მოგვიანებით, იუსუფ ქაჰიასთან (ბიოგრაფია №215) ერთად, სულეიმანმა დაიცვა ჰამმუდა ფაშა თავდამსხმელებისგან, თუმცა, მეორე მამლუქის იუსუფისგან განსხვავებით არ დაჭრილა. ბრიტანელი მოგზაურის მაკგილის ცნობით, სწორედ სულეიმანი იყო პირველი, ვინც დახმარება აღმოუჩინა ჰამმუდა ფაშას და საკუთარი ხელით ადგილზე მოკლა პირველივე შემხვედრი თავდამსხმელი. ამ თავდადებული საქციელის შედეგად, მმართველმა სულეიმანი ქალაქ ბეჯას აღას

[114] განმარტებისთვის იხ. გვ. 61
[115] Monchicourt. *Documents historiques sur la Tunisie*, p. 165-166

თანამდებობაზე დააწინაურა. მისი ბატონი კმაყოფილი იყო სულეიმანის საქმიანობით და მალევე დააკისრა ქაჰია ლ-მაჰალლას[116] მოვალეობა. სულეიმანი ჯარის თანხლებით აგროვებდა გადასახადებს თუნისის ბეის დაქვემდებარებაში მყოფი ტომებისგან. 1807 წლის თებერვალსა და მარტში სულეიმანი ხელმძღვანელობდა თუნისის კავალერიას ალჟირის წინააღმდეგ[117]. სწორედ მისი მეთაურობით შესძლეს თუნისელებმა ალჟირის დეის ჯარის დამარცხება და დიდი ხნის მცდელობების შემდეგ აღკვეთეს ალჟირელთა თავდასხმები. სულეიმანის ძალისხმევით მთავარი გზები გაიწმინდა ყაჩაღებისა და მძარცველებისგან. მან ასევე აღკვეთა თუნისელი ჯარისკაცების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის დატერორების შემთხვევები. სულეიმან ქაჰიას ჰამმუდა ბეის დროინდელ თუნისში სამ ყველაზე გავლენიან მინისტრთა შორის ასახელებდნენ ევროპელები[118]. იგი ცნობილი იყო როგორც მდიდარი და შეძლებული პიროვნება. სულეიმან ქაჰიას უდიდესი გავლენა ჰქონდა თუნისის ჯარზე, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

1814 წელს ჰამმუდა ბეის გარდაცვალების შემდეგ, სულეიმანი ჰამმუდას ძმის ‘უსმან ბეის სამსახურში ჩადგა. ‘უსმანი ორიოდე თვეში საკუთარმა ბიძაშვილებმა მოკლეს, რის შემდეგაც ქვეყნის სათავეში მოვიდა მოკლულის ბიძაშვილი და სულეიმანის მომავალი სიმამრი მაჰმუდ ბეი (1814-1824). როდესაც ‘უსმან ბეის სიკვდილი შეიტყო, სულეიმანი თავის მომხრეებთან ერთად საკუთარ სახლში გამაგრდა, სროლა აუტეხა ბეის მკვლელებს და მათ მომხრეებს, დახოცა რამდენიმე მათგანი და მანამდე არ გამოვიდა სახლიდან, ვიდრე ახალმა ბეიმ ხელშეუხებლობის და მფარველობის ნიშნად მას საკუთარი კრიალოსანი არ შეუგზავნა[119]. ეს ნდობა, მმართველმა მაჰმუდ ბეიმ კიდევ უფრო გაამყარა და სულეიმან ქაჰიას თავისი ქალიშვილი ლალლა აზიზა მიათხოვა ცოლად.

1815 წლისთვის სულეიმან ქაჰია თუნისის სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის თანამდებობაზე დაინიშნა[120]. 1816 წლის 30 აპრილს მორიგ ჯერზე აჯანყდნენ

---

[116] განმარტებისთვის იხ. გვ. 61-62

[117] MacGill. *An Account of Tunis*, p. 48

[118] Noah. *Travels*. p. 259.

[119] იქვე, p. 254

[120] იქვე, p. 259

იანიჩრები, მათი დაშლა და დამარცხება სულეიმან ქაჰიას მეთაურობით მოხდა. ამ დროიდან მოყოლებული, სულეიმან ქაჰია ხელმძღვანელობდა საჯარისო რეფორმებს და სათავეში ედგა თუნისში რეგულარული არმიის შექმნის პროექტს.

ად-დიაფის ცნობით, სულეიმანს განსაკუთრებით პატივს სცემდნენ ბედუინები, თუნისის ბეისა და ბედუინთა შორის არსებული დავების მოგვარებას სწორედ მას ანდობდნენ. სულეიმანი ჰუსეინიანთა კარზე ყველას უყვარდა, ის იყო პატიოსანი, კეთილი, სამართლიანი და თავისი სიტყვის ერთგული. იყო გულუხვი, მოწყალე, ჩაგრულთა ქომაგი, მას ანდობდნენ განსაკუთრებით რთულ დავებს. იმავდროულად, სულეიმანი იყო უშიშარი და მტკიცე მებრძოლი, მის განსაკუთრებულ სიმამაცეზე და მონაცემებზე საუბრობს მოგზაური მაკგილლიც[121]. შოტლანდიელი მოგზაურის აზრით, სულეიმანი რომელიმე ქრისტიანულ სახელმწიფოში უდიდესი გენერალი იქნებოდა შესაბამისი სამხედრო განათლება რომ მიეღო, თუნისში კი იგი მხოლოდ უმამაცესი ჯარისკაცი იყო სამხედრო მეცნიერების და უახლესი თეორიული ცოდნის გარეშე. მისი ამ თვისებების შესახებ კარგად იცოდნენ თუნისის მმართველებმაც, რომლებიც ყოველთვის განსაკუთრებით აფასებდნენ სულეიმან ქაჰიას.

ამ ქართველ მამლუქს თუნისელი ად-დიაფი ახასიათებს როგორც კარგ მრჩეველს და თუნისის მაჯლისში დაფასებულ და პატივცემულ ადამიანს. ჰუსეინიანთა დინასტიაში მის განსაკუთრებულ როლზე შემდეგი ფაქტიც მეტყველებს. ყოველი ახალი მმართველის არჩევისა და მისადმი ფიცის დადების ცერემონიალს ალ-ბაი'ა ალ-ხასსას, როგორც წესი, თუნისის საფაშოში ყველაზე საპატივცემულო პირი უძღვებოდა. ორი მმართველის მუსტაფა ბეის (1835-1837) და აჰმად ბეის (1837-1855) ცერემონიალებს სწორედ სულეიმან ქაჰია გაუძღვა[122]. იგი გარდაიცვალა 1838 წლის 4 დეკემბერს, მის დაკრძალვას ესწრებოდა ჰუსეინიანთა მთელი საგვარეულო. სწორედ მათ სასაფლაოზე დაიკრძალა სულეიმან ქაჰია. ად-დიაფის თანახმად, მისი შთამომავლები დიდი პატივით სარგებლობდნენ.

---

[121] MacGill. *An Account of Tunis*, p. 32

[122] Brown. *The Tunisia of Ahmad Bey*, p. 105-106

მაკგილლის ცნობით, სულეიმანი 1811 წელს 36 წლის იყო[123]. სულეიმანის ასაკს ასევე ადასტურებს ამერიკელი დიპლომატი ნოა, რომლის ცნობით, ის 1815 წელს 40 წლისა იქნებოდა[124]. შესაბამისად, შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ სულეიმანი დაიბადა 1775 წელს და გარდაიცვალა 68 წლის ასაკში. თუმცა, სულეიმანის შვილი, ʻალი ბინ სულეიმანი, თავის ბიოგრაფიულ წერილში აცხადებდა, რომ მამამისი გარდაცვალებისას 95 წლის იყო[125], რაც აშკარად გადაჭარბებული უნდა იყოს. ამავე წერილით ირკვევა, რომ სულეიმანის მემკვიდრეები, ორი ვაჟი და ორი ქალიშვილი, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი სამეფო ოჯახთან, მათ ასევე ერგოთ სოლიდური მემკვიდრეობა, უძრავი ქონების სახით.

<u>ბიოგრაფია №287. აბუ ლ-ʻაბბას აჰმად ალ-ჯაზირი</u>. ის იყო აბი ალ-ჰასან ʻალი ალ-ჯაზირის მამლუქთაგან, რომელსაც არ ჰყავდა ვაჟი მემკვიდრე, ამიტომ იშვილა აჰმადი და თავისი ქალიშვილიც მას მიათხოვა. აჰმადი სახელმწიფო სამსახურში ჩადგა და დაწინაურდა ბაშ აღას[126] თანამდებობაზე. ის დაიახლოვა თუნისის მმართველმა ჰამმუდა ბეიმ, რადგან ენდობოდა მას სამხედრო ლაშქრობებსა და სხვა სახელმწიფო მისიებში. აჰმადს ცოლისგან არ დარჩენია მემკვიდრე. ცოლის გარდაცვალების შემდეგ აჰმადს მონა ქალისგან ეყოლა მემკვიდრე. როგორც ად-დიაფი მოგვითხრობს, მოგვიანებით, სწორედ ამ შვილის ვალებს გადაჰყვა აჰმადის ქონება და წარმატებული სახელმწიფო კარიერა. იგი გარდაიცვალა 1849 წლის შემოდგომაზე, იყო ერთგული და კეთილი, თუმცა არ გამოირჩეოდა გონიერებით. აჰმად ალ-ჯაზირის ქონება და მამული მის შვილიშვილს ერგო.

<u>ბიოგრაფია №323. აბუ მუჰამმად ხაირ ად-დინ ქაჰია</u>. ეს მამლუქი პატარა ასაკში შეიძინა წარმოშობით მოლდოველმა მამლუქმა ვაზირმა იუსუფ საჰიბ ატ-ტაბიʻიმ ოსმალეთში ვიზიტისას და საჩუქრად მიჰგვარა თავის ბატონს ჰამმუდა ბეის. ხაირ ად-

---

[123] MacGill. *An Account of Tunis*, p. 32
[124] Noah. *Travels*, p. 252
[125] Oualdi. *Esclaves et maîtres*, p. 432, Annex 6.
[126] განმარტებისთვის იხ. გვ. 61

დინი ერთგული მამლუქი იყო. თუმცა, მისმა მეტოქე მამლუქმა სახელად დალვარმა შეცდომაში შეიყვანა ბეი და დააჯერა, რომ ხაირ ად-დინს მისი მოკვლა უნდოდა. შედეგად, იგი დიდი ხნით დააპატიმრეს და ბეიმ მხოლოდ საკუთარ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე შეიწყალა და მისცა მას უფლება დაეტოვებინა საპყრობილე. მომდევნო მმართველმა 'უსმან ბეიმ 1814 წელს მისი ძმის ჰამმუდას კუთვნილი მამლუქები გაათავისუფლა მონობიდან, მათ შორის ხაირ ად-დინიც იყო, რომელიც ბეის სამსახურში დარჩა იუსუფ საჰიბ ატ-ტაბი'თან. იგი დაიახლოვა მომდევნო მმართველმა მაჰმუდ ბეიმ, დააწინაურა ერთ-ერთი ოჯაკის აღას თანამდებობაზე და დაინათესავა ისმაილ ქაჰიას (ბიოგრაფია №2) შვილზე დაქორწინების გზით. ხაირ ად-დინი მოგვიანებით ქაჰია ბი-დარ ალ-ბაშას[127] თანამდებობაზე დაწინაურდა. ად-დიაფის თანახმად, ხაირ ად-დინ ქაჰია იყო კეთილი, სამართლიანი, მოკრძალებული და თავმდაბალი, ამავდროულად უშიშარი მებრძოლი და ძალიან კარგი მსროლელი. მას დიდ პატივს სცემდნენ მეცნიერები და განათლებული ადამიანები, ის კარგად წერდა და საუბრობდა არაბულ ენაზე. ხაირ ად-დინ ქაჰია გარდაიცვალა 1855 წლის დეკემბერში და დაიკრძალა ჰუსეინიანთა სასაფლაოზე, ად-დიაფის ცნობით, მისი შთამომავლები ბეის სამსახურში იყვნენ.

<u>ბიოგრაფია №342. ვეზირი აბუ ნ-ნუხბა მუსტაფა საჰიბ ატ-ტაბი'ი[128]</u>. ამ მამლუქის შთამომავალმა ნადია სებაიმ 2007 წელს გამოსცა წიგნი თავისი წინაპრის შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ მუსტაფა დაიბადა 1784 ან 1785 წელს. მისი ქართული წარმომავლობის ად-დიაფისეულ ვერსიას, სებაი აზუსტებს და ამატებს, რომ ოჯახში შემორჩენილი იყო სახელი კოპჩეკსკი (kopcheksky)[129]. თუმცა, შესაძლოა, ეს სახელი მუსტაფას მეორე ცოლის, გულფიდენის ჩერქეზულ წარმომავლობასთან იყოს დაკავშირებული. ად-დიაფის ბიოგრაფიის მიხედვით, ქართველი მუსტაფა, თუნისელმა დიდგვაროვანმა ვაჭარმა მაჰმუდ ჯალულიმ შეიძინა სტამბულში და საჩუქრად

[127] განმარტებისთვის იხ. გვ. 61

[128] იხ. ილუსტრაცია 2

[129] Nadia Sebaï. *Mustapha Saheb Ettabaa: un haut dignitaire beylical dans la Tunisie du XIXe siècle*, éditions cartaginoiseries, 2007, p. 19-21

მიჰგვარა ჰამმუდა ფაშას. როგორც ად-დიაფი აღწერს, მუსტაფას მცირე ასაკი და დიდი ჭკუა ჰქონდა. იგი აღიზარდა თავისი პატრონის სასახლეში, სადაც გამოირჩეოდა სხვა მამლუქებისგან. ჰამმუდას გარდაცვალების შემდეგ, მომდევნო მმართველმა 'უსმან ბეიმ, სხვა მამლუქებთან ერთად მუსტაფაც გაათავისუფლა მონობიდან. თუმცა, ის მმართველის სასახლეში დარჩა გავლენიან მოლდოველ მამლუქთან იუსუფ საჰიბ ატ-ტაბი'სთან, რომელიც დიდად აფასებდა ამ ახალგაზრდა კაცის გამორჩეული ნიჭს და შესაძლებლობებს. იგი იზრდებოდა მუსტაფა ბეის ზედამხედველობის ქვეშ. სწორედ ამ მმართველმა შეარქვა ჯერ კიდევ ყმაწვილ მუსტაფას მეტსახელად საჰიბ ატ-ტაბი' (მბრძანებლის ბეჭდის მცველი), ეს დიდი პატივი იყო მისი ასაკიდან გამომდინარე. მუსტაფა ბეიმ იგი წაიყვანა მაჰალლას ლაშქრობაში და კმაყოფილი დარჩა ახალგაზრდა მამლუქით, ენდობოდა და უსმენდა მას.

1830 წლის ნოემბერსა და დეკემბერში მუსტაფა იმყოფებოდა ალჟირში დიპლომატიური მისიით. თუნისის მმართველმა მისი მემკვიდრის და მომავალი მმართველის აჰმად ბეის აღმზრდელად სწორედ მუსტაფა შეარჩია. ისიც პატიოსნად ასწავლიდა მომავალ მბრძანებელს ისტორიას და გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიებს.

მუსტაფა ასევე იყო თუნისის მაჯლისის მრჩეველი და თავისი წოდებით და პატივისცემით უტოლდებოდა უხუცეს მამლუქს ვეზირ მუსტაფა ხუჯას (ბიოგრაფია №36). მუსტაფა ბეიმ მას ცოლად შერთო საკუთარი ქალიშვილი მაჰბუბა, რის შედეგადაც მუსტაფა საჰიბ ატ-ტაბი'ი მმართველ კლასს დაუნათესავდა. სიკვდილის წინ, მუსტაფა ბეიმ სწორედ ქართველ მუსტაფა საჰიბ ატ-ტაბი'ის სთხოვა ეზრუნა მის მემკვიდრეებზე.

ად-დიაფის ცნობით, მუსტაფამ საკუთარ მამაზე მეტი გაუკეთა თუნისის მმართველის შვილებს და მის ოჯახს. მას შემდეგ რაც თუნისის მმართველი გახდა მისი აღზრდილი აჰმად ფაშა, იგი დაწინაურდა რა'ის ალ-მაჯლის ალ-აქბარ – მაჯლისის უმაღლესი თავმჯდომარის თანამდებობაზე. 1846 წლის ნოემბერ-დეკემბერში აჰმად ბეიმ საფრანგეთში ვიზიტის წინ მემკვიდრეებად ჰუსეინიანთა დინასტიის წევრები დატოვა, თუმცა, ფაქტობრივი ძალაუფლება (შემოსავლები, ხაზინა, ჯარი და

ადმინისტრაცია) მამლუქებს გადააბარა და მათ მეთვალყურედ ქართველი მუსტაფა საჰიბ ატ-ტაბი‘ დანიშნა[130].

მუსტაფა ზრუნავდა ახალბედა მამლუქებზეც, ორი მათგანი, ბერძენი მუსტაფა ხაზინადარი და აფხაზი ხაირ ად-დინი მომავალში თუნისში უმნიშვნელოვანეს პოზიციებს დაიკავებენ. ითვლებოდა, რომ მუსტაფა საჰიბ ატ-ტაბი‘ი იყო უაღრესად განათლებული და ამიტომ თუნისის მაჯლისის სხდომებზე მისი აზრის გათვალისწინების გარეშე მნიშვნელოვან საქმეს არ წყვეტდნენ.

ად-დიაფის ბიოგრაფიით, მუსტაფა იყო კეთილი, უაღრესად პატივცემული და გულუხვი, უშიშარი, დიდად ჭკვიანი, მას დიდ პატივს სცემდნენ მეცნიერები და სწავლულები. იყო მორწმუნე და ასევე კარგად იცოდა განათლების ფასი. სწორედ მუსტაფას ანდეს ქვეყნის ფორმალური მართვა აჰმედ ბეიმ საფრანგეთში ვიზიტის, ხოლო სადიკ ბეიმ - ალჟირში ვიზიტის დროს.

მუსტაფა მოხუცებული გარდაიცვალა 1861 წლის 10 მაისს, მის დაკრძალვას ესწრებოდა თუნისის მმართველი სადიკ ბეი და მმართველი დინასტიის ოჯახი, სამძიმარიც სწორედ ბეიმ მიიღო. მუსტაფა დასაფლავებულია ჰუსეინიანთა საგვარეულო სასაფლაოზე თურბათ ალ-ბაიში. ეს ქართველი მამლუქიც შესულია ბურკეს მსოფლიოს სამეფო ოჯახთა გენეოლოგიურ სიებში[131]. მუსტაფა საჰიბ ატ-ტაბი‘ის შვილები აჰმადი, ჩედლი და რაშიდი თუნისის მმართველ ელიტასთან იყვნენ დაახლოებულნი, მისი პირდაპირი შთამომავლები კი, დღემდე ცხოვრობენ თუნისში.

<u>ბიოგრაფია №358. აბუ ლ-ფიდა’ ისმა‘ილ ქაჰია</u>. იგი ჰამმუდა ფაშას მამლუქთაგანია. დააწინაურა მაჰმუდ ბეიმ ქალაქ ბეჯას აღას თანამდებობაზე. მოგვიანებით, ჰუსეინ ბეიმ იგი თავის ქალიშვილზე დააქორწინა. ისმა‘ილი ასევე დაწინაურდა ქაჰია ბი ლ-მაჰალლას თანამდებობაზე[132]. იყო მორწმუნე, მოკრძალებული, პატიოსანი, დიდსულოვანი, მზრუნველი, ჰქონდა სუფთა რეპუტაცია თუმცა, ბუნებით იყო

[130] Brown L.C. *The Tunisia of Ahmad Bey*, p. 327-328
[131] *Burke's royal families of the world*, Vol II, p. 226
[132] განმარტებისთვის იხ. გვ. 61-62

ზარმაცი. გარდაიცვალა 1864 წლის მაის-ივნისში და დასაფლავებულია ჰუსეინიანთა საგვარეულო სასაფლაოზე თურბათ ალ-ბაიში. ჰყავდა ორი შვილი, ერთ-ერთი მათგანი ადრევე გარდაიცვალა, ისმა'ილ ქაჰიას ქონება მის შთამომავლებს ერგოთ.

<u>ბიოგრაფია №372. აბუ ლ-მაჰასინ იუსუფი</u>. ად-დიაფის მიხედვით, ეს მამლუქი პატარა ბავშვი იყო, როდესაც ჰამმუდა ფაშას მიუყვანეს და იგი სხვა მამლუქებთან იზრდებოდა. თუმცა, ასაკიდან გამომდინარე, მას ზრდიდნენ ისე, თითქოს იგი ჰამუდას ღვიძლი შვილი იყო. ბატონის გარდაცვალების შემდეგ იგი მუსტაფა ფაშას გადაეცა და მის შვილთან, მომავალ მმართველთან აჰმად ბეისთან ერთად იზრდებოდა. მისით კმაყოფილი იყო თუნისის მმართველი და უბოძა ქაჰიას თანამდებობა. მოგვიანებით, იუსუფმა მოიპოვა ზავავას ტომის ცხენოსანთა ამირას თანამდებობა და მსახურობდა ქალაქ ჯერბაში. იგი იყო უბრალო ადამიანი, ბედნიერი ჯარში სამსახურით და მცირედით კმაყოფილი, უპრეტენზიო, კეთილშობილი და მზრუნველი. გარდაიცვალა 1866 წ. ნოემბერ-დეკემბერში, მის შთამომავლებზე ზრუნავდა ბერძენი წარმოშობის მამლუქი და თუნისის პრემიერ-მინისტრი მუსტაფა ხაზინადარი.

<u>ბიოგრაფია №373. ვეზირი აბუ ნ-ნუხბა მუსტაფა აღა</u>. იგი მუსტაფა ბეის მამლუქთაგანია, რომელიც მის სამსახურში ჩადგა და შედეგად ბეის ქალიშვილზე ლალლა სასსიაზე დაქორწინდა. მუსტაფა დაწინაურდა ბაშ აღას თანამდებობაზე. იგი ასევე ემსახურა მომდევნო მმართველს, საკუთარ ცოლის ძმას აჰმად ბეის, რომელმაც მას ჯარის რეფორმირებაში თანადგომა და დახმარება შესთავაზა. ამასთან, მმართველმა მას სამხედრო მინისტრის თანამდებობა *(ვაზირუ ლ-ჰარბ)* უბოძა.

მუსტაფა აღა თან ახლდა აჰმედ ბეის საფრანგეთში 1846 წელს სახელმწიფო ვიზიტის დროს. იგი ასევე იმყოფებოდა სტამბულში, ალჟირსა და ტრიპოლიში დიპლომატიური დავალებებით. ად-დიაფის გადმოცემით, მუსტაფა ზრუნავდა მეცნიერებზე და განსაკუთრებით აინტერესებდა ისტორიული და რელიგიური შინაარსის წიგნები. იყო ერთგული, სამართლიანი, მორწმუნე, დიდსულოვანი, მზრუნველი, სძულდა უსაქმურები და იყო კარგი მებრძოლი. მას კარგად ესმოდა სამხედრო საქმე და

ამავდროულად წარმატებით ართმევდა თავს თუნისში მოსახლე მომთაბარე ტომებთან ურთიერთობებს. ად-დიაფის გადმოცემით, ის, რასაც აჰმად ბეი აპატიებდა მუსტაფა აღას, არასოდეს აპატიებდა სხვებს. როგორც გამბედავი სამხედრო "იგი ამბობდა მხოლოდ სიმართლეს და არ ადარდებდა ამის შედეგები".

მისი ბიოგრაფიიდან ასევე ვიგებთ, რომ მუსტაფას განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა თავისი ეროვნების მამლუქებთან - ქართველებთან, თუმცა, ეს მას ხელს არ უშლიდა თავის საქმიანობაში. მოხუცებულმა მუსტაფამ მომდევნო მმართველს სადუკ ბეის სთხოვა, რომ იგი ფორმალური მონობისგან გაეთავისუფლებინა, რაც უყოყმანოდ აუსრულეს. მუსტაფა აღა სრულიად უზრუნველყოფილი გარდაიცვალა საკუთარ სახელგანთქმულ ვენახში 1867 წლის 17 თებერვალს, მის დასაფლავებას დაესწრო მმართველი ბეი და ქვეყნის უმთავრესი მოხელეები. მუსტაფას დარჩა ორი შვილი, რომელთა წარმატებასაც მოესწრო.

ისტორიკოსმა ქლენსი-ჯონსმა მიაკვლია მუსტაფა აღას შთამომავლებს თუნისის ქალაქ კრამში და ერთ-ერთ მათგანთან, ქალბატონ ჰასიბა აღასთან ინტერვიუც აიღო. ოჯახში არსებული ზეპირი გადმოცემის თანახმად, პატარა მუსტაფა 1800 წლისთვის საქართველოში სახლიდან მოიტაცეს ცხენოსნებმა, როდესაც ის თავის ძმასთან ერთად ბაღში თამაშობდა. მოგვიანებით, პატარა ტყვე სტამბულში მდიდარ ოჯახში მოხვდა და იქ მიიღო განათლება, რის შემდეგაც მალევე გაიყიდა თუნისში[133].

მუსტაფა აღას შთამომავლები ატარებენ გვარს აღა ან ლაღა (Agha, Lagha), ისინი დღემდე ცხოვრობენ ქალაქ კრამში და თუნისის სხვა ქალაქებში. მუსტაფა აღას ოჯახის და შთამომავლების გენეოლოგიური მონაცემები განთავსებულია ინტერნეტში[134]. ამ ინფორმაციის თანახმად, მუსტაფა აღას ჰყავდა ოთხი ვაჟი და ერთი ქალიშვილი, მისი შვილები და შვილიშვილები თუნისის ბურჟუაზიის აქტიური და გავლენიანი წარმომადგენლები იყვნენ. სხვა ქართველი მამლუქების მსგავსად, მუსტაფა აღას სახელიც შესულია ბურკეს მსოფლიოს სამეფო ოჯახთა გენეალოგიურ სიებში[135].

---

[133] Clansey-Jones, *Mediterraneans*, p. 51

[134] Le Kram1, internet blog https://lekram1.wordpress.com/2010/05/23/le-kramphotos-jc-demais/ [შემოწმებულია 2018 წ. 12 სექტემბერს]

[135] *Burke's royal families of the world*, Vol II, p. 226

ბიოგრაფია №376. აბუ მუჰამმად რაშიდი[136]. იგი სულეიმან ქაჰიას (ბიოგრაფია №237) მამლუქი იყო და პატარაობისას მოხვდა თუნისში. გამოირჩეოდა კარგი სწავლით. გარკვეულ ხანში, რაშიდი მმართველ ჰუსეინ ბეის გადაეცა, რომელმაც იგი თავის შვილს მიუჩინა და სამხედრო საქმე შეასწავლა. რაშიდი მალე გახდა ქალაქ სუსას გარნიზონის ამირა. მან კარგად იცოდა სამხედრო საქმე, იყო პირველი, მათ შორის, ვინც თუნისში სამხედრო წიგნებით დაინტერესდა. იგი დაწინაურდა აჰმად ბეის მმართველობის პერიოდში და მიიღო ამირ ალ-უმარა'ს[137] წოდება.

რაშიდი იმყოფებოდა საფრანგეთში დიპლომატური მისიით. აჰმად ბეიმ იგი აირჩია თუნისის სამხედრო შენაერთის მეთაურად, რომელიც ოსმალეთის დასახმარებლად გაიგზავნა რუსეთის წინააღმდეგ ყირიმის ომში[138]. ოსმალეთის ჯარის მაღალჩინოსანი, ოსმან ბეი, რომელიც ყირიმის ომის პერიოდში ბათუმში მსახურობდა, იქ შეხვდა თუნისის ჯარის ხელმძღვანელებს აფხაზ მამლუქს ხაირ ად-დინს და ქართველ მამლუქს რაშიდს. 1877 წელს ოსმან ბეის გამოცემული მოგონებებიდან ვიგებთ, რომ გენერალ რაშიდ-ფაშას ისტორია ერთ-ერთი ყველაზე დრამატულია მათ შორის, რაც ოსმან ბეის მოუსმენია ამ ომის მსვლელობისას. ოსმან ბეის თანახმად, რაშიდი წარმოშობით ქართველია და დაიბადა იმ ადგილიდან რამდენიმე მილის მოშორებით, სადაც იმ პერიოდში თუნისელებს ჰქონდათ ბანაკი გაშლილი, რაც ბათუმის ან ქობულეთის მიმდებარე ტერიტორია უნდა იყოს. იგი ბავშვობაში ტყეში თამაშისას მოიპარეს და გაიტაცეს ყაჩაღებმა. რაშიდი გაყიდეს სტამბულის მონათა ბაზარზე, საიდანაც მოხვდა თუნისში ბეის სამსახურში. ოსმან ბეის ცნობით, იგი მალე დაწინაურდა და საფაშოში ერთ-ერთ უმდიდრეს და გავლენიან მოხელედ იქცა. იგი იყო სამხედრო, დიპლომატი და სამართალმცოდნე, რაც მთავარია, მმართველი ბეის ფავორიტი. რაშიდი გამოდგა კარგი გენერალი და ბეიმ სწორედ მას ჩააბარა თუნისის საექსპედიციო ჯარის ხელმძღვანელობა. რაშიდ-ფაშას საველე კარავი ძვირფასეულობით იყო გაწყობილი, მისი ცხენები და იარაღი კი ოქროთი და ძვირფასი ქვებით. ამის აღწერისას ოსმან ბეი

[136] იხ. ილუსტრაცია 3
[137] განმარტებისთვის იხ. გვ. 61
[138] ამ ომის შესახებ იხ. გვ. 27-28

სვამს კითხვას – ვის წარმოედგინა, რომ ადამიანი რომელიც აქვე, ადგილობრივ ქართულ სოფელში, ერთი რიგითი გლეხის ქოხში დაიბადა, ამხელა წარმატებას მიაღწევდა. აქვე დასძენს, რომ ოსმალთა ბანაკში ის ხალხიც იმყოფებოდა, ვინც თავის დროზე რაშიდი მოიტაცა და მონად გაყიდა. მათ შორის სახელდება ქართველი ბაშიბუზუკების მეთაური ჰუსეინ-ბეი, სავარაუდოდ იგულისხმება ჰასან ფაშა თავდგირიძის ძმა ჰუსეინი. ეს ოჯახი განთქმული იყო ბავშვების გატაცებითა და მათი გაყიდვით. ამ ხალხის შემხედვარე, ოსმან ბეის თქმით, მძიმე იყო რაშიდ-ფაშას გრძნობების წარმოდგენა[139]. თუმცა, იქვე დასძენს, იქნებ, წინასწარ რომ სცოდნოდა საკუთარი ბედის შესახებ, თუნისში დაბრუნების მაგივრად მშობლიურ მხარეში დარჩენილიყო.

ად-დიაფის ცნობით, რაშიდი წარმატებით გაუძღვა ყირიმის ომის დროს თუნისის ჯარს, თუმცა, დამალა მრავალი თუნისელი ჯარისკაცის გარდაცვალების ფაქტი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 4200 თუნისელი გარდაიცვალა ბათუმსა და ქობულეთში სხვადასხვა დაავადებებისგან. ომიდან დაბრუნებულ რაშიდს დაევალა ახალი სამხედრო გზების გაყვანა, ძველი გზების შეკეთება და ხიდების მშენებლობა. მოგვიანებით, რაშიდი იყო მომდევნო მმართველის სადუკ ბეის მრჩეველი და თუნისის მაჯლისის წევრი.

რაშიდმა მხარი დაუჭირა თუნისის ტახტის პრეტენდენტს პრინც ალ-ʿადილ ბეის, რომლის აჯანყება დამარცხდა 1867 წელს. გენერალი რაშიდი აჯანყებაში მონაწილეობისთვის სიკვდილით დასაჯეს 1867 წლის 14 ოქტომბერს, იგივე მიზეზით დასაჯეს სიკვდილით მეორე მაღალჩინოსანი მამლუქი, წარმოშობით ბერძენი ისმაილ საჰიბ ატ-ტაბი‘. რაშიდის მეუღლე იყო თუნისელი ვაჭრის და გავლენიანი ლარბი ზარრუქის ოჯახის თავკაცის მუჰამმადის ქალიშვილი. როგორც ად-დიაფი აღიშნავდა, რაშიდის სიკვდილით დასჯა ძალიან განიცადეს ჰუსეინიანებმა და მოგვიანებით დიდად ინანეს კიდეც. მამის სიკვდილის შემდეგ მისი შვილი დედის მდიდარი და

[139] Осман-беи, *Воспоминание*, p. 187-189, ავტორი აქვე აღნიშნავდა "…В его же лагере находились те люди, которые когда-то похитили ребенка и продали бею. Похититель паши — Гусейн-бей, в то время командовал нашими грузинскими башибузуками. При виде людей, оторвавших его от родной земли и семейства, трудно определить чувства, наполнявшие душу Решид-паши; один Бог может знать это!"

გავლენიანი ოჯახის მფარველობის ქვეშ იზრდებოდა, მოგვიანებით კი სამხედრო კარიერას გაჰყვა და მუჰამმად ხაირ ად-დინთან მსახურობდა.

ად-დიაფის ბიოგრაფიებდან ასევე ვიგებთ აფხაზი (*ასალუჰუ მინ ალ-აბაზა*) მამლუქის აბუ მუჰამმად ისქანდერ აღას შესახებ (ბიოგრაფია №295). იგი ჰუსეინ ბეის მამლუქი იყო და დაწინაურდა ზავავას სამხედრო ნაწილის აღას თანამდებობაზე, მისი კარიერა თუნისის ჯარში სამსახურით შემოიფარგლა. გარდაიცვალა 1850 წლის 15 ივნისს.

აქვე აღნიშვნის ღირსია განთქმული აფხაზი მამლუქი ხაირ ად-დინი, იგივე ხერედდინი (1820-1890)[140], რომელიც ად-დიაფის ბიოგრაფიებში ცალკე არ არის გამოყოფილი, ვინაიდან თავად მოესწრო ად-დიაფის გარდაცვალებას. ხაირ ად-დინმა საკმაოდ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა როგორც თავისი დროის პროგრესულმა მოაზროვნემ, დიპლომატმა და ფინანსისტმა, ავტორმა შემეცნებითი ხასიათის ტრაქტატისა "ჭეშმარიტი გზა" რომელიც არაბულიდან ითარგმნა და გამოიცა ფრანგულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე[141]. ინგლისურენოვან თარგმანს თან ერთვის ვრცელი შესავალი ხაირ ად-დინის მოღვაწეობის შესახებ. ამ მამლუქს მკვლევართა დიდი ნაწილი ჩერქეზად მიიჩნევდა, თუმცა, იყო მოსაზრებაც, რომ იგი აბაზა ანუ აფხაზეთის მკვიდრი იყო. თანამედროვე ავტორები ხაირ ად-დინის წარმომავლობაზე საუბრისას მიუთითებენ მოჰამედ-სალაჰ მზალის და ჟან პინიონის ნაშრომს, სადაც აფხაზეთი არასწორად ჩერქეზეთის ერთ-ერთ ნაწილად არის მიჩნეული და აღნიშნულია, რომ აფხაზები კავკასიის მთებში მობინადრე ჩერქეზული ტომია[142]. სხვა მკვლევრები, მზალის და პინიონის დასახელებულ სტატიაზე დაყრდნობით, ხაირ ად-დინის სამშობლოდ ჩერქეზეთს ასახელებენ. თურქი მკვლევარი ჩეტინი აკრიტიკებს მზალისა და პინიონის ამ მოსაზრებას და თვალსაზრისს და მიუთითებს აფხაზეთსა და ჩერქეზეთს შორის არსებულ სხვაობას. აქვე ვიგებთ, რომ ის 13 წლის ასაკში აღმოჩნდა

---

[140] იხ. ილუსტრაცია 4

[141] Brown L.C. *The Surest Path; the political treatise of a nineteenth-century Muslim statesmen*. Harvard University Press, 1967

[142] Mzali Mohamed-Salah, Pignon Jean. *Khérédine, homme d'etat documents historiques annotés, t.1. Mémoires*, [Tunis] Maison tunisienne de l'édition [1971], p. 17-18

სტამბულში[143]. მისი აფხაზური წარმომავლობა ასევე აღნიშნულია ვან კრიკენის ხაირ ად-დინისადმი მიძღვნილ კვლევაში[144], იგივე დასკვნა გამოაქვს მკვლევარ ლანსი-სმითს, რომელიც ასევე ამატებს, რომ ხაირ-ად-დინის მამა ჰასსან ლეფჩი (ლაში) ადგილობრივი მეთაური იყო და გარდაიცვალა რუსებთან ბრძოლისას სოხუმში, დაობლებული ხაირ-ად-დინი კი მოგვიანებით მონად გაიყიდა და მოხვდა თუნისში[145].

გუნავას კვლევაში, სადაც აფხაზი მუჰაჯირების შესახებ მოცემულია მუჰაჯირთა სიები, არ ჩანს გვარი ლეფჩი/ ლაში. თუმცა, ხშირია მიმსგავსებული გვარები როგორიცაა ლაბაშია, ლაფან, ლაცვბა, ლაცვიშბა, ლამხაშ, ლაჩია[146].

ისტორიკოს ბრაუნის ცნობით, ხაირ ად-დინს უშედეგო მცდელობა ჰქონდა მოეძებნა მათ საცხოვრებელზე რუსთა თავდასხმის შედეგად დაკარგული მშობლები და დედმამიშვილები. ხაირ ად-დინს თავად მიაჩნდა, რომ ეგვიპტის ერთ-ერთი უმაღლესი რანგის ოსმალო მოხელე მისი ძმა იყო, თუმცა მისი ვინაობის საჯარო გამხელას მოერიდა[147]. უკვე ნახსენები ოსმან ბეის მემუარებში ხაირ ად-დინის შესახებ ახალი და საინტერესო ფაქტებიც იკვეთება. ავტორისთვის ცნობილია, რომ ხეირედდინ-ფაშა წარმოშობით იყო სოხუმიდან, ჯერ კიდევ ბავშვი გაიყიდა თავის ორ ძმასთან ერთად სტამბულის ბაზარზე. მისი ძმები იავერ-ბეგი და მუხლის-ბეგი (Явер-бег и Мухлис-бег) სულტნისთვის შეიძინეს, ხაირ ად-დინი კი თუნისის მმართველზე გაყიდეს. იავერ ბეგი საუკეთესო მხედარი იყო სულტნის კარზე, მის ძმას მუხლის-ბეგს კი ლეიტენანტის წოდება ჰქონდა. მემუარების თანახმად, მუხლისი და ხაირ ად-დინი მრავალწლიანი განშორების შემდეგ პირველად ერთმანეთს ბათუმის სამხედრო ბანაკში შეხვდნენ[148]. თუმცა, როგორც ცნობილია, ხაირ ად-დინი ყირიმის ომის პერიოდში პარიზში იმყოფებოდა და აქედან შორს არ უმოგზაურია, მისი სოხუმში ან ბათუმში ყოფნა სხვა წყაროებით არ დასტურდება. ვფიქრობთ, იგი საკუთარი მშობლების შესახებ

---

[143] Çetin, Atilla. Tunuslu Hayreddin Paşa, Ankara, 1999, p. 17-20

[144] Van Krieken, *G. S. Khayr al-Dîn et la Tunisie: 1850-1881,* Brill Archive, 1976, p. 9

[145] Clancy-Smith, Julia Ann. *Mediterraneans: North Africa and Europe in an Age of Migration, C. 1800-1900,* Berkley, California: University of California Press, 2011, p. 320

[146] ბეჟან ხორავა, *აფხაზთა მუჰაჯირობა*, თბილისი, 2014, გვ. 161, 178, 183, 185, 186

[147] Brown, *The Surest path,* p. 51

[148] Осман-беи, *Воспоминание 1855 года,* p. 188-189, ავტორი აქვე ასკვნის “проданные накануне, на другой день становятся визирями”

ინფორმაციის გაგებას სწორედ თუნისური ჯარის საქართველოში ყოფნის პერიოდში შეეცდებოდა.

თუნისში მოღვაწე ქართველ მამლუქთა ზემოთ აღწერილი ბიოგრაფიები საშუალებას გვაძლევს უფრო დეტალურად განვიხილოთ როგორც ამ საფაშოში ჩამოყალიბებული მამლუქთა ინსტიტუცია, ისე ქართველ მამლუქთა როლი და ადგილი თუნისის ოსმალურ ელიტაში.

ქართველი მამლუქები თუნისში უმეტესად სტამბულის მონათა ბაზრის გავლით ხვდებოდნენ. მამლუქი აბუ მუჰამმად ხაირ ად-დინ ქაჰია (ბიოგრაფია №323) სტამბულში შეიძინა და ჰამმუდა ბეის საჩუქრად ჩამოუყვანა მამლუქმა იუსუფ საჰიბ ატ-ტაბი'იმ. თუნისელმა ვაჭარმა მაჰმუდ ჯალულიმ სტამბულში შეიძინა მცირეწლოვანი აბუ ნ-ნუხბა მუსტაფა საჰიბ ატ-ტაბი'ი (ბიოგრაფია №342) და საჩუქრად ასევე ჰამმუდა ბეის ჩამოუყვანა. როგორც ბიოგრაფიებიდან ვიგებთ, მამლუქები თუნისში ჩამოჰყავდათ როგორც ადრეულ ასაკში, ისე ზრდასრულობისას. ოთხი ქართველი მამლუქის, მუსტაფა ხუჯას (ბიოგრაფია №36), აბუ მუჰამმად ხაირ ად-დინის (ბიოგრაფია №323), აბუ ლ-მაჰასინ იუსუფის (ბიოგრაფია №372) და აბუ მუჰამმად რაშიდის (ბიოგრაფია №376) შესახებ ალ-დიაფი მიუთითებს, რომ ისინი პატარა ბავშვები იყვნენ, როდესაც პირველად მოხვდნენ თუნისის ბეის სასახლეში. აბუ ლ-მაჰასინ იუსუფი, ჰამმუდა ბეის მამლუქებთან ერთად, ჰამმუდას ღვიძლი შვილივით იზრდებოდა, ხოლო პატრონის გარდაცვალების შემდეგ ჯერ ისევ მცირეწლოვანი იუსუფი მომდევნო მმართველმა მუსტაფა ბეიმ აიყვანა და თავის შვილთან, საფაშოს მომავალ მმართველთან აჰმად ბეისთან ერთად ზრდიდა. პატარა ასაკში მამლუქთა თუნისში შემოყვანა არ იყო იშვიათი მოვლენა. მაგალითისთვის, ად-დიაფი ნეაპოლელი მამლუქის ჰუსეინ ხოჯას ბიოგრაფიაში ახსენებს, რომ თუნისში ჩამოყვანილ ჰუსეინს ჯერ კიდევ არ ამოსვლოდა წინა კბილები (ბიოგრაფია №332).

ად-დიაფი ასევე გამოარჩევდა ორ შემთხვევას როდესაც მამლუქებმა ცუდად იცოდნენ არაბული ენა და საუბრისას მძიმე, უცხო აქცენტი ჰქონდათ. ვფიქრობთ, ეს მათი თუნისში ჩამოყვანის უფრო ზრდასრულ ასაკზე მეტყველებს. ასეთები იყვნენ აბუ

რ-რაბი‘ სულეიმან ალ-ავვალი (ბიოგრაფია №62) და აბუ ლ-მაჰასინ იუსუფ ქაჰია დარ ალ-ბაშა (ბიოგრაფია №215).

ქართველ მამლუქთა ბიოგრაფიებში ძმებიც ფიგურირებენ, ად-დიაფის მიხედვით აბუ ალ-ფიდა’ ისმა‘ილ ქაჰია (ბიოგრაფია №2) და აბუ ალ-ჰასან ‘ალი ბუზღაია (ბიოგრაფია №67), ასევე აბუ მუჰამმად რაშიდ ხუჯა (ბიოგრაფია №140) და აბუ ლ-მაჰასინ იუსუფ ქაჰია (ბიოგრაფია №215) იყვნენ თუნისში ერთდროულად მოხვედრილი ძმები. პირველი ძმების შესახებ ად-დიაფისგან ვიგებთ, რომ მათ უთანხმოება მოუვიდათ, მეორეთა შესახებ კი პირიქით, მათ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და ისინი ერთად არიან დაკრძალული. მსგავსი ისტორიები კიდევ ერთხელ გვახსენებს საქართველოში მონათვაჭრობის გამანადგურებელ ეფექტს, როდესაც არცთუ იშვიათად, ქართული ოჯახების მთელი შრომისუნარიანი და ახალგაზრდა თაობა მონებად გაჰყავდათ საზღვარგარეთ.

განხილული ბიოგრაფიებიდან ვიგებთ, რომ ახალგაზრდა ქართველ მონებს იძენდნენ როგორც თუნისის მმართველი ოჯახის, ისე ადგილობრივი მმართველი კლანის წარმომადგენლები, მათ შორის მამლუქები, ვაჭრები და ჰუსეინიანთა დინასტიასთან დაახლოებული მოხელეები. დასახელებული ქართველი მამლუქებიდან ოთხი (№2, №36, №62, №67) ეკუთვნოდა ‘ალი ბეის (1759-1782), რვა (№111, №140, №215, №237, №323, №342, №358, №372) ჰამმუდა ბეის (1782-1814), ერთი (№373) კი, მუსტაფა ბეის (1835-1837). სულ მცირე ორი ქართველი მამლუქი იყო სხვა მამლუქის ან მმართველი კლანის სხვა წევრის საკუთრება (№287, №376).

თუნისში შემოყვანის შემდეგ მამლუქები იზრდებოდნენ თავიანთი პატრონების მიერ მიჩენილი მასწავლებლების მიერ. როგორც წესი, ჰუსეინიანთა დინასტიის ახალგაზრდა წევრებიც მამლუქებთან ერთად ეუფლებოდნენ ზოგად განათლებას. ჰამმუდა ბეი, ‘უსმან ბეი, მაჰმუდ ბეი, ჰუსეინ ბეი, მუსტაფა ბეი და აჰმედ ბეი მამლუქებთან ერთად სწავლობდნენ სასახლეში არსებულ სასწავლებელში. სწავლის მიღმა, მამლუქები ახალგაზრდა ჰუსეინიანებთან ერთად თამაშობდნენ, ვარჯიშობდნენ, მოგზაურობდნენ და ცხოვრობდნენ ბარდოს სასახლეში. მოგვიანებით, სწორედ ეს მამლუქები ხდებოდნენ მმართველის ყველაზე სანდო და ერთგული ადამიანები, მათი უახლოესი გარემოცვა.

თუმცა, მამლუქებს მკაცრად ზრდიდნენ და რიგ შემთხვევებში სასტიკადაც ეპყრობოდნენ.

სწორედ ზედმეტმა სიმკაცრემ გამოიწვია სამი ქართველი მამლუქის გაბედული, თუმცა წარუმატებელი რევანში, რომელიც მათი აღმზრდელის წინააღმდეგ იყო მიმართული. ახალგაზრდა მამლუქებს სასტიკად ეპყრობოდა იმ პერიოდის მამლუქთა ზედამხედველი, გავლენიანი რუმინელი/მოლდოველი მამლუქი იუსუფ საჰიბ ატ-ტაბი'ი. ამ მამლუქის დაუნდობელ ხასიათს აღნიშნავს უკლებლივ ყველა უცხოური თუ ადგილობრივი წყარო. ასევე ყველა მათგანი მიუთითებს ჰამმუდა ბეისა და თუნისის მმართველ წრეებზე მის შეუზღუდავ ძალაუფლებასა და გავლენაზეც. გაუსაძლის პირობებში მყოფმა სამმა მამლუქმა, რომლებსაც მაკგილლი ქართველებად ასახელებს, გადაწყვიტეს ჰამმუდა ბეის მოკვლა და მკვლელობის გადაბრალება იუსუფ საჰიბ ატ-ტაბი'ისათვის. ისინი მძინარე ბეის დაესხნენ თავს, მაგრამ ჰამმუდა ბეის მამაცობის, იუსუფ საჰიბ ალ-ტაბი'ის, ქართველი მამლუქების სულეიმან ქაჰიას (ბიოგრაფია №237) და იუსუფ ქაჰია დარ ალ-ბაშას (ბიოგრაფია №215) თავგანწირვის გამო ვერ მიაღწიეს მიზანს. ერთი თავდამსხმელი სულეიმანმა მოკლა, ხოლო დანარჩენმა ორმა მამლუქმა თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე[149], მოგზაური მაკგილლი აღნიშნავდა, რომ მათ შორის ყველაზე უფროსი 16 წლისაც არ იქნებოდა.

აქვე საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ მაკგილლი შეცდომით მიიჩნევდა გავლენიან იუსუფ საჰიბ ალ-ტაბი'ს ქართველად, თუმცა ად-დიაფის მიხედვით, ეს მამლუქი წარმოშობით იყო მოლდოველი (*ბუღდან*). მაკგილლის აზრს იმეორებს ამერიკელი მორდეჰაი ნოა, რომელიც 1815 წელს იმყოფებოდა თუნისში, მისი აზრით იუსუფ საჰიბ ატ-ტაბი'ი იყო ქართველი[150].

ისტორიკოს ჯუვარას ცნობით, მოლდოველი მამლუქი იუსუფი 23 წლისა იყო, როდესაც 1758 წელს ის ერთმა დიდებულმა შეიძინა და თუნისში ჩამოიყვანა[151]. ის ფაქტი, რომ მაკგილლს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი თანამდებობის მქონე მამლუქი

---

[149] Al-Ḍiyāf. *Itḥāf ahl al-zamān*. vol 3, p. 27-28; MacGill, *Account of Tunis*, p. 22-25.

[150] Noah, *Travels*, p. 258

[151] Neagu Djuvar. *Un ancient captive Moldave, Grand Vizir de Tunisie au tornant du VXIIIe au XIXe siècle*. Revue Des Etudes Sud-Est Europeennes, Tome XXX, 1992, Nos 3-4, p. 359-363

ქართველად მიაჩნდა, თავისთავად ბადებს ეჭვს, რომ ამ ავტორისთვის ტერმინი მამლუქი ქართველთან იყო ასოცირებული. თუმცა მაკგილლის წყაროს ჭეშმარიტება, ამ შემთხვევის გარდა, როგორც წესი, ად-დიაფის და სხვა ევროპელთა ცნობებითაც დასტურდება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მაკგილლმა თუნისამდე იმოგზაურა იტალიაში, საბერძნეთში, თურქეთში და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს გასწვრივ, შესაბამისად, მისთვის ადრეც იქნებოდა ცნობილი ქართველთა შესახებ.

მამლუქის აღზრდის რთული გზა მდგომარეობდა არა მხოლოდ კარგ სწავლასა და განათლებაში, არამედ, დავალებული საქმის თავის გართმევასა და პატრონის ერთგულების საქმით დამტკიცებაში. მამლუქები უმეტესად სამხედრო კარიერას ირჩევდნენ, განსაკუთრებით ნიჭიერ ახალბედა მამლუქებს აწინაურებდნენ აღას თანამდებობაზე. აღა ოსმალურ ადმინისტრაციაში მაღალი რანგის სამხედრო ოფიცრის წოდება იყო[152]. თუმცა, აღას წოდების მამლუქები თუნისში მონაწილეობდნენ როგორც სამხედო სფეროში, ისე სასამართლოს და პროვინციული ადმინისტრაციის მართვა-გამგეობაშიც. წარმატებულ და იღბლიან ახალგაზრდა მამლუქებს შორის აღას წოდება მოიპოვეს ʻალი ბუზღაიამ (ბიოგრაფია №67), იუსუფ ქაჰიამ (ბიოგრაფია №215), მუჰამმად შულაკ ალ-გურჯიმ (ბიოგრაფია №230), სულეიმან ქაჰიამ (ბიოგრაფია №237), აჰმად ალ-ჯაზირიმ (ბიოგრაფია №287), ხაირ ად-დინ ქაჰიამ (ბიოგრაფია №323), ისმაʻილ ქაჰიამ (ბიოგრაფია №358) და მუსტაფა აღამ (ბიოგრაფია №373). სამი მათგანი, ʻალი ბურღული, აჰმად ალ-ჯაზირი და მუსტაფა აღა (ბიოგრაფიები №67, №287, №373) მალევე დაწინაურდნენ ბაშ აღას – უფროსი ოფიცრის თანამდებობაზე. ამ თანამდებობაზე მყოფი მამლუქები ხელმძღვანელობდნენ თურქულ ან ადგილობრივ მხედრობას. XIX საუკუნეში ბაშ აღა ხელძღვანელობდა თუნისური ჯარის ნაწილებს რომლებიც დისლოცირებული იყვნენ ქალაქ თუნისში, კაირუანში, ლე კეფში, ბეჯაში და სხვა ქალაქებში[153].

ქართველ მამლუქთა ნაწილი დარ ალ-ბაშას ან ქაჰია ბი-დარ ალ-ბაშას თანამდებობზე დაწინაურდა. ეს ტიტული მოიპოვეს ʻალი ბუზღაიამ (ბიოგრაფია №67), იუსუფ ქაჰიამ

[152] Bayerle Gustav. *Pashas, Begs and Effendis*, The Isis Press, Istanbul, 1997, p. 8
[153] Kraiem, *La Tunisie Precoloniale*, p. 158-159

(ბიოგრაფია №215) და ხაირ ად-დინ ქაჰიამ (ბიოგრაფია №323). დარ ალ-ბაშას ევალებოდა თუნისში თურქული ჯარის ხელმძღვანელობა, მათი ხელფასით და სხვა საჭიროებებით უზრუნველყოფა[154]. სამხედრო კარიერა აირჩია მამლუქმა რაშიდმა (ბიოგრაფია №376). იგი თავიდან ქალაქ სუსას ამირა იყო, რაც პოლკოვნიკის ჩინის ოსმალო სამხედრო მოხელეს ნიშნავდა. წარმატებების მიღწევის შემდეგ, რაშიდი დააწინაურეს ამირ ალ-უმარა'ს თანამდებობაზე, რაც ოსმალურ არმიაში მირმირანის, ხოლო ფრანგულ არმიაში, დივიზიის გენერლის წოდებას უტოლდებოდა[155]. ადგილობრივი კავალერიის ზავავას ამირა იყო კიდევ ერთი ქართველი მამლუქი იუსუფი (ბიოგრაფია №372).

სხვა მამლუქები, რომლებიც სამხედრო კარიერას არ ირჩევდნენ, ასევე იკავებდნენ ოსმალურ ადმინისტრაციულ თანამდებობებს და ხუჯას/ხოჯას ტიტულით სარგებლობდნენ. ოსმალეთში ხოჯა, როგორც წესი, გადამწერთა, ფინანსისტთა, განმანათლებელთა ტიტული იყო, თუნისში ხოჯას ევალებოდა იმპერიის ცენტრთან ურთიერთობა და საჭიროების შემთხვევაში, დიპლომატიური მისიებით მოგზაურობა სტამბულში, მეზობელ საფაშოებში და ევროპულ სახელმწიფოებში[156]. ხოჯას ტიტულის მფლობელი იყო ქართველი მამლუქი მუსტაფა (ბიოგრაფია №36). იგი თავდაპირველად იყო ხაზინადარი, რაც ოსმალურ ადმინისტრაციაში სახელმწიფო ხაზინაში უფროსი ხელმძღვანელის საკმაოდ პრესტიჟული თანამდებობა იყო[157]. ბარდოს სასახლეში განთავსებული თუნისის საგანძურის ზედამხედველი და მცველი იყო აბუ მუჰამმად რაშიდ ხოჯა (ბიოგრაფია №140), მის მოვალეობაში საფაშოს ფინანსების აღრიცხვა და მართვაც შედიოდა. ად-დიაფის ბიოგრაფიებში გვხვდებიან ქართველი მამლუქები რომლებიც დიპლომატიურ მოვალეობებს ასრულებდნენ. აბუ ნ-ნაჯათ სალიმ ხუჯა (ბიოგრაფია №111), რომელიც თუნისის მმართველმა არაერთხელ გააგზავნა დიპლომატიური დავალებებით სტამბულში და ალჟირში, ხოლო აბუ ნ-ნუხბა მუსტაფა აღა (ბიოგრაფია №373) სტამბულსა და ტრიპოლის საფაშოში. აქვე ვხედავთ, ხოჯას

[154] Kraiem, *La Tunisie Precoloniale*, p. 160; Oualdi, *Esclaves*, p. 41
[155] Oualdi, *Esclaves*, p. 413
[156] იქვე, p. 417
[157] Kenneth J. Perkins. *Historical Dictionary of Tunisia*, African Historical Dictionalies, No. 45, 1989, p. 75

ტიტულის მქონე ორ ქართველ მამლუქს სალიმს და რაშიდს, რომლებიც თუნისში თურქული ენის საუკეთესო ცოდნით გამოირჩეოდნენ (ბიოგრაფია №111 და №140). საინტერესოა, რომ ად-დიაფი ამა თუ იმ მამლუქის ბიოგრაფიაში მიუთითებს მათ მიერ მეცნიერების და სწავლულთა მფარველობაზე, წიგნიერებაზე და განათლების სიყვარულზე. მაგალითისთვის, მუსტაფა ხოჯა (ბიოგრაფია №36) ერთი პერიოდი წიგნების შეკეთებით ირჩენდა თავს, მუსტაფა აღას (ბიოგრაფია №342) განსაკუთრებით აინტერესებდა ისტორიული და რელიგიური შინაარსის წიგნები, ხოლო მუჰამმად რაშიდს სამხედრო წიგნები იტაცებდა (ბიოგრაფია №376). მეცნიერთა მფარველებად და გულშემტკივრებად სახელდებიან მუჰამმად ხაირ ად-დინი (ბიოგრაფია №323) და მუსტაფა საჰიბ ატ-ტაბი‘ი (ბიოგრაფია №342).

უნდა აღინიშნოს, რომ მამლუქს მისი პირველი თანამდებობა, მაგალითად აღა, ხოჯა, ქაჰია, ხშირად რჩებოდა ტიტულატურაში, მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით გაცილებით მაღალ თანამდებობას იკავებდა. ამის მაგალითია აბუ ნ-ნუხბა მუსტაფა (ბიოგრაფია №342), რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ იყო ვეზირი, ინარჩუნებდა აღას წოდებას.

ახალგაზრდობაში დაწყებული კარიერა რიგ შემთხვევებში სრულდებოდა თუნისის საფაშოს უმაღლესი თანამდებობების მოპოვებით. უმაღლეს პირთა შორის სახელდება ხუთი ვაზირი, მათ შორისაა ისმა‘ილ ქაჰია, მუსტაფა ხუჯა, აბუ რ-რაბი‘ სულეიმან ქაჰია, აბუ ნ-ნუხბა მუსტაფა საჰიბ ატ-ტაბი‘ი და მუსტაფა აღა (ბიოგრაფიები №2, №36, №237, №342 და №373). ვაზირის ტიტულის მფლობელი, როგორც წესი, კონკრეტულ ადმინისტრაციულ ან სამხედო თანამდებობას ასრულებდა და შესაბამის ტიტულსაც ფლობდა. ოთხ მამლუქს ისმა‘ილ ქაჰიას, სულეიმან ალ-ავვალს, სულეიმან ქაჰიას და აბუ ალფიდა’ ისმა‘ილ ქაჰიას (ბიოგრაფიები №2, №62, №237 და №358) ეკავათ ქაჰია ალ-მაჰალლას თანამდებობა. ამ თანამდებობის პირი წარმათავდა სამხედრო ექსპედიციას თუნისის საფაშოში მოსახლე ჯერიდის, საჰელის, ალ-ა’რადის და სხვა ტომებთან ყოველი წლის ზამთრის ან გაზაფხულის განმავლობაში[158]. ექსპედიციის მიზანი

[158] Perkins. *Historical Dictionary of Tunisia,* p. 82; Oualdi, *Esclaves,* p. 417

გადასახადების აკრეფა და თუნისში მოსახლე ტომთა ერთგულების დადასტურება იყო. როგორც უკვე აღინიშნა, ალ-მაჰალლა XVI საუკუნის ბოლოდან ტარდებოდა, ბეი ალ-მაჰალლა ერთი ხანობა ქართველი მამლუქი რამადანიც იყო. თუმცა, დროთა განმავლობაში ალ-მაჰალლამ დაკარგა თავისი ფუნქცია და მნიშვნელობა. ამ ექსპედიციას, ჯარის თანხლებით, წარმართავდა ქვეყნის მმართველი ბეი, მისი მემკვიდრე ან ნაცვალი, რომელსაც ქაჰია ალ-მაჰალლა ეწოდებოდა. ეს უკანასკნელი ფაქტობრივად იყო მეორე პირი სამხედრო საქმეებში და ადმინისტრაციაში და ბეის არყოფნის დროს განკარგავდა ხელისუფლებას. ალ-მაჰალლას სამხედო ექსპედიციის ჩატარებას ჰუსეინიანი მმართველები ყველაზე სანდო, გამოცდილ და დაწინაურებულ მამლუქებს ანდობდნენ[159].

მამლუქთა შორის ვხვდებით კიდევ ერთ უმაღლესი თანანმდებობის პირს აბუ ნ-ნუხბა მუსტაფას, რომელსაც პატივისცემის ნიშნად ახალგაზრდობაშივე მიენიჭა საპატიო საჰიბ ატ-ტაბი'ის ტიტული (ბიოგრაფია №342). ამ თანამდებობის პირი მმართველის პირადი ბეჭდის მფლობელი იყო. ის იყო პირი, ვისი ზედამხედველობის ქვეშ შედიოდა მმართველის მთელი ადმინისტრაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუსტაფას ეს ტიტული პატივისცემის ნიშნად ეწოდა, რეალურად კი იგი არ ასრულებდა ბეჭდის მფლობელის მოვალეობებს. საჰიბ ატ-ტაბი'ის თანამდებობას ფლობდნენ სხვა ეროვნების მამლუქები, მათ შორის იყო ქართველი მამლუქების მეგობარი და თანამოაზრე ჩერქეზი შაქირ საჰიბ ატ-ტაბი'ი (ბიოგრაფია №226). ჰუსეინიანთა კართან განსაკუთრებული ურთიერთობის კარგ მაგალითს წარმოადგენს სულეიმან ქაჰია (ბიოგრაფია №237), რომელსაც პატივი ჰქონდა ორჯერ ჩაეტარებინა თუნისში ახალი ბეისადმი ერთგულების ფიცის დადების ცერემონიალი *ბაი'ა.* როგორც წესი, მას ჰუსეინიანთა ოჯახის უხუცესი და გამორჩეული წევრი წარმართავდა. გარდაცვლილი მმართველის მემკვიდრეს გამორჩეული პირი გადასცემდა. ად-დიაფის თანახმად, ამ ცერემონიალის ჩატარების პატივის, ზოგჯერ ქვეყნის მეორე პირს მამლუქსაც შეეძლო[160].

[159] იხ. ილუსტრაცია 5
[160] Brown. *The Tunisia of Ahmad Bey,* p. 106-107

საინტერესოა ისიც, რომ მამლუქებს ჰუსეინიანთა მმართველობის ზოგ ეპიზოდში მეტი ნდობა ჰქონდათ, ვიდრე მათ უახლოვეს ნათესავებს. დემეერსემანი აღნიშნავს, რომ სასახლის დატოვებისას ბეის ყოველთვის თან მიჰყავდა თავისი ძმები და ბიძაშვილები, იმის შიშით, რომ სასახლეში მათ, მარტო დარჩენილებს, გადატრიალება არ მოეწყოთ[161]. ყოველდღიური საფრთხის წინაშე მყოფი ბეისთვის ყველაზე თავდადებული, ერთგული, ძლიერი და გავლენიანი მომხრე, ოჯახის შიგნით, მასთან ბავშვობიდან შეზრდილი მამლუქი იყო[162]. ამ ურთიერთობის კარგი მაგალითია მუსტაფა საჰიბ ატ-ტაბი‘ი (ბიოგრაფია №342). როგორც ცნობილია, აჰმად ბეიმ საფრანგეთში მისი ვიზიტის წინ თუნისის ფაქტიური გამგებლობა სწორედ ამ ქართველ მამლუქს ანდო.

ბიოგრაფიებში ვხვდებით მამლუქებს, რომლებიც თუნისის მაჯლისში – უმაღლეს მმართველ საბჭოში მოღვაწეობდნენ. რა’ის ალ-მაჯლის ალ-ქაბირი, დიდი მაჯლისის თავმჯდომარე იყო აბუ ნ-ნუხბა მუსტაფა საჰიბ ატ-ტაბი‘ი (ბიოგრაფია №342). მაჯლისის გავლენიანი წევრები იყვნენ აბუ რ-რაბი‘ სულეიმან ქაჰია (ბიოგრაფია №237) და აბუ მუჰამმად რაშიდი (ბიოგრაფია №376).

ოუალდის მიერ გამოვლენილი საარქივო დოკუმენტების მიხედვით ვიგებთ, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებში თუნისის მაჯლისის (Consil superieur) 59 წევრიდან 14 იყო მამლუქი[163]. იმის მიუხდავად, რომ მამლუქები XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თუნისში ფაქტობრივად აღარ შემოჰყავდათ, ისინი მაინც მრავლად იყვნენ წარმოდგენილნი ამ საფაშოს ცენტრალურ და პროვინციულ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე.

ისტორიკოს კრაიემის მიერ გამოვლენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ 1863 წლისთვის მამლუქებს ჯერ ისევ ეკავათ კა’იდის – პროვინციული გამგებლის თანამდებობა თუნისის უმთავრეს ქალაქებში, მათ შორის ლარადში, ჯერბაში, სფაში, მეთელითში, მონასთირში, სუსსაში, კაირუანში, ელ ჯერიდში, უართანში, უალედ

[161] Demeerseman. *Categories sociales en Tunisie*, p. 245-246

[162] თუნისელი მამლუქების ჯგუფური ნახატებისთვის იხ. ილუსტრაციები 6, 7 და 8

[163] Oualdi. *Esclaves et maîtres*. Annex 4, p. 429

იაქუბში, ოალედ იაჰიაში, რიაჰში, ალედ ბუსალემში, ჯენდუბაში, თაბარაკაში, მატეურში, ბიზერტაში, ლა მარსაში და სხვაგან[164].

ად-დიაფის თხზულების მიხედვით ფრანგი მკვლევარი ანდრე დემეერსემანი ასკვნიდა, რომ თუნისში მმართველი ოჯახის მიერ მამლუქთათვის ჰუსეინიანთა ოჯახის პრივილეგიების ანუ თუნისში არსებული არისტოკრატიის წოდების მინიჭებისათვის ორი გზა არსებობდა. პირველი აღინიშნებოდა ტერმინით *თაბანნი* (არაბ. შვილად აყვანა), რაც გულისხმობდა მამლუქის შეძენას, მის დაახლოებას და აღზრდას. მამლუქის აყვანის შედეგად ბეის შვილსა და მამლუქს შორის ძმური კავშირი მყარდებოდა, რის მაგალითადაც დემეერსემანი ბერძენ მამლუქს ისმა‘ილ მეორეს (*ასსანი*) ასახელებს და აღნიშნავს, რომ ბეისა და მისი შვილის განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო ამ მამლუქს ბეის შვილად (არაბ. *ვულდ ალ-ბაი*) მოიხსენიებდნენ. მეორე გზა იყო ქორწინების გზით შექმნილი ურთიერთობა (არაბ. *მუსაჰარა*)[165].

თუნისში ბეის ქალიშვილები, გარდა მამლუქებისა სხვა ცნობილ და გავლენიან პიროვნებებზეც თხოვდებოდნენ, მაგრამ მამლუქებზე დაქორწინება უფრო მიღებული იყო. როგორც ვნახავთ, ასეთი პრაქტიკა მხოლოდ თუნისისთვის არ იყო დამახასიათებელი, მმართველი კლანის ქალთა ერთგულ მამლუქებზე ან რენეგატებზე დაქორწინების პრაქტიკა გავრცელებული იყო მეზობელ ალჟირისა და ტრიპოლის საფაშოებშიც.

ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მიხედვით, თუნისის ბეის მიერ მამლუქისთვის ქალიშვილის მითხოვების ტრადიცია ჰუსეინიანთა დინასტიის დამაარსებელს ჰუსეინ იბნ ‘ალის (1705-1735) სახელს უკავშირდება. მან ორი ქალიშვილი მამლუქებს მიათხოვა, პირველი ითხოვა მამლუქმა შალბიმ, რომელმაც 1705 სიკვდილისგან იხსნა მმართველი[166]. დაუზუსტებელი ინფორმაციით, მისი მეორე ქალიშვილი მამლუქ სულეიმან ალ-ჰაჯ ქაჰიაზე გათხოვდა.

---

[164] Mustapha Kraiem. *La Tunisie Precoloniale*, Tome I, Etat, Gouvernment, Administration, Éditeur Société Tunisienne de Diffusion, 1973, p. 132-133, 169-171

[165] Demeerseman. *Categories sociales en Tunisie*, p. 254

[166] Brown. *The Tunisia of Ahmad Bey*, p. 30

‘ალი ბეის (1759-1782) ხუთი ქალიშვილიდან სამი მამლუქზე გათხოვდა. უფროსი ქალიშვილი მიათხოვეს ქართველ მამლუქს მუსტაფა ხუჯას (ბიოგრაფია №36). ცოლის გარდაცვალების შემდეგ, მუსტაფამ ცოლის უმცროსი და ხადიჯა შეირთო ცოლად. ‘ალი ბეის კიდევ ერთი ქალიშვილი მიათხოვეს ქართველ ვეზირს აბუ ალ-ფიდა’ ისმა‘ილ ქაჰიას (ბიოგრაფია №2).

მუსტაფა ხუჯას და ისმა‘ილ ქაჰიას ქორწინებებთან დაკავშირებით საინტერესო ცნობაა დაცული საფრანგეთის საკონსულო მიმოწერაში. 1780 წლის 21 ნოემბრის წერილი, რომელიც თუნისში საფრანგეთის კონსულმა დუროშერმა გაუგზავნა საფრანგეთის საზღვაო და კოლონიების მინისტრს დე კასტრის, იუწყება, რომ ბეის უფროს ქალიშვილზე დაქორწინების შედეგად ისმა‘ილ ქაჰიას გავლენა თუნისში გაიზარდა. ამ დროისათვის იგი თუნისის საბაჟო უწყებას განაგებდა, რაც, თავის მხრივ, ყველაზე პრესტიჟულ და შემოსავლიან თანამდებობად ითვლებოდა[167]. იმავე წერილით ირკვევა, რომ ქართველმა მუსტაფა ხუჯამ ასი ათასი პიასტრი შესთავაზა ‘ალი იბნ ჰუსაინ ბეის მეუღლეს რათა ისიც ისმა‘ილ ქაჰიას მსგავსად დაეწინაურებინათ და ბეის ქალიშვილი მიეთხოვებინათ[168]. გარიგებამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ თავად ბეის ქალიშვილმა აღარ ისურვა მუსტაფა ხუჯას ცოლობა, რის გამოც ქორწინება გაურკვეველი დროით გადაიდო[169]. თუმცა, საფრანგეთის კონსული დე კასტრი აღნიშნავს, რომ მუსტაფა ხუჯასა და ბეის უმცროსი ქალიშვილის ქორწინება ისედაც მოსალოდნელი იყო[170]. ზემოდასახელებული ქართველები - მუსტაფა ხუჯა და ისმა‘ილ ქაჰია ბურკეს მსოფლიოს სამეფო ოჯახთა გენეოლოგიებში სწორედ ამ ქორწინებების შედეგად მოხვდნენ[171].

ად-დიაფის თანახმად, ჰამმუდა ბეის დის და ქართველი მამლუქის ვეზირ აბუ ალ-ფიდა’ ისმა‘ილ ქაჰიას (ბიოგრაფია №2) ერთი ქალიშვილი ქართველ მამლუქს იუსუფ

---

[167] Plantet, *Correspondance des Beys de Tunis*, p. 114, წერილი № 239.

[168] 1780 წლისათვის 1 ოსმალური პიასტრი 2 ფრანგულ ფრანკს უდრიდა. Zafer Toprak. *From Imperial Debt to Global Offerings.* Istanbul, Mepa, 1995 (ეს ინფორმაცია მოვიპოვეთ ინტერნეტის მეშვეობით, იხ. www.ata.boun.edu.tr).

[169] Plantet, *Correspondance des Beys de Tunis*, p. 117, წერილი №243.

[170] იქვე, p. 115

[171] *Burke's royal families of the world*, Vol II, p. 225

ქაჰია დარ ალ-ბაშას (ბიოგრაფია №215), ხოლო მეორე ასევე ქართველ ხაირ ად-დინ ქაჰიას (ბიოგრაფია №323) მიათხოვეს. როგორც ისმა'ილ ქაჰიას ბიოგრაფიიდან ირკვევა, უმამოდ დარჩენილი გოგონების აღზრდა-პატრონობა ჰამმუდა ფაშამ იკისრა, ისინი ჰუსეინიანთა ოჯახს ეკუთვნოდნენ და მათი ქმრებიც, ბუნებრივია, ამ ოჯახის წევრები გახდნენ.

ბეის მიერ ქალიშვილის ერთგულ მამლუქებზე მითხოვების ტრადიცია თუნისის მომავალი მმართველების მიერაც გრძელდებოდა. მაჰმუდ ბეიმ (1814-1824) თავისი ქალიშვილი ლალლა აზიზა ქართველ ვეზირ აბუ რ-რაბი' სულეიმან ქაჰია ლ-მაჰალლას (ბიოგრაფია №237) მიათხოვა. როგორც სულეიმანის ბიოგრაფიაში ითქვა, ეს ქორწინება შერიგების და ძველი პოზიციების შენარჩუნების გარანტიას წარმოადგენდა სულეიმანისთვის. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ ქართველი სულაიმან ქაჰიას შთამომავლები თუნისის ამჟამინდელი სამეფო ოჯახის ერთ-ერთ შტოს წარმოადგენენ (მდედრობითი ხაზით).

ჰუსეინ ბინ მუჰამმადის (1824-1835) ერთი ქალიშვილი ლალლა მამია ალ-ქაბირა ქართველ აბუ ლ-ფიდა' ისმა'ილ *ქაჰიას* მიათხოვეს (ბიოგრაფია №358), მეორე, ლალლა აიშა კი ჩერქეზ მამლუქს რაშიდ ალ-შაქირ საჰიბ ატ-ტაბი'ის (ბიოგრაფია №226). მისი გარდაცვალების შემდეგ შაქირის ცოლი ისევ მამლუქს, კარა 'უსმან საჰიბ ატ-ტაბი'ს მიათხოვეს (ბიოგრაფია №403). ჰუსეინ ბეიმ კიდევ ერთი ქალიშვილი მიათხოვა სიცილიელ ჰუსაინ ხუჯას (ბიოგრაფია №332). ჰუსეინ ბეის ღვიძლ დაზე იქორწინა ბერძენმა მამლუქმა ისმა'ილ მეორემ (ბიოგრაფია №377).

მუსტაფა ბეიმ (1835-1837) ქალიშვილები ოთხ მამლუქზე გაათხოვა. მისი სიძეები იყვნენ ქართველი აბუ ნ-ნუხბა მუსტაფა საჰიბ ატ-ტაბი'ი (ბიოგრაფია №342), ქართველი ვეზირი აბუ ნ-ნუხბა მუსტაფა აღა, (ბიოგრაფია №373), ბერძენი მუსტაფა ხაზინადარი (გიორგიუს სტრაველაკისი) და რამადან ბაშ მამლუქი[172]. ყოფილმა მონამ, გენერალმა აჰმად ზარრუკმა ცოლად შეირთო მუჰამმად იბნ ჰუსეინ ბეის (1855-1859) და მისი ძმის მომდევნო ბეის მუჰამმად ას-სადიკ ფაშას (1859-1882) და[173].

---

[172] *Burke's royal families of the world*, Vol II, p. 226

[173] Demeerseman. *Categories sociales en Tunisie*, p. 254.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, მამლუქთა ფენასთან დაახლოვებით ჰუსეინიანთა ოჯახი ცდილობდა გარშემო ძლიერი და ერთგული ქვეშევრდომები შემოეკრიბა. ერთგულ მამლუქებს შემდგომში ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაშიც წამყვანი როლი ეკისრებოდათ. მმართველ ოჯახთან დანათესავებულ მამლუქებს ხშირად ვხედავთ როგორც ქვეყნის მაღალ სამხედრო-პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, ისე, თუნისის დიპლომატიურ წარმომადგენლებად ინგლისში, საფრანგეთში, სტამბულში და მაღრიბის მეზობელ საფაშოებში.

ქვეყნის მმართველთა მსგავსად, თუნისის მმართველი ელიტის სხვა წარმომადგენლებიც ცდილობდნენ მამლუქებთან დანათესავებას. ალ-დიაფის თანახმად, მუჰამად იბნ ალ-ვაზირმა, რომელიც თუნისის ცნობილ და გავლენიან ოჯახს ალ-არბი ზარრუკს ედგა სათავეში, ქალიშვილი ქართველ მამლუქს რაშიდს (ბიოგრაფია №376), ხოლო აბუ ლ-ჰუსაინ ‘ალი ალ-ჯაზირიმ ქალიშვილი საკუთარ მამლუქს აჰმად ალ-ჯაზირის (ბიოგრაფია №287) მიათხოვა. ბაბ ას-სავაიქას შეიხმა ‘ალი მუჰავადმა ქალიშვილები ქართველ მამლუქ სალიმ ხუჯას (ბიოგრაფია №111) და უცნობი წარმოშობის შაქირ ალ-მამლუქს (ბიოგრაფია №154) მიათხოვა.

როგორც ისტორიკოსი ბრაუნი აღნიშნავს, ამ ქორწინებით შეიხმა ‘ალი მუჰავადმა, გარდა იმისა, რომ თუნისის პოლიტიკურ არენაზე მყოფი ორი ძლიერი პიროვნება დაიმოყვრა, თავისი ავტორიტეტიც განიმტკიცა და ქვეყნის მმართველ წრესთან კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარებაც შესძლო[174].

თავად მამლუქების ქალიშვილებიც სხვა მამლუქებზე თხოვდებოდნენ. ქართველი მამლუქის მუჰამმად რაშიდის ქალიშვილი ბერძენ ისმა‘ილ ას-სანის - ჰუსეინ ბეის სიძეს მიათხოვეს (ბიოგრაფია №377). ფრანგი მკვლევარი რემონი ად-დიაფის IV და V ტომების ფრანგული თარგმანის კომენტირებისას აღნიშნავს, რომ ქართველ სულეიმან ქაჰიას ნათესავი ცოლად ითხოვა ბერძენმა მამლუქმა აბუ ლ-მასსარა ფარჰათ ალ-მამლუქმა[175].

---

[174] Brown L.C. *The Tunisia of Ahmad Bey,* p. 127

[175] Raymond Andre. *Ibn Abi L-Diaf Present aux homes de notre temps Chronique des rois de Tunis et Du Pacte Fondamental chaptires IV et V.* t. 2, Tunis, 1994, გვ. 141.

ჰუსეინიანი გამგებლები არა მარტო თავიანთ ქალიშვილებს და ოჯახის წევრებს ათხოვებდნენ მამლუქებზე, ისინი თავადაც ხშირად ირთავდნენ ცოლად მოტაცებულ და მონათა ბაზრებზე შეძენილ ქალებს. ჰუსეინიანთა ოჯახის გენეალოგიიდან ცნობილია, რომ ამ დინასტიის დამფუძნებელმა ჰუსეინ იბნ ʻალი ათ-თურქიმ (1705-1735) ცოლად მოიყვანა გენუელი მონა[176], ხოლო ერთ-ერთი გვიანდელი ხანის მოგზაური ჟარდინი აღნიშნავს, რომ ჰუსეინ იბნ ʻალის ჩერქეზი ცოლი ჰყავდა, სახელად ლილლა ენფისა[177], ჟარდინი ასევე ზოგადად აღწერს ბეის ცოლთა ყოფა-ცხოვრებას. თუმცა მისთვის, როგორც მამაკაცისთვის, ქალებისათვის განკუთვნილ სასახლის ნაწილში შესვლა აკრძალული იყო და იმოწმებს მისი კომპანიონი ქალბატონების ნაამბობს. ყოფილი ქრისტიანი მონა, ფატიმა ითხოვა მუჰამმად ალ-რაშიდ იბნ ჰუსაინმაც (1756-1759). მომდევნო მმართველს ʻალი იბნ ჰუსაინის (1759-1782) სამი ცოლი ჰყავდა, ქართველი მონა სახელად მაჰბუბა[178], სარდინიელი მონა და ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის შთამომავალი საიიდა ფატიმა.

როგორც საფრანგეთის საკონსულოს უკვე ნახსენები წერილიდან ირკვევა, ʻალი იბნ ჰუსეინის ცოლს საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა როგორც მეუღლეზე და ჰუსეინინათა ოჯახზე, ისე თავად ბეის და მისი მინისტრებისა თუ ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირების ურთიერთობებზე. ვფიქრობთ, საუბარია ქართველ მაჰბუბაზე, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი არ წერს ამ პიროვნების სახელს, ვვარაუდობთ, რომ სწორედ მაჰბუბა იყო ʻალი იბნ ჰუსეინის მთავარი და ყველაზე გავლენიანი ცოლი. ეს დასკვნა გამოდინარეობს იქიდან, რომ მაჰბუბა ბეის ცოლთა ჩამონათვალში ყოველთვის პირველი მოიხსენიება და იგი ორი მომავალი მემკვიდრის დედა იყო, რაც ბეის ჰარემში მაჰბუბას განსაკუთრებულ ადგილზე მიუთითებს.

ბურკეს სამეფო ოჯახთა ცნობარის მიხედვით, შემდგომმა მმართველმა ჰამმუდა ბეიმ ცოლად ბერძენი მონა მოიყვანა[179]. ამერიკელი დიპლომატი მორდეხაი ნოა ასახელებს ულამაზეს ქრისტიან გოგონას, რომლის ცოლად მოყვანაც გადაწყვეტილი ჰქონდა ბეის.

---

[176] *Burke's royal families of the world*, Vol II, p. 225

[177] Alexander Jardine. *Letters from Barbary, France, Spain, Portugal &c by an English officer*. t. 1, London,1788, გვ. 46

[178] Al-Ḍiyāf, *Itḥāf ahl al-zamān*. vol 3, p. 13

[179] *Burke's royal families of the world*, Vol II, p. 225

ჰამმუდა მის აღზრდასა და განათლებას დიდ ყურადღებას უთმობდა. საუბედუროდ, გოგონა ადრეულ ასაკში გარდაიცვალა[180]. მსგავს ინფორმაციას გვაწვდის შოტლანდიელი მოგზაური და მეწარმე მაკგილლი, რომელიც აზუსტებს, რომ გოგონა თუნისში 8 წლის ასაკში მოხვდა დედამისთან ერთად და იგი საქართველოდან იყო. ორივე წყარო აცხადებს, რომ ამ ულამაზესი ქალიშვილის სიკვდილის შემდეგ ჰამმუდამ ხელი აიღო ცოლის მოყვანაზე. მოგზაურ მაკგილლის მიხედვით ჰამმუდა ფაშას "ავხორცობას მრავალი ახალგაზრდა ქართველი ქალი შეეწირა"[181], მის ჰარემშიც მრავალი ტყვე იყო და სავარაუდოდ ბევრი მათგანი იყო საქართველოდან მოტაცებული.

ჰამმუდას ძმამ 'უსმან ბეიმაც ასევე მონა ქალი შეირთო ცოლად[182]. მუსტაფა იბნ მაჰმუდ ბეიმ (1835-1837) ცოლად მოიყვანა სარდინიელი მონა[183], მოგვიანებით აჰმად ბინ მუსტაფა ბეიმ (1837-1855) ცოლად მოიყვანა მამლუქ შალბის შვილთაშვილი. 'ალი იბნ ჰუსაინ ბეის (1882-1902) ერთადერთი ცოლი ჰყავდა, რომელიც იყო ჩერქეზი[184].

ბეის შვილებიც ხშირად ირთავდნენ ცოლად მოტაცებულ ქალებს. ამის მაგალითებია 'ალი ფაშა იბნ მუჰამმადის (1735-1756) შვილები იუნისი და მუსტაფა, რომელებმაც ქრისტიან მონებზე იქორწინეს[185]. ჰუსაინ იბნ მაჰმუდ ბეის (1824-1835) შვილმა ჰამმუდამ თავისი ბაბუის, მაჰმუდ იბნ მუჰამმად ბეის (1814-1842) გაზრდილი მხევალი შეირთო ცოლად[186]. ბურკეს სამეფო ოჯახთა ცნობარში მრავალი ცნობაა ჰუსეინიანთა და მამლუქთა შვილების და შვილიშვილების დაწყვილების შესახებ[187].

ოსმალეთის იმპერიის მსგავსად, თუნისის მმართველთა და ზოგადად ელიტის წარმომადგენელთა ჰარემებშიც მრავლად იყვნენ ტყვე ქალები, მათ შორის ქართველებიც.

---

[180] Noah. *Travels*, p. 253.
[181] MacGill. *An Account of Tunis*, p. 19
[182] *Burke's royal families of the world*, Vol II, p. 225
[183] იქვე, p. 226
[184] იქვე, p. 227
[185] იქვე, p. 225
[186] იქვე, p. 226
[187] იქვე. 225-229

ფრანგი დიპლომატი დე პარადი, აღნიშნავდა, რომ თუნისის ბეიებს ცოლად მოჰყავდათ ქართველი ქალები, რომლებსაც ისინი კონსტანტინოპოლში იძენდნენ[188]. ასევე ვიგებთ, რომ თუნისში ქართველი ქალები ცოლად არა მხოლოდ უმაღლესი ელიტის წარმომადგენლებს, არამედ შეძლებულ ვაჭრებსაც ჰყავდათ. ამის მაგალითია ერთი თურქი ვაჭრის ულამაზესი ქართველი ცოლის უიღბლო ამბავი, რომელიც ბრიტანელმა დიპლომატმა აღწერა თავის სამოგზაურო მოგონებებში[189].

თუნისის მამლუქთა ჰარემებში ევროპელთა ოჯახის წევრებიც ხვდებოდნენ. საინტერესო ცნობას ვხვდებით საფრანგეთის საკონსულო წერილებში, რომლებიც ბაშ მამლუქის სახელით ცნობილი ჰუსეინ ხუჯას ჰარემს ეხება. როგორც ირკვევა, ჰუსეინ ხუჯას ჰარემში გაუსაძლის პირობებში იმყოფებოდა კუნძულ ხიოსზე (რომელიც ოსმალეთის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა) დანიის ყოფილი ვიცე-კონსულის ქალიშვილი და მეუღლე, რომლებიც დაატყვევეს 1822 წელს ვიცე-კონსულის გარდაცვალების შემდეგ და საბოლოოდ თუნისში გაყიდეს, სადაც ისინი ბაშ მამლუქის ჰარემში აღმოჩნდნენ. წერილიდან ირკვევა, რომ ჰუსეინ ხუჯას ჰარემს მისი მეუღლე, თუნისის ბეის ქალიშვილი განაგებდა. კონსულის ინფორმაციით, წარმოუდგენლად აუტანელ პირობებში მყოფ დანიის ვიცე-კონსულის ქალიშვილს და ცოლს ყოვლად უღირსად ეპყრობოდნენ, რის გამოც საფრანგეთის დიპლომატები თუნისის ბეისთან აპირებდნენ ჩივილს[190].

საინტერესო ცნობებს ვხვდებით ადგილობრივი ელიტის ჰარემებისთვის განკუთვნილი ქართველი ქალების თუნისში შემოყვანის თაობაზე. ბრიტანულ არქივებში არაერთი ცნობაა მაღრიბში და კერძოდ თუნისში ქრისტიანი ქალების იქ ჰარემებში გასაყიდად შეყვანის შესახებ. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, 1831 წლის სექტემბერში ავსტრიულმა სავაჭრო ხომალდმა სხვა საქონელთან ერთად თუნისში სამი ქართველი ქალი ჩამოიყვანა მმართველი კლანისთვის მისაყიდად[191].

---

[188] De Paradis. *Tunis et Alger au XVIIIe siece*, p. 26-27

[189] Blaquiere, Edward. *Letters from the Mediterranean, containing a civil and political account of Sicily. Tripoly, Tunis, and Malta*, London, 1813, p. 194

[190] Plantet. *Correspondance des Beys de Tunis*, p. 684, წერილი №1368, p. 686, წერილი №1375

[191] Clancy-Jones, *Meditteraneans*, p. 104

1846 წელს მონათვაჭრობის აკრძალვის მიუხედავად, თუნისში ქართველ ქალთა შემოყვანა XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც გრძელდებოდა. ისტორიკოს ოუალდის მიერ მოკვლეული საარქივო მასალის თანახმად, 1854 წელს თუნისში დააკავეს ავსტრიული სავაჭრო ხომალდი, რომელზეც იმყოფებოდა ოთხი ქართველი ქალი. მათ შესაძლებლობა მიეცათ გემიდან თუნისში გადმოსულიყვნენ როგორც თავისუფალი სტატუსის მქონე ადამიანები[192]. სავარაუდოდ, ისინი უკვე გამოსყიდულები იყვნენ თუნისის წარჩინებულ ოჯახთა მიერ.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს საკმაოდ დასაბუთებული თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ XVII-XVIII საუკუნეების ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციაში არსებობდა ეთნიკური სოლიდარობა, რომელიც ოსმალურ ისტორიულ წყაროებში აღინიშნება ტერმინით ჯინს[193]. ოსმალეთში სხვადასხვა მხარეებიდან გამოყვანილი ტყვეები (მამლუქები ან ჰარემისთვის განკუთვნილი ქალები) ერთმანეთისადმი იჩენდნენ სოლიდარობას, რაც გამოიხატებოდა სხვა დაჯგუფებების წინააღმდეგ ძალაუფლებისა და გავლენისთვის ბრძოლის დროს ურთიერთმხარდაჭერასა და ალიანსში. სოლიდარობა ასევე გამოიხატებოდა ოსმალურ ადმინისტრციაში დაწინაურების, ან მაღალი თანამდებობის მოპოვებისთვის თანადგომაში. პროფესორი მეთინ ქუნთი ორ ძირითად "დასავლელთა" და "აღმოსავლელთა" დაჯგუფებას გამოარჩევს. დასავლელები ბალკანეთის და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებიდან, ხოლო აღმოსავლელები ჩერქეზეთიდან, აფხაზეთიდან და საქართველოდან იყვნენ.

ისტორიკოსების და აღმოსავლეთმცოდნეების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ოსმალეთის იმპერიის ცენტრსა და პერიფერიებში გამოავლინა ეთნიკური სოლიდარობის მრავალი მაგალითი. ეს ტენდენცია შეიმჩნევა XVIII საუკუნის მეორე ნახევარის ეგვიპტეში კაზდაღლის სახლის დაჯგუფებაშიც, რომლის ბირთვს საქართველოდან სხვადასხვა დროს მოტაცებული ტყვეები შეადგენდნენ.[194] ეთნიკური

---

[192] Oualdi, M'hamed. *Esclaves et maîtres*, p. 223

[193] Kunt, Metin. *Ethnic-Regional (Cins) Solidarity in the Seventeenth-Century Ottoman Establishment*. - International Journal of Middle Eastern Studies, vol. 5, 1974, p 233-239

[194] Crecelius, Djaparidze. *Relations of the Georgian Mamluks of Egypt with their Homeland in the Last Decades of the Eighteenth Century*, Journal of the Economic and Social History of the Orient, vol.45, pt.3, August 2002. გვ. 1-22.

სოლიდარობის ფაქტებს ვხვდებით ერაყის ქართველ მამლუქებსა და სტამბულის ქართველ დიდვაზირთა შორის[195].

ისტორიკოსი ბრაუნი აღნიშნავდა, რომ თუნისის სახელმწიფო სტრუქტურაში ბეის შემდგომი საფეხური მამლუქებს ეკავათ[196], არსებობდა თანამდებობები რომელთა დაკავებას არამამლუქი მოხელეები უბრალოდ ვერც იფიქრებდნენ. ისტორიკოსი ოუალდი ად-დიაფის თხზულების ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ XVIII-XIX საუკუნეებში ჯერ ქართველი მამლუქები, შემდგომში კი ჩერქეზი მამლუქები ცდილობდნენ თავიანთი ეთნიკური ინტერესები გაეტარებინათ და მოეპოვებინათ ოსმალური პროვინციული ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობები და ამ პროცესში ისინი საკუთარ სასაუბრო ენასაც იყენებდნენ სასახლეში. კავკასიური წარმოშობის მამლუქთა დაწინაურება, ოუალდის აზრით, თუნისის მმართველთა მხრიდან ერთგვარ განაცხადს წარმოადგენდა, რაც კარგად ეწერებოდა იმ პერიოდის ოსმალურ ადმინისტრაციულ წესებსა და ტენდენციებში[197].

კავკასიელ მამლუქთა განსაკუთრებულ მდგომარეობაზე საუბრობდა ჰოლანდიის ელჩი თუნისში ნისენი, რომლის თანახმად ჯერ კიდევ 1788 ჰამმუდა ბეი ცდილობდა თურქების ჩანაცვლებას ადგილობრივებით და თავისი ერთგული ქართველებით[198]. მოგზაური თომას მაკგილლი აღნიშნავს, რომ ჰამმუდა ბეიმ თანდათანობით ჩამოაშორა თურქული ელემენტი მმართველ წრეს და მათ მაგივრად თავისი ერთგული ქართველები დანიშნა. ამის გამო, როგორც მაკგილლი ასკვნიდა, თუნისის ხელისუფლება აღარ უნდა ჩაითვალოს თურქულად. 1807 წელს თუნისში მისი ყოფნისას, ჰამმუდა ბეის უშუალო გარემოცვა და ქვეყნის მმართველი წრე ძირითადად

---

[195] თოფურიძე ირაკლი, *მამლუქთა ეპოქა ერაყში*, თბილისი 2015. მაგალითად შეიძლება ერაყში მოღვაწე ქართველი დაუდ ფაშას იგივე დავით მანველაშვილის მოყვანა, რომელმაც არაერთი ქართველი შემოიკრიბა და დააწინაურა. მას რეგულარული ურთიერთობა ჰქონდა საქართველოში დარჩენილ ოჯახთან, რომლებიც ყმობიდან გამოისყიდა.

[196] Brown. *The Tunisia of Ahmad Bey*, p. 102

[197] Oualdi, *Mamluks in Ottoman Tunisia*, p. 480

[198] Monchicourt. *Documents historiques sur la Tunisie*, p. 13

მამლუქებისაგან შედგებოდა და ამ ავტორის აზრით, მათ შორის ქართველები ჭარბობდნენ.[199]

როგორც ად-დიაფის ბიოგრაფიებიდან ირკვევა, XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში ქართველი მამლუქები უმრავლესობაში იყვნენ ჰუსეინიანთა კარზე. ცხადია, უპირატესი თანამდებობების მოსაპოვებლად მამლუქთა შორის მუდმივად მიმდინარეობდა მწვავე კონკურენცია. ამის მაგალითებს ვხედავთ ზოგიერთი ქართველი მამლუქის ბიოგრაფიაში.

საინტერესოა ად-დიაფის ინფორმაცია ქართველი მუჰამმად შულაკის (ბიოგრაფია №230) შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ იგი სხვებისაგან არაფრით გამოირჩეოდა. მიუხედავად ამისა, მისი ქართული წარმომავლობა საკმარისი იყო რათა მაღალ თანამდებობაზე ჰქონოდა პრეტენზია. ბიოგრაფიის ავტორის აზრითაც, არაფრით გამორჩეული ეს მამლუქი სწორედ მისი ქართული წარმომავლობის გამოისობით დაწინაურდა, ამ მიზეზითვე მოხვდა შულაკი ალ-დიაფის ბიოგრაფიებში. აღსანიშნავია, რომ მის ამ ამბიციას მხარს უჭერდა გავლენიანი ჩერქეზი მამლუქი და მმართველის ბეჭდის მფლობელი შაქირ საჰიბ ატ-ტაბი'ი. მის ბიოგრაფიაში ალ-დიაფი აღნიშნავს, რომ ისინი ვინც შაქირის მფლობელობაში მყოფ მამლუქთა შორის დაწინაურდება, ან ჩერქეზია ან ქართველი. თავად მუჰამმად შაქირი არ-რუმის წარმომავლობის ადამიანებს მამლუქთა ფენისათვის შეუფერებლად მიიჩნევდა და მათ ადგილობრივ მოსახლეობას უტოლებდა[200]. არ-რუმ აღნიშნავდა ხმელთაშუაზღვისპირეთში მოსახლე ბერძენ და ანატოლიელ ქრისტიანებს. ად-დიაფი ასევე მიუთითებდა, რომ მუჰამმად შაქირ საჰიბ ატ-ტაბი'ის კუთვნილი უიღბლო ბერძენი მამლუქები მხოლოდ საკუთარი თავის იმედით იყვნენ, რადგან არც ჯინსი და არც წარმომვლობა მათ დაწინაურებაში არ გამოადგებოდათ.

ად-დიაფი აღნიშნავდა, რომ ქართველ მუჰამმად შულაკს (ბიოგრაფია №230) და ჩერქეზ მუჰამმად შაქირ საჰიბ ატ-ტაბი'ის (ბიოგრაფია №226) ეზიზღებოდათ (يكرهون)

[199] MacGill. *An Account of Tunis*. p. 14, 29-35.

[200] Al-Ḍiyāf, *Itḥāf ahl al-zamān*, vol 8, p. 29

ბერძენი წარმომალობის მამლუქები[201]. ისტორიკოს ბრაუნის აზრით, ეს ზიზღი იმით აიხსნება, რომ ქართველებიც და ჩერქეზებიც ისლამის მიმდევრები იყვნენ და რომ მათ და ბერძნებს სწორედ რელიგია აშორებდათ[202]. ცხადია, ეს თვალსაზრისი მცდარია. არსებული წესით, ის მონები, რომლებიც მამლუქები უნდა გამხდარიყვნენ, არ შეიძლებოდა მუსლიმები ყოფილიყვნენ, ამ პრაქტიკას მუსლიმური სამართალი კრძალავდა. თუმცა, გამონაკლისი იყო ჩერქეზეთი, სადაც ამ თემის წევრთა გაყიდვა დაშვებული იყო. თუნისში მამლუქთა შორის დაპირისპირება გამოწვეული იყო არა რელიგიური მოტივით, არამედ მამლუქთა შორის პირველობისთვის ბრძოლით. დროთა განმავლობაში "აღმოსავლელი" მამლუქები ბუნებრივად ჩაანაცვლეს "დასავლელმა" მამლუქებმა.

მამლუქთა ურთიერთსიახლოვეზე საუბრისას ად-დიაფი აღნიშნავდა, რომ ქართველ მუსტაფა აღას (ბიოგრაფია №373) განსაკუთრებით უყვარდა და ამაყობდა თავისი ტომის მამლუქებით. თუმცა, ამას სხვა ეროვნების მამლუქების წინაშე საკუთარი უპირატესობის დასამტკიცებლად არ აკეთებდა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მუსტაფა აღას სახლში გაშენებული ჰქონდა ვენახი, რომელიც სახელგანთქმული იყო მთელს თუნისში, იგი სწორედ ამ ვენახში გარდაიცვალა უკვე ღრმად მოხუცებული.

ეთნიკური სოლიდარობა ქართველ და ზოგადად აღმოსავლელ მამლუქებს შორის იმის მაუწყებელია, რომ მათ, იმისდა მიუხედავად, რომ ბავშვობის ასაკში იქნენ გაყიდულნი, კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული თავიანთი წარმომავლობა. სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია ისიც, რომ ისინი ინარჩუნებდნენ მშობლიურ ენას და შესაძლოა იყენებდნენ მას ერთმანეთთან საურთიერთოდ, როგორც ამას ვარაუდობს პროფესორი ოუალდი[203].

ეთნიკური სოლიდარობის თვალსაზრისით საინტერესოა ისმა'ილ ქაჰიას (ბიოგრაფია №2) ცხოვრება, რომელიც საქართველოში დაიწყო და ჩვენი ინფორმაციით იტალიაში ქალაქ ტოსკანაში დასრულდა დევნილობაში. ის და მისი ძმა, ბევრი მისი თანატოლის მსგავსად, საქართველოდან მოიტაცეს და გაყიდეს. თუნისის საფაშოში დაწყებული

---

[201] Al-Ḍiyāf, *Itḥāf ahl al-zamān,* vol 8, p. 184

[202] Brown. *The Tunisia of Ahmad Bey,* p. 50-51

[203] Oualdi, *Mamluks in Ottoman Tunisia,* p. 480

კარიერის გაგრძელება ისმა‘ილს იმპერიის ცენტრში მოუწია. იქ კი მისი თანამემამულის, იმპერიის უმაღლესი ადმირალის დახმარებით გახდა ჯერ კაპუდან ფაშას თანაშემწე, მოგვიანებით კი, ეგვიპტის და მორეას ფაშა. როგორც დავინახავთ, ჰასან კაპუდან ფაშას დახმარებით არაერთმა მაღრიბის საფაშოებში მოხვედრილმა ქართველმა მამლუქმა შთამბეჭდავ სამხედრო თუ ადმინისტრაციულ თანამდებობას მიაღწია ოსმალეთის ცენტრსა და პროვინციებში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ, თუნისში ჰუსეინიანთა დინასტიის მმართველობის პერიოდში ქართული წარმომავლობის სხვა მამლუქებიც მოღვაწეობდნენ, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო არ, ან ვერ მოხვდნენ ად-დიაფის ბიოგრაფიებში. ამაზე მიუთითებს თუნისის არქივებში გამოვლენილი და 1831-1832 წლებით დათარიღებული მამლუქთა სიაც. 140 მამალიქ ბი-ლ-სქიფას შორის 40 მამლუქს მითითებული აქვს წარმომავლობა. გამოვლენილია თერთმეტი ნეაპოლელი, ცხრა ქართველი, ხუთი სიცილიელი და სხვა ეროვნების მამლუქები[204]. ქართველ მამლუქთა არსებობა ამ, შედარებით დაბალი იერარქიის ჯგუფში იმაზე მიგვანიშნებს, რომ ად-დიაფის ბიოგრაფიებში მხოლოდ განსაკუთრებით გამორჩეული ქართველი მამლუქები მოხვდნენ, და რომ მათი რაოდენობა გაცილებით მეტი უფრო უნდა ყოფილიყო თუნისის საფაშოში.

საინტერესოა ისიც, რომ გვხვდება ორიოდე ცნობა თუნისში მოღვაწე ქართველი მამლუქების საქართველოში ჩამოსვლის შესახებ. აბუ მუჰამმად რაშიდზე (ბიოგრაფია №376) საუბრისას უკვე ვახსენეთ, რომ ეს მამლუქი იყო ოსმალური არმიის მაღალჩინოსანი და ბათუმში დისლოცირებული თუნისური ჯარის ერთ-ერთი მეთაური. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, ოსმან-ბეის უკვე დასახელებული და ნაკლებად სანდო წყაროს გარდა, სხვა წყარო არ არსებობს, რომელიც ამ მამლუქის საქართველოში ყოფნაზე ან თავის მშობლებთან კავშირზე დამატებით ცნობებს მოგვცემდა. თუმცა, დადასტურებულად ვიცით კიდევ ერთი თუნისელი სამხედროს საქართველოში ყოფნის შესახებ, რომელიც ად-დიაფის ბიოგრაფიებში არ არის მოხსენიებული. რობერტ მანტრანის მიერ მოძიებული და გამოქვეყნებული დოკუმენტებით ირკვევა, რომ

[204] T. Bachrouch. *Les elites Tunisiennes du pouvir et de la devotion*. Tunis, 1989, გვ. 529.

ყირიმის ომის მსვლელობისას ბათუმში დისლოცირებულ თუნისის ჯარში ირიცხებოდა მეორე კლასის მულაზიმი (ლეიტენანტი) ოსმან ბენ მეჰმედი, რომელმაც 1854 წლის 20 ოქტომბერს ბათუმიდან თხოვნის წერილი გაუგზავნა მეჰმედ ჰუსრევ ფაშას. წერილის მოკლე შინაარსიდან ვიგებთ, რომ თუნისის არმიის ლეიტენანტ ოსმანს მოუნახავს თავისი მშობლები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ და ცხოვრობდნენ ბათუმთან ახლოს მდებარე სოფელ ჩურუკსუში (იგულისხმება ქობულეთი). ოსმანი სთხოვს ფაშას დროებით დათხოვნას მათ მოსანახულებლად[205]. უცნობია ეს პიროვნება ადგილობრივი რეკრუტია თუ თუნისში მყოფი ქობულეთის ყოფილი მკვიდრი. თუმცა, მისი სამხედრო წოდება და სპეციფიურად თუნისის ჯარში მსახურობა, ასევე ამ წერილის ადრესატი, გვაძლევს საბაბს ვიფიქროთ, რომ ოსმან ბინ მეჰმედი საქართველოდან თუნისში მოხვედრილი მამლუქია. სხვა შემთხვევაში, ადგილობრივი ჯარისკაცი, რომელიც სხვადასხვა მიზეზთა გამო აღმოჩნდა თუნისის არმიის სიებში, ვერ გაბედავდა თავისი მშობლების მოსანახულებლად დათხოვნას და ამისთვის უმაღლესი მთავარსარდლის მოცდენას.

ცნობილია, რომ სხვა ეროვნების მამლუქებს უცდიათ მშობლებთან კავშირის დამყარება, ზოგიერთ შემთხვევებში კი ისინი თუნისშიც მოუწვევიათ. ერთ-ერთი მათგანია ბერძენი მამლუქის მუსტაფა ხაზანადარი, რომელმაც თავისთან ჩამოიყვანა დედა[206]. ად-დიაფის თხზულებიდან ვიგებთ, რომ იმ მამლუქებს, რომლებიც წარმოშობით იყვნენ საბერძნეთიდან და ხმელთაშუა ზღვის კუნძულებიდან, რეგულარული ურთიერთობა ჰქონდათ მშობლებთან და თავისთან ხშირად ჩამოჰყავდათ ოჯახის წევრები.

მამლუქთა ფენა თუნისის მმართველი ბეის საყრდენ ძალას წარმოადგენდა XIX საუკუნის 70-იან წლებამდე ანუ, იმ პერიოდამდე, როდესაც ქვეყანაში ფაქტობრივად შეწყდა მამლუქთა იმპორტი და მამლუქთა ფენა თანდათან ჩაანაცვლა ადგილობრივმა ელიტამ, რომელიც ზოგიერთ მოხუც მამლუქს და მათ შთამომავლებსაც მოიცავდა.

---

[205] Mantran. *Inventaire des documents*, p. 11, წიგნში წარმოდგენილია დოკუმენტების მხოლოდ მოკლე თარგმანი ფრანგულ ენაზე

[206] Brown. *Tunisia of Ahmad Bey*, p. 51

ად-დიაფი საინტერესო ინფორმაციას იძლევა ქართველ მამლუქთა შთამომავლების შესახებაც. ზოგიერთი მათგანი თუნისის მმართველი ოჯახის ახლო ნათესავი იყო დედის ხაზით და შესაბამისად, თუნისის მმართველი ელიტის ნაწილს წარმოადგენდა. ისმა'ილ ქაჰიას (ბიოგრაფია №2) ორივე ქალიშვილი მამლუქებზე გათხოვდნენ, ვიცით, რომ მისი ერთი შვილიშვილი მოგვიანებით სტამბულში მოღვაწეობდა. სასახლეში დიდი პატივით სარგებლობდნენ სულეიმან ქაჰიას (ბიოგრაფია №237) შვილები რომლებიც ჰუსეინიანთა ნათესავები იყვნენ. მმართველი ბეის სამსახურში იყვნენ მუჰამმად ხაირ ად-დინ ქაჰიას (ბიოგრაფია №323) შვილები, რომლებიც ჰუსეინიანებს დედის ხაზით ენათესავებოდნენ. მუსტაფა საჰიბ ატ-ტაბი'ის (ბიოგრაფია №342) და მუსტაფა აღას (ბიოგრაფია №373) შვილებიც დაახლოვებული იყვნენ ჰუსეინიანთა კართან.

ად-დიაფისთვის ცნობილი იყო არა მხოლოდ მმართველ ოჯახთან დანათესავებული, არამედ სხვა მამლუქების შთამომავლების შესახებაც. მაგალითისთვის, ად-დიაფი ახსენებს აჰმად ალ-ჯაზირის (ბიოგრაფია №287) შვილს და შვილიშვილს, ისმა'ილ ქაჰიას (ბიოგრაფია №358) შვილს, აბუ ლ-მაჰასინ იუსუფის შვილს (ბიოგრაფია №372), რომელიც თუნისის პრემიერ-მინისტრთან ბერძენ მამლუქთან მუსტაფა ხაზინადართან მუშაობდა და სიკვდილით დასჯილი აბუ მუჰამმად რაშიდის (ბიოგრაფია №376) შვილს რომელიც აფხაზ მამლუქთან ხაირ ად-დინთან მსახურობდა.

საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით თუნისში მყოფი ირლანდიის სამეფო ლეგიონის კაპიტნის კლარკ კენედის მოგონებებში, რომლის მიხედვითაც ჰუსეინიანთა ოჯახის პრივილეგიები არა მხოლოდ მამლუქებზე, არამედ მათ შვილებზეც ვრცელდებოდა. ბეის სასახლის აღწერისას კენედი აღნიშნავს, რომ ერთ-ერთ ოთახში იგი ესაუბრა აჰმად ბეის დისწულებს და საჰიბ ატ-ტაბი'ის ორ მცირეწლოვან ვაჟს, რომელთაგანაც უფროსი შვიდი-რვა წლისა თუ იქნებოდა. ისინი სასახლის სხვა მობინადრეთაგან არ გამოირჩეოდნენ. მათი სამოსი გაწყობილი იყო ჰუსეინიანთა ოჯახის წევრთათვის დამახასიათებელი ატრიბუტებით, რომელთაგანაც გამოირჩეოდა მმართველი ოჯახის წევრთა ნიშნები - კისერზე ჩამოკიდებული ბრილიანტის თვლებით მოჭედილი ორდენი

და მმართველი ოჯახისთვის დამახასიათებელი ქუდი[207]. ეს ორი მცირეწლოვანი ბავშვი ქართველი ვეზირის აბუ ნ-ნუხბა მუსტაფა საჰიბ ატ-ტაბი'ს (ბიოგრაფია №342) და მუსტაფა ბეის ქალიშვილის მაჰბუბას შვილები იყვნენ. მათი შთამომავლები დღემდე ატარებენ საჰიბ ატ-ტაბი'ის გვარს (Saheb Ettabaa). ამ თავისი დიდი წინაპრის შესახებ წიგნი დაწერა ქალბატონმა სებაიმ. ასევე აღვნიშნეთ, რომ ქართველი მუსტაფა აღას (ბიოგრაფია №373) შთამომავლები დღემდე ცხოვრობენ თუნისში ქალაქ კრამში და ატარებენ გვარს აღა/ ლაღა (Aga/Laga).

საკუთარი მამლუქი წინაპრების შესახებ თუნისის არაბულ და ფრანგულენოვან ინტერნეტ ფორუმებსა და პუბლიკაციებშიც ვხვდებით გადაუმოწმებელ და ფრაგმენტულ ამბებს. ასე მაგალითად, თუნისის ამჟამინდელი პრეზიდენტის მოჰამედ ბეჯი კაიდ ესსებსის ბიოგრაფიიდან ვიგებთ, რომ მისი წინაპარი სარდინიელი მამლუქი იყო[208].

თუნისის ფრანგული საოკუპაციო ადმინისტრაცია ეჭვით უყურებდა მამლუქთა ფენას და მათ შთამომავლებს, ისინი ასოცირდებოდნენ წინა ხელისუფალთან - ოსმალეთის იმპერიასთან. ამ ადამიანებს არ ასაქმებდნენ თუნისის ადმინისტრაციულ სამსახურში, რაც მამლუქებისა და მათი შვილებისთვის ტრადიციული და ბუნებრივი დასაქმების წყარო და ადგილი იყო. მამლუქთა შვილების სამუშაო განაცხადებზე ფრანგი ადმინისტრატორები მიუთითებდნენ მათ კავშირებს ოსმალეთის მთავრობასთან და უარს ეუბნებოდნენ სამსახურში აყვანაზე[209]. თუმცა, 1881 წლიდან მოყოლებული, ფრანგული საოკუპაციო რეჟიმი უკვე აღარ ენდობოდა მამლუქებს და მათ შთამომავლებს. ოუალდის მიხედვით, 1860-დან 1937 წლამდე თუნისის არქივებში გამოვლინდა თერთმეტი კა'იდის (პროვინციული გამგებელი) წოდების მქონე პირი რომელიც მამლუქის პირდაპირი შთამომავალი იყო[210].

---

[207] Kennedy. *Algeria and Tunis in 1845*, p. 156-157.

[208] https://en.wikipedia.org/wiki/Beji_Caid_Essebsi

[209] Oualdi M'hamed. *Provincializing and Forgetting Ottoman Administrative Legacies, Sons and Grandsons of Beys' Mamluks Facing French Administrators of Tunisia (1890s – 1930s)*, Comparative Studies of South Asia, Africa and the Middle East, 34:2, 2014, p. 426

[210] იქვე, p. 425

მაღალი რანგის არაერთი ქართველი მამლუქის ინტეგრაცია თუნისის მმართველ ოჯახებთან ან ადგილობრივ ელიტასთან საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ზოგიერთი მათგანის შთამომავალთა ცხოვრებას. ასე მაგალითად, მაჰმუდ იბნ მუჰამმად ბეის (1814-1824) ქალიშვილის და ქართველი მამლუქის ქაჰია ლ-მაჰალლა ვეზირ აბუ რ-რაბი' სულეიმანის (ბიოგრაფია №237) შვილიშვილი 'ალი ქაჰია თუნისის გავლენიანი პოლიტიკური პარტიის - დესთურის დამფუძნებელი და ერთ-ერთი ლიდერი იყო[211]. ეს ლიბერალურ კონსტიტუციური მიმართულების პარტია (ფრანგულად Vieux Destour) თუნისში 1920 წელს დაარსდა, მის გარშემო მამლუქთა არაერთი შთამომავალი შემოიკრიბა. 'ალი ქაჰია აქტიურად მოღვაწეობდა XX საუკუნის 20-იანი წლების თუნისის პოლიტიკურ არენაზე. მასთან ხშირად ეწყობოდა პოლიტიკური შეხვედრები, რის შედეგადაც მის სახლს *ბაით ალ-უმმ ათ-თუნისია* (თუნისის ერის სახლი) ეწოდა[212]. 'ალი ქაჰიას ქალიშვილი - მამია 1954 წელს გათხოვდა თუნისის უკანასკნელი ბეის მუჰამმად ალ-ამინის (1881-1962) შვილზე, მუჰამმად რა'ფათზე. მათი შვილი ფაისალ ბეი საფრანგეთში ემიგრაციაში მყოფი თუნისის სამეფო ოჯახის ერთ-ერთ წევრია.

პრინცი ფაისალ ბეი ცნობილი მწერალი და პუბლიცისტია, მან მხატვრული ნაწარმოები უძღვნა თავის ბებიას, საფაიეს, წარმოშობით ჩერქეზ ქალს, რომელიც მუჰამმად ალ-ამინ ბეის ერთადერთი მეუღლე და თუნისის ბოლო დედოფალი იყო[213]. ფაისალ ბეის გადმოცემით, საფაიე 1920 წელს ოსმალეთიდან საჩუქრად მიიღო თუნისის სამეფო კარმა. ახალგაზრდობაში საფაიე ჩერქეზეთიდან გაიქცა და ერთი პერიოდი საქართველოშიც ცხოვრობდა[214].

ცნობილია აფხაზეთიდან გატაცებული მამლუქის, თუნისის პრემიერ-მინისტრისა და შემდგომში ოსმალეთის იმპერიის დიდვაზირის ხაირ ად-დინის (1822-1890) შვილების

---

[211]ინფორმაცია მოტანილია ინტერნეტის გვერდიდან www.almanach.be. გადამოწმების მიზნით დავუკავშირდით "Almanach de Bruxelles"-ის რედაქტორს, რომელმაც დაადასტურა აქ მოტანილი ინფორმაციის სისწორე. 'ალი ქაჰიას პოლიტიკურ აქტიურობას არაერთი სტატია და წიგნი ადასტურებს.

[212]Nicola Ziadeh. *Origins of Nationalism in Tunisia*, Beirut 1969, p. 90

[213]Faiçal Bey (SAR le Prince). *La dernière odalisque*, Stock, Paris 2001.

[214]ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ფაისალ ბეის ინტერვიუ სახელწოდებით "*Tunis, la belle au bey dormant*" (გაზ. "Le Monde", 7. XI. 2001 წ.) და მისსავე დასახელებულ რომანში.

ბიოგრაფიები. მოჰამედ ხერედდინი (1872-1922), გამოჩენილი მოზროვნე და მისტიკოსი, მოღვაწეობდა თურქეთსა და მაღრიბის ქვეყნებში.[215] მისი ძმა ტაჰარ ფაშა ხერედდინი (1872-1937) გენერალი და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე იყო. 1921 წელს იგი თუნისის იუსტიციის მინისტრად დაინიშნა.[216] ბერძენი მამლუქის მუსტაფა ხაზნადარის (1817-1878) შვილი ჩედლი ხაზნადარი (1876-1954) ცნობილი თუნისელი პოეტი იყო, მან განათლება მიიღო საფრანგეთში და ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ითვლება თავისი ქვეყნის დიდ პატრიოტად[217]. ჩედლი ხაზნადარის ლექსების კრებული ბევრ არაბულ ქვეყანაშია გამოცემული, ხოლო თუნისის ქალაქის სუსას ერთ-ერთი ქუჩა მის სახელს ატარებს.

ცნობილი თუნისელი პოლიტიკური მოღვაწის მონგი სლიმის (1908-1969) ბიოგრაფიიდან ვიგებთ, რომ მისი წინაპარი იყო ბერძენი მამლუქი გენერალი სლიმი (სალიმი), რომლის ბერძნული გვარი იყო კავკალასი. იგი, სხვა მამლუქთა შთამომავლების გვერდით აქტიურად იყო ჩართული თუნისის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მონაწილეობა მიიღო ნეო დუსტურის პარტიის დაარსებაში 1934 წელს. მოგვიანებით, მონგი სლიმი მონაწილეობდა თუნისსა და საფრანგეთს შორის წარმართულ მოლაპარაკებებში 1950-იან წლებში[218], 1961 წელს იგი აირჩიეს გაეროს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტად, ხოლო 1962 წელს კი, იგი თუნისის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა.

პროფესორ გ. ჯაფარიძის თანახმად, თუნისში 1979-80 წლებში სამუშაოდ მყოფმა ქართველმა ექიმებმა გაიცნეს ადგილობრივი კოლეგა ექიმი ფარხატი, რომელიც ქართველი მამლუქის შთამომავალი იყო. როგორც ექიმი იხსენებდა, მისი ბებია ლამაზი ქალის სინონიმად სიტყვა "ჯურჯია"-ს იყენებდა, რაც თუნისში ქართველს ნიშნავს[219].

---

[215]Sadok Zmerli. *Fugures Tunisiennes*. Bayrut. 1993, გვ. 161.

[216] Zmerli. *Fugures Tunisiennes*, p. 187-208

[217] იქვე, p. 271

[218] Oualdi. *Provincializing*, p. 427, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი არ აკეთებს საბოლოო იდენტიფიკაციას ამ პიროვნების მამლუქი წინაპრის სალიმისას, თავად მონგი სლიმის ვიკიპედიის გვერდის მიხედვით, მისი წინაპარი იყო ბერძენი მამლუქი. https://en.wikipedia.org/wiki/Mongi_Slim

[219] გოჩა ჯაფარიძე, *ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები*, ძიებანი, ტ. 1, მხედარი, თბილისი, 2012, გვ. 31, შ. 129.

აქ დასახელებულ ადამიანებს დიდი წვლილი მიუძღვით თუნისის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საქმეში. ჩვენი ვარაუდით, ისინი გამონაკლისს არ წარმოადგენენ, მამლუქთა შვილები და მათი შემდგომი შთამომავლები, მამლუქთა მსგავსად, თუნისის ელიტის განუყოფელ ნაწილად იქცნენ.

ეგვიპტისა და ერაყისგან განსხვავებით თუნისელ მამლუქებს არ უცდიათ დაუფლებოდნენ ხელისუფლებას. ამ ქვეყანაში არ მომხდარა მათი ძალდატანებითი ლიკვიდაცია, როგორც ეს მოხდა 1811 წელს ეგვიპტეში, სადაც კიდევ დიდი ხანი მხოლოდ ნეგატიურად განიხილებოდა მათი როლი[220]. თუნისის მმართველებმა მამლუქთა ფენაზე დაყრდნობით შექმნეს და დააკომპლექტეს თუნისის ოსმალური ელიტა, რომელმაც შემდგომში დასაბამი მისცა თუნისის ადგილობრივ არაბულენოვან თუნისურ ელიტას. მამლუქთა ინსტიტუტმა აქ მშვიდობიანად დაასრულა არსებობა. თანამედროვე თუნისელთა გვარების ანალიზი შესაძლებლობას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ისეთი გვარები, როგორიცაა მამელუქ, ბაშ ჰამბა, აღა, ჩელბი (შალბი), კროუნა, სლიმი, ქაჰია, ხაზნადარი და სხვა ხშირად მამლუქთა თანამდებობები ან მათი სახელებია, რომლებიც შემდგომში გვარის სახით გადაეცემოდა მათ შთამომავლებს, ჩამოთვლილი გვარები დღესაც ფართოდაა გავრცელებული თუნისში.

თავი II. ოსმალური ალჟირი

XVI საუკუნემდე ალჟირის ტერიტორია მეზობელი მაროკოს მმართველთა გავლენის ქვეშ იყო, ამ ტერიტორიაზე არ არსებობდა ცენტრალიზებული ხელისუფლება. იბერიის ნახევარკუნძულიდან ათასობით მუსლიმი ლტოლვილის მასობრივად შემოსვლის შემდეგ ალჟირი ესპანეთის სამიზნედ გადაიქცა. XVI საუკუნის პირველ მეოთხედში

[220] Sung Il Kwang. *Mamluks in the Modern Egyptian Mind Changing the Memory of the Mamluks, 1919-1952*¸ New York, 2017, p. 3-4

ესპანეთის სამეფო ცდილობდა ჩრდილო აფრიკის საზღვაო პორტებისა და სავაჭრო ცენტრების დაკავებას, მათ შორის იყო ქალაქი ალჟირი და ალჟირს დაქვემდებარებული სხვა საპორტო ქალაქებიც. ესპანეთის ექსპანსიას ეწინააღმდეგებოდნენ ადგილობრივი მუსლიმი გამგებლები რომლებსაც ბუნებრივად მხარს უჭერდა ოსმალეთის სულტანი. 1525 წელს მუსლიმმა მეზღვაურებმა არუჯმა და ხაირ ად-დინ ბარბაროსამ ოსმალეთის სულტანს გამოუცხადეს მორჩილება და დახმარება სთხოვეს ქრისტიანებთან ბრძოლაში. ოსმალეთის იმპერია ამ პერიოდში დაპყრობით ომებს აწარმოებდა აფრიკის კონტინენტზე და ბუნებრივია, რომ ახალი ტერიტორიების შემოერთებას ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაშიც შეეცდებოდა. 1530 წლისთვის ქალაქ ალჟირს და მისი შემოგარენს ოსმალები აკონტროლებდნენ. ალჟირელ მეკობრეთა საზღვაო ხომალდები ოსმალეთის იმპერიის საზღვაო ფლოტის შემადგენლობაში შევიდა და ხაირ ად-დინ ბარბაროსა ოსმალეთის კაპუდან ფაშას თანამდებობაზე დაინიშნა.

1541 წელს ალჟირის დასაპყრობად წამოსული ესპანეთის ჯარი საშინელ შტორმში მოჰყვა და დიდძალი ზარალით გაბრუნდა უკან. ალჟირის ოსმალო გამგებელმა ‘ალი ფაშამ (1568-1587) 1573 წელს ესპანელები თუნისიდანაც განდევნა. 1578 წელს ესპანეთის სამეფომ სტამბულში გააგზავნა ელჩი, რითაც ფაქტობრივად აღიარა ალჟირი ოსმალეთის შემადგენლობაში. თუმცა, 1791 წლამდე ფორმალურად იკავებდა ალჟირის დასავლეთით მდებარე ქალაქ ორანსა და მის შემოგარენს.

1581 წელს ესპანეთსა და ოსმალეთს შორის გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება, რითაც ფორმალურად დასრულდა ომი ამ ორ იმპერიას შორის. ოსმალეთის იმპერიაში გაერთიანებული ჩრდილოეთ აფრიკა დანაწილდა ოსმალური ოჯაკების, ან როგორც მათ ევროპელები უწოდებდნენ, სარეგენტოების პრინციპით. XVI საუკუნის ბოლოდან ალჟირს სულტნის მიერ პირდაპირი წესით დანიშნული ფაშა მართავდა სამი წლის ვადით, მის განკარგულებაში იყო იანიჩართა გარნიზონი და მათი მეთაურების საბჭო – დივანი.

როგორც უკვე აღინიშნა, ალჟირი ტრადიციულად იყო ხმელთაშუა ზღვის მეკობრეთა ცენტრი. მეკობრეობით შემოსული თანხები სრულად ხმარდებოდა ალჟირის მმართველი კლასს და აქ განლაგებულ ოსმალურ გარნიზონს. ალჟირელები იტაცებდნენ

სხვა ქვეყნების ხომალდებს, თავს ესხმოდნენ ზღვისპირა სოფლებს და დატყვევებულ ადამიანებში უზარმაზარ გამოსასყიდს ითხოვდნენ. ასე მაგალითად, 1631 წელს შორეული ირლანდიის პორტ ბალტიმორიდან 89 ადამიანი მოიტაცეს და მონებად გაყიდეს. ამ საფაშოში 1575 წლიდან მოყოლებული ხუთი წელი მიგელ დე სერვანტესმაც გაატარა ტყვეობაში.

ევროპული სახელმწიფოები დამამცირებელ ხელშეკრულებებს აფორმებდნენ ალჟირის მმართველებთან, რათა მიეღოთ ხელშეუხებლობის გარანტიები იმ ხომალდებისთვის, რომლებიც მათი დროშის ქვეშ დაცურავდნენ, თუმცა, ეს ხელშეკრულებები ადვილად ირღვეოდა. XVII საუკუნის დასაწყისიდან, ოსმალეთის სულტანი სულ უფრო ნაკლებად იცლიდა შორეული ალჟირის ადმინისტრირებისთვის. ცენტრალური ძალაუფლების შესუსტებამ ადგილობრივი კლანების შემდგომ გაძლიერებას შეუწყო ხელი. იმავდროულად, ალჟირის გამგებლები დამოუკიდებლად ურთიერთობდნენ ევროპულ სახელმწიფოებთან და აფორმებდნენ მათთან სამშვიდობო ხელშეკრულებებს. ფაშას და დივანის მმართველი საბჭოს მიღმა ალჟირში დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ადგილობრივი საზღვაო ხომალდების მეთაურთა და მფლობელთა საბჭო - ტა'იფა. მეკობრეთა საბჭომ 1671 წელს საფაშოს მმართველად წარმოადგინა მათივე ლიდერი დეი, რაც თურქულად ბიძას ნიშნავს. 1711 წელს ოსმალეთის სულტანმა მოქმედ დეის ფაშას ტიტული დაუმტკიცა. დეის ირჩევდნენ დივანის და ტა'იფას გავლენიან პირთა შორის, მას ეს უფლებამოსილება სიცოცხლის ბოლომდე ენიჭებოდა. თუმცა, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა მხოლოდ ჯანმრთელობაზე არ იყო დამოკიდებული, 1671-1830 წლებში ალჟირის მმართველი 29 დეიდან 14 მოკლეს სახელისუფლებო გადატრიალების შედეგად. ევროპელთა აზრით, იყო შემთხვევა, როდესაც მსგავსი გადატრიალების შედეგად 24 საათში ერთი-მეორის მიყოლებით ექვსი ახლადდანიშნული დეი მოკლეს. დეის უშუალო ადმინისტრაციული კონტროლის ქვეშ ქალაქი ალჟირი და მისი შემოგარენი შედიოდა. ალჟირის ოსმალური პროვინციის დანარჩენი ტერიტორია იყოფოდა სამ ნაწილად - ბეილიქად: აღმოსავლეთით იყო კონსტანტინა, ცენტრალური – ტიტერი, დასავლეთით კი ორანი, რომლებსაც დეის მიერ დანიშნული ბეიები მართავდნენ.

ალჟირში ჩამოყალიბდა კლანური მმართველობა, უმაღლესი თანამდებობების დაკავება მხოლოდ “თურქი” მოხელესთვის იყო შესაძლებელი. თუმცა, XVII საუკუნეში დეის ტიტულის მოპოვება გამაჰმადიანებულ რენეგატებსაც შეეძლოთ, რომლებიც, როგორც წესი, ევროპელი მეზღვაურები იყვნენ. როგორც ერთი ისტორიკოსი აღნიშნავდა, ალჟირში არსებობდნენ ორი სახის თურქები - დაბადებით და პროფესიით[221].

ალჟირის საფაშოს XVII-XVIII საუკუნეების ისტორია დაკავშირებული იყო მეკობრეობასთან, ოსმალური ადმინისტრაცია მთლიანად მორგებული იყო ამ სარფიან ინდუსტრიაზე. ალჟირის გამგებლები მუდმივად აფორმებდნენ, შემდეგ კი არღვევდნენ სამშვიდობო ხელშეკრულებებს ევროპულ სახელმწიფოებთან. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მეკობრეობის აღკვეთის ან ტყვეთა გათავისუფლების მიზნით, ევროპელები აწყობდნენ დამსჯელ ექსპედიციებს ალჟირის წინააღმდეგ. XVI-XVIII საუკუნეებში ქალაქი ალჟირი არაერთხელ მოაქციეს ბლოკადაში და დაბომბეს ფრანგებმა, ესპანელებმა, ბრიტანელებმა და დანიელებმა. 1815 წელს ალჟირის ხომალდების წინააღმდეგ საზღვაო ოპერაცია ამერიკის ფლოტილიამაც განახორციელა და აიძულა ალჟირის მმართველი, მასთან ხელსაყრელი ხელშეკრულება გაეფორმებინა ყოველგვარი გადასახადის, ან წინაპირობის გარეშე.

ნაპოლეონის ომების დასრულებისთანავე ევროპულმა სახელმწიფოებმა აკრძალეს მონათვაჭრობა და მეკობრეობის გასაუქმებლად რეალური ნაბიჯები გადადგეს. 1816 წელს ბრიტანეთის ფლოტილია ლორდ ექსმუთის მეთაურობით 9 საათის განმავლობაში ბომბავდა ქალაქ ალჟირს, რის შემდეგაც ბრიტანელებმა ალჟირის დეისგან უპირობოდ ყველა ქრისტიანი მონის გათავისუფლება მოითხოვეს. 1827 წელს ალჟირის დეიმ მოლაპარაკებების მსვლელობისას მწერების მოსაგერიებელი ჯოხი სახეში გაარტყა ფრანგ კონსულს რაც დიპლომატიური სკანდალის და ალჟირის სამწლიანი ბლოკადის მიზეზი გახდა. სამი წლის შემდეგ, 1830 წელს საფრანგეთმა დაიპყრო ალჟირი და აქ

[221]Barbour Nevill, *North West Africa from the 15th-19th centuries* in H. J. Kissling H. J. et al. *The Last Great Muslim Empires: History of the Muslim World*, Princeton, 1996, p. 121

კოლონიალური მმართველობა შემოიღო რაც, 1962 წლამდე – ალჟირის დამოუკიდებლობამდე გაგრძელდა.

1815-1830 წლებში ამერიკის გენერალური კონსული ალჟირში მიიჩნევდა, რომ ალჟირი ფუნდამენტურად განსხვავდებოდა მისთვის ცნობილი სხვა ქვეყნებისგან და მისი მსგავსი სახელმწიფო იყო მხოლოდ მამლუქთა ეგვიპტე, სადაც მთელ სახელმწიფოს უცხოეთიდან გადმოსახლებული ადამიანები მართავდნენ.[222] ამავე აზრს იზიარებს ოსმალური ალჟირის მკვლევარი შუვალი, მისი აზრით ალჟირი მმართველობის ტიპით გამოირჩეოდა მაღრიბის სხვა საფაშოებისგან. აქაური ელიტა მმართველობის ლეგიტიმაციას პირდაპირ სულტნისგან იღებდა. იმავდროულად, ალჟირის მმართველი ელიტა საკუთარ რიგებში მხოლოდ „თურქ" მოხელეებს იღებდა და ამით სახელმწიფოს მმართველობის ოსმალურ ყაიდას ინარჩუნებდა[223].

თურქად ითვლებოდა ის, ვინც არ იყო არაბი და ვინც ქვეყნის გარეთ დაიბადა. ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ თურქად იმ პერიოდში იწოდებოდნენ ესპანელები, იტალიელები, რუსები, რუმინელები, ბულგარელები, პოლონელები, უნგრელები, ბოჰემიელები, სკანდინავიელები, ირლანდიელები, ინგლისელები, სკოტები, პორტუგალიელები, სლავები, აბისინიელები, ბოსნიელები, ბერძნები, კრეტელები, სირიელები, კოპტები, ბრაზილიელები და სამხრეთ ამერიკელები[224]. ამ კატეგორიის "თურქებს" ევროპელი მოგზაურები რენეგატებს ეძახდნენ, ისინი ალჟირში საკუთარი ნებით სახლდებოდნენ. რენეგატები იყვნენ მეზღვაურები, ყოფილი ქრისტიანები რომლებიც ალჟირში ჩამოდიოდნენ მიმალვის მიზნით, ან საკუთარ ქვეყნებში არსებული უპერსპექტივობის გამო. ისინი აქ იცვლიდნენ რელიგიას და სწრაფად აღწევდნენ წარმატებებს.

„თურქისა" და ადგილობრივი მოსახლის შვილი უკვე აღარ ითვლებოდა თურქად და მას კულოღლის ეძახდნენ. ადამიანების ეს კატეგორია, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა მოკლებული იყო მმართველი წრის პრივილეგიებს და როგორც წესი, ვერ ახერხებდა საფაშოში მაღალი თანამდებობების მოპოვებას ან დაწინაურებას.

---

[222] Shaler, *Sketches of Algiers,* p. 25
[223] Shuval. *The Ottoman Algerian Elite,* p. 327
[224] Barbour, *North West Africa from the 15th-19th centuries,* p. 121

საფაშოში თურქ მოხელეთა და მოსამსახურეთა შევსება ანატოლიიდან და სხვა ოსმალური პროვინციებიდან ხდებოდა. თუმცა, ალჟირის მმართველებს მცირე რაოდენობით შემოჰყავდათ სტამბოლის ან სხვა ქალაქების მონათა ბაზრებზე ნაყიდი მონებიც. მათ შორის გვხვდებიან ქართველებიც.

დეის დაახლოებით იგივე ფუნქციები ჰქონდა, რაც ოსმალეთის იმპერიის სხვა ოლქების ფაშებსა და ბეგებს. მას ექვემდებარებოდა იანიჩართა ლაშქარი, რომელიც უმეტესად ანატოლიიდან და ოსმალეთის სხვა პროვინციებიდან გადმოსახლებული თავგადასავლების მაძიებლებით იყო დაკომპლექტებული. დეის განკარგულებაში იყო მეკობრეობის მთელი ინდუსტრია, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ხმელთაშუა ზღვისპირეთის სავაჭრო ცხოვრებაში. ალჟირის მეკობრეთა მიერ სავაჭრო გზების გაკონტროლებით დაინტერესებული იყვნენ ევროპის დიდი სახელმწიფოები. მოწინავე ევროპული სახელმწიფოები ურიგდებოდნენ მაღრიბის საფაშოებს და აფორმებდნენ მათთან სარფიან ხელშეკრულებებს საკუთარი საზღვაო ვაჭრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. პარალელურად, ძლიერი ევროპული სახელმწიფოები მათი შედარებით სუსტი და დაუცველი ევროპელი კონკურენტების საზღვაო გემებისა და მეზღვაურთა დატყვევებას აქეზებდნენ. ალჟირზე საუბრისას, რომელსაც საკმაოდ ძლიერი საზღვაო ფლოტი და გამოცდილი მეზღვაურები ჰყავდა, საფრანგეთის მეფემ ლუი XVI-მ ნახევრად ხუმრობით თქვა – ალჟირი რომ არ არსებობდეს, მე მას თავად შევქმნიდიო[225].

ოსმალეთის სხვა პროვინციების მსგავსად, ალჟირის საფაშოს მმართველი ელიტაც ოსმალურ ყაიდაზე იყო ორგანიზებული. ალჟირის ოსმალური პერიოდის მკვლევარი შუვალი მიიჩნევს, რომ ალჟირის ოსმალო მმართველები საკუთარ რიგებში მხოლოდ თურქ მოხელეებს იღებდნენ და აწინაურებდნენ, რითაც ინარჩუნებდნენ მმართველობის ოსმალურ სისტემას და სტილს[226].

მიუხედავად იმისა, რომ მეზობელ თუნისის საფაშოში მამლუქები ჯერ კიდევ XVI საუკუნეში გვხვდებიან, ალჟირის საფაშოში ამ კატეგორიის მონებს თითქმის არ

[225] Knox, *Naval documents*, Vol. 1, p. 149
[226] Shuval. *The Ottoman Algerian*, p. 327

ახსენებს არცერთი მოგზაური ან დიპლომატი. ისტორიკოსი შუვალი აღნიშნავს, რომ მის მიერ ალჟირის ოსმალური ადმინისტრაციის არქივებში მოძიებულ ათასობით დოკუმენტში საერთოდ არ ჩანს ტერმინი მამლუქი. მონის სტატუსით ალჟირში შემოყვანილი ადამიანის აღსანიშნავად იხმარებოდა ტერმინი - 'ილჯ და იგი პატრონისა და მის ფლობაში მყოფი მონის ურთიერთობის ყველაზე გავრცელებული ტერმინი იყო[227]. ამ საფაშოში არ ხდებოდა სტამბულიდან მონათა შემოყვანა ისეთივე რეგულარობით როგორც მეზობელ თუნისში. ამის საჭიროება მეკობრეობით განთქმულ ალჟირში არ არსებობდა. რეკრუტირების ოსმალურ ტრადიციას ადვილად ანაცვლებდა მეკობრეთა მიერ შემოყვანილი ათასობით ქრისტიანი ტყვე. თუმცა, როგორც ისტორიკოსი ტოლედანო მიიჩნევს, ალჟირშიც ხდებოდა მამლუქის ტიპის რეკრუტირება 1830 წლამდე[228]. მიუხედავად იმისა, რომ მონები ან მამლუქები აქ სტამბულიდან მასობრივად არ შემოჰყავდათ, ალჟირში მაინც ვხედავთ ქართული წარმომავლობის უმაღლეს მოხელეებს.

ოსმალეთის განთქმული ამირბარი (ადმირალი) ჯაზაირლი (ალჟირელი) კაპუდან ფაშა ჰასანის (1714-1790)[229] შესახებ ქართული სამეცნიერო წრეებისთვის ცნობილია მაჭარაძისა და ჯანელიძის[230] სამეცნიერო ნაშრომებიდან. ჰასანის ქართული წარმომავლობა ცნობილი იყო მისი პერიოდის ფრანგი მოგზაურებისთვისაც[231]. თუმცა, ქართველი მკვლევარებისთვის ხელმისაწვდომი რუსული საარქივო მასალა უცნობი იყო ისეთი რეპუტაციის მქონე მკვლევარებისთვის, როგორებიც არიან მორდტმანი და კურანი. მათი ავტორობით დაწერილ ისლამის ენციკლოპედიის შესაბამის სტატიაში ჰასანი მოიხსენიება როგორც ყოფილი მონა, რომელიც დაიბადა სტამბულთან ქალაქ

---

[227] Tal Shuval. *Households in Ottoman Algeria*, Turkish Studies Association Bulletin, No. 24:1 (Spring 2000), p. 42-47

[228] Toledano, *Slavery and Abolition in the Ottoman Middle East*, p. 28

[229] იხ. ილუსტრაცია 9

[230] ჯანელიძე *საქართველო და აღმოსავლეთი*, გვ. 228-229, დამატებითი საარქივო ცნობისთვის იხ. Г. Мачарадзе, *Грузинские документы из истории русско-грузинско-египетско-эфиопских отношений 80-х годов XVIII века*, (Тб., 1967), 15-17

[231] Pouqueville, Francois Charles Hugues Laurent *Travels in Greece and Turkey, comprehending a particular account of the Morea, Albania, etc.; a comparison between the ancient and present state of Greece, and an historical and geographical description of the ancient Epirus* London, Printed for H. Colburn, 1820, გვ. 312

თეკფურდაღიში (იგივე როდოსტო) [232]. მაჭარაძის და ჯანელიძის მიერ რუსეთის არქივებში მოკვლეული ცნობების თანახმად ჰასანი საქართველოს მკვიდრია, იგი ერეკლე II-ის სამეფოში დუშეთთან, დასახლება ფშაველში დაიბადა. ჰასანი, სავარაუდოდ პატარაობისას გაიტაცეს ირანის საზღვართან. მიუხედავად ამისა, იგი სიბერეშიც თავისუფლად საუბრობდა ქართულ ენაზე.

მართალია ჰასანი ნაკლებად ასოცირდება ალჟირთან, მაგრამ, ნისბა ჯაზაი'რლი, რაც ალჟირელს ნიშნავს მას მთელი ცხოვრება შერჩა. ჰასანი შეიძინა ვაჭარმა ოსმან აღამ რომელიც მას შვილივით ზრდიდა. სრულწლოვანი ჰასანი იანიჩართა კორპუსში ჩაეწერა და მონაწილეობა მიიღო ავსტრიის წინააღმდეგ 1737 - 1739 წლების ომში სადაც თავი გამოიჩინა ქალაქ ბელგრადის ალყის დროს. ამის შემდეგ იგი გადასახლდა ალჟირში, სადაც თლემსენის პროვინციის ბეის წოდება მიანიჭეს. ალჟირის დეისთან ურთიერთობის გართულების გამო, ჰასანი იძულებული გახდა დაეტოვებინა თანამდებობა. იგი ჯერ ესპანეთსა და ნეაპოლში ხოლო შემდგომში სტამბულში გადადის[233]. 1760 წელს ჰასანი სტამბოლში ჩავიდა, რის შემდეგაც დაიწყო მისი კარიერული წინსვლა იმპერიის დედაქალაქში. 1766/67 წლიდან მოყოლებული ჰასანი ოსმალეთის ადმირალის ხომალდს კაპუდანას მეთაურობდა. 1770 წლის 5-7 ივლისის რუსეთთან გამართულ ჩეშმეს საზღვაო ბრძოლის დროს ჰასანის ხომალდი კაპუდანა და რუსული ფლაგმანი ერთმანეთს შეასკდნენ, ორივე ხომალდი აფეთქდა. დაჭრილმა ჰასანმა მომდევნო დღეებში შესძლო რუსებისგან კუნძულ ლემნოსის გათავისუფლება რის შედეგადაც მან კაპუდან ფაშას თანამდებობა და ღაზის ტიტული მიიღო. მომდევნო წლებში იგი დაკავებული იყო რუსეთთან კონტინენტური სამხედრო ოპერაციების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ჰასანი მეტნაკლბი წარმატებით გაუმკლავდა იმ გამოწვევებს რომლებიც ოსმალურ ხელისუფლებას შეექმნა სირიაში, ეგვიპტესა და მორეაში. 1787 წლიდან ის ისევ ერთვება რუსეთთან სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობაში. ჰასანი პარალელურად აგრძელებდა ოსმალური ფლოტის მოდერნიზაციას, თავდაცვითი ზღუდეების და ფორტების მშენებლობას. მის სახელს

[232] J. H. Mordtmann, E. Kuran, "Jezāirli Ghāzī Hasan Pasha," in *The Encyclopedia of Islam*, Vol. II, (Leiden, 1965), 533-534

[233] ჯანელიძე *საქართველო და აღმოსავლეთი*, გვ. 105-106.

უკავშირდება თურქული საზღვაო აკადემიის შექმნაც. ჰასანი გარდაიცვალა ქალაქ შუმლაში 1790 წლის 30 მარტს.

ჰასან კაპუდან ფაშამ არაერთი ქართული წარმომავლობის გამოცდილი მეზღვაური გამოიწვია მაღრიბის ქვეყნებიდან რუსეთთან ომის მსვლელობისას. ოსმალეთის ისტორიის მკვლევარი მოალლას აზრით ჰასანი სტამბულში მაღრიბის დაჯგუფების თავკაცი იყო[234]. უკვე ვახსენეთ თუნისში მოღვაწე ქართველი მამლუქი ვეზირი აბუ ალ-ფიდა' ისმა'ილი (ბიოგრაფია №2), რომელიც სწორედ ჰასან კაპუდან ფაშასთან ჩავიდა თუნისში მმართველთან არსებული უთანხმოების შემდეგ. ალჟირში მოღვაწე ქართველები, რომელთა ისტორიებიც ქვემოთ არის განხილული, სხვადასხვა დროს იყვნენ ჰასან კაპუდან ფაშას თანამებძოლები და მის მიერ იმპერიის სხვადასხვა უმაღლეს თანამდებობებზე დაწინაურებულები. ცხადია, ოსმალეთის იმპერიაში არსებული შიდაბრძოლებისა და ინტრიგების ფონზე ჰასანი არა მხოლოდ საკუთარი თანამემამულეების – ქართველების დაწინაურებას, არამედ სხვა ეროვნების ერთგულ და საიმედო თანამოაზრეების შემოკრებასაც ცდილობდა.

ჰასანთან დაკავშირებულია ალჟირელი ოსმალო მოხელის საიდ 'ალის და მისი ძმის 'ალი ბურღულის ისტორიებიც, თუმცა, ძმების იდენტური სახელის გამო მათი ბიოგრაფიები ხშირად ერთმანეთს ემთხვევა და არეულია. უცნობია, 'ალი ალჟირში გაიყიდა და აქედან მოხვდა სტამბულში თუ ძმები გაყიდვისას დააშორეს. თუმცა, საიდ 'ალის და მისი ძმის თავდაპირველი წარმატებები ალჟირთან ასოცირდება. ალ-ჯაბართის ცნობით, 'ალი საიდი არ იყო შარიფი, არამედ ნისბა საიდი ამ პიროვნებას მაღრიბში გავრცელებული მიმართვის გამო შეერქვა, რაც ამირას ნიშნავდა მაღრიბის საფაშოებში[235]. 1784 წლის დეკემბერში ფრანგი დიპლომატები სტამბულში შეხვდნენ ოსმალეთის კაპუდან ფაშას მოადგილეს, რომელიც იყო ქართველი და მათი გადმოცემით დაწინაურდა ალჟირში, სამწუხაროდ ავტორი არ ასახელებს მის სახელს. ფრანგების გადმოცემით, 'ალი ამ პერიოდში ოსმალეთის კაპიტან-ბეის იგივე ოსმალური ფლოტის ვიცე-ადმირალის წოდებით სარგებლობდა. აქვე ვიგებთ, რომ ეს პიროვნება

[234] Asma Moalla, *The Regency of Tunis and the Ottoman Porte, 1777-1814* (Rotlege Curzon, London, New York, 2004), p. 55-56

[235] Al-Jabarti. *History of Egypt*, vol. III, p. 427

ფლობდა იტალიურ და ფრანგულ ენებს და განსაკუთრებული ინტერესით ესწრებოდა ფრანგი სამხედროების სწავლებებს[236]. მისი დავალებით ფრანგულიდან ოსმალურ ენაზე ითარგმნა საზღვაო მანევრირების, პილოტირების და ნავიგაციის სახელმძღვანელო.

საიდ ‘ალის შესახებ ვიგებთ ალ-ჯაბართის ქრონიკებიდანაც, სადაც იგი ალ-კაპუდანის ნისბით მოიხსენიება. ალ-ჯაბართისთვის ცნობილი იყო, რომ ‘ალი ოსმალეთის ხელისუფლების მამლუქია და რომ მას დიდ პატივს სცემდა კაპუდან ფაშა. იმავდროულად, ‘ალი იყო ოსმალეთის მოწინავე ხომალდის მეთაური. საიდ ‘ალი მომდევნო კაპუდან ფაშასთან ჰუსეინთანაც დაახლოებული იყო[237]. საინტერესოა, რომ ჰუსეინ კაპუდან ფაშა, იგივე ქუჩუქ ჰუსეინიც წარმოშობით იყო ქართველი[238]. იგი იყო სულტან სელიმ III-ის ფავორიტი და სამხედრო რეფორმების მოთავე. მის შესახებ ისიც კი ითქვა, რომ ქუჩუქ ჰუსეინის სიკვდილი რომ არა, სულტან სელიმს 1807 ვერ გადააყენებდნენ. ქუჩუკ ჰუსეინი დაკრძალულია სულტნის ქართველი დედის მიჰრიშაჰის გვერდით, რის გამოც ევროპელები მას სულტნის ნახევარძმადაც მიიჩნევდნენ.

ცნობილია, რომ საიდ ‘ალი ჰუსეინ კაპუდან ფაშას გვერდით იყო და მონაწილეობდა შავ ზღვაში რუსული ფლოტილიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებში ალჟირის და მეთაურობდა ტრიპოლის ათიოდე სამხედრო ხომალდს[239]. 1791 წლის 31 ივლისს კალიაკრას საზღვაო ბრძოლაში რუსეთის ფლოტის წინააღმდეგ, იგი პირადად ხელმძღვანელობდა მთავარ შეტევას რუსი ადმირალის უშაკოვის ხომალდზე. თავისი სიმამაცის და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით საიდ ‘ალიმ მოახერხა ოსმალური ხომალდების გადარჩენა[240]. ოსმალური ფლოტის წარუმატებლობისა და ზავის გაფორმების შემდეგ ‘ალი ჩამოშორდა სამხედრო საქმეს. საიდ ‘ალი 1797 წლამდე ანატოლიის მმართველი იყო. 1797 წელს იგი შენეკზადე მუსტაფა ფაშას უნდა

---

236 Pingaud Léonce. *Choiseul-Gouffier : la France en Orient sous Louis XVI*, Paris, A. Picard, 1887, p. 98-99

237 Al-Jabarti. *History of Egypt,* vol III, p, 424, 427

238 Juchereau Histoire de L’Empire Ottoman Tome 2, p. 110.

239 Anderson, R. C. *Naval wars in the Levant, 1559-1853,* Princeton, Princeton University Press, 1952, p. 343-345

240 Blackmore David S.T. *Warfare on the Mediterranean in the Age of Sail: A History, 1571–1866,* McFarland, 2011, p. 148

დახმარებოდა რუმელიაში, სადაც ყაჩაღები დიდ საფრთხეს უქმნიდნენ ოსმალეთის საჯარისო კომუნიკაციებს. მუსტაფა ფაშას არაკეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ და მისი მხრიდან ყაჩაღების მფარველობამ საიდ ‘ალის იმედგაცრუება გამოიწვია, ამის შემდეგ ‘ალი ისევ ანატოლიაში დაბრუნდა[241].

1803 წლისთვის საიდ ‘ალი საკუთარ ძმასთან ‘ალი ატ-ტარაბულუსთან იმყოფებოდა ეგვიპტეში, იგი აქტიურად იყო ჩართული ეგვიპტის შიდა პოლიტიკურ საქმეებში და ურთიერთობდა წარჩინებულ მამლუქებთან[242]. ეგვიპტიდან ‘ალი ისევ სტამბულში დაბრუნდა, სადაც იგი ჩაერთო რუსეთის ფლოტის წინააღმდეგ საზღვაო მოქმედებებში.

1807 წელს რუსეთის ფლოტმა ბრიტანელთა დახმარებით გადაწყვიტა ერთბლივი შეტევა განეხორციელებინა სტამბულზე. ბრიტანეთის ფლოტი დარდანელის შესასვლელთან გამოჩნდა 1807 წლის 24 თებერვალს, რამაც დიდი პანიკა გამოიწვია დედაქალაქის მოსახლეობაში. როგორც ალ-ჯაბართი გადმოგვცემს, სულტანმა საგანგებო თათბირი მოიწვია. იმპერიის მთავარი ადმირალი - სალიჰ კაპუდან ფაშა ამ დროს მთვრალი ნახეს, რის გამოც განრისხებულმა სულტანმა ეს საგანგებო მოლაპარაკება საიდ ‘ალის მიანდო. მან წარმატებით გაართვა თავი ბრიტანელებთან მოლაპარაკებას, რის შედეგადაც ‘ალი კაპუდან ფაშას თანამდებობაზე დააწინაურეს[243]. საიდ ‘ალიმ წარმატებული მანევრირებით შესძლო გადამწყვეტი ბრძოლისათვის თავის არიდება. თუმცა მოგვიანებით, რუსეთის ფლოტის მიერ სტამბულის ბლოკადაში მოქცევამ ‘ალი იძულებული გახდა გადამწყვეტი ბრძოლა მაინც გაემართა კუნძულ ლემნოსთან 1807 წლის ივნისში. ბრძოლაში გამარჯვებას ორივე მხარე იჩემებდა, რუსებმა მოახერხეს ოსმალეთის რამოდენიმე ხომალდის ჩაძირვა, თუმცა თავადაც საკმაო ზარალი ნახეს და გაქცეულ მოწინააღმდეგეს ვეღარ დაედევნენ. მიუხედავად დანაკარგებისა ოსმალეთის ფლოტმა შესძლო სტამბულზე ბლოკადის მოხსნა. სწორედ

---

[241] Stanford J. Shaw, *Between Old and New, the Ottoman Empire Under Sultan Selim III 1789-1807*, Harvard University Press, Cambridge, Masachusetts 1971. p. 244-245

[242] Al-Jabarti. *History of Egypt*, vol III, p, 396

[243] იქვე, vol. IV, p. 34-35, საიდ ‘ალის წარმატებები ინგლისელებთან მოლაპარაკებისა და სამხედრო ოპერაციების მსვლელობისას ასევე დასტურდება ფრანგულ წყაროში Le Bon Juchereau De St-Denys. *Histoire De L’Empire Ottoman Depuis 1792 Jusqu’en 1844*, Paris 1844, Tome 2 p. 171

ამ წარმატებების გამო ‘ალის დაწინაურება კაპუდან ფაშას თანამდებობაზე, რამაც 1807 წლის თებერვლიდან 1808 წლის აგვისტომდე გასტანა.

ცნობილია, რომ საიდ ‘ალის გადაყენების მიზეზს წარმოადგენდა მისი შელაპარაკება დიდვაზირ მუსტაფა ფაშა ბაირაკდართან. ‘ალი ამ უკანასკნელს ადანაშაულებდა უუნარობაში, როცა მოკლული სულტან სელიმის აღმოჩენისას, მუსტაფა ბაირაკდარი “ქალივით ატირდა”, იმის ნაცვლად რომ მკვლელები მოენახა და სათანადოდ დაესაჯა ისინი.[244] შემდგომში, ‘ალი განდევნილ იქნა ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე და მის მაგიერ კაპუდან ფაშად რამის ფაშა დაინიშნა[245].

ჩვენთვის ასევე ცნობილია ის, რომ საიდ ‘ალის 1820 წლის იანვრიდან 1821 წლის 21 აპრილამდე ოსმალეთის დიდვაზირის თანამდებობა ეკავა. თუმცა, ამ პერიოდში მისი მოღვაწეობის შესახებ სხვა დეტალები არ გაგვაჩნია.

ბიოგრაფის და ისტორიკოსის მეჰმეთ სურეიიას მიხედვითაც ‘ალი წარმოშობით საქართველოდანაა, თუმცა, აღნიშნულია, რომ იგი ეგვიპტელი ელფი ბეის მამლუქთაგანია (მონაა) და ეგვიპტური ხომალდების კაპიტნად მსახურობდა. რაღაც დროს იგი გადასახლდა იმპერიის დედაქალაქში და 1807 წელს ვეზირის რანგში მოიპოვა კაპუდან ფაშას თანამდებობა. 1808 წლის 23 აგვისტოდან იყო სილისტრიის ფაშა (თანამედროვე ბულგარეთი). 1808 წლის 22 ნოემბერს მეორედ მოუწია კაპუდან ფაშას თანამდებობის დაკავება 1809 წლის 10 აპრილამდე, როდესაც იგი მოხსნეს თანამდებობიდან და ანატოლიის ქალაქ კარაჰისლარში გადაასახლეს. სურრეიას მიხედვით, ის აქვე გარდაიცვალა 1820 ან 1821 წელს, თუმცა, სახელდება 1826 წელიც. სურრეიას ბიოგრაფიის თანახმად, მისი შვილი (სავარაუდოდ კი შვილიშვილი) იყო ჰამდი ფაშა[246], ქალაქ იზმირის გამგებელი. 1873-1874 წლებში ჰამდი ფაშას სირიის ქალაქ დამასკოს გამგებლობა ჩააბარეს, 1876 წელს კი, ალბანეთის ქალაქ შკოდერის გამგებელად მიავლინეს. მოგვიანებით, 1878 წელს იგი გახდა ოსმალეთის იმპერიის მთავარი ვეზირი, მაგრამ ოთხ თვეში გაათავისუფლეს. საბოლოოდ, 1880 წელს ჰამდი

---

[244] Juchereau, *Histoire De L’Empire Ottoman,* Tome 2, p. 232

[245] იქვე, p. 239

[246] Süreyya, Mehmet. *Sicill-i Osmanî*, Beşiktaş, Istanbul: Türkiye Kültür Bakanlığı and Türkiye Ekonomik ve Toplumsal Tarih Vakfı,1996, Vol I, p. 294

ფაშა ისევ სირიის პროვინციის გამგებლად დაინიშნა, სადაც იმსახურა ხუთი წელი და იქვე გარდაიცვალა 1885 წელს.

XVIII საუკუნის ბოლოს ოსმალეთის მმართველთა წინაშე მრავალი რთული პრობლემა იდგა, საკმაოდ მწვავედ მიმდინარეობდა ბალკანეთისა და კავკასიის მიმართულებით რუსეთის ექსპანსია. ოსმალეთის წარუმატებლობებით სარგებლობდნენ ეგვიპტის მამლუქები, ისინი ცდილობდნენ კავშირების დამყარებას რუსეთთან, რათა შემდგომში ერთიანი ფრონტით გამოსულიყვნენ ოსმალეთის წინააღმდეგ. პრობლემები იქმნებოდა ჩრდილო აფრიკის ნახევრად დამოუკიდებელ საფაშოებში, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდნენ საფრანგეთისთვის. ოსმალეთის მმართველ წრეებში მხოლოდ ერთეულები იყვნენ იმპერიის ბედით დაინტერესებულნი, უმთავრესად კი მოხელეები საკუთარ კეთილდღეობაზე უფრო ზრუნავდნენ. ხშირი იყო შემთხვევები როდესაც ერთი ოსმალო მოხელე, საკუთარი ამბიციებიდან გამომდინარე მოქმედებდა სახელმწიფო ინტერესის წინააღმდეგ და ამ გზით ცდილობდა მოწინააღმდეგის ჩამოშორებას და ამის შედეგად დაწინაურებას.

ცნობილია, რომ ჰასან კაპუდან ფაშა სახელმწიფო ინტერესების დამცველი და ოსმალეთის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული მოხელე იყო XVIII საუკუნის მიწურულს. იგი ცდილობდა საჯარისო რეფორმების და ერთგული და საიმედო მოხელეების დაწინაურების გზით კრიზისიდან გამოეყვანა ქვეყანა. გართულებული საგარეო და საშინაო პრობლემების მოგვარებისას მმართველთა მხრიდან დიდი ყურადღება ექცეოდა ოსმალური პროვინციების (ბალკანეთი, საბერძნეთი, ეგვიპტე, მაღრიბის საფაშოები) ერთგული მოხელეებით დაკომპლექტებას. ასმა მოალლა მიიჩნევს, რომ ჰასანმა ტრადიციისამებრ მაღრიბელი კანდიდატურები დააწინაურა იმპერიის ადმირალიტეტში, რაც მისი დაჯგუფების გაძლიერებას ისახავდა მიზნად[247]. ვფიქრობთ, ჰასან კაპუდან ფაშასთვის კანდიდატურების შერჩევისას არა მხოლოდ მათი მაღრიბთან კავშირი, არამედ ჯინსი ანუ ეთნიკური წარმომავლობაც ანგარიშგასაწევ ფაქტორს

[247] Moalla Asma, *The Regency of Tunis and the Ottoman Porte, 1777-1814*, Rotlege Curzon, London, New York, 2004. p. 55-56

წარმოადგენდა. საერთო წარმომავლობა ამ პერიოდის ოსმალო მოხელეთა შორის ნდობისა და სოლიდარობის ერთ-ერთ გარანტად გვევლინება, ეს ტენდენცია შესაძლებელია მათი მშობლიური კულტურის ნაწილი იყო, თუმცა ვერ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ ოსმალეთში ეთნიკური სოლიდარობა მრავალი წლის მანძილზე ტრადიციად ჩამოყალიბებულიყო.

ოსმალეთის იმპერიაში ქართული წარმომავლობის მუსლიმი მოხელეებიც გვხვდებიან. პროფესორ ქასაფის ბიოგრაფიულ წიგნში, დასახელებულია ახალციხიდან სტამბულში ან ოსმალეთის სხვადასხვა საფაშოებში XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე გადასახლებული ათობით ქართველი მუსლიმი. მათ შორის არიან სამხედროები, გამგებლები, ფინანსისტები, სასულიერო პირები და მეცნიერ-განმანათლებლები. ისინი ახალციხიდან მიდიოდნენ სტამბულში, ბაღდადში, ბელგრადში, მოსულში, ალეპოში, ალჟირში და ოსმალეთის იმპერიის სხვა მნიშვნელოვან ქალაქებსა თუ რეგიონებში[248].

ჰასან კაპუდან ფაშას მიერ დაწინაურებულ და მხარდაჭერილ მოხელეთა შორისაა ალჟირის მმართველი ჰასან იბნ იუსუფი (1791-1798). ბრიტანეთის საარქივო მასალაზე დაყრდნობით ისტორიკოსი ბარნბი აღნიშნავდა, რომ "სიდი ჰასანი იყო ქართველი", რომელიც ახალგაზრდა ასაკში გაიწვიეს ალჟირში ოსმალურ ჯარში. იგი იყო სხარტი აზროვნების, განათლებული და გამბედავი, გახდა ალჟირის სამხედრო ხომალდის მეთაური და 1770 წელს ხელმძღვანელობდა ალჟირის გემებს შავ ზღვაში რუსული ფლოტის წინააღმდეგ[249]. 1775 წელს ჰასანი ალჟირის მაშინდელმა გამგებელმა მუჰამმად ბინ 'უსმან დეიმ (1766–1791) ოსმალეთის სულტან აბდულჰამიდ I-თან (1774–1789) გააგზავნა. ჰასანმა სულტნისთვის დაწერა ალჟირის და საზღვაო ისტორიისადმი მიძღვნილი ანგარიში სახელწოდებით "Târhçe-y Cezâyr", რომელსაც ხელს აწერს ჰასან იბნ იუსუფ აჰისკავი. ეს დოკუმენტი ინახება თოფკაფის მუზეუმში და შესულია იქ

---

[248] Kasap. *Osmanli Gürcüleri*, p. 67, 68, 71, 119, 123, 124, 130, 205 – 210, 212, 216, 326, 328

[249] Barnby. *The Prisoners of Algiers*, p. 76 "Sidi Hassan is Georgian by birth", აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბარნბის მიერ არასწორედ არის მითითებული საარქივო წყარო, რომელიც გადავამოწმეთ ბრიტანეთის არქივში. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ მის რეპუტაციას და ამ პერიოდის ალჟირის ისტორიის აშშ-ის და ბრიტანეთის საარქივო მასალების ცოდნას, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჰასანის ქართული წარმომავლობის შესახებ ბრიტანული არქივის დოკუმენტი უბრალოდ არასწორად არის მითითებული.

დაცული დოკუმენტების კატალოგში. ტოპონიმი აჰისკა ქალაქ ახალციხის თურქულენოვანი სახელწოდებაა, რომელიც ასევე აღნიშნავდა ზოგადად მესხეთის ისტორიულ მხარეს.

XVIII საუკუნეში ალჟირში განთავსებულ იანიჩართა კორპუსში ეწერებოდნენ ანატოლიიდან, სტამბულიდან, კვიპროსიდან, ბოსნიიდან, კრეტადან, კუნძულ როდოსიდან და ოსმალეთის სხვა რეგიონებიდან ჩამოსულები. ალჟირის გამგებლები სულტნისგან რეგულარულად მოითხოვდნენ იანიჩართა გარნიზონის შევსებას[250]. ალჟირში განლაგებული ოსმალური ჯარის ეთნიკური შემადგენლობის ანალიზისას აშკარად ჩანს, რომ ამ საფაშოში ბევრი ახალგაზრდა მიდიოდა ქართულ სამეფო-სამთავროებთან მომიჯნავე ოსმალური პროვინციებიდან[251]. ალჟირის საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, ირკვევა, რომ ამ საფაშოში მომსახურე თურქულ ჯარში ირიცხებოდნენ იანიჩრები ყარსიდან, ვანიდან, ერზრუმიდან, ტრაპიზონიდან, დიარბექირიდან, სამსუნიდან და შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ რეგიონის სხვა ქალაქებიდან[252]. ცნობილია, რომ ალჟირში რეკრუტირებისთვის მმართველები თურქეთის სხვადასხვა ნაწილებში, განსაკუთრებით კი ანატოლიაში აგზავნიდნენ თავიანთ აგენტებს, სავარაუდოდ ზოგიერთი მათგანი ოსმალური ახალციხის, იგივე აჰისკას საფაშოშიც მიდიოდა.

უცნობია ჰასანის ალჟირში ჩასვლის ან მისი ადრინდელი საქმიანობის დეტალები. ვიცით, რომ ალჟირის ხომალდები, რომელთა მეთაურობაც მას ჰქონდა ჩაბარებული აქტიურად იყვნენ ჩართული ოსმალეთის საზღვაო ოპერაციებში შავ ზღვაში, სირიის სანაპიროებთან და ბერძნულ კუნძულებთან 1770-1775 წლების განმავლობაში[253]. ჰასანის შესახებ პირველი ცნობები უკავშირდება 1775 წელს ესპანეთთან ომს. მეფე კარლოს III-მ მიერ წამოიწყო გადამწყვეტი სამხედრო შეტევა ალჟირზე, რაც მიზნად ისახავდა ამ

---

[250] Shuval Tal. *La ville d'Alger vers la fin du XVIIIe siècle Population et cadre urbain*, CNRS Éditions, 2002 p. 59-60, 64-65.

[251] Anna Parzymies. *Contentu ethnique des Ojaq d'Algerie*, Africana Bulletin, 29, 1980, p. 97-108

[252] M. Colombe. *Contribution à l'étude du recrutement de l'odjaq d'Alger dansles dernières années de l'histoire de la Régence*. Revue africaine 87 (1943), p.172

[253] Michel Hervé. *Campagnes navales de la régence turque d'Alger contre la Russie au dix-huitième siècle*, Revue d'Histoire Maghrébine, 81/82, 1996, p. 379-388

საფაშოს სრულ და საბოლოო ოკუპაციას. როგორც ცნობილია, ესპანელთა 50 სამხედრო და 230 სატრანსპორტო ხომალდი 20000 ჯარისკაცის თანხლებით ივლისში მიადგა ალჟირის სანაპიროს. ჰასანი ომის დაწყებისას ხელმძღვანელობდა საბრძოლო პოზიციებს აინ რბატის (რაბატის) ციხესთან, სადაც ალჟირელებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ესპანურ ხომალდებს და ერთი მათგანი მძიმედ დააზიანეს[254]. ალჟირში ესპანელთა სამხედრო ექსპედიცია სრული კრახით დასრულდა, არასწორად შერჩეულ ადგილზე ესპანელებმა ვერ შესძლეს არტილერიის გამოყენება, ბრძოლის ველი ესპანელთა ხომალდებზე განლაგებული ზარბაზნების მოქმედების მიღმა დარჩა. სიცხით და რთული რელიეფით გაწვალებული ესპანელი ჯარისკაცები ალჟირელთა ალყაში მოექცნენ. ბრძოლის შედეგად 500-ზე მეტი ესპანელი ჯარისკაცი დაიღუპა და 2000-ზე მეტი დაიჭრა. საუბრობდნენ, რომ ესპანელთა ამ ექსპედიციის დროს მთლიანად 5000-ზე მეტი ესპანელი დაიკარგა. ახალი სულტნისთვის - აბდულჰამიდ I-სთვის (1774 - 1789) ამ გამარჯვების შესახებ ცნობის პატივი ჰასანს ხვდა წილად. ფრანგული წყაროს მიხედვით, ჰასანი სტამბულისკენ 1775 წლის 6 ივნისს გაემართა და თან წაიღო მდიდრული ძღვენი, მათ შორის ძვირფასი ქვებით გაწყობილი სამკაულები, მოოქროვილი იარაღები, ხალიჩები, 15 ლომი, 70 თეთრკანიანი და 25 შავკანიანი მონა[255].

როგორც უკვე ვახსენეთ, სტამბულში ჰასანმა სულტანს მიართვა ანგარიში სათაურით “Tarih-i Cezayir Veya Tehzibü't-Tevarih”, რომელშიც ასახულია ისლამური ფლოტილიის და განთქმულ მეზღვაურთა ისტორია, ოსმალური პერიოდის მაღრიბის ისტორია, განხილულია ოსმალური ალჟირის საფაშოს პირველი მმართველის ხაირ ად-დინ ბარბაროსას პერიოდი და ალჟირის საზღვაო ბრძოლები. ჰასანი ასევე აღწერს ოსმალეთსა და რუსეთს შორის გამართულ ბრძოლებს 1770-იან წლებში ჰასან კაპუდან ფაშას მეთაურობით. ისტორიულ მიმოხილვას თან ერთვის ალჟირისა და ესპანეთის 1775 წლის ბრძოლის აღწერა. ჰასან იბნ იუსუფ აჰისკავის მიერ დაწერილი ანგარიში

[254] Mahfound Kaddache, *L'Algérie durant la période Ottomane*, Office des publications universitaires, Alger 1998, p. 125–126

[255] A. Voulx. *Tachrifat, recueil de notes historiques sur l'administration de l'ancienne régence d'Alger*, [Edition de 1852], p. 40

ამჟამად სტამბულში თოფკაფის მუზეუმში ინახება და მის კატალოგშია შესული[256]. 2006 წელს სავაშ ოზდემირმა მარმარას უნივერსიტეტში მაგისტრის ხარისხის მისაღებად წარმოადგინა ჰასან იბნ იუსუფ აჰისკავის ალჟირის ისტორიის თხზულების ოსმალური ხელნაწერის თანამედროვე თურქულზე ტრანსლიტერაცია, ნაშრომს თან ახლავს კომენტარები, თუმცა, ავტორს აღარ უკვლევია ჰასანის ბიოგრაფიის სხვა დეტალები[257].

სტამბულში გამარჯვებულ ჰასანს და მის თანმხლებ დელეგაციას დიდი პატივით შეხვდნენ. ფრანგული წყაროს მიხედვით, აქ ყოფნისას, ჰასანმა 800 ჯარისკაცი შეარჩია ალჟირში გასაგზავნად[258]. ალჟირის ფაშასთვის განკუთვნილი ძვირფასი მოსასხამით, ხმლით და სხვა საჩუქრებით დატვირთული ჰასანი ფრანგული ხომალდით "ლა სეპტიმანით" (La Septimane) გაემართა ალჟირისკენ. უკანა გზაზე "ლა სეპტიმანი" ესპანურმა საპატრულო ხომალდმა შეამოწმა, აქ მყოფი ალჟირელი მგზავრები და მათი ბარგი დააკავა და ესპანეთის ქალაქ კარტაჰენაში წაიყვანა. ჰასანს და სხვა დატყვევებულ ალჟირელებს ესპანეთში კარგად შეხვდნენ[259]. ფრანგული წყაროების მიხედვით ესპანელებმა მასთან, როგორც ალჟირის გავლენიან მოხელესთან და პოტენციურ მომავალ მმართველთან, გამართეს სამშვიდობო მოლაპარაკებები. ჰასანმა ესპანეთის მეფისგან განსაკუთრებული საჩუქარიც მიიღო[260]. ალჟირში ამერიკის წარმომადგენლის ჯოელ ბარლოვის მოგონებების თანახმად, ჰასანმა დამატებით ერთი მილიონი ესპანური დოლარიც აიღო მოლაპარაკებების წარმოებისა და ესპანელთა ინტერესების გათვალისწინებისთვის[261]. კარტაჰენაში ყოფნისას საპატიო ტყვე შეხვედრებს მართავდა პოლიტიკოსებთან, დიპლომატებთან და ვაჭრებთან. ერთ-ერთი მათგანი, ამერიკელი ჯონ მონტგომერი მოგვიანებით იხსენებდა, რომ ჰასანი იყო "განსაკუთრებული შესაძლებლობების პატრონი და ჭკვიანი პოლიტიკოსი", დადებითად განწყობილი

---

[256] Fehmi Edhem Karatay, Topkapı Sarayı Müzesi Kütüphanesi türkçe yazmalar kataloğu, Vol.1 (İstanbul: Topkapı Sarayı Müzesi, 1961), p. 306; Ismail Özen, *Osmanli müellifleri.* Vol. 3, (Istanbul, Meral Yayinevi, 1975), p. 63

[257] Savaş Özdemir. "Târihçe-Yi Cezâyir" (Hicrî 1189, Miladi 1775 – 1776) (Hasan bin Yusuf Ahıskavî), Istanbul, 2006. (გამოუქვყნებელი)

[258] Walsin Esterhazy. *De la domination Turque dans l'ancienne régence d'Alger*, Paris, 1840, p. 190-191

[259] Cathcart. *The Captives*, p. 135

[260] Grammont. *Histoire d'Alger*, p. 330

[261] Knox. *Naval documents*. vol. 1. p. 141 (letter of Joel Barlow to the U.S. Secretary of State, March 18, 1796)

ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ[262]. იმ პატივის მიუხედავად, რომელიც ესპანელებმა გამოიჩინეს დატყვევებული ჰასანის მიმართ, იგი მოგვიანებით თავად იხსენებდა ესპანეთში ფრანგი კონსულის ცივი დამოკიდებულების შესახებ და აღნიშნავდა, რომ "ფრანგები ალჟირელთა მეგობრები მხოლოდ ალჟირში არიან"[263].

ჰასანის გამოხსნაში აქტიურად ჩაერთო როგორც ალჟირის მმართველი მუჰამმად დეი, ისე იმდროინდელი ფრანგული საგარეო უწყება. ფრანგი დიპლომატების აზრით, აუცილებელი იყო ჰასანის დაუყოვნებლივი გათავისუფლება და ალჟირში დაბრუნება, ვინაიდან იგი მმართველი დეის ფავორიტი იყო და ალჟირის პრემიერ-მინისტრის მომავალი სიძე უნდა გამხდარიყო[264]. მოგვიანებით, 1776 წლის აპრილში, ჰასანმა წერილი მისწერა საფრანგეთი მეფე ლუი XVI-ს და საჩივარი გამოთქვა ესპანეთში ფრანგი კონსულის მიმართ[265]. წერილს ხელს აწერს ალჟირის ვაქილ ალ-ხარიჯი (Vekilhardji de la Marine D'Alger). ვაქილ ალ-ხარიჯი ოსმალეთის იმპერიაში იანიჩართა კორპუსში თანხების გამანაწილებელი იყო[266], ალჟირის შემთხვევაში კი ამ თანამდებობის პირი საზღვაო და ზოგადად შემოსავლების მინისტრის ფუნქციებსაც ითავსებდა, დამატებით ეწეოდა სხვადასხვა სახის პოლიტიკურ, სამხედრო და ადმინისტრაციულ საქმიანობასაც.

1778 წელს ტყვეობიდან ალჟირში დაბრუნებულმა მდიდარმა და გავლენიანმა ჰასანმა ცოლად მოიყვანა ალჟირის ხაზნაჯის ანუ პრემიერ-მინისტრის ქალიშვილი, რითაც კიდევ უფრო მეტად გაიმყარა თავისი გავლენა ალჟირის მმართველ წრეზე. მისი გავლენის და სიმდიდრის შემხედვარე ევროპელი დიპლომატები და მოგზაურები ფიქრობდნენ, რომ ჰასანი მუჰამმად დეის ახლო ნათესავი[267], ხოლო ზოგიერთის აზრით კი, ალჟირის დეის შვილობილი იყო[268].

---

[262] Knox. *Naval documents*. vol. 1, p. 32 (letter to the Secretary of State from Robert Montgomery, July 26, 1791).

[263] Plantet, *Correspondance des Deys D'Alger,* vol. 2, p. 330

[264] იქვე, p. 328-330

[265] იქვე, p. 228-230

[266] Bayerle Gustav. *Pashas, Begs and Effendi*, The Isis Press, Istambul 1997, p. 165

[267] Esterhazy, *De la domination Turque*, p. 190

[268] Voulx, A. de. *Tachrifat, recueil de notes historiques sur l'administration de l'ancienne régence d'Alger*, [Edition de 1852], p. 40

ჰასანის და ესპანელთა საიდუმლო შეთანხმების განხორციელება 1785 წლისთვის მოხერხდა, გაფორმდა “100 წლიანი ზავი” რაც საშუალებას აძლევდა ალჟირელ მეკობრეებს ატლანტიკის ოკეანეშიც დაეკავებინათ სავაჭრო გემები. ზავის გაფორმებოდან სულ ცოტა ხანში, 24 ივლისს ამერიკული ხომალდი “დაფინი”, ხოლო 30 ივლისს მეორე ამერიკული ხომალდი “მარია” ალჟირელმა მეკობრეებმა ატლანტიკის ოკეანეში პორტუგალიის სანაპიროსთან დააკავეს[269].

ამერიკული ხომალდები და დატყვევებული ოცდაერთი ამერიკელი მეზღვაური ალჟირში წაიყვანეს. მოგვიანებით, ერთ-ერთი ამერიკელი ტყვე ჯეიმს ქათქართი ჰასანის ქრისტიანი მდივანი გახდა საზღვაო სამინისტროს უწყებაში. შემდგომში, ხელსაყრელი სამშვიდობო ხელშეკრულების დადებისა და ამერიკელი მეზღვაურების გამოსყიდვის დროს, ამერიკელებს ეს ნაცნობობა ძალზე გამოადგათ.

ამერიკისთვის ძალიან რთული იყო ალჟირთან მოლაპარაკება, რადგან ამ დროისთვის სახელმწიფოს არ გააჩნდა იმ სახის საზღვაო ძალა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ალჟირელთა დაშინება და მოლაპარაკებებში დათმობების მოპოვება. საფრანგეთი და ესპანეთი ეხმარებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატებს ამ მოლაპარაკებების წარმოებისას. მათ მიაღწიეს იმას, რომ ამერიკელი ტყვეების უკიდურესად მძიმე პირობები შედარებით გაუმჯობესდა, თუმცა, ალჟირის გამგებელი მუჰამმად დეი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო შეემცირებინა ამერიკელების გამოსასყიდად დაწესებული უზარმაზარი თანხა. ამერიკელი დიპლომატები იმედოვნებდნენ, რომ ღრმად მოხუცებულ და ავადმყოფ მუჰამმად დეის დიდი ხნის სიცოცხლე არ ჰქონდა დარჩენილი, მისი შემცვლელი ჰასანი კი ამ დრომდე ინარჩუნებდა ამერიკელებისადმი კეთილგანწყობას რაც მასთან წარმატებული მოლაპარაკების მეტ იმედს ტოვებდა. სამშობლოში დაბრუნების დიდი იმედი ჰქონდათ დატყვევებულ ამერიკელ მეზღვაურებსაც,

---

[269] United States Department of States, *The diplomatic correspondence of the United States of America: from the signing of the definitive treaty of peace, September 10, 1783 to the adoption of the constitution, March 4, 1789.* Washington, 1837, Vol II, p.411, (a letter of Richard O'Brien to Jefferson, Aug. 24, 1785). ასევე იხ. Benchérif Osman. *The Image of Algiers in Anglo-American Writings, 1785-1962* (Washington: University Press of America, 1997); Sears Christine E. *American Slaves and African Masters: Algiers and the Western Sahara, 1776-1820* (New York: Springer, 2012). p. 7-88.

ერთ-ერთი მათგანი მოგვიანებით იხსენებდა, რომ ჰასანს „უზარმაზარი გავლენა აქვს და მასზე უკეთ არავის შეუძლია [დეის] ტახტის დაკავება, იგი მიუთითებს [სამხედრო] ხომალდებს თუ საით აიღონ გეზი, და იმედი მაქვს, რომ მის ნებისმიერ რჩევას დიდი გავლენა აქვს დეიზე ... [სხვებთან შედარებით ჰასანი] ყველაზე კეთილგანწყობილია ამერიკელების მიმართ”[270]. 1788 წლის მაისში სიკვდილით დასაჯეს ჰასან ხაზნაჯი, რომელიც ჰასანის სიმამრი იყო. ხაზნაჯი ასრულებდა პრემიერ-მინისტრის ფუნქციებს, იგი საფაშოში ნომერ მეორე თანამდებობას წარმოადგენდა. მალევე, 26 მაისს ამ თანამდებობაზე დაინიშნა ჰასანი, მისი სიკვდილით დასჯილი სიმამრის ქონებაც ალჟირის ახლად დანიშნულ ხაზნაჯის გადაეცა[271].

ფრანგი დიპლომატი დე პარადი, რომელიც ალჟირს ერთი წლის შემდეგ ეწვია აღნიშნავდა, რომ მუჰამმად დეის ქრონიკული ავადმყოფობის და ღრმა ასაკის გათვალისწინებით ალჟირში იმჟამად ყველაზე მდიდარი და გავლენიანი პრემიერ-მინისტრი ჰასანია. მასთან აუდიენციისას, დე პარადი აღფრთოვანებას ვერ მალავდა ჰასანის დარბაზის კედლებზე გამოფენილი ძვირფასი ქვებით გაწყობილ ოქროსა და ვერცხლის იატაგანების, თოფების, დამბაჩების და სხვა საბრძოლო იარაღის ნახვისას[272]. თუმცა, იმ პერიოდის ფრანგი დიპლომატი მიშელ კერსი ჰასანს ახასიათებს როგორც სუსტ პიროვნებას, რომელსაც სულ მალე დაამარცხებდა ალჟირის ვაქილ ალ-ხარიჯი ‘ალი ქართველი[273]. ამ პიროვნების და მისი ძმის ისტორია ქვემოთ არის დეტალურად განხილული.

1791 წლის 11 ივლისს გარდაიცვალა ალჟირის მმართველი მუჰამმად დეი, ამის შესახებ ჰასანს მამლუქებმა – ქართველმა ‘ალი ვაქილ ალ-ხარიჯიმ და ბერძენმა მუჰამმად ხაზინადარმა შეატყობინეს. მათვე უთხრეს ჰასანს, რომ გარდაცვლილმა დეიმ მის მემკვიდრედ სწორედ ჰასანი დაასახელა[274]. მოგვიანებით, ამერიკელი დიპლომატი იხსენებდა, რომ ჰასანმა განსაკუთრებით ბევრი ფული დაარიგა ალჟირის ოსმალური

[270] Knox. *Naval documents*, vol. I, p. 16, (letter from Richard O’Brien from April 28, 1787)
[271] Cathcart. *The Captives*, p. 134-135
[272] De Paradis. *Tunis et Alger au XVIIIe siece*, p. 121
[273] Esquer. *Reconnaissance des villes, forts et batteries d'Alger*, p. 93
[274] Cathcart, The Captives, p. 151-152

გარნიზონის წევრთა შორის, რათა წინააღმდეგობის გარეშე აერჩიათ საფაშოს მმართველად[275].

ესპანელებმა ჰასანს განსაკუთრებულად მიულოცეს ალჟირის მმართველად არჩევა, მათ მთავარი გემთმშენებელი ოსტატი გამოუგზავნეს და სთხოვეს, რომ დიდი ხნის წინ არსებული შეთანხმების მიხედვით გაფორმებულიყო საზავო ხელშეკრულება[276].

1791 წლის სექტემბერში ესპანეთმა ალჟირს დაუთმო ქალაქები ორანი და მერს-ელ-ქებირი. ახალი ტერიტორიების შემოერთება ჰასანმა დიდი ზეიმით აღნიშნა და ელჩიც გააგზავნა ოსმალეთის სულტანთან ამ სასიხარულო ცნობით და ქალაქ ორანის ოქროს გასაღებით[277]. სულტან სელიმ III-მ (1789–1807), მადლიერების ნიშნად ჰასანს მესამე თუღრა[278] გამოუგზავნა, რაც დიდი პატივი იყო ნებისმიერი ოსმალო გამგებლისთვის[279].

ალჟირის მმართველად ჰასანის დანიშვნამ დამატებითი იმედები გაუჩინა ამერიკელებს, რაზეც მეტყველებს ამერიკელი დიპლომატის წერილი აშშ სახელმწიფო მდივანთან თომას ჯეფერსონთან. დიპლომატი იმედოვნებდა, რომ აშშ ამჯერად უფრო იოლად შესძლებდა ალჟირის მმართველთან მოლაპარაკებას და რომ მისი ამჟამინდელი მაღალი თანამდებობის გამო არ დაივიწყებდა ამერიკელების მიმართ არსებულ მეგობრულ განწყობას[280]. ჰასანი კი აგრძელებდა ალჟირში დამკვიდრებულ ტრადიციას რომლის თანახმადაც დეი უპირველესად აქ მყოფი თურქი ჯარისკაცების, მეკობრეების და ზოგადად სამხედო კლასის მეთაური იყო და მათი კეთილდღეობაზე და კმაყოფილებაზე ზრუნვა მისი მთავარი მოვალეობა იყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მიუხედავად მისი პირადი კეთილგანწყობისა, ჰასანი ვალდებული იყო ანგარიში გაეწია საკუთარი ქვეშევრდომების ინტერესებისათვის.

---

[275] Knox. *Naval documents*, vol. I, p. 141

[276] Barnby. *The Prisoners of Algiers*, p. 109

[277] Grammont. *Histoire d'Alger*, p. 344

[278] თუღრა ცხენის ძუისგან გაკეთებული თასმაა, რომელიც ოსმალურ სამხედრო სტანდარტზე იყო გამობმული. სულტანს ექვსი თუღრა ჰქონდა, დიდვაზირს ხუთი, ვეზირებს სამი, ხოლო ფაშებსა და ბეგებს ორი თუღრა. იხ. Bayerle, *Pashas, Begs and Effendis*, p. 159

[279] Le Clercq, Maurice. Le tombeau des cinq deys d'Alger : légende algérienne, Imp. Daix, 1888, p. 48

[280] Charles T. Cullen. *The Papers of Thomas Jefferson*, vol. 22, 6 August 1791–31 December 1791 Princeton: Princeton University Press, 1986, pp. 123–125 "Enclosure: Algier's Affairs. To Thos. Jefferson Esqr. Secretary of State. Marseilles the 4th. September [1791]"

როგორც თავად ჰასანმა უთხრა ერთ ფრანგ დიპლომატს “ჩვენ, ალჟირის მმართველები ყოველთვის ვერ გავაკეთებთ იმას, რაც უკეთესი გვგონია. ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში სადაც ყაჩაღების ხმას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს”[281]. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ვერ მოხერხდა ტყვე ამერიკელი მეზღვაურების გათავისუფლება. ჰასანს კარგად ესმოდა, რომ ამერიკელებზე დაბალი ან არადამაკმაყოფილებელი გამოსასყიდი თანხის იძულების შემთხვევაში მას აუცილებლად აუჯანყდებოდნენ მეკობრეები, მონათვაჭრები და ამ ინდუსტრიაში ჩაბმული სამხედრო კლასი.

ალჟირსა და ესპანეთს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას მოჰყვა ასევე დროებითი საზავო შეთანხმება პორტუგალიასა და ალჟირს შორის, რის შედეგადაც ალჟირელ მეკობრეებს ეხსნებოდათ გზა ატლანტიკის ოკეანეში ამერიკული და სხვა დაუცველი სავაჭრო ხომალდებისკენ. შედეგად, 1793 წლის შემოდგომის მდგომარეობით, ალჟირელმა მეკობრეებმა დამატებით დაატყვევეს თერთმეტი ამერიკული ხომალდი და 105 ამერიკელი მეზღვაური[282]. სანამ ეს მოხდებოდა, აშშ-ს პირველმა პრეზიდენტმა ჯორჯ ვაშინგტონმა თავისი პირადი წარმომადგენელი გამოაგზავნა ალჟირის მმართველთან. აქვე მოგვაქვს აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ვაშინგტონის და სახელმწიფო მდივანი თომას ჯეფფერსონის 1793 წლის 21 მარტით დათარიღებული წერილის თარგმანი[283].

“ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი
ალჟირის დეისა და სარეგენტოს,

ვინაიდან გვსურს ჩვენს ხალხსა და ალჟირის დეის, სარეგენტოსა და ალჟირელ ხალხთან მშვიდობისა და ჰარმონიის დამყარება და განვითარება, დავნიშნე დეივიდ ჰამფრი, ჩვენი ერთ-ერთი გამორჩეული მოქალაქე, სრულუფლებიან კომისრად, [და]

[281] De Paradis. *Tunis et Alger au XVIIIe siece,* p. 111
[282] Barnby. *The Prisoners of Algiers,* p. 111
[283] The Papers of George Washington, Presidential Series, vol. 12, 16 January 1793–31 May 1793, ed. Christine Sternberg Patrick and John C. Pinheiro. Charlottesville: University of Virginia Press, 2005, p. 356.

ვანიჭებ მას სრულ უფლებას, რათა აწარმოოს მოლაპარაკებები და გააფორმოს მეგობრობისა და სავაჭრო ხელშეკრულება თქვენთან. ვლოცულობ, რათა სრული ნდობა გამოუცხადოთ მის მიერ შეერთებული შტატების სახელით მოწოდებულ გზავნილს თქვენდამი, განსაკუთრებით კი ჩვენს გულწრფელ სურვილს ვიქონიოთ თქვენთან და თქვენს ხალხთან მშვიდობა და მეგობრობა.

შევთხოვ ღმერთს, რათა მოგცეთ ჯანმრთელობა და ბედნიერება.

დაწერილია 1793 წლის მარტის 21-ე დღეს, ფილადელფიაში, შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის მე-17 წელს.

ჯ. ვაშინგტონი

პრეზიდენტი

თ. ჯეფერსონი”

მიუხედავად დიპლომატიური წარუმატებლობისა, ამერიკელები დაინტერესებულნი იყნენ თავიანთი მოქალაქეების მონობისგან გათავისუფლებით და ალჟირთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებით. 1795 წლის იანვრისთვის ჰასანის მოთხოვნა ალჟირელთა მიერ მოთხოვნილი თანხა არარეალურად მაღალი იყო, ასზე მეტი ამერიკელი ტყვის გათავისუფლება და ალჟირის მოხელეთა დასაჩუქრება ამერიკის ხაზინას 2 მილიონ ესპანურ დოლარზე მეტი დაუჯდებოდა. აღსანიშნავია, რომ ჯეიმს ქათქართი ჯერ კიდევ 1787 წლიდან ემსახურებოდა ჰასანს, რომელიც იმ პერიოდში საზღვაო მინისტრი იყო. 1792 წლის მარტიდან ქათქართი უკვე ალჟირის ფაშის ქრისტიან მდივნად დაინიშნა. ეს ყველაზე მაღალი თანამდებობა იყო საფაშოში, რაც ქრისტიანს შეეძლო დაეკავებინა.[284] სწორედ ქათქართის მეშვეობით ხდებოდა ალჟირის მმართველისა და ამერიკელი დიპლომატების შორის კავშირი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჰასანმა უარი თქვა მოლაპარაკებებზე და ხელი არ შეუშლია ალჟირელი მეკობრეების მიერ ატლანტიკის ოკეანეში ამერიკულ ხომალდებზე ნადირობისთვის. დეიმ ელჩი არ მიიღო, თუმცა, როგორც ირკვევა, ვაშინგტონის მიერ

[284] Cathcart, *The Captives*, p. 156

გამოგზავნილი წერილი წაიკითხა. საპასუხო წერილის სამუშაო ვერსია ინახება ნიუ იორკის საჯარო ბიბლიოთეკის არქივებში და სავარაუდოდ თარიღდება 1794 წლის ოქტომბრით. წერილის ორიგინალი ამჟამად ნიუ იორკის ბიბლიოთეკაში ჯეიმს ქათქართის პირად არქივშია დაცული[285]. ჰასან დეი ჯორჯ ვაშინგტონს წერდა, რომ იგი მიესალმება მოლაპარაკებებს და საჭიროდ თვლის უახლოეს პერიოდში ამერიკასა და ალჟირს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებას. მაგრამ უცნობია, გაიგზავნა თუ არა ეს საპასუხო წერილი ამერიკის პრეზიდენტთან.

ამერიკელი დიპლომატები, რომლებიც ოროიდე წლით ადრე დიდი იმედით ხვდებოდნენ ჰასანის მმართველად არჩევას, აღნიშნავდნენ, რომ მისი ხასიათი შეიცვალა, მასთან ურთიერთობა ყველაზე გამოცდილი დიპლომატებსთვისაც კი რთული გახდა[286]. თავის პირად მიმოწერაში ამერიკელი დიპლომატი ჯოელ ბარლოვი ჩიოდა, რომ ჰასანი ჭირვეული ბავშვივით იქცეოდა და მასთან იმდენად ძნელი იყო შეთანხმებაზე საუბარი როგორც ნამდვილ დათვთან[287]. გაოცებას და უკმაყოფილებას ვერც ფრანგი დიპლომატები მალავდნენ, მიუხედავად მის მიერ გამოვლენილი კეთილგანწყობისა. მან გააუქმა სიკვდილით დასჯა რიგი დანაშაულებისთვის და გააუმჯობესა ქრისტიან ტყვეთა პირობები, მაგრამ ჰასანი მაინც რჩებოდა ეჭვიან მმართველად, ისეთად როგორც მისი წინამორბედები იყვნენ[288].

1795 წლის სექტემბრის დასაწყისში ალჟირში ჩავიდა ამერიკელი დიპლომატი ჯოზეფ დონალდსონ ჯუნიორი. ჰასანს აშკარად არ მოეწონა დონალდსონი და მოლაპარაკების შემდეგ ქათქართს უთხრა, რომ ამერიკას სამშვიდობო ხელშეკრულება და ტყვეთა გათავისუფლება 2.247.000 ესპანური დოლარი, ორი 35 ზარბაზნიანი სამხედრო ხომალდი და პერიოდული საკონსულო საჩუქარი დაუჯდებოდა.[289] ამერიკელებს მხოლოდ 585.000 ესპანური დოლარის გადახდა შეეძლოთ, მოლაპარაკებები ჩაშლის

---

[285] Cathcart family papers, 1785-1962, bulk (1785-1806; 1830-1844), Box 1, No. 25. Manuscripts and Archives Division, New York Public Library, წერილის ფოტოსტვის იხ. ილუსტრაცია 11

[286] Cantor, Milton. *Joel Barlow's Mission to Algiers*, Historian, 25:2 (1963: Feb.), p. 176

[287] Todd, Charles Burr. *Life and letters of Joel Barlow, LL.D., poet, statesman, philosopher, with extracts from his works and hitherto unpublished poems*, New York, London, G.P. Putnam's Sons, p. 124

[288] Grammont, H.-D. *Histoire d'Alger sous la domination turque (1515-1830)*, E. Leroux (Paris) 1887, p. 346

[289] Barnby. *The Prisoners of Algiers*, p. 173

პირას იყო. ამ დროს ამერიკელმა ქათქართიმ თავის თავზე აიღო ბოლო სიტყვა, დაიჩოქა, დეის ემთხვია ხელზე და მოახსენა: "ეფენდი, ზოგიერთი ჩვენგანი აქ უკვე ათ წელზე მეტია ვიმყოფებით, თუ ღმერთი გწამთ, გაგვიშვით."[290] ამ სიტყვებმა რატომღაც ძალიან იმოქმედა ჰასანზე, იგი დაფიქრდა და ამერიკელთა გასაოცრად, მათ პირობებს უყოყმანოდ დათანხმდა. ამერიკელი მკვლევარი ჰენრი ბარნბი თვლის, რომ ჰასანს ძალიან მოსწონდა ამერიკელები, ისინი ბრიტანეთისგან თავის დასახსნელად იბრძოდნენ და ალჟირის მმართველისათვის ახალგაზრდა ქვეყანა, რომელიც დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ მისაბაძი და მაგალითის მიმცემი იყო.[291]

ამერიკასა და ალჟირს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება საბოლოოდ 1795 წლის 5 სექტემბერს გაფორმდა. ამერიკელები იხდიდნენ იმ დროისთვის საკმაოდ დიდ თანხას 725 ათასი დოლარის ოდენობით 101 ამერიკელი ტყვის გამოსყიდვისთვის. კმაყოფილმა ჰასან დეიმ ჯორჯ ვაშინგტონს ოქროთი მოვარაყებული ხმალი გაუგზავნა საჩუქრად[292]. გადახდილი თანხა იმ პერიოდის აშშ ფედერალური შემოსავლების 16 პროცენტს უდრიდა[293].

1796 წლის 2 მარტს ამერიკის სენატმა მოახდინა ალჟირთან ხელშეკრულების რატიფიკაცია, რის შემდეგაც დაიწყო გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად თანხის მოძიება. მიუხედავად მიღწეული შეთანხმებისა, ამერიკელებმა ვერ შესძლეს დათქმულ დრომდე ამ ოდენობის თანხის შეგროვება და ალჟირელთათვის მისი გადაცემა. თანხის გადაცემის ბოლო ვადა არაერთხელ გადაიდო, რაც ძირითადად უკავშირდებოდა თანხის ევროპულ ბანკებში ფიზიკურად მოძიებას და მის მიწოდებას ალჟირელთათვის. ქათქართი რამდენჯერმე მივიდა ჰასან ფაშასთან თხოვნით გადაევადებინა ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადა. თანხის დაგვიანების

---

[290] Barnby. *The Prisoners of Algiers,* p. 184

[291] იქვე, p. 192

[292] Letter from Abigail Adams to John Adams, 22 February 1796 [electronic edition]. Adams Family Papers: An Electronic Archive. Massachusetts Historical Society. http://www.masshist.org/digitaladams/ [შემოწმებულია 06/05/2018]

[293] Hannah Farber. *Millions for Credit: Peace with Algiers and the Establishment of America's Commercial Reputation Overseas, 1795–96,* Journal of the Early Republic, Vol. 34, No. 2 (Summer 2014), p. 204

საკომპენსაციოდ, ალჟირში მყოფმა დონალდსონმა და მის დასახმარებლად ჩასულმა დიპლომატმა ჯოელ ბარლოვმა ჰასანს შესთავაზეს, რომ ამერიკელები სპეციალურად ალჟირის მმართველის ქალიშვილისთვის დაამზადებდნენ ამერიკულ 36 ზარბაზნიან სამხედრო ხომალდს.

გარკვეული ლოდინის შემდეგ ჰასანმა თავისი ქრისტიანი მდივანი ჯეიმს ქათქართი გააგზავნა აშშ პრეზიდენტთან, მასვე გაატანა 1796 წლის 5 მაისით დათარიღებული წერილის თარგმანი[294].

“ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯორჯ ვაშინგტონს ალჟირის ქალაქისა და სარეგენტოს ვეზირი ჰასან ფაშა დეისგან.

ალჟირი, 1796 წლის 5 მაისი.

მშვიდობა და კეთილდღეობა,

ჩვენ ორ ერს შორის მშვიდობა და ჰარმონია დამყარდა ამერიკის შეერთებული შტატების ორი აგენტის ჯოზეფ დონალდსონის და ჯოელ ბარლოვის შუამდგომლობით და ვინაიდაინ უკვე მერვე თვე გადის ისე, რომ ხელშეკრულების არც ერთი პირობა არ შესრულებულა ვიფიქრეთ ჩვენი ყოფილი ქრისტიანი მდივნის ჯეიმს ქათქართის გამოგზავნა თქვენთან... სარეგენტოსთვის საჭირბოროტო ცნობით. ასევე [გიგზავნით] ხმელთაშუა ზღვის პასპორტს თქვენი კონსულისთვის, რომელიც რაც შეიძლება სწრაფად გადაეცით [მას]. დანარჩენი ინფორმაციისთვის მივმართავ თქვენს აქ მყოფ რეზიდენტ კონსულს და ხსენებულ ჯეიმს ლეადერ ქათქართს და იმედი მაქვს მოგახსენებენ ჩვენი შეთანხმების [პირობების] სრულად აღსრულებას და რომ ხსენებული ქათქართი ხელშეკრულებაში მითითებული პირობებით გამოიგზავნება, რაც შეიძლება სწრაფად, რისთვისაც მას გადავეცით ხმელთაშუა ზღვის პასპორტი ერთი წლის ვადით დაწყებული თქვენი უფლის წელთაღრიცხვით 1796 წლის 1 მაისს.

[294] Cathcart James Leander. *The diplomatic journal and letter book of James Leander Cathcart, 1788-1796*, American Antiquarian Society, Proceedings, n.s.:64:2 (1955), p. 400

დაწერილია დეის სასახლეში, ჩვენი განკარგულებით, დალუქულია ამ სარეგენტოს დიდი ბეჭდით ლუნა ქარბის 26-ე დღეს, ჰიჯრით 1210 წელს, რომელიც არის 1796 წლის 5 მაისი.

ალჟირის ქალაქისა და სარეგენტოს ვეზირი ჰასან ფაშა დეი.”

1796 წლის 8 მაისს ქათქართი ჰასან ფაშას წერილით ამერიკაში გაემგზავრა. 1796 წლის ივნისისთვის თანხის მხოლოდ ნაწილის მოძიება მოხერხდა და მთლიანად მოხმარდა ამერიკელ ტყვეთა გათავისუფლებას. შემოდგომაზე თანხა ფორმალურად გადაეცა ალჟირის ფაშას და ხაზინას, ამერიკელი დიპლომატი ჯოელ ბარლოვი ჰასანთან შეხვედრის შემდეგ აღნიშნავდა, რომ ალჟირის მმართველს განსაკუთრებით მოსწონდა ამერიკელები და მზად იყო მათ დახმარებოდა ყველაფერში, რაც ხელეწიფებოდა[295], როგორც ირკვევა, დიპლომატმა ბარლოვმა სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებისას ჰასანს საჩუქრად საფრანგეთის მეფის ლუი XVI-ის ნაქონი ოქროს სანადირო თოფი აჩუქა[296].

თავის განსაკუთრებით გრძელ საპასუხო წერილში, რომელიც 1796 წლის 13 ივნისით არის დათარიღებული, ჯორჯ ვაშინგტონი ჰასანს აუწყებს იმ მიზეზებს, რის გამოც დროულად ვერ მოხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილება. პრეზიდენტი ვაშინგტონი ჰასანს აქვე ატყობინებს, რომ პირობების დაგვიანებული შესრულების სანაცვლოდ უკვე შეუკვეთა პირადი საჩუქარი - სამხედრო ფრეგატი[297]. ამავე წელს 3 დეკემბრით დათარიღებულ წერილში, რომელიც ჰასანის 5 მაისის წერილის საპასუხოდ არის დაწერილი, ჯორჯ ვაშინგტონი კიდევ ერთხელ განმარტავდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების დაყოვნების მიზეზებს[298]. 1797 წლის 25 დეკემბრით არის დათარიღებული ამერიკის მეორე პრეზიდენტის ჯონ ადამსის (1797 – 1801) წერილი ჰასანთან, რომელიც

[295] Milton Cantor, *A Connecticut Yankee in a Barbary Court: Joel Barlow's Algerian letters to his wife*, The William and Mary Quarterly, 3rd Ser., Vol. 19, No. 1. (January 1962), pp. 107-108

[296] Cathcart. *The Captives*, p. 103

[297] “From George Washington to Dey Hassan Bashaw, 13 June 1796,” Founders Online, National Archives (http://founders.archives.gov/documents/Washington/99-01-02-00619 [chcked: 2015-12-30])

[298] “From George Washington to Dey Hassan Bashaw, 3 December 1796,” Founders Online, National Archives (http://founders.archives.gov/documents/Washington/99-01-02-00053 [checked: 2015-12-30])

ახლადდანიშნულმა კონსულმა წაიღო ჰასანისთვის განკუთვნილ ხომალდთან ერთად[299].

“ალჟირის დეის პრეზიდენტ ჯონ ადამსისგან,

მის უდიდესობას ქალაქ და სამეფო ალჟირის ფაშას ჰასანს,

დავრწმუნდით რა ამერიკის მოქალაქის, იურისტის რიჩარდ ო’ბრაიენის შესაძლებლობებსა და ალჟირში საჯარო საქმიანობის უბადლო ცოდნაში, ჩავთვალეთ, რომ იგი გამოადგებოდა თავის ქვეყანას და თქვენი უმაღლესობისთვისაც მისაღები იქნებოდა. სწორედ ამის გამო შევარჩიე იგი და აშშ სენატმა თანხმობა მომცა დამემტკიცებინა ალჟირის სამეფოში გენერალურ კონსულად.

გთხოვთ, რომ მიიღოთ იგი და მიანიჭოთ მას ის პრივილეგიები, რითაც სარგებლობენ სხვა სახელმწიფოების კონსულები, რომლებთანაც მეგობრობა და მშვიდობა გაკავშირებთ. სანამ იგი შეასრულებს მის დავალებებს, იმედი მაქვს დადებითად შეაფასებთ მის საქმიანობას იზრუნოს აშშ-ს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე დეის და ალჟირის სარეგენტოს მიმართ. ბევრმა გაუთვალისწინებელმა გარემოებამ იმოქმედა ამ ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის შესახებაც გენერალური კონსული პირადად მოგახსენებთ. ზოგიერთი მათგანი იმდენად რთული შესასრულებელია, რომ საჭიროებს დამატებით დროს. თუმცა, შემდგომი დაგვიანება ნამდვილად არა ჩვენი ნებით, არამედ განსაკუთრებით რთული გარემოებებით არის გამოწვეული. დარწმუნებული ვარ, თქვენი უმაღლესობა სათანადოდ შეაფასებს მათ და ჩვენს შორის ჩამოყალიბებული ჰარმონია და ურთიერთგაგება, რომელიც ესე დადებითად დაიწყო, კვლავ გაგრძელდება და გამყარდება.

ამ სიმართლეს და კეთილგანწყობას მხოლოდ ჩემს ლოცვას დავამატებდი, რომ მაღალმა ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მოგცეთ და პატივში გამყოფოთ.

დაწერილია ფილადელფიაში, 1797 წლის 25 დეკემბერს.

ჯ.ა. [ჯონ ადამსი] აშშ პრეზიდენტი

---

[299] Knox. *Naval documents*, vol I, p, 230 – 240, 230-231 გვერდებზე განთავსებულია პრეზიდენტის წერილის ტრანსკრიპტი.

თ.ფ. [თიმოთი პიკერინგი] სახლმწიფო მდივანი”.

ჰასანი დაეხმარა აშშ-ს გაეფორმებინა სამშვიდობო დროებითი ზავი აშშ-სა და თუნისს შორის[300]. იმავდროულად მისი ხელმოწერა ერთვის ამ ხელშეკრულებას, რითაც ჰასანი იძლევა გარანტიას, რომ ამერიკულ ხომალდებზე არ მოხდება თუნისელი მეკობრეების თავდასხმა. ჰასანი ასევე დაეხმარა ამერიკელ დიპლომატებს მეზობელ ტრიპოლის საფაშოსთან სამშვიდობო ხელშეკრულებების მიმდინარეობისას, მისი გარანტია ერთვის 1797 წლის 3 იანვრის აშშ-სა და ტრიპოლის შორის სამშვიდობო ხელშეკრულებას[301]. ამერიკელი დიპლომატები აღნიშნავდნენ, რომ ჰასანის მიერ გაცემულ საბუთებს ჩრდილოეთ აფრიკელები ისე უყურებდნენ როგორც “სიწმინდეს”[302].

ბუნებრივია, ჰასან დეის ინტენსიური ურთიერთობები ჰქონდა ესპანეთის, საფრანგეთის, ბრიტანეთის, იტალიური, გერმანული და სკანდინავიური სახელმწიფოების მონარქებთან და უმაღლეს პირებთანაც. ის იყო ალჟირის ერთპიროვნული ლიდერი რვა წლის მანძილზე და მისი ცხოვრება დასრულდა ალჟირის მმართველის როლში. ჰასან იბნ იუსუფ აჰისკავი მოხუცებული გარდაიცვალა 1798 წლის 14 მაისს. მისი ქალიშვილი ენფისა იყო ალჟირის ბოლო ოსმალო გამგებლის ჰუსეინ იბნ ჰასანის (1818 – 1830) მეუღლე. უცნობია ჰასანის ზუსტი ასაკი. ამერიკელი ტყვეების მემუარების თანახმად, გარდაცვალებისას ჰასანი 60-70 წლის იქნებოდა[303].

1794 წელს ჰასანმა ააგო ქეჩაუას ორმინარეთიანი მეჩეთი[304]. თუმცა, ზოგიერთი ცნობით, მან აქ მხოლოდ აღადგინა არსებული ძველი მეჩეთი. მიუხედავად ამისა, თანამედროვე პერიოდში ქეჩაუას მეჩეთი ჰასან დეის სახელთან ასოცირდება. თავად მეჩეთი, მოგვიანებით, ფრანგებმა კათოლიკურ ეკლესიად გადააკეთეს, ხოლო ალჟირის

---

[300] Knox. *Naval documents*, vol I, p. 121-122

[301] იქვე, p. 178-179

[302] იქვე, p. 176

[303] Foss, John D. *A Journal of the Captivity and Sufferings of John Foss; several years a prisoner in Algiers: Together mith some account of the treatment of Christian slaves when sick and obsemations on the manners and customs of the Algerines*. Newburyport, 1798. p. 73; Nicholson Thomas, *An affecting narrative of the captivity and sufferings of Thomas Nicholson ... who has been six years prisoner among the Algerines ... to which is added a concise description of Algiers ... and some particulars of Commodore Decatur's late expedition against the Barbary powers*. Boston, 1818, p. 6

[304] იხ. ილუსტრაცია 12

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ალჟირელებმა იგი ისევ მეჩეთად აღადგინეს. ქეჩაუას მეჩეთი, რომელიც ალჟირის საფოსტო მარკებზეც არის აღბეჭდილი, ქალაქ ალჟირის ცენტრში მდებარეობს და ალჟირელთა თანახმად, ყველაზე დიდი მეჩეთია მათ ქვეყანაში. სწორედ ამ მეჩეთის გარშემო დაიწყო მოგვიანებით, 1956 წელს, ალჟირის რევოლუცია. ასევე შემორჩენილია ქეჩაუას მეჩეთის გვერდით არსებული ჰასან დეის სასახლე, საფრანგეთის მიერ ალჟირის ოკუპაციის შემდგომ, სასახლეში ჯერ ალჟირის ფრანგი გუბერნატორი ცხოვრობდა, შემდგომში კი საპატიო სტუმართა სასტუმროდ გადაკეთდა. 1860 და 1865 წლებში ალჟირში მოგზაურობისას სწორედ აქ გაჩერდნენ საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ III და მისი მეუღლე ევგენია, 1903 წელს კი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ემილ ლუბე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკელმა მწერალმა როიალ ტაილერმა 1797 წელს გამოაქვეყნა მხატვრული ნაწარმოები ალჟირში მყოფი ტყვის შესახებ. აქ ტაილერი აღწერს ჰასან დეის, მის ჩაცმულობას, მანერებს და რამოდენიმე საინტერესო ამბავს დეის ცხოვრებიდან. სავარაუდოდ, ავტორი ეყრდნობოდა იმ ამერიკელ მეზღვაურთა და დიპლომატთა მონაყოლს, რომელთაც თავად იხილეს ამერიკის მეგობარი ალჟირის მმართველი[305].

ალჟირთან ურთიერთობისას ამერიკელმა დიპლომატებმა, პოლიტიკოსებმა და სამხედროებმა პირველად ქვეყნის ისტორიაში გამოსცადეს საკუთარი შესაძლებლობები მათთვის სრულიად უცნობ და უცხო სახელმწიფოსთან. ამ ურთიერთობებმა დიდი გავლენა იქონია ახალგაზრდა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური კურსის შექმნასა და ჩამოყალიბებაზე. ალჟირში დატყვევებულ ამერიკელ მეზღვაურთა გათავისუფლება და საერთოდ, ალჟირთან ამერიკის ურთიერთობის თემა საკმაოდ პოპულარული იყო ამერიკაში. პენსილვანიის შტატის მონობის აკრძალვის ხელშემწყობი საზოგადოება და მისი პრეზიდენტი ბენჯამინ ფრანკლინი სწორედ ალჟირში დამონებული ამერიკელი მეზღვაურების გათავისუფლების კამპანიას უკავშირებდა თავად ამერიკაში მონობის გაუქმების აუცილებლობას. 1790 წელს

[305] Royall Tyler. *The Algerine Captive; or, The life and adventures of Doctor Updike Underhill [pseud.] six years a prisoner among the Algerines* (Hartford, 1816), p. 114-115

საზოგადოებამ პეტიცია გაგზავნა ამერიკის კონგრესში მონობის აკრძალვის მოთხოვნით, რამაც დიდი დებატები გამოიწვია, განსაკუთრებით სამხრეთის შტატების წარმომადგენლების მხრიდან.[306] აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო-საზღვაო ძალების შექმნის იდეაც სწორედ მეკობრეობისგან ამერიკის საზღვაო ვაჭრობის დაცვას უკავშირდება.

ალჟირის საფაშოში გვხვდება ქართული წარმოშობის კიდევ ერთი მოხელე ‘ალი, რომელიც ჰასან იბნ იუსუფთან ერთად დაწინაურებული იყო მუჰამმად იბნ ოსმანის (1766-1791) კარზე. მისი ალჟირში დაწყებული კარიერა გაგრძელდა ტრიპოლის საფაშოში, სირიაში და ეგვიპტეში. თუმცა, ვინაიდან იგი უფრო ცნობილია როგორც ტრიპოლის ფაშა, ამ ქართველის ისტორია დეტალურად ოსმალური ტრიპოლის თავში არის განხილული.

ევროპამ გამოიარა ნაპოლეონის ბრძოლები, დაიწყო ტერიტორიების ხელახალი გადანაწილება. ევროპელები შეთანხმდნენ, რომ დრო იყო აღმოეფხვრათ ხმელთაშუა ზღვაში ჩრდილოეთ აფრიკის საფაშოთა მრავალსაუკუნოვანი მეკობრეობის პრაქტიკა და აეკრძალათ მონათვაჭრობა. 1812 წელს ალჟირის დეიმ ჰაჯჯ ‘ალიმ (1808-1815) ქვეყნიდან გააძევა ამერიკის ელჩი, რითაც ფაქტობრივად ომი გამოუცხადა ამერიკას. სამი წლის შემდეგ, 1815 წელს, ამერიკულმა ხომალდებმა დააკავეს ალჟირელთა ორი გემი, ბლოკადაში მოაქციეს ქალაქ ალჟირის პორტი და ომარ დეისგან (1815-1817) მოითხოვეს ყველა ამერიკელი ტყვის უპირობო გათავისუფლება და განახლებული ხელშეკრულების გაფორმება ყოველგვარი საკონტრაქტო გადასახადების გარეშე. დეი ამ პირობებზე დათანხმდა და დამატებით ათი ათასი დოლარიც გადაიხადა საკუთარი ხომალდების გამოსასყიდად.

ერთი წლის შემდეგ ქალაქ ალჟირს უკვე ბრიტანეთის ადმირალი ლორდი ექსმუთი მიადგა და დეისგან უკლებლივ ყველა ქრისტიანი მონის დაუყოვნებლივი განთავისუფლება მოითხოვა. ალჟირის მმართველმა თავიდან უარი შეუთვალა ბრიტანელებს, მაგრამ მოგვიანებით, ქალაქის 9 საათიანი დაბომბვის შემდეგ,

[306] Peskin Lawrence A. *Captives and Countrymen: Barbary Slavery and the American Public, 1785–1816,* (Baltimore: John Hopkins University Press, 2009), p. 85

იძულებული გახდა დათანხმებოდა ბრიტანელთა მოთხოვნებს, მათ შორის იყო ათასზე მეტი ქრისტიანი მონის უპირობო გათავისუფლებაც.

იცვლებოდა საერთაშორისო ურთიერთობები და ეს ცვლილებები ალჟირის საგარეო პოლიტიკაზეც უნდა ასახულიყო. საჭირო ხდებოდა ახალი მმართველი, რომელიც აქცენტს ქვეყნის კონსოლიდაციისა და რეფორმების გატარებაზე გადაიტანდა. ამ პერიოდის ალჟირის მმართველების აღწერისას ვიგებთ, რომ მათ იანიჩრები ირჩევდნენ, ისინი იყვნენ ყველაზე მამაცები და გაბედულები. ერთ-ერთი მათგანი იყო ‘უმარ ფაშა რომელიც თავის ძმასთან ერთად მოიტაცეს კუნძულ ლესბოსიდან[307].

დადგა 1818 წლის გაზაფხული. ალჟირის დივანი წერილს აგზავნის ოსმალეთის სულტან მაჰმუდ II-სთან, საიდანაც ვიგებთ, რომ გარდაიცვალა ალჟირის მმართველი მეგრელი უზურპატორი, რომელმაც მოკლა ‘უმარ ფაშა და 6 თვის განმავლობაში უკანონოდ მიისაკუთრა ალჟირის მმართველობა. ქვეყნის მოსახლეობა დესპოტური, უკანონო და არაეფექტური ხელისუფლების ქვეშ მოაქცია, რის შედეგადაც განადგურდა იანიჩართა კორპუსი და დაუძლურდა მოსახლეობა. მადლობა ალლაჰს, ‘ალი ფაშა ეპიდემიამ შეიწირა და დივანმა ჰუსეინს გადასცა მმართველობა, რომელიც, წინამორბედისაგან განსხვავებით, გამოირჩევა გონიერებით, ალლაჰის რწმენით და სულტნის ერთგულებით[308]. ეს ერთი მეგრელი იყო ‘ალი ფაშა (1817-1818)[309], რომლის უეცარმა სიკვდილმა ასე გაახარა ალჟირის დივანი.

ამერიკელი დიპლომატის ცნობით, ‘ალიმ, რომელსაც განთქმული თეოლოგის რეპუტაცია ქონდა, 1817 წელს გადაიბირა უკმაყოფილო იანიჩრები, ამავე წლის 8 სექტემბერს მოაწყო გადატრიალება, შეიჭრა სასახლეში და მოკლა ომარ ფაშა[310].

ფრანგ ავტორს ლუი პიესს ალჟირის ისტორიისადმი მიძღვნილ წიგნში ჩამოთვლილი აქვს ‘ალი ხოჯას სხვა გავრცელებული სახელები, მათ შორის არის მეგუერ-ალი (იგივე

---

[307] Shaler, *Sketches of Algiers*, p. 142

[308] Abdeljelil Temimi, “*Le Beylik de Constantine et Ḥadj ’Ahmed Bey (1830-1837)”* in Publications de la Revue d’histoire maghrébine, Vol. 1 (Tunis, 1978), p. 32

[309] იხ. ილუსტრაცია 13

[310] Shaler, *Sketches of Algiers*, p. 156

მეგრელი ალი)[311] და ალი-ლოკო (ანუ ალი-გიჟი)[312]. ‘ალი ნამდვილად არ იყო გიჟი, პირიქით, ამერიკის კონსული ალჟირში უილიამ შალერი მას ახასიათებს როგორც გონიერს, განათლებულს და წიგნების მოყვარულს[313]. კონსულს ერთი ისტორია მოაქვს ‘ალის წიგნებთან ურთიერთობის საილუსტრაციოდ, რაც იმ პერიოდისთვის გავრცელებული ნარატივი იყო ‘ალის აღწერისას. მმართველ დეისთან ‘ალი ხოჯასთან დიპლომატიურ აუდიენციაზე მისულ კონსულებს დარბაზის შესასვლელში რამოდენიმე წუთით ადრე მოკლულ ადამიანთა დანაწევრებულ სხეულებზე გადაბიჯება მოუწიათ, დარბაზში შესულთ კი მდიდრულად გამოწყობილი, მცველებით გარშემორტყმული, სრულიად მშვიდი ‘ალი ხოჯა დახვდათ, რომელიც გატაცებით კითხულობდა წიგნს. კონსული გაოცებული იყო იმით თუ როგორ შეეძლო ‘ალის წიგნის კითხვა მას შემდეგ, რაც საკუთარი ხელით მოკლა და აკუწა თავისი რამდენიმე ქვეშევრდომი[314].

სწორედ წიგნების და ზოგადად განათლების განსაკუთრებული სიყვარულის გამო მიენიჭა მას ხოჯას ტიტული, რაც ოსმალურ ადმინისტრაციაში მწიგნობართა, აღმწერთა და გადამწერთა წოდება იყო. არაბი ისტორიკოსი მავლუდ გაიდი მას უწოდებს უაღრესად კულტურულს, ენერგიულს და ჭკვიანს[315]. განათლებისა და წიგნის სიყვარულის მიღმა, უკლებლივ ყველა ავტორი აღნიშნავს, რომ ‘ალი გამოირჩეოდა სისასტიკით და ტირანული მმართველობით. იგი იყო უაღრესად დაუნდობელი მოწინააღმდეგეთა მიმართ.

‘ალის ადრეულ მოღვაწეობაზე, ამ ეტაპზე, მხოლოდ ფრაგმენტული ცნობით შემოვიფარგლებით. ერთი ფრანგი ავტორის ინფორმაციით, ‘ალიმ 1808 წელს

---

[311] Rousseau, Alphonse. *Chroniques de la régence d’Alger traduites d’un manuscrit Arabe Intitulé El-Zohrat-El-Nayerat, (Auteur: Muhammad Ibn Muhammad Al-Tilimsânî.).* Secrétaire-Interprète En Afrique. Imprimé En Vertu De L’autorisation De M. Le Ministre De La Guerre, En Date Du 5 Mars 1841.Alger, Imprimerie Du Gouvernement, 1841, p. 136

[312] Louis Piesse, *Itinéraire historique et descriptif de l'Algérie, comprenant le Tell et le Sahara* (Paris, 1862), p. 27

[313] Shaler, *Sketches of Algiers,* p. 156 - 157

[314] იქვე, p. 157

[315] Gaïd Mouloud. *L'Algérie sous les Turcs* (Tunis, 1974), p. 178

მონაწილეობა მიიღო ალჟირის ფაშას აჰმად ბულალის (1806-1808) მკვლელობაში[316]. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ‘ალი ალჟირის უმაღლეს მმართველ კლასს წარმოადგენდა. ვფიქრობთ, რომ ‘ალი, როგორც განათლებული, მოაზროვნე და უაღრესად მამაცი პიროვნება, ელოდებოდა შესაფერის დროსა და გარემოებებს მმართველობის ხელში ჩასაგდებად და ამის შედეგად თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას, რაც მიზნად ისახავდა ალჟირიდან ოსმალთა გაძევებას, ქვეყანაში რეფორმების გატარებას და საკუთარი დინასტიის დაარსებას.

1817 წლის 8 სექტემბერს ‘ალი ხოჯა და მისი თანამოაზრეები შეიჭრნენ ‘უმარ ფაშას (1815-1817) სასახლეში და მოკლეს იგი. ‘ალი ხოჯამ დეის რეზიდენცია და სახელმწიფო ხაზინა ჯანინას სასახლიდან ქალაქის ციტადელში გადაიტანა. ამის მიზეზი იყო ჯანინაში მის წინამორბედთა ხშირი მკვლელობები. მას მიაჩნდა, რომ ახალ რეზიდენციაში უკეთ იქნებოდა დაცული მისი და სახელმწიფო ხაზინის უსაფრთხოება. ‘ალი ხოჯამ პირადი დაცვა ჩამოაყალიბა ადგილობრივი მხედრებისგან ზუავებისა და კულოღლებისაგან, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის და თურქების შთამომავლები იყვნენ. აქამდე, როგორც ადგილობრივები, ისე კულოღლები, ჩამოშორებულები იყვნენ აქტიურ სახელმწიფო საქმიანობას, პრიორიტეტი თურქ იანიჩრებს ან რენეგატებს ენიჭებოდათ.

პარალელურად, ‘ალი ხოჯამ მკაცრი კონტროლი დააწესა იანიჩართა კორპუსზე, რაც მიზნად ისახავდა ქვეყნიდან მათ საბოლოო გაძევებას. თავდაპირველად, მან „თურქებს” შესთავაზა ნებაყოფლობით დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ქვეყნებში. თურქებმა უარი შეუთვალეს ახლადმოვლენილ მმართველს, რის შედეგადაც ალჟირში 1817 წლის ნოემბრის ბოლოს და დეკემბრის პირველ ნახევარში ბრძოლები გაჩაღდა. ‘ალი ხოჯას ურჩი იანიჩრების დასაშოშმინებლად გამზადებული ჰყავდა 2000 ზავავა და 6000 კულოღლი მებრძოლი. აჯანყებული იანიჩრები დამარცხდნენ, ‘ალი ხოჯას მებრძოლებმა ამ დღეებში ახალი მმართველის მრავალი მოწინააღმდეგე მოკლეს, ფრანგული წყაროების მიხედვით, ამ დღეებში 1200 რიგითი იანიჩარი და 150 ოსმალო

[316] Le Clerq Maurice. *Le tombeau des cinq deys d'Alger* (Clermont, 1888), p. 62

ოფიცერი იქნა მოკლული[317]. ეს ალჟირის ისტორიაში უპრეცენდენტო შემთხვევა იყო. იანიჩრები ყოველთვის მმართველ ფენად ითვლებოდნენ, ‘ალი ხოჯამ კი როლები შეცვალა და პრიორიტეტი ადგილობრივებს მიანიჭა. ფრანგი ავტორების აზრით, ეს რევოლუციის ტოლფასი იყო[318], რევოლუციის მოხდენა კი ოსმალეთის იმპერიაში სიგიჟედ აღიქმებოდა. ამერიკის კონსულის შალერის ვარაუდით, ‘ალი ხოჯა აპირებდა საკუთარი დინასტიის დაარსებას ალჟირში[319], ‘ალის ამ განზრახვას ფრანგული წყაროებიც ადასტურდებს[320].

1817 წლის 2 დეკემბერს ‘ალიმ ამანი – შეწყალება გამოსცა და შესაძლებლობა მისცა გადარჩენილ იანიჩრებს თურქეთში დაბრუნებულიყვნენ[321]. ამავე პერიოდში, 1818 წლის დასაწყისში ალჟირს ეპიდემია მოედო, რასაც იმავე წლის 1 მარტს ‘ალი ხოჯაც შეეწირა.

ევროპელები წერენ, რომ ‘ალის სიკვდილით დასრულდა ტერორი ალჟირში. თუმცა აღსანიშნავია, რომ ‘ალი ხოჯას მიზნები, მის მიერ გამოყენებული უმკაცრესი მეთოდების მიუხედავად, მიმართული იყო ალჟირის სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ და ადგილობრივი მოსახლეობის დაწინაურებისკენ. რაც შეეხება მის სისასტიკეს და დაუნდობლობას, ამით იმ დროს ვერავის გააკვირვებდი, ასეთი იყო ეპოქა და ასეთი იყო იმდროინდელი მმართველობის წესი არა მხოლოდ ალჟირში, არამედ მის მეზობელ მუსლიმურ თუ ქრისტიანულ ქვეყნებშიც.

სწორედ ‘ალი ხოჯას მიერ ადგილობრივი მოსახლეობის დაწინაურებამ მისცა დასაბამი მომავალში არაბულ-ბერბერული ელიტის ჩამოყალიბებას. მისი მმართველობის პერიოდში ათასობით თურქი იქნა განადგურებული. ‘ალის ხანმოკლე მოღვაწეობიდან ასევე აღნიშნავენ ალკოჰოლის გაყიდვის აკრძალვას, თუნისთან დადებულ წარმატებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას, ალჟირელ მეკობრეთა მიერ ჩრდილოეთ ზღვაში წარმოებულ ლაშქრობას, კონსტანტინას პროვინციაში დეის

---

317 Grammont. *Histoire d'Alger*, p. 382

318 Boyer, P. “Des Pachas Triennaux à la révolution d'Ali Khodja Dey (1571-1817),” *Revue Historique*, 495 (1970), p. 124

319 Shaler, *Sketches of Algiers*, p. 158

320 Depot de la Guerre, *Aperçu historique, statistique et topographique sur l'état d'Alger: à l'usage de l'armée expéditionnaire d'Afrique* (Paris, 1830), p. 72

321 Mercier, *Histoire de L’Afrique*, Tome 3, p. 500

სასურველი მმართველის კანდიდატის დანიშვნას, სასურსათო პროდუქტებზე ფასების რეგულირებას. სხვა საქმიანობასთან ერთად, ‘ალი ხოჯამ მოასწრო ძველი ოსმალური მეჩეთის განახლება, რომელსაც ჯამაა ბარანი ეწოდება[322]. იგი მდებარეობს კასბას ციტადელის შიგნით და გამოირჩევა ბიზანტიური სტილით. მოგვიანებით, ქეთჩაუას მეჩეთის მსგავსად, ბარანის მეჩეთიც კათოლიკურ ეკლესიად გადაკეთდა ფრანგების მიერ.

შეიძლება ითქვას, რომ ‘ალი ხოჯა შეეცადა საქართველოდან მოტაცებული მამლუქების, ეგვიპტეში მოღვაწე ‘ალი ბეი ალ-ქაბირისა და ერაყში მოღვაწე დაუდ ფაშას მსგავსად, დამოუკიდებელი სახელმწიფო შეექმნა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე. სამივე შემთხვევაში მოლოდინი არ გამართლდა. ეგვიპტელ ‘ალი ბეის მისივე მომხრეებმა უღალატეს, ერაყში მოღვაწე დაუდ ფაშას ძლიერი არმია ეპიდემამ გაანადგურა და იგივე დაემართა ‘ალი ხოჯასაც.

მიუხედავად იმისა, რომ ალჟირში სტამბულიდან მონათა შემოყვანას არ ჰქონდა სისტემური ხასიათი, ამ საფაშოშიც შესძლეს ყოფილმა მონებმა, მოგვიანებით კი, ოსმალო მმართველებმა საფაშოს უმაღლესი თანამდებობების მოპოვება. თავად ეს ფაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ თუნისის მსგავსად, ალჟირშიც იყვნენ ქართველები, რომელთა უმეტესობის კვალი უბრალოდ გამქრალია. უცნობია არსებობენ თუ არა ჩამოთვლილი ქართველების შთამომავლები ალჟირში, დიდი ალბათობით ისინი, საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ ადგილობრივი ოსმალო და შემდგომში უკვე თურქული უმცირესობის ნაწილს წარმოადგენდნენ.

თითქმის არაფერი ვიცით ალჟირში მოხვედრილი ქართველი ქალების შესახებ. გამონაკლისია ქალი სახელად ხადიჯა. ამ ქართველ ქალზე უზომოდ შეყვარებული ახალგაზრდა ფრანგი ოფიცრისა და მომავალი დიპლომატის ლეონ როშეს (1809-1900) ბიოგრაფიიდან[323] ვიგებთ, რომ ის ქართველ დიდგვაროვანთა შთამომავალი იყო (descendante de princes géorgiens), ხადიჯა მალევე გაათხოვეს. ასევე ვხვდებით ფრაგმენტულ ინფორმაციას ამ საფაშოში ქართველი ქალების გაჩუქების შესახებ, ასე

[322] იხ. ილუსტრაცია 14

[323] Paul Lambert. *Dictionnaire illustré de la Tunisie : choses et gens de Tunisie*, C. Saliba ainé (Tunis), 1912, p. 34

მაგალითად ვიგებთ, რომ ‘უმარ ფაშას (1815-1817) ჰარემში სხვებთან ერთად ათი ქართველი ქალიც იყო[324]. ბოლო მმართველის ჰუსეინ ფაშას (1818-1832) ჰარემზე საუბრისას ფრანგი ავტორები აღნიშნავდნენ, რომ იქ, უმეტესობა სილამაზით განთქმული ქართველი ქალი იყო, თუმცა მათ შორის იყვნენ გოგონები საბერძნეთიდან და იონიის კუნძულებიდანაც[325]. ვიცით, რომ ალჟირში ერთ-ერთი ცნობილი შენობის ვილა იუსუფის, ამჟამად სიძველეების მუზეუმის, მფლობელი ქართველი მონა ანისა ბენთ აბდალლაჰი იყო[326]. ქართველი ქალები ცხოვრობდნენ პროვინციელი მმართველების ჰარემებშიც. მაგალითად, ჰუსეინ ფაშამ ერთ-ერთი პროვინციის გამგებელს ოქროს ხმალი და ულამაზესი ქართველი მონა ქალი აჩუქა[327]. ქართველებად სახელდებიან კონსტანტინას პროვინციის მმართველი ბეის ჰარემში მყოფი ქალები[328]. XIX საუკუნის ერთი ფრანგი ანონიმი ავტორის მიერ დაწერილ მოთხრობაში ალჟირის ატლასის მთებში მოგზაურობის შესახებ საინტერესო დეტალებს ვხედავთ აქ მოხვედრილი თბილისიდან მოტაცებული ქალის გრიგორინელას შესახებ. სავარაუდოდ, ამ ავტორისთვის ცნობილი იყო მსგავსი რეალური და დეტალური ისტორია ალჟირში მოხვედრილი თბილისელი ტყვე ქალის შესახებ[329].

1897 წელს პუბლიცისტმა ივანე მაჭავარიანმა გამოთქვა მოსაზრება ალჟირის სამხრეთით ქალაქ უარგლაში მოსახლე ქართველების შესახებ[330]. მსგავსი ლეგენდა არსებობს ალჟირის დასავლეთით მაროკოს საზღვარზე ქალაქ უაჯდასთან მოსახლე შავკანიან ქართულ ენაზე მოსაუბრე ხალხზეც[331]. ეს ისტორია კიდევ ერთხელ გავრცელდა 1939 წელს გაზეთ “ახალგაზრდა კომუნისტში”. ავტორის, გრიგოლ კუტუბიძის მიხედვით ქართველმა მეზღვაურებმა, ალჟირის პორტში ნახეს ქართულ

---

[324] Castellane, Pierre de, *Souvenirs de la vie militaire en Afrique*, Paris 1852, p. 29

[325] Bourseul, E. Ch. *Biographie du colonel Langlois*, Paris 1874, p. 19

[326] Gaïd Mouloud. *L'Algérie sous les Turcs* (Tunis, 1974), p. 234

[327] Esterhazy, *De la domination Turque*, p. 224

[328] Edouard M. Charton. *Visite au palais de Constantine par M. Charles Féraud, interprète principal de l’armée d’afrique*. Paris, 1877, p 20

[329] E. N*** (ანონიმი), *Frédéric ou L'ermite du mont Atlas*, Tours, 1877, p. 83-88

[330] მაჭავარიანი ივანე. *ჩვენსა და სხვაგან*, მოამბე, ტფილისი 1897, ნომერი 4, გვ. 130-136

[331] ფაშტიანი დ. *საიდან მოხვდნენ აფრიკაში ?* ლიტერატურული მესხეთი, 2013 წ. მაისი, ნომერი 5 (173), გვ. 12 (სტატია გამოქვეყნდა 1972 წლის ივნისის გაზეთ «ახალგაზრდა კომუნისტში»)

ენაზე მოსაუბრე შავკანიანი მტვირთავი. ეს საკითხი პერიოდულად ჩნდება ქართულ ინტერნეტ ფორუმებზეც. თუმცა, არც ერთი ნაცნობ წყაროში ლეგენდა ალჟირის ან მაროკოს ტერიტორიაზე ქართულ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობის შესახებ არ ფიქსირდება.

თავი III. ოსმალური ტრიპოლი

ოსმალური ტრიპოლის საფაშოში ქართველების არსებობის შესახებ ეჭვი პირველმა 1976 წელს საქართველოში ლიბიიდან ჩამოსულმა შოთა კურდღელაშვილმა გაზეთ „კომუნისტთან" ინტერვიუში გამოთქვა. მისი ეს ინტერესი გამოიწვია ქალაქ ტრიპოლიში მდებარე გურჯის მეჩეთმა. კურდღელაშვილი ინტერვიუში აცხადებდა: "სათანადო ლიტერატურიდან ვიგებდი, რომ ქ. ტრიპოლიში არის მეჩეთი, რომელიც მე-19 საუკუნის დამდეგს ვინმე მოჰამედ გურჯის, კომერსანტის მიერ არის აგებული. ამ მეჩეთს ალ-გურჯიის მეჩეთს ეძახიან. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს, რომ ტრიპოლიში ყოფილა გურჯების (ქართველების) რაღაც კოლონია. ამას ისიც ადასტურებს, რომ ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ გარეუბანს – გურჯთა უბანს ეძახიან. აღსანიშნავია ისიც, რომ ტრიპოლიში შეხვდებით გვარებს, რომელთა დაბოლოება მთავრდება – გურჯით. ისინი უმეტესად ინტელიგენციის წარმომადგენლები, ანდა კომერსანტები არიან. ყოველივე ეს ბადებს კითხვებს, ვინ არიან ეს გურჯები, აქ საიდან გაჩნდნენ, ხომ არ არიან ეგვიპტეში მცხოვრები მამლუკთა შთამომავალნი? ეს მეტად საინტერესოა და მინდა ამ საკითხებზე ვიმუშავო. ვნახოთ, რას მოიტანს მომავალი"[332]. სამწუხაროდ, კურდღელაშვილის ჩანაფიქრი გურჯის მეჩეთისა

[332] ხუბულური ლ. *ლიბია-სსრ კავშირი: მეგობრობა მტკიცდება.* „კომუნისტი", 8 დეკემბერი, 1976

და მისი ამშენებელის მუსტაფა გურჯის ისტორიის შესწავლისა განუხორციელებელი დარჩა და დავიწყებას მიეცა.

უკვე ნახსენები ინტერვიუს გარდა, დღემდე უცნობი რჩებოდა ქართული ელემენტი მაღრიბის სხვა ქვეყნებში, მათ შორის თანამედროვე ლიბიის ტერიტორიაზე არსებულ ტრიპოლის საფაშოში XVIII-XIX საუკუნეებში. თანამედროვე ლიბიის ტერიტრიაზე XVI საუკუნის დასაწყისამდე არ არსებობდა ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება, 1510 წელს ტრიპოლი ესპანელებმა დაიკავეს და 40 წელი იმყოფებოდნენ აქ. 1551 წელს ტრიპოლი დაიკავეს ოსმალო ადმირალებმა სინან ფაშამ და თურღუთ რეისმა, ამ უკანასკნელმა შესძლო ადგილობრივი ტომების დამორჩილება და მცირე ქალაქების დაკავება, შედეგად, მალევე მოიპოვა ტრიპოლის ფაშას ტიტული. სულტანი ტრიპოლიში რეგულარულად აგზავნიდა ფაშებს და იანიჩრებს, რომლებიც აკომპლექტებდნენ ამ საფაშოს ადმინისტრაციას და ჯარს.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში საფაშოს განაგებდა კარამანლის დინასტია, რომელსაც დასაბამი დაუდო წარმოშობით ალბანელმა ან თურქმა იანიჩარმა აჰმად კარამანლიმ (1711-1745). მისი შვილიშვილის ‘ალის მმართველობის პერიოდში (1754-1793) ტრიპოლის საფაშო საკმაოდ დასუსტდა, რითაც 1793 წელს ისარგებლა ქართული წარმოშობის ოსმალო მოხელემ ‘ალი ატ-ტარაბულუსმა (მეტსახელად ბურღული) და 1795 წლამდე მოახდინა ტრიპოლის ოკუპაცია. ‘ალის ორწლიანი წარუმატებელი მმართველობა ტრიპოლიდან მისი განდევნით დასრულდა. ‘ალის მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენდნენ ტრიპოლის მომავალი ფაშა იუსუფ კარამანლი (1795-1832) და მეზობელი თუნისის საფაშოს ჯარი, თუნისელი ქართველი მამლუქის მუსტაფა ხოჯას მეთაურობით (ბიოგრაფია №36).

ტრიპოლის საფაშოს ძირითადი შემოსავალი მეკობრეობა იყო. მეკობრეებისგან დაშინებული ევროპული სახელმწიფოები ყოველწლიურ „საჩუქარს” უგზავნიდნენ ადგილობრივ მმართველს, რაც ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ ნაწილში მათი ხომალდების ნავიგაციის უშიშროებას უზრუნველყოფდა. „მოხარკეთა" სიაში ამერიკის შეერთებული შტატებიც შედიოდა, რომელიც იმ დროს ამყარებდა სავაჭრო ურთიერთობებს ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოებთან. ამერიკა ჩრდილოეთ აფრიკის

საფაშოებს ყოველწლიურად დადგენილ თანხას, 16 ათას დოლარს უხდიდა. 1801 წელს ტრიპოლის ფაშამ ხელშეკრულების შეცვლა და 250 ათასი დოლარის გადახდა მოითხოვა. ამერიკელმა დიპლომატებმა უარი განაცხადეს გაზრდილ გადასახადზე, რის შემდეგ ფაშამ მათ ომი გამოუცხადა. 1803 წელს, ტრიპოლის პორტის ბლოკადის დროს, ამერიკული ხომალდი „ფილადელფია" რიფზე შერჩა და იმავე წლის 31 ოქტომბერს მოწინააღმდეგეს ჩაბარდა. 300-ზე მეტი დატყვევებული ამერიკელი მეზღვაურის გათავისუფლება მხოლოდ 1805 წელს მოხერხდა. ამავე წელს დაიდო განახლებული ხელშეკრულება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ტრიპოლის საფაშოს შორის.

ევროპაში ნაპოლეონის ომების დასრულების შემდეგ, საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე აიკრძალა მეკობრეობა. ტრიპოლის საფაშოში დაიწყო ფინანსური კრიზისი, რასაც იუსუფ ფაშას მემკვიდრეთა შორის დაპირისპირებაც დაემატა. 1832 წელს ტრიპოლის ფაშა იუსუფი თავისი ვაჟის ‘ალის (1832-1835) სასარგებლოდ გადადგა. ამ დროს საფაშოში უკვე სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. 1835 წელს ოსმალეთის სულტანმა მაჰმუდ II-მ ტრიპოლიში ახალი ფაშა მიავლინა, კარამანლიანთა დინასტიის მმართველობა გააუქმა და ამ ოჯახის წევრები ოსმალეთში გადაასახლა. 1911 წელს თურქეთ-იტალიის ომის შედეგად ტრიპოლის საფაშო იტალიის კოლონიად გამოცხადდა და დამოუკიდებლობა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მოიპოვა.

ადრეულ პერიოდში ამ საფაშოში ქართველების შესახებ ინფორმაციას არ ვფლობთ, თუმცა აღსანიშნავია, რომ 1679 წელიდან 1683 წლამდე ტრიპოლის საფაშოს მართავდა წარმოშობით აფხაზი ფაშა ჰუსეინ აბაზა. ცნობილია, რომ მას კონფლიქტი მოუვიდა ფრანგ ვაჭრებთან და ამ სახელმწიფოსთან გართულებული ურთიერთობის გამო იძულებული გახდა წასულიყო ტრიპოლიდან[333]. ამ პერიოდში, მეზობელი თუნისის და ალჟირის საფაშოების მსგავსად, ტრიპოლიც უმეტესად ყოფილი ქრისტიანი რენეგატების მიერ იმართებოდა, მათ შორის მრავლად იყვნენ ბერძნები, ბოსნიელები და სხვა სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპელები[334]. აქაური მმართველი ელიტა შედგებდა

[333]Charles Féraud, *Annales tripolitaines. [Lettre adressée à De Grammont président de la Société histrique algérienne]*, Revue africaine, n° 159, 1883, p. 214-215

[334] Barbour, *North West Africa from the 15th-19th centuries*, p. 140-141

კულოღლუს კლასის წარმომადგენლებისგან, მათ ადგილობრივებისგან გამოარჩევდა მამის ხაზით უცხოური წარმომავლობა, ოსმალური ენა, ფასეულობები და კულტურა[335].

ოსმალურ ტრიპოლიში სამხედრო გარნიზონის შევსების სამ წყაროს გამოარჩევს ისტორიკოსი ფოლაიანი. მეზღვაურთა უმეტესობა იყო ადგილობრივი მოსახლე, მათ შორის იყვნენ ბერბერები და არაბები, 1800 წლიდან მოყოლებული აქტიურად ხდებოდა ლევანტიდან (ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებიდან) თურქი ახალგაზრდების რეკრუტირება. მეზღვაურთა ერთი ნაწილი კი, იყვნენ ევროპელი რენეგატები, რომელთაც, ფოლაიანის მოსაზრებით, ევროპელი მოგზაურები შეცდომით ეძახდნენ მამლუქებს[336]. თუმცა, ამ ავტორისთვის უცნობია თუ რა მიზეზით ჩამოყალიბდა ტრიპოლის საფაშოში რენეგატების მამლუქებად მოხსენიების არსებული ტრადიცია[337].

ტრიპოლიში ტყვედ მოხვედრილი ამერიკელი უილიამ რეი იხსენებდა, რომ მამლუქები ფაშას უახლოეს გარემოცვაში იყვნენ და მისი პირადი დაცვის როლს ასრულებდნენ. აქვე ვიგებთ, რომ ფაშას სასახლეში ასიოდე მამლუქი ცხოვრობდა[338]. მოგზაური ალი ბეი, რომელიც 1805 წელს იმყოფებოდა ტრიპოლიში, აღნიშნავდა, რომ ფაშას ჰყავდა 300 თურქი ჯარისკაცი და 100 ცხენოსანი მამლუქი[339]. 1819 წელს ტრიპოლიში მყოფი კიდევ ერთი მოგზაური ლიონი აღნიშნავდა, რომ მამლუქები არიან რენეგატები ან საქართველოში და ჩერქეზეთში ნაყიდი მონები და მათ განსაკუთრებით მაღალი თანამდებობები ეკავათ საფაშოში[340]. ეს მოგზაური ტრიპოლის რეგიონებში

---

335 El-Haj Rifaat El-Haj, *An Agenda for Research in History: The History of Libya between the Sixteenth and Nineteenth Centuries*, International Journal of Middle East Studies, Vol. 15, No. 3 (August 1983), pp. 312

336 Folayan. *Tripoli*, p. 28

337 იქვე, p. 43-44, n. 15

338 William Ray. *Horrors of slavery : or, the American tars in Tripoli ; containing an account of the loss and capture of the United States frigate Philadelphia ; treatment and sufferings of the prisoners ; description of the place ; manners, customs, &c. of the Tripolitans ; public transactions of the United States with that regency, including Gen. Eaton's expedition ; interspersed with interesting remarks, anecdotes, and poetry, on various subjects. Written during upwards of nineteen months' imprisonment and vassalage among the Turks*, Troy: Printed by Oliver Lyon, for the author, 1808, p. 66, 166

339 Ali Bey, *Travels of Ali Bey [pseud.] in Morocco, Tripoli, Cyprus, Egypt, Arabia, Syria, and Turkey. Between the years 1803 and 1807*, Philadelphia, 1816, Vol. 1, p. 264

340 G.F. Lyon. *A Narrative of Travels in Northern Africa in the years 1818-1819 and 1820, accompanied by geographical notices of Soudan and of the course of the Niger*, London, 1821, p. 14

ფეზანში და ზლითუნშიც შეხვდა მამლუქებს, სადაც ზოგიერთ მათგანს ადგილობრივი გამგებლის – კა'იდის თანამდებობა ეკავა[341].

მმართველის პირადი მამლუქების შესახებ საუბრობს ცნობილი იტალიელი მოგზაური დელლა სელლაც[342]. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტრიპოლის საფაშოში მოღვაწე ქართველებს, მიუხედავად იმისა, რომ სულ მცირე ერთი მათგანი სტამბულის მონათა ბაზარზე იყო შეძენილი, წყაროები იცნობდნენ არა როგორც მამლუქებს არამედ რენეგატებს ან გამუსლიმებულ ყოფილ ქრისტიან მონებს.

ქართული წარმომავლობის ტრიპოლელ მოხელეებს ვხედავთ ვენეციურ დიპლომატიურ წყაროებში. ისინი ტრიპოლიში 'ალი ფაშა კარამანლის (1754-1793) პერიოდში მოღვაწეობდნენ. პირველი მათგანია ჰასან გურჯი, რომელიც 1770 წელს მარტში ვენეციაში ელჩად უნდა ყოფილიყო მივლენილი. თუმცა, 1773 წლამდე ვენეციაში ტრიპოლის საელჩოს გახსნა ვერ მოხერხდა. ჰასან გურჯიც ტრიპოლიში დარჩა და მის ნაცვლად კი ელჩად სხვა დაინიშნა. ვენეციურ დიპლომატიურ წერილებში ის მოიხსენიება როგორც ქართველი რენეგატი (rinnegato georgiano Assen Gurgi)[343].

მეორე ქართველის იბრაჰიმ გურჯი აღას შესახებ ვიგებთ 1773 დეკემბერით დათარიღებული ვენეციური დიპლომატიური წერილიდან, რომლის მიხედვით ტრიპოლიში ბრუნდებოდა ამ საფაშოს ელჩი ბრიტანეთში იბრაჰიმ გურჯი აღა. აქვე ვიგებთ, რომ იგი განსაკუთრებით კარგად მიიღეს ბრიტანეთში[344]. ბრიტანულ ცნობარებშიც ვხვდებით ტრიპოლის ელჩს იბრაჰიმ აღას, ის 1773 წლის აგვისტოში შეხვდა ბრიტანეთის მონარქს და საჩუქრად გადასცა ექვსი არაბული ცხენი[345]. იბრაჰიმ აღა 1774 წლის ივნისში ოჯახთან ერთად დაბრუნდა ტრიპოლიში[346]. სამწუხაროდ, ამ ორი ქართველის შესახებ სხვა ცნობების მოპოვება ვერ ხერხდება.

---

[341] Lyon. *A Narrative* p. 279, 335

[342] Cella, Paolo Della. *Narrative of an Expedition From Tripoli In Barbary, to the Western Frontier of Egypt, In 1817: by the Bey of Tripoli; In Letters to Dr. Viviani of Genoa*. London: J. and A. Arch, 1822, p. 100-101

[343] Giorgio Cappovin, *Tripoli e Venezia nel secolo XVIII*, Verbania, 1942, p. 239, 241, 244

[344] იქვე, p. 248, n. 1.

[345] Urban, Sylvanus. *The Gentleman's Magazine, and Historical Chronicle*, Volume 43, London 1773, p. 465

[346] Roberts, Richard Arthur. *Calendar of Home Office papers of the reign of George III: 1760-1775; preserved in Her Majesty's Public Record Office*, Vol. 4, London 1899, p. 269

უკვე ვახსენეთ ოსმალურ ალჟირში მუჰამმად იბნ ოსმანის (1766-1791) კარზე დაწინაურებული ქართული წარმოშობის ოსმალო მოხელე ‘ალი, რომელსაც ალჟირის ვაქილ ალ-ხარიჯის თანამდებობა ეკავა. ამ თანამდებობის მოხელე განაგებდა ალჟირის პორტს და ხომალდებს, გეგმავდა და ხელმძღვანელობდა საზღვაო ოპერაციებს, მის ფუნქციებში შედიოდა საზღვაო შემოსავლების და გადასახადების მეთვალყურეობაც.

ის რომ ‘ალი ქართველია, ვიგებთ ალჟირში საფრანგეთის კონსულის მიშელ კერსის მოგონებებიდან, რომლის მიხედვითაც, ‘ალი საფაშოს ვექილ ალ-ხარიჯი და ალჟირის ფაშა მუჰამმადის ერთ-ერთი ერთგული რენეგატი წარმოშობით ქართველი იყო. ის თავის ბატონზე გამჭრიახი იყო და კერსის აზრით, იმ პერიოდის საფაშოს მართვა-გამგეობაც სწორედ ფაშას რენეგატების ხელში იყო[347].

ალჟირის საზღვაო მინისტრის თანამდებობაზე ‘ალის ყოფნის ფაქტს ასევე აღნიშნავს ფრანგი დე პარადი, რომელიც იქვე მიანიშნებს, რომ ის თანამდებობა, რომელიც ‘ალის ეკავა, ყველაზე მაღალია რისი დაკავების უფლებაც ქართველებს ან ქრისტიან რენეგატებს ჰქონდათ ალჟირში[348]. ალჟირის საფაშოში მოხვედრილი ამერიკელი ტყვე ქათქართი აღნიშნავდა, რომ ‘ალი წარმოშობით რენეგატია და ოდესღაც მიეკუთვნებოდა ბერძნულ ეკლესიას[349]. ძმების ქართულ წარმომავლობის ეთანხმება ტრიპოლის ოსმალური პერიოდის ისტორიკოსი ფოლაიანი[350]. სამწუხაროდ უცნობია თუ რა გზით ან როდის მოხვდა ალჟირში ‘ალი. ვიცით, რომ მასთან ერთად გაიყიდა მისი ძმა საიდ ‘ალი რომლის ბიოგრაფია უკვე განვიხილეთ ალჟირის საფაშოს შესაბამის თავში. იდენტური სახელების გამო, მათი ბიოგრაფიები ხშირად ერთმანეთშია არეული[351].

‘ალი მმართველ ოჯახს დაუნათესავდა და ცოლად შეირთო მუჰამმად ფაშას (1766-1791) ოჯახის წევრი, რის შედეგადაც კიდევ უფრო განიმტკიცა თავისი პოზიციები მმართველ წრეში. იგი ალჟირში საფრანგეთის ინტერესებს ლობირებდა და ამის გამო დეისთან კონფლიქტსაც არ მორიდებია. ალჟირის ფაშას მუჰამმადს ვალდებულება ჰქონდა აღებული სულტნის წინაშე, რომ მოამარაგებდა მას ფლოტით რუსეთთან ომის

[347] Esquer. *Reconnaissance des villes, forts et batteries d'Alger*, p. 93
[348] De Paradis. *Tunis et Alger au XVIIIe siece,* p 204
[349] Cathcart. *The Captives*, p. 25
[350] Folayan. *Tripoli*, p. 15
[351] Al-Jabarti. *History of Egypt*, vol III, p, 425

მსვლელობისას. მაგრამ, ეს ვალდებულება მისმა მომდევნო მმართველმა ჰასან დეიმ შეასრულა და ‘ალი სტამბულში მიავლინა. თუმცა, სავარაუდოდ, ‘ალის ალჟირიდან სამუდამო გამგზავრება ახალციხელ ჰასან ფაშასა და მას შორის არსებულ მწვავე კონკურენციის შედეგიც იყო.

ფრანგი დიპლომატის კერსის აზრით, ალჟირის ვექილ ალ-ხარიჯი საიდ ‘ალი საკმაოდ მამაცი პიროვნება იყო და მას ოსმალეთის იმპერიაში ბრწყინვალე კარიერას უწინასწარმეტყველებდა. დიპლომატის აზრით, ევროპულ სახელმწიფოში მისი შესაძლებლობების და ნიჭის მქონე ადამიანი გამოჩენილი გენერალი იქნებოდა[352]. აქვე მითითებულია, რომ ამ დროისათვის (1791 წელი) ‘ალი 37-38 წლისა იქნებოდა, შედეგად, ვვარაუდობთ, რომ ‘ალი 1754 წელს იყო დაბადებული. როგორც ეტყობა, ‘ალის მისია საფრანგეთში გამგზავრებით და იქ ალჟირის ხომალდების შეკეთებით დაიწყო[353]. ამერიკელი ტყვის ქათქართის მიხედვით, სიდი ‘ალიმ ალჟირში პატარა მეჩეთიც ააგო[354].

ეგვიპტელი ისტორიკოსი ალ-ჯაბართი აღნიშნავს, რომ ღაზი ჰასან კაპუდან ფაშამ მისი ფავორიტის ალჟირიდან ჩამოსული ძმაც დაიახლოვა, მას ტრიპოლის მმართველობა უბოძა და გადასცა ამის დამადასტურებელი ფირმანები და საჭირო შეიარაღება[355]. ალ-ჯაბართისთვის ასევე ცნობილია, რომ ეს პიროვნება ალჟირის ფაშა მუჰამმადის მამლუქი იყო, რომლის გარდაცვალების შემდეგ, მისმა მემკვიდრემ და სიძემ ‘ალი, ჰასან კაპუდან ფაშასთან მიავლინა სტამბულში. ტრიპოლის ფაშას წოდების მიღების შემდეგ ალჟირელ ‘ალის ატ-ტარაბულუსი, ანუ ტრიპოლელი შეერქვა. თუმცა, მას უფრო ხშირად ეძახდნენ ‘ალი ბურღულს, რასაც ფრანგი ავტორი იმით ხსნიდა, რომ ‘ალი თავის მეკობრეებს საკვებად უმეტესად ბურღულს აძლევდა[356]. ეს პიროვნება ერთ ფრანგულ წყაროში ბორღულ-გორჯის (გურჯის, იგივე ქართველის) სახელითაც

---

[352] Esquer. *Reconnaissance des villes, forts et batteries d'Alger,* p. 95

[353] Plantet, *Correspondance des Deys D'Alger,* p. 308-309, საიდ ‘ალი საფრანგეთის საკონსულო მიმოწერაში ვექილჰარიჯ ‘ალი ხუჯას სახელით მოიხსენიება.

[354] Cathcart. *The Captives*, p. 68

[355] Al-Jabarti. *History of Egypt*, vol. 3, p. 424

[356] Féraud, L. Charles, *Annales Tripolitaines*, Tunis : Librairie Tournier, 1927, p. 290, n. 1

იხსენიება[357]. ალ-ჯაბართის მიხედვით, ‘ალი 1792 წელს გაემართა წმინდა ქალაქების მოსალოცად და თავისი ქონება ფაიუმის პროვინციის ქაშიფს რაშვანს მიაბარა, რომელთან ურთიერთობა თავისი ქვეყნიდან ჰქონდა[358].

1793 წლის ივლისის ბოლოს, ‘ალი მცირე ფლოტით, 400 ჯარისკაცის თანხლებით მიადგა ქალაქ ტრიპოლის პორტს. მოგვიანებით, თუნისის მმართველის ჰამმუდა ფაშას მიერ სულტანთან გაგზავნილი წერილის მიხედვით ვიგებთ, რომ ‘ალი აღა ვაქილ ალ-ხარიჯიმ ტრიპოლიში წაიყვანა რეკრუტები მორეიდან, ზანტედან და კეფალონიის კუნძულებიდან[359].

XVIII საუკუნის მიწურულს ტრიპოლის საფაშოში იმყოფებოდა ბრიტანეთის კონსულის და ქალბატონი თულლი, რომელიც ‘ალი ბურღულის მიერ ტრიპოლის ოკუპაციის თვითმხილველი გახდა. მისს თულლის წერილებიდან ვიგებთ, რომ თურქი ალი ბენ ზუული[360] მცირე ფლოტით შემოვიდა ტრიპოლის პორტში, მას თან ჰქონდა სულტნის ფირმანი, რის საფუძველზეც ტრიპოლის მმართველი ფაშა ‘ალი კარამანლი (1754-1793) გადაყენებულად ცხადდებოდა, ხოლო მის ადგილს ალი ბენ ზუული იკავებდა[361]. ტრიპოლის მოსახლეობას მობეზრებული ჰყავდა წინა მმართველი მოხუცებული ‘ალი კარამანლი, ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო გამძაფრებული იყო ტახტის პრეტენდენტთა გაუთავებელი შიდაომების ფონზე. მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი ‘ალი კარამანლი იძულებული გახდა თავის ოჯახთან და მცირე ამალასთან ერთად დაეტოვებინა ტრიპოლი უკეთესი მომავლის იმედით. ბრიტანელი ავტორის თანახმად, ‘ალისთან მყოფი ჯარისკაცები წარმოშობით იყვნენ კასპიისა და შავ ზღვას შორის მოსახლე კოლხების შთამომავლები - მეგრელები. თუმცა, მათი აღწერისას

---

[357] Slousch N. *La Tripolitaine sous la domination des Karamanli*, Revue du Monde Musulman, (Tome Sixième, 1908), p. 65

[358] Al-Jabarti. *History of Egypt*, vol. 3, p. 425, სავარაუდოდ კიდევ ერთი ქართველის რაშვანის შესახებ ცნობილი ხდება, რომ ის იყო მურად ბეის მამლუქი, გარდაიცვალა 1800 წელს. იქვე, გვ. 271

[359] Roy, B. *Documents sur l ' expédition de Tripoli en 1209 de l ' hégire (1795)*, Revue Tunisienne, No. 53, Juillet 1906, p. 283

[360]‘ალის სახელი სხვადასხვაგვარად აღინიშნება სხვადასხვა წყაროებში, ვხვდებით ნისბებს – ალ-ტარაბლუსი, ტრაბლუსლუ (თურქულ წყაროებში), ალ-ჯაზაირლი, საიდ ‘ალი, ვფიქრობთ რიგ შემთხვევებში, ‘ალი ატ-ტარაბულუსს შეცდომით საიდ ‘ალის – მისი ძმის სახელითაც მოიხსენიებდნენ, ბურღული და ბენ ზუული

[361] Tully. *Letters*, p. 348-349

ავტორი, მისს თულლი აღნიშნავდა, რომ ამ ჯარისკაცთა უმეტესობა იყო მუსლიმი და მათ თათარ-უზბეკური გარეგნობა ჰქონდათ[362].

‘ალიმ ტირანული მმართველობა დაამყარა ტრიპოლიში, მისი ხელქვეითები ურცხვად ძარცვავდნენ და ატერორებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და უცხოელებს. მათი მორალური გარყვნილება აოცებდა მრავლისმნახველ დიპლომატებს. ბრიტანელი ქალბატონი ‘ალისა და მის ჯარისკაცების შესახებ აღნიშნავდა, რომ მათ თემურ ლენგის ურდოებსაც კი აჯობეს ადამიანების ძარცვასა და გარყვნილებაში[363]. სრულიად გაუგებარი და გაუმართლებელი ტერორის ფონზე, ‘ალიმ გადასახადები გაუზარდა ადგილობრივ მოსახლეობას და უცხოელ ვაჭრებს, პარალელურად კი, განაახლა სასაზღვრო კონფლიქტი თუნისის საფაშოსთან.

‘ალი ბურღულს უდიდეს დახმარებას უწევდა მისი ძმა, შესაბამისად ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც ტრიპოლის ახალ ფაშას პერიოდულად ჯარისკაცებით და ამუნიციით ამარაგებდა. ისტორიკოს ფოლაიანის თანახმად, ‘ალი ბურღულს, თავდაპირველად მხარს უჭერდნენ ევროპის სახელმწიფოთა დიპლომატები, რომელთაც მობეზრებული ჰქონდათ კარამანიანთა შიდა დინასტიური დაპირისპირებები[364]. მიუხედავად ამგვარი მხარდაჭერისა, ‘ალიმ ვერ გამოიყენა ვერც ქვეყანაში შექმნილი ხელსაყრელი სიტუაცია, ვერც გარეშე მხარდაჭერა და დროებითი, თუმცა მნიშვნელოვანი სამხედრო წარმატებები. საფაშოს შიგნით შექმნილი არეულობით, ტერორით, არასტაბილურობით და ‘ალის აგრესიული საგარეო კურსით ისარგებლა თუნისის მმართველმა ჰამმუდა ფაშამ (1782-1812) და 1794 წლის ნოემბერში ტრიპოლის წინააღმდეგ გააგზავნა თუნისის ჯარი ‘ალი კარამანლის ვაჟების - აჰმადისა და იუსუფის თანხლებით. ‘ალი ბურღულის წინააღმდეგ გაგზავნილ ჯარს სარდლობდა ქართველი მამლუქი მუსტაფა ხუჯა (ბიოგრაფია №36) და მის ჯარში იმყოფებოდა 24 თუნისელი მამლუქიც[365].

---

[362] Tully. *Letters*, p. 381

[363] Al-Jabarti. *History of Egypt*, vol. 3, p. 424

[364] Folayan. *Tripoli*, p.18-19

[365] Roy. *Documents sur l ' expédition de Tripoli,* p. 289-290

‘ალის არ გააჩნდა სათანადო ძალები, რათა გამკლავებოდა თუნისელებს. მისი ერთადერთი გამოსავალი ამ სიტუაციაში გაქცევა იყო, ‘ალიმ ამოხოცა ტყვეები და 1795 წლის იანვარში დიდძალი ნადავლით ტრიპოლიდან ეგვიპტეში გაიქცა. როგორც ალ-ჯაბართი აღნიშნავდა, ‘ალი ატ-ტარაბულუსი სტამბულში ვერ დაბრუნდებოდა იმ მიზეზით, რომ იგი, და ნებისმიერი სხვა წარუმატებელი ოსმალო მოხელე საძულველი ხდებოდა უმაღლესი მმართველისათვის.[366] ‘ალიმ თავი შეაფარა თავის თანამემამულეებს ეგვიპტეში, სადაც, რამდენიმე წლის განმავლობაში, ეგვიპტის მამლუქთა ერთ-ერთ მეთაურს, წარმოშობით ასევე ქართველ მურად ბეის ახლდა. ის მონაწილეობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ პირამიდების ბრძოლის მოსამზადებელ ფაზაში და სავარაუდოდ, 1798 წლის 21 ივლისის ბრძოლის მსვლელობისას მურად ბეის რაზმში იბრძოდა[367].

მამლუქთა დამარცხების შემდეგ, იგი ჯერ ზემო ეგვიპტეში შემდეგ კი სირიაში გადავიდა, სადაც იუსუფ ფაშას მრჩეველი გახდა. აქ, ალ-ჯაბართი გულისხმობდა წარმოშობით ასევე ქართველ იუსუფ ზიაუდდინ ფაშას, რომელიც ფრანგების წინააღმდეგ მოქმედებდა სირიაში[368]. იუსუფი მისგან მნიშვნელოვან რჩევებსა და ინფორმაციას იღებდა ეგვიპტის და აქ მყოფი ფრანგული ჯარის შესახებ, მოგვიანებით, იუსუფ ფაშამ ‘ალი სტამბოლში გაგზავნა.

1803 წელს ეგვიპტეში არეულობები დაიწყო. ადგილობრივ ალბანელთა შენაერთი და მამლუქები ფაშას განუდგნენ. სიტუაციის დასარეგულირებლად, ‘ალი ეგვიპტეში მიავლინეს ახალი ფაშის სტატუსით და დიდძალი სახსრებით. ‘ალი ეგვიპტეში თავის ძმასთან საიდ ‘ალისთან ერთად ჩამოვიდა 1803 წლის ზაფხულში. ალ-ჯაბართის ქრონიკებიდან ვიგებთ, რომ ეგვიპტეში ყოფნისას ‘ალის ქაშიფი მისივე ნათესავი ჰასან ბეი იყო[369], მაგრამ 1804 წლის თებერვლის დასაწყისში ‘ალი ატ-ტარაბულუსი ღამით მისივე თანმხლებმა ჯარისკაცებმა ურთიერთშელაპარაკების დროს მოკლეს, მასთან

[366] Al-Jabarti. *History of Egypt*, vol. 3 p. 425
[367] იქვე, vol.3, p. 3, 10
[368] Süreyya, Mehmet. *Sicill-i Osmanî*, Vol. V, p. 1701-1702
[369] Al-Jabarti. *History of Egypt*, vol. 3, p. 398

ერთად მოკლეს მისი ხსენებული ნათესავი ჰასან ბეი[370]. ‘ალი ატ-ტარაბულუსის მკვლელობას ალ-ჯაბართი ეგვიპტის მომავალ მმართველს მუჰამმედ ‘ალის ინტრიგას მიაწერდა.

ალ-ჯაბართის თანახმად ‘ალი ატ-ტარაბულუსს ღია ფერის კანი და ხშირი ქერა წვერ-ულვაში ჰქონდა, მან საკმაოდ ცუდათ იცოდა არაბული, იყო განცხრომისა და დროსტარების დიდი მოყვარული[371].

ტრიპოლის საფაშოს განხილვა შ. კურდღელაშვილის ინტერვიუდან ამონარიდით დავიწყეთ, რომელიც აქ გურჯის ცნობილი მეჩეთის აგებას ეხებოდა. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ლიბიის საფაშოში ვხედავთ ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და წარმატებულ ქართველ მოხელეს მუსტაფა კურჯის (قرجي). კურჯი იგივეა, რაც ქურჯი/გურჯი და ნიშნავს ქართველს. ჩრდილოეთ აფრიკის არაბულ დიალექტებში ეს სიტყვა გამოითქმოდა როგორც გურჯი. ევროპელი მოგზაურები და დიპლომატებიც მას გურჯის ეძახდნენ. აქედან გამომდინარე, მუსტაფას მოვიხსენიებთ როგორც გურჯის.

ამ პერიოდის ტრიპოლის საფაშოში მეკობრეობით შემოსული თანხები სახელმწიფოს ხაზინაში შესული ფულის უდიდეს ნაწილს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, მაღალი თანამდებობის მქონე მოხელე ერთდროულად მეკობრეც იყო და სახელმწიფო მოღვაწეც. მუსტაფა გურჯიც არა მარტო მეკობრე იყო, ის საფაშოს საზღვაო მინისტრი გახდა და მის სახელს უკავშირდება ულამაზესი მეჩეთი ქალაქ ტრიპოლიში.

გავლენიან ქართველებს შორის ვხვდებით ადამიანებს რომელთაც დიდი თანხები გაიღეს მაღრიბის საფაშოებში მეჩეთების ან სასწავლებლების მშენებლობისთვის.

ტრიპოლის ყველა სტუმარს სიამაყით აჩვენებენ ქალაქის ცენტრში, მარკუს ავრელიუსის ცნობილი თაღის სიახლოვეს აგებულ ამ მეჩეთს, რომლის მშენებლობაც 1834 წელს დასრულდა. მას ადგილობრივი მოსახლეობა უბრალოდ გურჯის მეჩეთს უწოდებს. აქ ყველამ კარგად იცის, რომ მისი აღმშენებელი იყო ტრიპოლის საფაშოს

[370] Al-Jabarti. *History of Egypt*, vol. 3, p. 424

[371] იქვე, p. 425-426

საზღვაო მინისტრი, საქართველოდან მოტაცებული მუსტაფა გურჯი[372]. მეჩეთის მიმდებარე ტერიტორიას დღესაც გურჯის უბნად მოიხსენიებენ, ქალაქ ტრიპოლიში ასევე არის გურჯის ქუჩა.

გურჯის მეჩეთის ამშენებელი მუსტაფა გურჯი ერთ-ერთი ის ქართველია, რომელიც ბავშვობისას სტამბულის ტყვეთა ბაზარში მოხვდა, სადაც ის ტრიპოლის მომავალმა ფაშამ იუსუფმა შეიძინა[373].

მუსტაფა გურჯის შესახებ მხოლოდ ზოგადი და ფრაგმენტული ცნობების მოპოვება შევძელით. ფრანგი შარლ ფერო მას ახასიათებს როგორც ფანატიკოსსა და ქრისტიანთა მოძულეს[374]. XIX საუკუნის დასაწყისში იქ მყოფი ბრიტანელმა დიპლომატის ბლაკიერის აზრით, მუსტაფა გამოირჩეოდა ანტიბრიტანული განწყობილებით და რამდენიმე ბრიტანელი ვაჭარი სცემა კიდეც, რის გამოც მას დიპლომატი ცბიერსა და მლიქვნელს უწოდებდა[375]. სხვა ავტორები პირიქით, აღნიშნავენ, რომ ის იყო უაღრესად მამაცი, კარგი დიპლომატი და ჭეშმარიტი მუსლიმი[376].

გასაკვირი არც უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მომავალი მეკობრე და მინისტრი მკაცრ და ულმობელ პიროვნებად ჩამოყალიბდა. მშობლებს, ახლობლებს და თავის ქვეყანას იძულებით ჩამოშორებული მუსტაფა გურჯი სრულიად უცხო გარემოში აღმოჩნდა. მისი პატრონი, მომავალი ფაშა იუსუფი, რომელმაც იგი კიდევ ერთ მამლუქთან ერთად სტამბულის მონათა ბაზარზე შეიძინა და ტრიპოლიში ჩაიყვანა, სისასტიკით გამოირჩეოდა. ის სრულიად უბრალო მიზეზით საკუთარი ხელით აჭრიდა თავებს ქვეშევრდომებს. იუსუფ ფაშამ დედის თვალწინ მოკლა საკუთარი ძმა და მამამისსაც იგივეს უპირებდა, ტრიპოლიდან დროზე რომ არ გაეძევებინათ. ასეთი აღმზრდელის შემყურე საოცარი ის იქნებოდა, რომ მომავალი საზღვაო მინისტრი ლმობიერი ან განსაკუთრებულად რბილი ხასიათის მქონე ყოფილიყო.

---

[372]Azema James. *Footprint – Libya Handbook: The Travel Guide*, Footprint Handbook Ltd. Bath, 2000, გვ. 75. ინტერნეტსა და ადგილობრივ ტურისტულ ცნობარებში ამ ინფორმაციის დამადასტურებელი მასალის ნახვა თავისუფლად შეიძლება.

[373] Blaquiere. *Letters from the Mediterranean*, p. 92

[374] Feraud, Charles. *Annales Tripolitaines*. Tunis, Libraries Tournier, 1927, გვ. 340

[375] Blaquiere. *Letters from the Mediterranean*, p. 93

[376] Al-Tawil, Muhammad Sa‘id. *Al-Baḥrīyah al-Ṭarābulusīyah fī ʿahd Yūsuf Bāshā al-Qaramānlī*, 1795-1832. Bairut, 2002, p. 160

მოგვიანებით, მუსტაფას ხელში აღმოჩნდა ტრიპოლის პორტისა და მთლიანად საფაშოს შემოსავლების მართვა. ამ რთულ და კომპლექსურ საქმიანობას და მეკობრეთა მეთაურობას მხოლოდ ყველაზე მამაცი, საზრიანი და ულმობელი ადამიანი თუ შეძლებდა. მუსტაფას ემეგობრებოდა მასთან ერთად იუსუფ ფაშას მიერ სტამბულში შეძენილი მამლუქი, ფრანგული ცნობებით, სელიმ გორგი, ან გიორგიო[377]. ფრანგი ავტორი მას წარმოშობით ბერძენად მიიჩნევდა და ამას იმით ამტკიცებდა, რომ გიორგიო ამ კონკრეტულ შემთხვევაში სელიმს არა ქართველობის, არამედ ბერძენი მამის სახელის გამო შეერქვა. თუმცა, ეს ავტორი მუსტაფა გურჯის ნისბასაც (წარმომავლობის სახელი) იმდაგვარად წერს[378]. მისი ამ არგუმენტის მიუხედავად, სრულიად შესაძლებელია, რომ ფრანგი ავტორის ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს და სელიმ გიორგიო ან გურჯი ასევე საქართველოდან ყოფილიყო მოტაცებული და მოგვიანებით სტამბულის მონათა ბაზარზე გაყიდული.

ერთ-ერთი პირველი ცნობა მუსტაფა გურჯის მოღვაწეობის შესახებ საკმაოდ საინტერესო ამბავთან არის დაკავშირებული. როგორც აღინიშნა, 1803 წელს ამერიკული ხომალდი „ფილადელფია", რომელიც იყო აშშ-ს ფლოტის მეორე 36 ზარბაზნიანი ხომალდი, ტრიპოლელთა დასასჯელად და დასაშინებლად გამოიგზავნა. ტრიპოლის პორტთან მეკობრეთა ხომალდს გამოდევნებული ფილადელფია რიფს შეეჯახა ამავე წლის 31 ოქტომბერს. ხომალდის მეთაური იძულებული გახდა მოწინააღმდეგეს დანებებოდა. საბრძოლო ოპერაციაში ტრიპოლელთა მხრიდან ყველაზე მეტად ხომალდი „მასტიკო" (იგივე „მისტიკო") აქტიურობდა. „მასტიკო" ფრანგული ხომალდი იყო, იგი ნაპოლეონმა გამოიყენა ეგვიპტის წინააღმდეგ 1798 წლის ლაშქრობისას, მოგვიანებით კი, ტრიპოლელებს გადაეცა. “მასტიკოს” ხომალდის მეთაური იყო მუსტაფა რაისი (კაპიტანი).

ლიბიის საზღვაო ისტორიის სპეციალისტის მუჰამად ატ-ტავილის თანახმად, მუსტაფა რაისი და მუსტაფა გურჯი ერთი და იგივე პიროვნებაა[379]. მცირე ხნის შემდეგ, 1803 წლის დეკემბერში ამერიკელებს ხელში ჩაუვარდათ „მასტიკო", რომელიც,

---

[377] Feraud, Charles. *Annales Tripolitaines*, p. 262

[378] იქვე, p. 340, n.1a

[379] Al-Tawil, Muhammad Sa‘id. *al-Baḥrīyah al-Ṭarābulusīyah*, გვ. 158

გადმოცემით სტამბულში მიდიოდა სულტნისთვის ტრიპოლის ფაშის საჩუქრების გადასაცემად. „მასტიკოს" დაკავებისას, ამერიკელებთან მომსახურე იტალიელმა ხომალდის დატყვევებულ კაპიტანში ამოიცნო მუსტაფა, რომელიც მისი სიტყვით, პირველი აიჭრა ხომალდ „ფილადელფიაზე" და ტყვედ აიყვანა ამერიკელი ოფიცრები, რომლებიც შემდგომში ტყვეებად გადაიყვანა მმართველის სასახლეში[380]. კაპიტანი და სხვა ტრიპოლელები 1805 წლის ზაფხულამდე ნეაპოლის პორტის ციხეში გამოკეტეს. მოგვიანებით, ხომალდ „მასტიკოთი" ამერიკელები ტრიპოლის პორტში შეიპარნენ და ტრიპოლელთა დაკავებული ხომალდი „ფილადელფია" ააფეთქეს, რათა მომავალში იუსუფ ფაშას არ შესძლებოდა ისევ ამერიკელთა წინააღმდეგ მისი გამოყენება. ეს სამხედრო ოპერაცია ამერიკის სამხედრო ფეხოსანთა ჰიმნის სიმღერის ტექსტშიც არის აღნიშნული. გათავისუფლების შემდეგ, 1808 წელს მუსტაფა დაინიშნა რაის ალ-მარსას, ანუ პორტის მთავარი კაპიტნის, თანამდებობაზე. მის ხელში აღმოჩნდა ტრიპოლის პორტის საბაჟო. როგორც ჩანს, ამ თანამდებობაზე ყოფნისას მუსტაფამ საკუთარი ხომალდებიც შეიძინა და საკმაოდ დიდი ქონება დააგროვა[381].

ევროპელი მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ მუსტაფას თანამდებობა საფაშოში მნიშვნელობით მხოლოდ თავად ფაშას და პრემიერ-მინისტრს ჩამოუვარდებოდა. მმართველმა, მადლიერების ნიშნად, მუსტაფას საკუთარი ქალიშვილი ფატიმა მიათხოვა[382]. ერთი მოგზაურის მიხედვით, ლიბიაში ტრიპოლის ფაშას ქალიშვილებს მხოლოდ მამლუქზე დაქორწინების უფლება ჰქონდათ, სხვაზე გათხოვება კი ეკრძალებოდათ[383]. ავტორი აქვე მიუთითებს, რომ ტრიპოლიში მამლუქებად იწოდებოდნენ რენეგატები - საქართველოში ან ჩერქეზეთში შეძენილი მონები. მსგავსი საქორწინო გარიგებები იყო გავრცელებული ჩრდილოეთ აფრიკის სხვა საფაშოებშიც. მმართველის მიერ ქალიშვილის მამლუქზე მითხოვება, სავარაუდოდ, ტრიპოლის საფაშოს მმართველი კლანის ტრადიციასაც წარმოადგენდა. ზემოხსენებულ სელიმ

[380] Knox, *Naval documents*, Vol III, p 371, 471, Vol V pp. 430 – 431

[381] Lafi, Nora, *Une ville du Maghreb entre ancien régime et réformes Ottomanes : genèse des institutions municipales à Tripoli de Barbarie, 1795-1911*, Harmattan, 2002, p. 57

[382] Rossi, Ettoire. *Storia di Tripoli e della Tripolitania dalla conquista Araba al 1911*. Roma, 1968, p. 269

[383] Lyon, *A Narrative of Travels*, p. 14.

გურჯისაც ასევე ფაშას ქალიშვილი ქადუჯა ჰყავდა ცოლად[384]. შარლ ფეროს ცნობით, მამლუქი სელიმ გურჯი და მისი მეუღლე ალკოჰოლით იყვნენ გატაცებულნი და ნაკლებად აინტერესებდათ სახელმწიფო საქმეები, შესაძლოა სწორედ ეს გახდა სელიმის შედარებით წარუმატებელი კარიერის მიზეზი[385].

მუსტაფა გურჯიმ არაერთი რეფორმა განახორციელა ტრიპოლის საზღვაო ძალების გასაძლიერებლად. მან შეაკეთა ტრიპოლის პორტის ფორტიფიკაციები, დაუნიშნა და გაუზარდა ხელფასები მეზღვაურებს, ააგო და შეიძინა არაერთი ხომალდი, სათანადო შეიარაღება, მოაგვარა არტილერიის საორგანიზაციო საკითხები. ბუნებრივია, მუსტაფა აქტიურად იქნებოდა ჩართული მეჩეთის მშენებლობის ხელმძღვანელობაშიც.

XIX საუკუნის 20-იანი წლებისათვის აიკრძალა მეკობრეობა, რაც ქვეყნის ძირითად შემოსავალს წარმოადგენდა. თუნისის მსგავსად, ტრიპოლის საფაშოს მმართველებიც ვეღარ ახერხებდნენ ევროპული კრედიტების დაფარვას. 1832 წელს საფაშოში მოხდა გადატრიალება, იუსუფ ფაშა გადადგა, მუსტაფა გურჯიმ კი ლეგიტიმური მემკვიდრის ‘ალი ფაშას (1832-1835) მხარე დაიჭირა.

თუნისელ ისტორიკოსს ად-დიაფს კარამანლის დინასტიის დასასრულზე საუბრისას, მოჰყავს იუსუფ ფაშას და მუსტაფა გურჯის დიალოგი. მან ერთ-ერთ კრიტიკულ სიტუაციაში თავის პატრონს დამარცხება უწინასწარმეტყველა. ფაშამ შეხედა გაჭაღარავებულ მუსტაფას და უთხრა: - აბა, შენი მოსავლის დრო დადგაო, რითაც მიანიშნა, რომ მოკლავდა მას. მუსტაფა მიუხვდა და უპასუხა: - ალლაჰს ვფიცავ, მზად ვარ მოვკვდე, თუ ამით თქვენი მმართველობა გახანგრძლივდებაო. მუსტაფა გადარჩა, მისი სიკვდილი კარამანლის დინასტიას ვეღარ უშველიდა, საფაშოს ბედი სტამბულში გადაწყდა[386]. 1835 წლიდან ტრიპოლის საფაშო უკვე ოსმალეთის სულტან მაჰმუდ II-ის (1808-1839) პირდაპირ დაქვემდებარებაში ექცევა. კარამანლის ოჯახის ყველა წევრი, ხანდაზმული იუსუფის გარდა, ქვეყნიდან გაასახლეს. მუსტაფა გურჯი კარამანლის დინასტიის ოჯახის წევრი და იუსუფ ფაშას სიძე იყო. მიუხედავად ამისა, იგი დატოვეს

[384] Blaquiere. *Letters from the Mediterranean*, p. 92

[385] Feraud, Charles. *Annales Tripolitaines,* p. 340, n.2

[386] Al-Diyaf, Ibn Abi, *Chronique des Rois de Tunis et du pacte fundamental, edition critique et traduction Andre Raymond.* Vol. I, Tunis, 1994, p. 68

ქვეყანაში და აღადგინეს პორტისა და საზღვაო ძალების მეთაურის თანამდებობაზე, რასაც დაახლოებით 1846 წლამდე უძღვებოდა[387]. მუსტაფა გურჯი იყო ტრიპოლის მაჯლისის წევრი და აქტიურად ჩართული საფაშოს მართვაში[388].

გურჯის საუკეთესო ურთიერთობები ჰქონდა როგორც ოსმალებთან, ისე ქვეყნის ეროვნული მოძრაობის მეთაურებთან, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ ოსმალეთის მმართველობას. XIX საუკუნის 40-იან წლებში იგი არაერთხელ გამოვიდა მედიატორის როლში ამ ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის. მუსტაფა გურჯის გარდაცვალების თარიღი არ არის დადგენილი, მაგრამ, სავარაუდოდ იგი 1840-50-იანი წლების მიჯნაზე აღესრულა და დაკრძალულია იმავე მეჩეთში, რომელიც თავად ააშენა[389]. აქვე განისვენებენ მისი ოჯახის წევრებიც. მათ შორის ცნობილია მუსტაფას შვილი - ჰაჯჯ ʻალი, რომელიც წარმატებით მოღვაწეობდა ლიბიის პოლიტიკურ სარბიელზე[390].

გასული საუკუნის ავტორს ფილიპ უარდს მოჰყავს საინტერესო ლეგენდა მეჩეთის აშენების თაობაზე[391]. ერთხელ, იუსუფ ფაშა და მისი საზღვაო მინისტრი მუსტაფა გურჯი ტრიპოლის მეკობრეთა მიერ ნაძარცვით სავსე რვა ხომალდის შემოსვლას ადევნებდნენ თვალს. კმაყოფილმა ფაშამ, მადლიერების ნიშნად, მუსტაფას წინასწარ აჩუქა ნადავლი ბოლო ხომალდზე. ჩვეულებრივ, ყველაზე ნაკლებ და იაფფასიან ტვირთს სწორედ ბოლო ხომალდზე ათავსებდნენ, რადგან მდევარი, თუკი ასეთი გამოჩნდებოდა, სავარაუდოდ მხოლოდ ბოლო ხომალდის დაბრუნებას შეძლებდა. ბოლო ხომალდს იმისთვისაც იყენებდნენ, რომ წინა ხომალდებიდან გაქცეულ ტყვეებს დადევნებოდნენ და შეეპყროთ ისინი. ამდენად, იგი წინა ხომალდებთან შედარებით უფრო მსუბუქად უნდა ყოფილიყო დატვირთული. ფაშა ამჯერად შეცდა. ნაძარცვი ქონების უმეტესობა აღმოჩნდა სწორედ იმ ბოლო ხომალდზე, რომელიც ცოტა ხნით ადრე მუსტაფას აჩუქა. ფაშა, რა თქმა უნდა, განაწყენდა, მაგრამ მუსტაფამ აღუთქვა, რომ მთელი ამ თანხით იგი მეჩეთს ააგებდა და თავისი სიტყვა შეასრულა კიდეც. შესაძლოა,

---

387 Al-Tawil. Muhammad Saʻid. *al-Baḥrīyah al-Ṭarābulusīyah,* გვ. 159

388 Rossi, Ettoire. *Storia di Tripoli,* p. 305

389 იხ. ილუსტრაცია 15

390 Braun, Ethel. *The new Tripoli and what I saw in the hinterland,* London, 1914, p. 45

391 Philip Ward. *Tripoli portrait of a city,* Stoughton, 1969, p. 30-32

ეს ლეგენდა მართალიც იყოს. ძნელი სათქმელია, რამდენი ძვირფასეულობა უნდა დატეულიყო ერთი მცირე ზომის ხომალდზე, რომ ულამაზესი და უძვირფასესი მეჩეთის მშენებლობის ხარჯები დაეფარა. მაგრამ, მუსტაფა ერთ-ერთი უმდიდრესი მოხელე იყო ტრიპოლიში და შესაძლოა, მან საკუთარი შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ მეჩეთის აშენებას მოახმარა.

ბევრი რამ დაიწერა გურჯის მეჩეთის შესახებ[392]. საერთო აზრია, რომ არქიტექტურული და სტრუქტურული თვალსაზრისით ეს მეჩეთი აშკარად სიახლეს წარმოადგენდა. დეკორატიული თვალსაზრისით, არც მანამდე და არც შემდეგ, მსგავსი სილამაზის მეჩეთი ლიბიაში არ აშენებულა. მარმარილოს კოლონები იტალიიდან ჩამოიტანეს; სხვადასხვა ჩუქურთმა, ლურჯი, მწვანე, ყვითელი და თეთრი ფერის მოჭიქული ფილები ევროპული, მაროკოული და თუნისური ნაკეთობის საუკეთესო სინთეზს წარმოადგენს. მშენებლობაში მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი, ისე მეზობელი ქვეყნებიდან და ევროპიდან მოწვეული ხელოსნები. გურჯის მეჩეთის მინარეთი ტრიპოლიში ყველაზე მაღალია, მას ორმაგი აივანი აკრავს, რაც ასევე უჩვეულოა ლიბიური არქიტექტურისთვის. მეჩეთთან დაფუძნებულია სასწავლებელი, რომელიც 16 ოთახისგან შედგება და გურჯის სახელს ატარებს. ლიბიაში არა მხოლოდ გურჯის მეჩეთი და მისი მიმდებარე უბანი, არამედ გურჯის სახელობის ოაზისიც არსებობს ტრიპოლიდან ორიოდე საათის სავალზე[393].

1870-იან წლებში გვხვდება ტრიპოლის მაჯლისის წევრი ალ-ჰაჯჯ აჰმად გურჯი[394]. ელ-ბალუშის წიგნში ლიბიური მეჩეთის არქიტექტურის შესახებ ვიგებთ, რომ აჰმად გურჯიმ 1888 წელს ტრიპოლიში ალ-სანუსიიას მეჩეთი ააგო[395]. XX საუკუნის 10-20-იან წლებში აქ მოღვაწეობდა ჰასანის შვილი ჰასუნა იბნ ალ-ჰაჯჯ აჰმად გურჯი, რომელიც

---

[392] მაგალითისათვის შეიძლება ორი სტატიის მოტანა: Aurigemma Salvatore. "*La Moschea di Gurgi*", Africa Italiana, Vol I, Anno 6, # 4, Bergamo, Italy, 1928, pp. 257-285 და El-Ballush, Ali Mas'ud. *A History of Libyan mosque architecture during the Ottoman and Karamanli period, 1551-1911*, (Tripoli), 1979, pp. 298-303

[393] Great Britain, *A handbook of Libya. Compiled by the Geographical section of the Naval intelligence division, Naval staff, Admiralty*, London, 1920, p. 264

[394] Lafi, *Une ville du Maghreb*, p 237

[395] El-Ballush, Ali Mas'ud. *A History of Libyan mosque architecture during the Ottoman and Karamanli period, 1551-1911*, (Tripoli), 1979, p. 351

მამამისის მსგავსად მაჯლისის წევრი იყო[396]. დაზუსტებით უცნობია ისინი მუსტაფა გურჯის შთამომავლები იყვნენ თუ ტრიპოლიში მოხვედრილი რომელიმე სხვა ქართველის.

ამავე პერიოდის ბრიტანული დიპლომატიური მიმოწერით ირკვევა, რომ 1820-იან წლებში ტრიპოლის საფაშოში შემავალი ფეზანის პროვინციის გამგებელი (ბეი) იყო ქართველი რენეგატი მუსტაფა ალ-აჰმარი (წითური)[397].

ტრიპოლის საფაშოში უმაღლეს მოხელეთა ჰარემებში გვხვდებიან ქართული წარმოშობის ქალები, ერთ-ერთი მათგანის ლილლა (ქალბატონი) ამნანის შესახებ საინტერესო ინფორმაცია დატოვა თავის მოგონებებში ბრიტანელმა ქალბატონმა, რომელიც წლების განმავლობაში ცხოვრობდა ქალაქ ტრიპოლიში და მეგობრობდა ამნანისთან. როგორც ვიგებთ, ტრიპოლის მმართველთან დაახლოვებული დიპლომატი აბდალრაჰმანი ცოლის გარდაცვალების შემდეგ წავიდა ლევანტში ახალი ცოლის შესარჩევად და შესაძენად. მან მონახა ორი ქართველი გოგონა, რომლებიც მამამისისგან შეიძინა. თავად ამნანის თანახმად, მამამ ბავშვობიდან იზრუნა ქალიშვილების განათლებაზე, შეასწავლა მათ ხატვა, სიმღერა და მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა. ბრიტანელ ქალბატონთან საუბრისას, ამნანი განსაკუთრებული გულისტკივილით იხსენებდა იმ მომენტს, როდესაც ის და მისი და მამამ უცხოელს მიჰყიდა.

თავისი სამშობლოს შესახებ ამნანი ყვებოდა, რომ იქ მოდიოდა უამრავი ხილი და ყვავილი, იქაურები კი საუკეთესო ღვინოს აყენებდნენ. ის იყო 17 წლის, მისი და კი 13 წლის როდესაც გემით ჩავიდნენ ქალაქ ალექსანდრიაში. ბრიტანელი ავტორი მისს თულლი მას ხანდახან ბერძენს ეძახის. თუმცა აქვე განმარტავს, რომ ეს ამნანის აღმსარებლობა იყო და არა მისი ეროვნება. ტრიპოლიში ჩასულ ამნანის, რაც მისი ისლამის მიღების შემდგომი სახელია, თავიდან საუბარი მხოლოდ ქმართან შეეძლო რადგან ადგილობრივი ენა არ იცოდა, შესაძლოა აბდულრაჰმანიც ქართული წარმომავლობის იყო. მისი უმცროსი და აბდულრაჰმანის ნათესავმა შეირთო ცოლად.

---

[396] Juḥaydar, ʻAmmār. *Āfāq wa-wathāʾiq fī tārīkh Lībyā al-ḥadīth,* Published [Tripoli, Libya]: al-Dār al-ʻArabīyah lil-Kitāb, 1991, p. 157-158

[397] Folayan. *Tripoli,* p. 89, 93-96

ამნანის მალე ეყოლა ვაჟი, აბდულრაჰმანმა იგი ცოლად მოიყვანა და საფაშოს ტრადიციების გათვალიწინებით უჩვეულოდ ბევრი უფლება მისცა ქართველ ცოლს. მაგალითად, ამნანის და მის დას შეეძლოთ თავის ოჯახთან და მეგობრებთან მიმოწერა ჰქონოდათ და მათგან საპასუხო წერილებსაც იღებდნენ. მოგვიანებით, დებმა მშობლებს თანხაც გაუგზავნეს, ძმა კი ტრიპოლიში თავისთან ჩამოიყვანეს. ლილლა ამნანი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ტრიპოლის მმართველი ოჯახის მფარველობით სარგებლობდა[398].

ბრიტანელმა მწერალმა ელიზაბეთ თომასმა 1847 წელს ლონდონში გამოსცა პოემების კრებული სახელწოდებით "The Georgian; Or, the Moor of Tripoli, and Other Poems" (ქართველი თუ ტრიპოლელი მავრი და სხვა პოემები). როგორც ირკვევა, პოემები მის ახალგაზრდობაში დაიწერა და ეძღვნებოდა ავტორის მეგობრებს შორეულ ქვეყნებში. ასგვერდიანი პოემა, რომელიც ტრიპოლიში ქართველი ლილლა ამნანის ცხოვრებას აღწერს, სავარაუდოდ მისს თულლის წიგნის ინსპირაციით დაიწერა[399].

მისს თულლის მოგონებებში საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით მაროკოში სულტნის ჰარემში მოხვედრილი ქისტი ქალის შესახებაც. მაროკოს დესპოტი სულტანი იეზიდის (1790-1792) სიკვდილის შემდეგ მისი მონები გათვისუფლდნენ. მათ შორის იყო უცნაური ბედის ქისტი ქალბატონიც. თულლის გადმოცემით, იგი კავკასიის მთების ძირში დაიბადა და გამოირჩეოდა უცნაური გარეგნობით და თოვლივით თეთრი თმებით. სწორედ ამ უცნაური გარეგნობის გამო მოიტაცეს იგი ბავშვობაში ოსმა ყაჩაღებმა. ქალბატონი აპირებდა ტრიპოლიდან მშობლიურ სახლში დაბრუნებას[400]. ~ბრიტანული არქივებიდან ასევე ცნობილია, რომ ტრიპოლის საფაშოს თავს აფარებდა ექვსი მამლუქი, რომლებიც გადაურჩნენ 1811 წლის მამლუქთა კაიროს ციტადელში მასიურ ხოცვას, ისინი დარფურის და ფეზანის გავლით გადასახლდნენ ტრიპოლიში[401].

---

398 Tully. *Letters*, p. 55-60, 113, 134, 319

399 Mrs. Elizabeth Thomas (Wife of the Vicar of Tidenham). *The Georgian; Or, the Moor of Tripoli, and Other Poems*. London 1847, p. 4-104

400 Tully. *Letters*, p. 311-312

401 Folayan. *Tripoli*, p. 123

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომში განხილული იყო საქართველოდან მონად გაყვანილ თუ საკუთარი ნებით წასულ ქართველთა ისტორია ოსმალური თუნისის, ალჟირის და ტრიპოლის საფაშოებში XVIII-XIX საუკუნეებში.

ტყვის სყიდვის ფენომენი, სამეფო-სამთავროებად დაშლილ საქართველოში განსაკუთრებით მასშტაბური გახდა XVII-XVIII საუკუნეებში. ქვეყნისთვის ამ უმძიმეს საქმიანობაში აქტიურად იყო ჩართული სამეფო-სამთავროების ყველა სოციალური ჯგუფი, უმაღლესი მმართველიდან დაწყებული უბრალო გლეხით დამთავრებული. ადამიანებს უმეტესად იტაცებდნენ, თუმცა, მაღრიბის შემთხვევაში ვხვდებით ქართველ მონებს, რომლებიც საკუთარი ოჯახის წევრებმა გაყიდეს.

ეგვიპტის და ერაყის საფაშოებში მოხვედრილ ქართველ მამლუქთა შესახებ ცნობილი იყო ქართველი მეფეებისთვის და სამეფო კარისთვის. ზოგიერთ გავლენიან მამლუქს რეგულარული ურთიერთობა ჰქონდა საქართველოში დარჩენილ ოჯახთან, უგზავნიდა მათ ფულად დახმარებებს და თავისთან სამუშაოდ ჩაჰყავდა დედმამიშვილები, ნათესავები და მეზობლები. მათი ისტორიების შესწავლა XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო, გამოვლინდა უაღრესად საინტერესო დოკუმენტური მასალა ქართველი მამლუქების შესახებ. თუმცა, როგორც თავიდანვე აღინიშნა, საქართველოდან თუნისის, ალჟირის ან ტრიპოლის ოსმალურ საფაშოებში ძალადობრივი გზით თუ საკუთარი სურვილით გადასახლებულ ადამიანთა არსებობა სიახლეა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

საქართველოში მონათა მოპოვების, მათი გაყიდვის და ქვეყნიდან გაყვანის საკითხის შესწავლისას, ყურადღება ექცეოდა მათი ძალადობრივი გზით მოპოვებას და გატაცებას. შედეგად, კვლევები მიმართული იყო ოსმალეთის იმპერიაში მამლუქთა და არა ზოგადად ქართული ელემენტის შესწავლისკენ. თუმცა, ოსმალური მაღრიბის ისტორიის კვლევისას ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ევროპელი მოგზაურები აქ მყოფ ქართველებს, ისევე როგორც ყველა უცხოელს, რენეგატად

იხსენიებენ. მათთვის პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ რა გზით მოხვდა მაღრიბის საფაშოებში ესა თუ ის უცხოელი.

უმეტესად უცნობია ის, თუ როგორ მოხდა მათი დატყვევება და მონათა ბაზარზე გადაყვანა. თუნისში მოხვედრილი ერთი მამლუქის მაგალითზე ვიცით, რომ ის იყო თავდგირიძეების კლანის მიერ მოტაცებული ბავშვი. ასევე ცნობილია, რომ კიდევ ერთი მათგანი მოიტაცეს უცხოეთიდან შემოსულმა მოთარეშეებმა. მაროკოში გაყიდული ქისტი ქალის ისტორიიდან ვიგებთ, რომ ის მოიტაცეს მოთარეშე ოსებმა. ტრიპოლიში მოხვედრილი დები გაყიდა საკუთარმა მამამ[402]. ალჟირში ვხედავთ საკუთარი ნებით მოხვედრილ საქართველოს ორ მკვიდრს. თუმცა, ამავე საფაშოში მოღვაწეობდნენ შეძენილი და შემოყვანილი სხვა ქართველები და კავკასიელები.

კავკასიელი მამლუქები უმეტესად სტამბულის მონათა ბაზრების გავლით, მონის სტატუსით შეჰყავდათ მაღრიბის საფაშოებში. ორივე სქესის ახალგაზრდა მონებს იძენდნენ სტამბულში პირადად ჩასული მმართველები, საფაშოების უმაღლესი მოხელეები, ვაჭრები ან სპეციალური აგენტები. თუნისის მმართველები რეგულარულად იძენდნენ ქართველ და კავკასიელ მონებს და შემოჰყავდათ საფაშოში. ხშირად, ქართველ მონებს თუნისის ჰუსეინიანი მმართველები საჩუქრის ან ქრთამის სახითაც იღებდნენ. უცნობია ქართველთა ალჟირში მოხვედრის მიზეზები. ჩვენთვის ცნობილი მაგალითებიდან, საქართველოს ორი მკვიდრი საკუთარი ნებით გადასახლდა ალჟირის საფაშოში. ტრიპოლის მომავალმა ფაშამ სტამბულში ყოფნისას პირადად შეიძინა მამლუქები. როგორც ტრიპოლის საფაშოს მაგალითზე ვხედავთ, ქართველი ცოლების შესარჩევად აქაური ელიტის წარმომადგენლები ჩადიოდნენ ეგვიპტის პორტ ალექსანდრიაში ან კიდევ უფრო შორეულ ლევანტში.

XVI საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში თუნისის, ალჟირის და ტრიპოლის ტერიტორიები ოსმალეთის იმპერიაში გაერთიანდნენ. მომდევნო, XVII-XIX საუკუნეებში მაღრიბის საფაშოები ოსმალეთის იმპერიის პერიფერიებისათვის

[402] წყაროს მიხედვით, გატაცებული ქალბატონი ყვებოდა თუ როგორ აღზარდა ის და მისი და საკუთარმა მამამ მათი შემდგომში გაყიდვის მიზნით. შეასწავლა მათ ხელოვნება და მუსიკა, რაც მომავალში უფრო სარფიანი გარიგების საგანი იქნებოდა. ის სინანულით აღნიშნავდა, რომ მის ქვეყანაში გოგონებს მამები ყოველთვის ჰყიდნენ. იხ. Tully. *Letters*, p. 55-60, 113, 134, 319.

დამახასიათებელი ცვლილებების შედეგად, ნახევრად დამოუკიდებელ ერთეულებად ჩამოყალიბდნენ. თუნისის და ტრიპოლის საფაშოებში XVIII საუკუნიდან მოყოლებული დინასტიური მმართველობები ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ ალჟირის მმართველს ფორმალურად ისევ სულტანი ამტკიცებდა, კანდიდატს ადგილობრივი ოსმალური ელიტა ირჩევდა საკუთარი რიგებიდან.

მაღრიბის ოსმალურ საფაშოებში კავკასიიდან, კონკრეტულად კი საქართველოდან ტყვეების შემოყვანის მიზეზი და მიზანი ცალკე კვლევის საგანია, თუმცა, ამ ეტაპზეც შეგვიძლია წინასწარი დასკვნები გამოვიტანოთ.

მაღრიბის ოსმალური საფაშოების ადგილობრივი მმართველები საკუთარ ლეგიტიმაციას ოსმალეთის სულტნის ფირმანით ასაბუთებდნენ. ცენტრთან კავშირი და სულტნისადმი ლოიალობა რეგულარული სამხედრო და დიპლომატიური მხარდაჭერით და საჩუქართა გაცვლით გამოიხატებოდა. ამავდროულად, საფაშოთა ოსმალური ადმინისტრაციული წესით მოწყობა და მათი ოსმალო მოხელეებით დაკომპლექტება სულტნის არაპირდაპირი მმართველობის ერთ-ერთ სიმბოლოდ დარჩა და დროთა განმავლობაში ერთგვარ ტრადიციად იქცა.

თუნისის, ალჟირისა და ტრიპოლის საფაშოებში, ისევე როგორც ოსმალეთის სხვა პროვინციებში, ადმინისტრაციის და ჯარის შევსებას არსებული ოსმალური ტრადიცია განსაზღვრავდა. ეს, სხვა მეთოდებთან ერთად, გულისხმობდა მმართველი სამხედრო და ადმინისტრაციული წრის დაკომპლექტებას სტამბულში შეძენილი კავკასიელი და აღმოსავლეთ ევროპელი ახალგაზდა ტყვე მამაკაცებით. ამ ტრადიციის ნაწილი იყო კავკასიელი და აღმოსავლეთ ევროპელი ქალების ადგილობრივი ელიტის ჰარემებში შემოყვანაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებულ წყაროებში, როგორც წესი, იშვიათად გვხვდება ინფორმაცია ამა თუ იმ მამლუქის, მონის ან ადგილობრივი დიდგვაროვნის ჰარემში მოხვედრილი ქალების დაბადების ადგილის ან წარმომავლობის შესახებ. ევროპელი მოგზაურები უფრო მეტ ინტერესს იჩენდნენ ევროპელი მამლუქების, რენეგატების და წარჩინებულთა ცოლების მიმართ, რომლებთანაც არ ჰქონდათ ენობრივი ბარიერი.

მათთვის ევროპელი მამლუქები და რენეგატები მარტივად გამოირჩეოდნენ დანარჩენი “თურქებისგან”.

თუნისის საფაშოში პირველი ქართველი მონა XVI საუკუნეში გვხვდება. როგორც ვიგებთ, 1574 წელს ოსმალო მეთაურმა სინან ფაშამ აქ სტამბულიდან წამოიყვანა ქართველი მამლუქი რამადანი. ყოფილი მონა, 1591 წელს თუნისის მმართველი ბეი გახდა და გარდაიცვალა 1613 წელს. ცნობილია, რომ მასთან იმყოფებოდნენ მისი ძმა და ძმისშვილი. მიუხედავად იმისა, რომ XVIII საუკუნემდე სხვა ქართველი ამ საფაშოში არ ჩანს, XVII საუკუნეში ვხედავთ სამ ლაზი წარმოშობის მმართველს. სავარაუდოდ, თუნისის, ისევე როგორც მეზობელი ალჟირის და ტრიპოლის საფაშოები მიმზიდველი იყო აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროს მუსლიმი მეზღვაურებისთვის.

ოსმალური თუნისის წყაროებში მუდმივად ვხვდებით ცნობებს აქ შემოყვანილი მამლუქების შესახებ. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში უცნობია მათი წარმომავლობა ან დაბადების ადგილი. XVI-XVII საუკუნიდან მოყოლებული სტამბულში კავკასიელ მონათა შეძენა და მათი მაღრიბში შემოყვანა, ვფიქრობთ, ტრადიციად ჩამოყალიბდა და გაგრძელდა XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე.

თუნისში მოხვედრილი ქართველი მონების შესახებ უმთავრესად XIX საუკუნის თუნისელი ისტორიკოსის ად-დიაფის დაწერილი ბიოგრაფიებით ვიგებთ. ცნობები ამ საფაშოში ქართველთა შემოყვანის შესახებ უკავშირდება XVIII საუკუნეში ჰუსეინიანთა დინასტიის წარმომადგენლის ‘ალის (1759-1782) მმართველობის პერიოდს. მაგალითისთვის, ად-დიაფის ბიოგრაფიების მიხედვით, ‘ალის ოთხი, ხოლო მისი შვილის ჰამმუდას (1782-1814) პერიოდში რვა ქართველი მამლუქი დაწინაურდა საფაშოს უმაღლეს თანამდებობებზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ად-დიაფის ბიოგრაფიებში დასახელებული 34 მამლუქიდან 20 იყო კავკასიელი, მათ შორის 16 ქართველი, 3 ჩერქეზი და ერთი აბაზა. თუმცა, ად-დიაფის ბიოგრაფიები მხოლოდ კონკრეტულ, გამოჩენილ და დაწინაურებულ თუნისელ მოღვაწეებს ეძღვნება და ცხადია, მასში ვერ მოხვდებოდნენ დაბალი წოდების მქონე ქართველი ან კავკასიელი მონები. 1830-იან წლებში ოსმალური წყაროების მიხედვით ვხედავთ შედარებით დაბალი წოდების მქონე ცხრა ქართველ

მამლუქს, კიდევ ერთი უცნობი ქართველი ირიცხებოდა ბათუმში, ყირიმის ომის დროს, დისლოცირებულ თუნისის ჯარში 1855 წელს. მსგავსი მაგალითების სიმრავლე ვფიქრობთ, იმაზე მიუთითებს, რომ თუნისში ქართველები და კავკასიელები განსაკუთრებით მოთხოვნადი მონები იყვნენ. ისინი აქ შედარებით დიდი რაოდენობით შემოჰყავდათ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე.

ალჟირის საფაშოში, ოსმალეთის სხვა პროვინციების მსგავსად, მმართველი ელიტა ოსმალურ ყაიდაზე იყო ორგანიზებული. მმართველი წრის წევრი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ალჟირის გარეთ დაბადებული თურქი მოხელე. აქაური მმართველები საკუთარ რიგებში მხოლოდ საფაშოში გარედან ჩამოსახლებულ ადამიანებს იღებდნენ და აწინაურებდნენ. საკუთარი რიგების ქვეყნის გარედან შევსების გზით, ალჟირის ელიტა ინარჩუნებდა ოსმალური მმართველობის სულტნის მიერ დამკვიდრებულ ტრადიციას. ქვეყნის სათავეში ხშირად ხვდებოდნენ ოსმალეთის ტერიტორიებზე მოსახლე არათურქი წარმოშობის მეზღვაურები და სამხედროები. საფაშოს მმართველებად ასევე ხშირად ვხვდებით გამუსლიმებულ რენეგატებს. ისინი, როგორც წესი, ევროპელი მეზღვაურები იყვნენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ საერთოდ არ ჩანს მამლუქის კატეგორიის სამხედრო ან მოხელე.

ალჟირში სტამბულის მონათა ბაზრიდან ტყვეების შემოყვანის საჭიროება ყველაზე ნაკლებად იყო, რადგან საფაშო თავად ეწეოდა როგორც აფრიკიდან, ისე მეკობრეობის გზით მოპოვებული მონების იმპორტს ოსმალეთსა და ევროპაში. თუმცა, ოსმალური ალჟირის ისტორიკოსის აზრით, ალჟირში 1830-იან წლებამდე ხდებოდა მამლუქთა ტიპის მონათა მცირე რაოდენობით შემოყვანა და დასაქმება. სავარაუდოდ ეს ოსმალური ტრადიციის ნაწილი იყო.

ოსმალური ადმინისტრაციის საკადრო პოლიტიკა ითვალისწინებდა ანატოლიიდან და სხვა ცენტრალური რეგიონებიდან მამაკაცთა გარკვეული რაოდენობის გამოყოფას და გადასახლებას მაღრიბის ოსმალურ საფაშოებში მათი იქ დასაქმების მიზნით. ამ პროცესში, შესაძლოა, მაღრიბელი საკადრო აგენტები ახალციხის საფაშოში და ქართველებით და კავკასიელებით დასახლებულ სხვა ოსმალურ ტერიტორიებზეც ეძებდნენ შესაფერის კანდიდატებს. ალჟირის საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით,

ირკვევა, რომ ალჟირში მომსახურე თურქულ ჯარში ირიცხებოდნენ იანიჩრები ოსმალეთის იმპერიის შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ რეგიონებიდან. ალჟირში განლაგებული ოსმალური ჯარის ეთნიკური შემადგენლობის ანალიზისას აშკარად ჩანს, რომ ამ საფაშოში ბევრი ახალგაზრდა მიდიოდა ისტორიულ ქართულ სამეფო-სამთავროებთან მომიჯნავე ოსმალური პროვინციებიდან.

ალჟირში არ არსებობდა დინასტიური მმართველობა, რომელისთვისაც საჭირო იქნებოდა მამლუქთა ინსტიტუცია. აქაური მმართველი კლასისთვის უცხო იყო მონათა შეძენა მათი გაწვრთნის, აღზრდის და ადმინისტრაციული დაწინაურების მიზნით. თუმცა, ალჟირის საფაშოშიც ვხვდებით აქ გადმოსახლებულ ან უცნობი გარემოებების შედეგად საქართველოდან მოხვედრილ უმაღლესი წოდების მქონე სამხედროებს და მოხელეებს.

ცნობილია, რომ 1750-იან წლებში ალჟირის საფაშოში მსახურობდა იმპერიის მომავალი ადმირალი, კაპუდან ფაშა ჰასანი, რომელიც წარმოშობით იყო სოფელ ფშაველადან. ალჟირში მოხვდნენ ქართველი ძმები ‘ალი ატ-ტარაბულუსი (1754-1804) და საიდ ‘ალი. ევროპელი ავტორები ‘ალი ატ-ტარაბულუსს ქართველ რენეგატს ეძახდნენ, ვიგებთ რომ იგი ბერძნულ ეკლესიას ეკუთვნოდა. ‘ალიალჟირის გამგებელის მუჰამმად იბნ ოსმანის (1766-1791) მონა იყო, ის მოგვიანებით დაწინაურდა ალჟირის შემოსავლების მინისტრის თანამდებობაზე. 1793 წელს მან ორი წლით მოიპოვა ტრიპოლის ფაშას ტიტული, გარდაცვალებამდე, 1804 წელს კი დაინიშნა ეგვიპტის ფაშად. მისი ძმა, საიდ ‘ალი იხსენიება როგორც ოსმალეთის ხელისუფლების მამლუქი. იგი ოსმალურ ფლოტში მსახურობდა, ეკავა მთავარი ადმირალის - კაპუდან ფაშას და ოსმალეთის დიდვაზირის თანამდებობები, გარდაიცვალა 1820-იან წლებში. უცნობია თუ როდის, ან რა გზით მოხვდნენ ეს ძმები ალჟირის საფაშოში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალჟირის მომდევნო მმართველი, ჰასან იბნ იუსუფი (1791-1798) იყო ახალციხიდან. ის ახალგაზრდა ჩამოვიდა ალჟირის საფაშოში და ჩაეწერა აქ განთავსებულ იანიჩართა კორპუსში. ჰასანი მსახურობდა ალჟირის ფლოტში, გახდა ჯერ საზღვაო მინისტრი, შემდეგ კი საფაშოს პრემიერ-მინისტრი. იგი უმაღლესი მმართველის - ფაშას ტიტულით გარდაიცვალა. 1817 წელს ალჟირის ფაშა გახდა ‘ალი

ხოჯა, ის სამეგრელოდან იყო წარმოშობით. უცნობია მისი ალჟირში მოხვედრის და ადრეული ცხოვრების დეტალები. მისი მიზანი იყო აქ ოსმალეთის მმართველობის შესუსტება და საკუთარი დინასტიური მმართველობის დაარსება. თუმცა, 1818 წელს ის გარდაიცვალა ეპიდემიით.

მიუხედავად იმისა, რომ ალჟირში სტამბულიდან მონათა შემოყვანას არ ჰქონდა სისტემატიური ხასიათი, საქართველოს მკვიდრმა მონებმა და თავისუფალმა ადამიანებმა ამ საფაშოშიც შესძლეს უმაღლესი თანამდებობების, წარმატების და ქონების მოპოვება. ვფიქრობთ, წარმატებულ ქართველთა არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ თუნისის მსგავსად, ამ საფაშოშიც იქნებოდნენ სხვა, ნაკლებად წარმატებული ქართველები, რომელთა კვალი უბრალოდ გამქრალია.

ტრიპოლის საფაშოში ოსმალური სამხედრო გარნიზონის შევსება ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე. თუმცა, ხელმძღვანელი და უმაღლესი თანამდებობები გარედან შემოყვანილ სამხედროებს და მოხელეებს ეკავათ. უცხოელთა დიდ ნაწილს, ალჟირის მსგავსად, აქაც თურქეთიდან შემოყვანილი სამხედროები და გამაჰმადიანებული ევროპელი მეზღვაურები წარმოადგენდნენ. ევროპელი მოგზაურები ტრიპოლიში მყოფ ევროპელ რენეგატებს მამლუქებს ეძახდნენ.

თუმცა, XIX საუკუნის დასაწყისის ევროპელი მოგზაურის აზრით, ტრიპოლელი მამლუქები საქართველოსა და ჩერქეზეთში შეძენილი მონები იყვნენ და მათ ეკავათ უცხოელთა შორის ყველაზე მაღალი თანამდებობები. ევროპელი მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ ტრიპოლის სამხრეთით მდებარე ფეზანისა და ზლითუნის რეგიონებშიც მამლუქები იყვნენ ადგილობრივი გამგებლები. ქართული წარმომავლობის ტრიპოლელი დიპლომატები ჰასან გურჯი და იბრაჰიმ გურჯი აღა 1770-იან წლებში ტრიპოლის ფაშას ელჩები იყვნენ ავსტრიასა და ბრიტანეთში. 1803 წლიდან ტრიპოლის საფაშოში ჩანს მეზღვაური და მეკობრე მუსტაფა გურჯი. ის მოგვიანებით ხდება ტრიპოლის პორტის გამგებელი და საზღვაო მინისტრი. ის იმავე თანამდებობაზე დარჩა 1840-იანი წლების ბოლომდე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრიპოლის საფაშოს ორი წლის განმავლობაში მართავდა ალჟირელი ქართველი ‘ალი

ალ-ტარაბულუსი (ბურღული). ტრიპოლის ფეზანის პროვინციას კიდევ ერთი ქართველი მართავდა 1820-იან წლებში.

სადისერტაციო ნაშრომში განხილული ქართული წარმომავლობის ოსმალო სამხედროების, მოხელეების და ქალთა ისტორიები საშუალებას იძლევა გავაანალიზოთ მათი ადგილი და როლი თუნისის, ალჟირის და ტრიპოლის საფაშოებში.

მაღრიბში ქართველები უმეტესად მცირეწლოვანები ან მოზრდილები შემოჰყავდათ. თუმცა, თუნისში და ალჟირში ვხვდებით მამლუქებს, რომლებსაც საუბრისას ეტყობოდათ მძიმე აქცენტი ან ცუდად იცოდნენ არაბული ენა. რაც, მათი ზრდასრულ ასაკში გაყიდვაზე მეტყველებს.

საფაშოებში ვხედავთ ქართველ ძმებს და დებს. ასე მაგალითად, XVI საუკუნეში თუნისში გვხვდებიან ქართველი მამლუქი რამადან ბეი და მისი ძმა. მოგვიანებით, XVIII-XIX საუკუნეების თუნისში კიდევ ვხედავთ ორი სხვადასხვა ოჯახიდან მოტაცებულ და გაყიდულ ქართველ ძმებს[403]. ალჟირში XVIII საუკუნეში მოხვდნენ ქართველი ძმები, ხოლო XIX საუკუნეში ტრიპოლის საფაშოში ვხედავთ ქართველ დებს. ერთად გაყიდული ოჯახის წევრების ხშირი შემთხვევები, ვფიქრობთ საქართველოში მოთარეშეთა მიერ ოჯახის მთელი ახალგაზრდა თაობის დატყვევებას და მონებად გაყვანას უკავშირდება.

თუნისში ორივე სქესის ქართველებს და კავკასიელებს იძენდნენ ჰუსეინიანთა დინასტიის ბეიები, მათი შვილები, თავად მამლუქები და მმართველი ელიტის სხვა წევრები. ვხედავთ, რომ ორივე სქესის ქართველი მონები ჰყავდათ ალჟირისა და ტრიპოლის მმართველებს და წარჩინებულ მოხელეებს.

უცნობია ის, თუ როგორ იზრდებოდნენ ალჟირში ან ტრიპოლიში მოხვედრილი ქართველები. თუნისში შემენილ მამლუქებს ზრდიდნენ მმართველის სასახლეში ჰუსეინიანთა ოჯახის ახალგაზრდა მამაკაცების გვერდით. მათ აძლევდნენ ზოგად განათლებას და ავარჯიშებდნენ. მამლუქთა აღზრდის მეთოდები, ისევე როგორც მათი უშუალო გარემო, იყო უკიდურესად მკაცრი და ულმობელი. მაგალითად, თუნისში სამი ახალგაზრდა ქართველი მამლუქი მოკვდა აღმზრდელის სიმკაცრის და საკუთარი

[403] იხ. ბიოგრაფიები №2, 67, 140, 215

გამოუცდელობის გამო. ფორმალური განათლების არმქონე სამხედროები თუ ადმინისტრაციაში მომუშავე ახალგაზრდა ქართველი მონები წარმატებებს საკუთარი ნიჭით, შესაძლებლობებით, კავშირებით, შრომისუნარიანობით და სიმამაცით აღწევდნენ.

მაღრიბის საფაშოებში ახალგაზრდა ქართველი მამაკაცი მონები სამხედრო და ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულების, ხოლო ქალები ჰარემებში განაწილების მიზნით შემოჰყავდათ.

როგორც დავინახეთ, მაღრიბში მოხვედრილი ზოგიერთი ქართველი აღწევდა ოსმალეთის უმაღლეს თანამდებობებს. მათ შორის, ერთი ალჟირში და ერთი თუნისში მოხვედრილი ქართველი გახდა ოსმალეთის იმპერიის დიდვაზირი, ორი დაწინაურდა ოსმალეთის უმაღლესი ადმირალის კაპუდან ფაშას თანამდებობაზე. თუნისში მოღვაწე ქართველი მამლუქი გახდა ეგვიპტის და მორეის ფაშა, ალჟირში მოხვედრილი მამლუქი კი, ტრიპოლის და ეგვიპტის ფაშა. კიდევ ორმა ქართველმა მოიპოვა ალჟირის ფაშას ტიტული.

თუნისის საფაშოში წარმატებულ მამლუქებს აწინაურებდნენ აღას - უფროსი სამხედრო ოფიცრის და ბაშ აღას - უფროსი კავალერისტის თანამდებობაზე. მათ ანაწილებდნენ როგორც საფაშოს ცენტრში, ისე მის პროვინციებში. ქართველი მამლუქები დაწინაურდნენ თუნისში დისლოცირებულ ოსმალურ, მომავალში კი თუნისურ ჯარში და ადმინისტრაციაში უმაღლეს ხელმძღვანელ თანამდებობებზე. როგორც უკვე ითქვა, თუნისში მოხვედრილ ქართველებს შორის ვხვდებით ხუთ ვაზირს, ოთხ ქაჰია ალ-მაჰალლას და სხვა მაღალი სამხედრო და ადმინისტრაციული თანამდებობის მამლუქებს.

ალჟირში მოღვაწე ჩვენთვის ცნობილი ყველა ქართველი მოხელე, ან როგორც იმ პერიოდის მოგზაურები ეძახდნენ მეკობრე, თავიდანვე აქტიურად იყო ჩართული საზღვაო ინდუსტრიაში და კაპერობაში. ტრიპოლიში მოხვედრილი კიდევ ერთი ქართველი იყო მეზღვაური, რომელმაც კაპერობით საკმაოდ სოლიდური თანხები შეაგროვა და ჰყავდა საკუთარი ფლოტი. ამავე საფაშოში კიდევ ერთი ქართველი დაწინაურდა ადგილობრივი პროვინციის გამგებლის თანამდებობაზე.

უცნობია ამ ქართველი მეზღვაურების მაღრიბში მოხვედრის ისტორია. თუმცა, აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ქართველებისთვის ნაოსნობა არ ყოფილა უცხო. შესაძლოა, მაღრიბში მოხვედრილი ზოგიერთი საქართველოს მკვირდი მეზღვაური, ევროპელი რენეგატების მსგავსად, მაღრიბის მეკობრეთა რიგებში შეგნებულადაც ეწერებოდა გამდიდრების და წარმატების მიღწევის მიზნით.

სამხედრო კარიერის მიღმა, ქართველებს ვხედავთ მაღრიბის ოსმალური საფაშოების ადმინისტრაციულ, სასამართლო და დიპლომატიურ სამსახურებში. ქართველი მამლუქები მოღვაწეობდნენ თუნისის მაჯლისის უმაღლეს მმართველ საბჭოში, ალჟირისა და ტრიპოლის ოსმალურ დივანში.

როგორც წესი, თუნისელი და ტრიპოლელი დიპლომატები ხუჯას/ხოჯას ტიტულით სარგებლობდნენ. ისინი კარგად ფლობდნენ უცხოურ ენებს, ერკვეოდნენ ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკასა და ვაჭრობაში. თუნისის საფაშოში მყოფი ქართველი მამლუქები დიპლომატიური დავალებებით მოგზაურობდნენ სტამბულში, მეზობელ საფაშოებში, საფრანგეთში და სხვა ევროპულ სახელმწიფოებში. ტრიპოლიში გვხვდებიან ქართველები, რომლებიც ელჩები იყვნენ ავსტრიაში და ბრიტანეთის სამეფოში. თუნისში ვხვდებით ქართველებს, რომლებიც მუშაობდნენ საფაშოს ადმინისტრაციაში, განაგებდნენ ფინანსურ და სასამართლო უწყებებს.

საინტერესოა თუნისის, ალჟირის და ტრიპოლის საფაშოებში მამლუქთა, მათ შორის კავკასიელ მონათა დაწინაურების მექანიზმი. თუნისის ოსმალური ისტორიის მკვლევარის აზრით, ად-დიაფის თხზულებაში კარგად ჩანს მამლუქთა დაწინაურების და მათთვის საფაშოს არისტოკრატიულ წრეში მიღების გზა. ის გულისხმობდა მამლუქის შეძენას, მის აღზრდას და დაახლოებას. გარკვეული დროის შემდეგ მმართველი მისთვის მისაღებ, სანდო და გამორჩეულ მამლუქს ან რენეგატს ცოლად ურიგებდა საკუთარ ქალიშვილს ან ოჯახის სხვა ახლო წევრს. ქორწინების გზით შექმნილი ურთიერთობას არაბულად *მუსაჰარა* ეწოდებოდა.

მმართველის მიერ ქალიშვილის მამლუქისთვის მითხოვება და ამ გზით მისი დაწინაურება, ტრადიციად იქცა თუნისის საფაშოში. ასე მაგალითად, ‘ალი ბეიმ (1759-

1782) ხუთიდან სამი ქალიშვილი ქართველ მამლუქებზე გაათხოვა[404]. ქართველ მამლუქს[405] მიათხოვა შვილი მაჰმუდ ბეიმაც (1814-1824). იგივე მოხდა მომდევნო მმართველის ჰუსეინ ბინ მუჰამმადის (1824-1835) შემთხვევაშიც, მისი ქალიშვილები ქართველმა[406] და ჩერქეზმა მამლუქებმა მოიყვანეს ცოლებად. მუსტაფა ბეიმ (1835-1837) ქალიშვილები ოთხ მამლუქს მიათხოვა, აქედან ორი მამლუქი იყო ქართველი[407]. თუნისის მმართველთა ქალიშვილები, დები და ნათესავები ხშირად თხოვდებოდნენ სხვა მამლუქებზე ან მათ შვილებზე. ქვეყნის მმართველთა მსგავსად, თუნისის ელიტის წარმომადგენლებიც ცდილობდნენ მამლუქებთან დანათესავებას[408].

ალჟირის საფაშოში მოხვედრილ ქართველებიდან ადგილობრივი ქორწინება მხოლოდ ერთ, ახალციხელი ჰასან იბნ იუსუფის (1791-1798) ბიოგრაფიაში ჩანს. ის დაქორწინდა ალჟირის იმ დროინდელი პრემიერ-მინისტრის ქალიშვილზე.

მამლუქზე ქალიშვილის მითხოვების ტრადიციას ვხედავთ ტრიპოლის ოსმალურ საფაშოშიც. ერთი ევროპელი მოგზაური აღნიშნავდა, რომ მმართველის ქალიშვილს მხოლოდ მამლუქზე დაქორწინების უფლება აქვს. ამის მაგალითი იყო ტრიპოლის ფაშა იუსუფ კარამანლი (1795-1832), რომელმაც ქალიშვილები ქართველ და ბერძენ მამლუქებს მიათხოვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუნისის და ტრიპოლის საფაშოებში მამლუქებთან დანათესავებით მმართველი ელიტა ცდილობდა ერთგული, ძლიერი და წარმატებული ოჯახის წევრები შეეძინა. მამლუქთა წარმატებული საქმიანობა მათი ბატონების ან მფლობელების წარმატებას და ხშირ შემთხვევაში, ფინანსურ მოგებასაც ნიშნავდა. მმართველის ოჯახის წევრ კავკასიელ და ქართველ მამლუქებს წამყვანი პოზიციები ეკავათ თუნისის სამხედრო და სავაჭრო სფეროებში. როგორც ამ საფაშოს ისტორიის მკვლევარი მიიჩნევს, კავკასიელ მონათა შეძენა, აღზრდა და დაწინაურება სრულ

[404] იხ. ბიოგრაფიები №2, 36
[405] იხ. ბიოგრაფია №237
[406] იხ. ბიოგრაფია №358
[407] იხ. ბიოგრაფიები №342, 373
[408] იხ. ბიოგრაფია №287

თანხვედრაში იყო არსებულ და გავრცელებულ ოსმალურ ტრადიციებთან. მათ ვხედავთ საფაშოთა უმაღლეს პოლიტიკურ, სამხედრო და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე.

საინტერესოა, რომ თუნისში მოხვედრილი ზოგიერთი ქართველი მამლუქი გამოირჩეოდა მეცნიერების და სწავლულების მფარველობით და გულშემატკივრობით. მათ შორის ვხედავთ წიგნებით და განათლებით დაინტერესებულ ქართველ მონებსაც. ალჟირის დესპოტი მმართველი სამეგრელოდან ‘ალი ხოჯა კიდევ ერთი ქართველია, რომელიც გამოირჩეოდა წიგნების სიყვარულით. სწორედ ამის გამო შეერქვა მას ხოჯა – რაც გადამწერთა და ადმინისტრატორთა ტიტული იყო ოსმალეთში.

მაღრიბის საფაშოებში მოხვედრილმა არაერთმა ქართველმა ააშენა, ან განაახლა ამჟამად უკვე ისლამური კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლი. განსაკუთრებით საინტერესოა ქალაქ ტრიპოლიში 1832 წელს აგებული გურჯის მეჩეთი. როგორც უკვე განვიხილეთ, ამ მეჩეთის მშენებლობა დაგეგმა და დააფინანსა ქართველმა მამლუქმა მუსტაფა გურჯიმ. ალჟირის ახალციხელმა მმართველმა ჰასანმა განაახლა საფაშოს ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი ქეჩაუას მეჩეთი ქალაქ ალჟირში. მეჩეთის გვერდით შემორჩენილია მისი სასახლეც. ქართველმა ‘ალი ხოჯამ ქალაქ ალჟირში ააგო ალ-ბარანის მეჩეთი. მცირე მეჩეთი ააგო ალჟირში ქართველმა ‘ალი ატ-ტარაბულუსმა. მაღრიბელი ქართველები ასევე ხელმძღვანელობდნენ ქარვასლების, სასწავლებლების, გზების, ხიდების და სხვა ნაგებობების მშენებლობას.

ისევე როგორც ეგვიპტესა და სტამბულში, მაღრიბში მოხვედრილ ქართველ მონებსაც ჩამოჰყავდათ თავისთან საკუთარი ნათესავები. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XVI საუკუნეში თუნისში მოხვედრილ რამადან ბეის თავის უახლოვეს გარემოცვაში სხვა მამლუქებიც ჰყავდა. ვიგებთ, რომ მასთან იყო მისი ძმა და ძმისშვილი. ალჟირელმა მამლუქმა ‘ალიმ XVIII საუკუნის ბოლოს, ეგვიპტეში ჩაიყვანა და მოადგილედ დანიშნა საკუთარი ნათესავი. ცნობილი ხდება, რომ ტრიპოლიში მოხვედრილმა ქართველმა დებმა მოახერხეს თავისთან ძმის ჩამოყვანა.

ვფიქრობთ, მაღრიბის საფაშოებში კავკასიელებისადმი არსებული კეთილგანწყობის გათვალისწინებით, აქ მოხვედრილებს შესაძლებლობა ეძლეოდათ თავისთან ჩამოეყვანათ ოჯახის წევრები და დაესაქმებინათ ისინი. ტრიპოლიში მოხვედრილი

დების ისტორიიდან ცნობილია, რომ მათ კავშირი შეინარჩუნეს საქართველოში დარჩენილ ოჯახთან და მეგობრებთან. შეეძლოთ არა მხოლოდ წერილების, არამედ დახმარების მიზნით ფულის ტრიპოლიდან საქართველოში გაგზავნაც. ვფიქრობთ, საკუთარ ოჯახებთან კავშირი მაღრიბში მოხვედრილ სხვა კავკასიელებს და ქართველებსაც ექნებოდათ.

ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ წარმატებული ან გამორჩეული კავკასიელებისა და ქართველების ისტორიები მაღრიბის საფაშოებში. მათი წარმატების მიზეზთა შორის, ვფიქრობთ, კავკასიელი მონებისადმი არსებული კეთილგანწყობა და თავად მოტაცებულთა შორის არსებული სოლიდარობაც უნდა ყოფილიყო.

თუნისის ოსმალური პერიოდის ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ მამლუქებს ამ საფაშოს მმართველობით სტრუქტურაში ბეის შემდგომი საფეხური ეკავათ. აქ, ზოგიერთ მამლუქს, მათ შორის კავკასიელს, განსაკუთრებულად კარგი ურთიერთობა და ნდობა აკავშირებდა საკუთარ ბატონთან – საფაშოს გამგებელთან და მის ოჯახთან. ქართველ მამლუქს ორჯერ ხვდა პატივი ჩაეტარებინა ახალი ბეის ერთგულების ფიცის დადების ცერემონიალი. საზღვარგარეთ წასვლისას, თუნისის მმართველმა აჰმად ბეიმ (1837-1855) საფაშოს მართვა მის უახლოეს ქართველ მამლუქს ანდო.

